

მკისპოპოსი ალექსანდრე

მართლგადიდებლური კატეხიზმო

თარგმნეს
გვანცა კოპლატაძემ და გიორგი ტონიამ

მეოთხე გამოცემა



ანტიქრისტეს მოსვლის ნიშნები

შედგენილია ათონის წმიდა პანტელეიმონის
სახელობის მონასტერში

თარგმნა გვანცა კოპლატაძემ

მეორე გამოცემა

საქართველოს
საპატრიარქოს გამომცემლობა
თბილისი, 2011

ღანიპეჭღა
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა
და უნეტარესის
ილია II
ლოცვა-კურთხევით

მართლმადიდებლური კატეხიზმო თარგმნილია სახელმძღვანელოდან Православный катихизис, 1990, რომელიც მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი პიმენის ლოცვა-კურთხევით მოსკოვის საპატრიარქოს მიერ არის გამოცემული.

„ანტიქრისტეს მოსვლის ნიშნები“ წმიდა წერილის სწავლებისა და წმიდა მამათა და ეკლესიის მოძღვართა იოვანე ოქროპირის, ანდრეა კესარიელის, იოვანე დამასკელის, ეფრემ ასურის, თეოდორიტესა და სხვათა განმარტებათა მიხედვით შედგენილია ათონის პანტელეიმონის სახელობის რუსულ მონასტერში.

რედაქტორი **გრიგოლ რუხაძე**

შ ი ნ ა რ ს ი

ნაწილი 1. ღმერთი სამება 4

1. ქრისტიანები აღიღებენ სამება ღმერთს. 2. ორი საიდუმლო: ღმერთი სამება და ღმერთი სიყვარული. 3. ღმერთი სამება სრულყოფილი ერთობაა სიყვარულში. 4. სასიცოცხლო მნიშვნელობა ყოვლადწმიდა სამების დოგმატიკა. 5. ღმერთის ცოდნა შეიძლება, რამდენადაც ის თვითონ განგვეცხადება. 6. „მე ვარ მყოფი“. 7. ღმერთის სრულყოფილება, მისი ერთობა და სიმარტივე. 8. როგორ უნდა ვიფიქროთ ღმერთის სხვადასხვა თვისებათა შესახებ. 9. ღმერთი პიროვნაია. 10. ღმერთის არსება, ანუ მისი პიროვნების შინაარსი. 11. ჩვენ გვწამს ცხოველი ღმერთი. 12. მამა ღმერთი. 13. ძე ღმერთი, ღმერთი სიტყვა. 14. არიოზის ერესი. 15. ანალოგიის გზით ძე ღმერთის დაუსაბამობის განმარტების ცდა. 16. სულიწმიდა. 17. სულიწმიდის ღმრთეებრიობა. 18. წმიდა სამების საიდუმლოს ანალოგიები. 19. ღმერთის შემეცნების გზები.

ნაწილი 2. ღმერთი — სამყაროს შემოქმედი და მაცხოვარი.... 15

ა) შემოქმედი ღმერთი და შექმნილი სამყარო

1. რატომ შექმნა ღმერთმა სამყარო? 2. დრო და მარადისობა. 3. ღმერთი სამყაროსთან მიმართებაში. 4. ბუნებითი გამოცხადება. 5. სამყაროს შექმნის მიზანი. 6. ანგელოზები. 7. ხილული სამყაროს შექმნა. 8. ადამიანის შექმნა. 9. ღმერთის ხატი კაცობრიობაში. 10. ღმერთის ხატი ადამიანში. 11. მამაკაცი და დედაკაცი. 12. ბოროტება. 13. ნათლის ანგელოზის დაცემა. 14. ადამიანის ცოდვით დაცემა. 15. ცოდვის შედეგები. 16. პირველშობილი ცოდვა. 17. რატომ დაუშვა ღმერთმა ცოდვა. 18. აპოლოგეტიკა. 19. ძველი აღთქმის მნიშვნელობა.

ბ) მოძღვრება ქრისტეს შესახებ 29

1. გულმოდგინედ ღმერთი შევლის დაცემულ ადამიანს. 2. ღმერთკაცი. 3. ღმერთ-კაცი — მაცხოვარი. 4. მოციქულები — ქრისტეს ღმრთეებრიობის მოწმენი. 5. ცრუ მოძღვრებანი ქრისტეს შესახებ და ქალკედონის დოგმატი. 6. მოწმობანი ქრისტეს ღმრთეებრიობის შესახებ. 7. უფლის ცხოვრების ძირითად მოვლენათა მნიშვნელობა. მაცხოვრის მუცლადღება, შობა და ცხოვრების პირველი წლები. 8. იოანე ნათლისმცემელი და ნათლისღება უფლისა. 9. უფლის გამოცდა. 10. ქრისტე — მეუფე. 11. უფლის გამომსყიდველი ვნებანი და სიკვდილი. 12. აღდგომა ქრისტესი. 13. ამადღება ქრისტესი. 14. ესქატოლოგია.

გ) მოძღვრება სულიწმიდის შესახებ 42

1. სულიწმიდა ძველ აღთქმაში. 2. სულიწმიდა აკურთხებს ძველი აღთქმის ეკლესიას. 3. სულიწმიდა ღმერთის განხორციელებასა და ღმერთის განცხადებაში. 4. უფლის მოძღვრება სულიწმიდის შესახებ. 5. სულიწმიდის გარდა-

მოსვლა და ეკლესიის ცხოვრება. 6. სულიწმიდის მოქმედება ადამიანზე. 7. სულიწმიდის ნაყოფი და ნიჭნი.

დ) ეკლესია 48

1. ეკლესიისადმი რწმენა. 2. რა არის ეკლესია. 3. ეკლესიის ერთობა. 4. ვინ აერთიანებს ეკლესიას. 5. ეკლესიის ერთობა და სიწმინდე. 6. ეკლესიის ერთობის ნიშნები. 7. ეკლესიის კათოლიკეობა ანუ საყოველთაობა. 8. ეკლესიის უცოდველობა. 9. ეკლესიის თავისუფლება და პასუხისმგებლობა. 10. სამოციქულო ეკლესია. 11. ეკლესიის მოწმობა. 12. ამქვეყნიური ეკლესიის საზღვრები. 13. მოზეიმე ეკლესია. 14. წმინდანები და ანგელოზები. 15. მართლმადიდებლური და კათოლიკური სწავლება „დამსახურებათა“ შესახებ. 16. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი.

ნაწილი 3. საღმრთო მადლისა და საზოგადოდ

საიდუმლოთა შესახებ59

1. მადლი. 2. მადლის მოხვეჭის გზები. 3. ნათლისღების საიდუმლო. 4. ნათლისღების საიდუმლოს შესრულება. 5. მირონცხების საიდუმლო. 6. მირონცხების საიდუმლოს შესრულება. 7. ექვარისტია (ზიარება). 8. ექვარისტის საიდუმლოს შესრულება. 9. სინანულის საიდუმლო. 10. აღსარება. 11. ქორწინების საიდუმლო. 12. ქორწინების საიდუმლოს შესრულება. 13. მონაზვნობა. 14. მღვდლობის საიდუმლოს შესახებ. 15. ზეთის კურთხევის საიდუმლო.

ნაწილი 4. ქრისტიანის სულიერი ცხოვრების შესახებ.

ქრისტიანული ეთიკა95

1. ქრისტიანული ცხოვრების მიზანი. 2. ღმრთეებრივი გამოცხადება. 3. წმიდა გარდამოცემის შედგენილობა. 4. ღმრთეებრივი გამოცხადების შინაარსი. 5. ეკლესიის დოგმატური და ზნეობრივი სწავლება. 6. ადამიანის სულიერი ცხოვრების ძირითადი კანონები და მათი გახსნა ძველ აღთქმაში. 7-14. დეკალოგი ანუ ათი მცნება. 15. მოძღვრება ზნეობაზე ახალსა და ძველ აღთქმაში. 16. ქრისტეს საქმენი და სასწაულები. 17. ქრისტეს მოწოდება სიყვარულისაკენ სიყვარულის მაგალითებით. 18. იგავები მამაზეციერზე. 19. იგავები მაცხოვარზე. 20. იგავები ღმრთის სასუფეველზე. 21. იგავები ადამიანის ყოფაქცევაზე. 22. უფლის სწავლება ცოდვის მიზეზებზე. 23. ცოდვის წარმოშობისა და მასთან ბრძოლის შესახებ. 24. მტრების სიყვარულის შესახებ. 25. მოყვასთათვის მიტევებასა და მათ განუკითხველობაზე. 26. სიმდიდრის საშიშროებათა შესახებ. 27. სახარების მცნებათა აზრისა და ხასიათის შესახებ. 28. მადლმოსილი ცხოვრების შესახებ. 29. ვიწრო გზა ქრისტიანისა, ჯვრის ზიდეა, სიკვდილი და აღდგომა ქრისტესთან ერთად. 30.

ღმერთი ჩვენს მსხვერპლს იწირავს. 31. ნეტარების მცნებანი. 32. ქრისტიანი სიკვდილის პირისპირ. 33. სავსება ქრისტიანული ცხოვრებისა. ტალანტების გამრავლება. 34. ღმრთის ნების აღსრულება. 35. საუფლო ლოცვა. 36. საზოგადო და პირადი ლოცვა. 37. იესოს ლოცვა. 38. სულიერი კითხვის შესახებ. 39. მართლმადიდებლური ღმრთისმსახურება. 40. ხატთაყვანისმცემლობა. 41. წმინდა ნაწილთა თაყვანისცემა. 42. მარხვა.

ანტიქრისტის მოსვლის ნიშნები	134
წინასიტყვაობა ღმრთისმოსავი მკითხველისადმი	135
წინასწარი ცნობები ანტიქრისტეს შესახებ	139
ანტიქრისტეს გამოჩენის ნიშნების დაყოფა	141
თავი I. რომის ბატონობის დაცემა	142
თავი II. სახარების ქადაგება მთელ მსოფლიოში	146
თავი III. ილიას და ენუქის გამოჩენა სამყაროში და მათი მოკვლა ანტიქრისტეს მიერ	147
თავი IV. ანტიქრისტეს დაბადება და ებრაელების მიერ მისი ჭეშმარიტ მესიად მიღება	149
თავი V. ანტიქრისტეს ცრუ სასწაულები	151
თავი VI. ანტიქრისტეს მიერ საღმრთო სჯულის დამცირება; დევნა და წამება ქრისტიანობის აღმსარებლებისა	152
თავი VII. ანტიქრისტეს მიერ თავისი ტახტის იერუსალიმის ტაძარში დადგმა	153
თავი VIII. ანტიქრისტეს სახელის მოხაზულობა	155
თავი IX. ანტიქრისტეს მეფობის ხანმოკლეობა	157
თავი X. ანტიქრისტეს ბრძოლანი	158
თავი XI. რა არის „გოგი“ და „მაგოგი?“	160
თავი XII. ბაბილონის დაცემა	161
თავი XIII. ნიშნები, რომლებიც ანტიქრისტეს მოკვლას მოჰყვება	162
თავი XIV. მოკლე ცნობები საშინელ სამსჯავროზე	172
დასკვნა	174

მართლმადიდებლური კატეხიზმი

ნაწილი I ღმერთი სამება

1. ქრისტიანები აღიღებენ სამება ღმერთს

„ღიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“, — აი სიტყვები, რომლებიც მუდამ მეორდება ეკლესიაში. „კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა“, — ღაღადებს მღვდელმსახური საღმრთო ლიტურგიის დაწყებისას.

წმიდა ეკლესიაში ჩვენ ვცხოვრობთ ყოვლადწმიდა სამების საუფლოში, ყოვლადწმიდა სამებაშია ჩვენი ცხოვრება, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ჩვენი უმაღლესი სიზარული, სიცოცხლის სისავსის შეგრძნება და შეგნება ყოვლადწმიდა სამების ქებაში გამოიხატება; და თუკი ყოველთვის არ ვზარობთ ამ ქების აღვლენისას, ეს იმიტომ, რომ შორსა ვართ სრულყოფილი ცხოვრების სისავსისაგან და არასაკმარისად გვესმის, რომ მისი წყარო ყოვლადწმიდა სამებაა.

2. ორი საიდუმლო: ღმერთი სამება და ღმერთი სიყვარული

ერთ ღმერთს მრავალნი სცემენ თაყვანს, კერძოდ, იუდეველნი და მაკმადიანები, მაგრამ ყოვლადწმიდა სამება ღმერთს — მხოლოდ ქრისტიანები, და ამაშია მათი დიდი უპირატესობა. ის საიდუმლო, რომ ღმერთი თუმცა ერთია, მაგრამ სამპიროვანი, განგვიცხადა იესო ქრისტემ. მან განგვიცხადა ისიც, რომ „ღმერთი სიყვარული არს“ (1 ინ. 4,8). ერთი დიდი საიდუმლო მეორესთან მიახლოებაში გვეხმარება: ღმერთი სიყვარულია იმიტომ, რომ იგი სამპიროვანია; და ღმერთი სამპიროვანია იმიტომ, რომ იგი სიყვარულია.

არასრულყოფილი ადამიანური სიყვარულიც კი აკავშირებს ადამიანებს თითქოსდა ერთ არსებად, მაგალითად — მეუღლეებს, ოჯახს, მეგობრებს. ადამიანების მიმართ ეს უფრო სიტყვებია, ვიდრე სინამდვილე, მაგრამ ღმრთებრივი სიყვარული უზომოა და ამიტომაც ყოვლადწმიდა სამების პირნი, მათი ურთიერთსიყვარულის ყოვლისშემძლეობის ძალით, მართლაც, ერთი ღმერთია, ერთი არსისა და ერთი სიცოცხლის მქონე.

3. ღმერთი სამება სრულყოფილი ერთობაა სიყვარული

კაცნი, რომელთაც ერთპიროვანი ღმერთი სწამთ, წარმოიდგენენ მას როგორც მკაცრსა და დესპოტურს. მართლაც, ღმერთი რომ ეული ყოფილიყო, საიდან ჩაისახებოდა მასში სიყვარული? სიყვარული იქაა, სადაც არის ის, ვის უნდა უყვარდეს და ვინ უნდა უყვარდეთ და სიყვარულიც მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო სრულყოფილნი არიან ისინი, ვისაც უყვარს და ვინც უყვართ. ყოვლადწმიდა სამებაში კი, როგორც ის, ვისაც უყვარს, ასევე ისიც, ვინც უყვარს, თავად სრულყოფილებაა, რადგანაც ყოვლადწმიდა სამების ყოველი პირი ღმერთია. მამაც ღმერთია, ძეც ღმერთია და სულიწმიდაც ღმერთია. ყოვლადწმიდა სამებას შეიძლება ვუწოდოთ ყველაზე სრულყოფილი ერთობა სიყვარულში, ანუ სიყვარულის კავშირი იმიტომ, რომ სრულყოფილნი არიან მოყვარულნი და სრულყოფილია მათი სიყვარულიც.

4. სასიცოცხლო მნიშვნელობა ყოვლადწმიდა სამების დოგმატისა

ჩვენ ვადიდებთ ყოვლადწმიდა სამებას: მამასა და ძესა და წმიდასა სულსა იმიტომ, რომ ადამიანის შექმნისა და სიცოცხლის მიზანია ღმრთის მსგავსება სიყვარულში ანუ განღმრთობა. ღმრთეებრივი მაღლი გზას გვიხსნის ადამიანთა ერთობისაკენ და მათ შორის სიყვარულის ზრდისაკენ ყოვლადწმიდა სამების პირთა მსგავსად. ყოვლადწმიდა სამების დოგმატი — დოგმატი სიყვარულის მარად განხორციელებადსა და განხორციელებულ ზეიმზე — მტკიცე საფუძველს გვაძლევს გვეჯეროდეს, რომ ჩვენ, ქრისტიანები, დედამიწის ზურგზე ყველას ერთიანობისაკენ სწრაფვით უტოპიურ ოცნებას კი არ მივდევთ, არამედ ვესწრაფვით იმას, რაც საუკუნითგან არსებობს და რაც თვით ჭეშმარიტი ცხოვრების პრინციპია. ვიცით რა, რომ ღმერთი თვითონაა უმაღლესი ერთობა სიყვარულში, განა შეიძლება, რომ გვეშინოდეს იმისა, ვისაც სძულს, ვინც თიშავს, ვისაც სურს მოკლას ან განაშოროს? ასეთია ღმრთის სამობის შესახებ დოგმატის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჩვენთვის.

„ღირს არს და მართალ თაყვანისცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, სამებისა ერთარსებისა და განუყოფელისა“.

5. ღმერთის ცოდნა შეიძლება, რამდენადაც ის თვითონ განგვიცხადება

ღმერთის ჭეშმარიტი შეცნობა, ყოვლადწმიდა სამების საიდუმლოში ბოლომდე შეღწევა ჩვენ არ შეგვიძლია. თუ კაცის გული ღრობით მაინც აღინთება წმიდა სიყვარულით, სრულად მაინც ვერ დაიტევს ღმრთეებრივი სიყვარულის მარადის გაუნელებლად მოგიზგიზე ალს. ღმერთი გულით შეიცნობა იმიტომ, რომ გულით შეიცნობა სიყვარული. მაგრამ თუკი გულს არ ძალუძს ბოლომდე დაიტიოს და შეიცნოს ღმრთეებრივი სიყვარული, მით უფრო ვერ შეძლებს ამას გონება; იგი ერკვევა მხოლოდ იმაში, რაშიც უკვე დარწმუნდა გული, და თუკი მაინც რაიმე ვიცით ღმერთის შესახებ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთი თვითონ განგვეცხადება ხოლმე. ჩვენ ვიცით ღმერთის შესახებ საღმრთო გამოცხადებიდან, რომელიც არის ღმრთეებრივი სიყვარულის გამოსხივება, მისი სინათლე.

6. „მე ვარ, რომელი ვარ“

საღმრთო გამოცხადებიდან შევიტყობთ, რომ ღმერთი არის არსებულის. ეს ნიშნავს, რომ ღმერთი არსებობს ყველაზე სავსე და სრულყოფილი სახით. ღმერთი არის არსებული, ანუ იგი, ვინც არის, როგორც ღმერთმა დაუსახელა თავი მოსეს (გამს. 3,14).

თავის თავს არსებულს რომ უწოდებს, ამით ღმერთი გვიჩვენებს, რომ იგი არის განცხადებული და შეცნობადი, რომ იგი არის ნათელი და ცხოვრება.

7. ღმერთის სრულყოფილება. მისი მართობა და სიმართლე

ღმერთის სრულყოფილება იმას ნიშნავს, რომ ღმერთი არაფერს არ საჭიროებს და რომ მას არაფერი არ აკლია. ღმერთი — ეს არის ყველა თვისების სისავსე; მისი ყოველი თვისება სრულყოფილია და ისინი სრული ჰარმონიით შეეუღლვიან ერთმანეთს. ამაში მდგომარეობს ღმერთის სრული ერთობა, ღმერთის სიმართლე. წმინდა ადამიანები, რომლებიც ღმერთის სიახლოვეს გულით განიცდიან, ერთხმად ამტკიცებენ, რომ ღმერთი მართლია, ოღონდაც ღმერთის სიმართლე არ ნიშნავს, რომ მასში არაა სიმდიდრე ან სიმრავლე თვისებებისა. შექმნილ სამყაროში საგნები, ვითარცა მშენიერი ხატებანი, მაგალითს გვაძლევენ სიმ-

რავლემში ასეთი ერთობისა, ანდა სიმარტივისა სიმდიდრისას. კარგ მუსიკალურ ნაწარმოებში ასევე გვაქვს ბგერებისა და მათ შეთანხმებათა დიდი სიმდიდრე, და მაინც, იგი აღიქმება როგორც ერთიანი და მარტივი მთელი. რაც უფრო მეტად შევიგრძნობთ ამ ერთობასა და სიმარტივეს, მით მეტი ხალისით ვუწოდებთ მას გენიალურსა და ღმრთეებრივსაც კი და არც ვცდებით, რადგანაც სწორედ ღმერთია უსასრულოდ მდიდარი თავისი თვისებებით, მაგრამ ყოველთვის ერთი (მხოლოდ) და მარტივი.

8. როგორ უნდა ვიფიქროთ ღმრთის სხვადასხვა თვისების შესახებ

ჩვენ, ქრისტიანები, აღვიარებთ აგრეთვე, რომ ღმერთი, როგორც სრულყოფილი, არის სული საუკუნო, ყველგან მყოფი, ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე, ყოვლად სახიერი, ყოვლად სამართლიანი, უცვალებელი და ყოვლად ნეტარი. ღმერთი ყველა ამ თვისებას ერთად და ყოველთვის ფლობს. მაგალითად, ღმერთს არაფრით არ შეუძლია იყოს ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე, და არ იყოს ყოვლად სახიერი. ღმრთის ყველა თვისება, როგორც მზის სხივები, ერთსამი ღმრთისაგან გამოდის. ამიტომ ღმერთი ერთობასა და სიმარტივეზეც მაღლაა. იგი ერთია სამებაში და სამება ერთში.

9. ღმერთი პიროვნია

ჭეშმარიტად პიროვნია მხოლოდ ღმერთია. მასში არაფერია ისეთი, რომ მისთვის გარედან მიცემული იყოს, რაც მას არ სურს, რაც მან არ იცის და რაც იგი თვითონ არაა. ღმერთი ყოველთვის ისაა, რადაც მას სურს ყოფნა.

ვუწოდებთ რა ღმერთს პირს, პიროვნებას, ჰიპოსტასს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ პიროვნული ყოფიერება უმაღლესი ყოფიერებაა. ყველაფერი, რასაც პიროვნული ყოფიერება არა აქვს, არასრულყოფილი და დამოკიდებული ყოფიერებაა. არაპიროვნული ყოფიერება თავისი უმდაბლესი ფორმით ნივთია.

პიროვნება ყოველთვის ორიგინალურია და ყველაფერი, რაც მისგან წარმოდგება, მის განსაკუთრებულ ბეჭედს ატარებს, პიროვნებას შეუძლია შეუერთდეს სხვა პიროვნებებს ურთიერთაღვსებისათვის, მაგრამ ბოლომდე განსახლვრა იმისა, თუ რა არის პიროვნება, — შეუძლებელია. იგია ყველაზე ძირითადი, ყველაზე ღრმა და ყველაზე იდუმალი ფესვი ყოფიერებისა.

10. ღმრთის არსი, ანუ მისი პიროვნების შინაარსი

ჩვენ აღვიარებთ, რომ ღმრთის სამი პირი ერთარსია, ე. ი. ყოველ ღმრთეებრივ პირს სრულად აქვს ერთი და იგივე არსი და ყოველი პირი დანარჩენ ორს გადასცემს თავის არს,* გამოხატავს რა ამით თავისი სიყვარულის სისრულეს.

არსი („უსია“) — ეს არის ის, რაც შეადგენს პიროვნების შინაარსს. მაგალითად, ბავშვის პიროვნების შინაარსში, მნიშვნელოვანწილად, შედის თამაში და სწავლა. კომპოზიტორის პიროვნების შინაარსში, გარდა ყველა ადამიანისათვის საერთო მრავალი განცდისა, ბგერათა მთელი სამყაროცაა.

მართალია, ღმრთის არსი, ანუ მისი პიროვნების შინაარსი, ჩვენთვის შეუცნობადია, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მის არსს მიეკუთვნება: ჭეშმარიტება, სიყვარული, სილამაზე, სიწმინდე. ამგვარად, ღმერთი თავის შინაარსს, ანუ თავის არსებას, თავის ღმრთეებრივ თვისებებსა ანუ ენერგიებში განგვიცხადებს.

11. ჩვენ გვჯამს ღმერთი ცხოველი

ჩვენი ღმერთი, სამპიროვანი ერთი, განყენებული ცნება როდია. წმიდა წერილი გვამცნობს წმიდა სამების პირთა — მამისა, ძისა და წმიდა სულის ურთიერთსიყვარულზე. აგრეთვე იმასაც, რომ ღმრთეებრივი სიყვარული ყოველ ქმნილებაზეც ვრცელდება. ეს ღმრთეებრივი მიმართებანი, ანუ ღმრთეებრივი მოღვაწეობა, და აქედან წარმომდინარე დიდება ღმრთისა შექმნილ სამყაროში ღმრთეებრივი ცხოვრების გამოცხადებას წარმოადგენენ, რომელიც წმიდა სამების სამივე პირის — მამის, ძისა და სულიწმიდისათვის, რომლებიც ყოველთვის ერთობლივად მოქმედებენ, საერთოა.

12. მამა ღმერთი

მამა ღმერთი დაუსაბამოა. მისი პიროვნება, არსი და სიცოცხლე არაფრითაა განპირობებული და არავითარი სხვა საწყისიდან, გარდა თვით მამა ღმრთისა, არ წარმოდგება. მას სრულყოფილი სიყვარული აქვს, სრულყოფილი სიყვარულის საგანი კი მხოლოდ სხვა სრულყოფილი პირი შეიძლება იყოს. მაგრამ ორი პირის სიყვარული თითქოსდა თავის თავში დაპირისპირების საშიშროებას ატარებს. ღმრთის

* ანუ სამივე პირის არსი ურთიერთსაზიარო და ერთი და იგივეა (რედ.).

სრულყოფილი სიყვარული აღემატება ორის დაპირისპირებას სამი ღმრთეებრივი პირის წინასაუკუნო და ყოვლისმომცველ ერთობაში.

მამა ღმერთი, უწინარეს საუკუნეთა პიროვანი, უწინარეს საუკუნეთა შობს ძე ღმერთს და უწინარეს საუკუნეთა გამოავლენს სულიწმიდას. უწინარეს საუკუნეთა ძის შობასა და სულიწმიდის გამომავლობაში გამოიხატება უსასრულო სიყვარული მამა ღმერთისა: მამა არაფერს ინახავს თავისთვის, არამედ ყოველივეს აძლევს თავის ძესა და სულიწმიდას. ღმრთეებრივი არსიც აგრეთვე მამა ღმერთისგან წარმოდგება; სწორედ ამ აზრით ლაპარაკობს ღმრთისმეტყველება მამა ღმერთის „მონარქიაზე“ (ბერძნულიდან: ერთადერთი პრინციპი, ანუ ერთადერთი საწყისი).

მამა ღმერთი თავის არსსა და თავის ცხოვრებას, თავის მსგავს ორ სხვა პირში ანუ ჰიპოსტასში ამჟღავნებს. თავის ძეში მამა ღმერთი თავის არსს გამოხატავს და ამიტომ იწოდა ძე ღმერთი ღმრთის სიტყვად, ლოგოსად, ან ხატად მამისა. სულიწმიდა კი მამა ღმერთის სიცოცხლეს გამოხატავს და ამოტომაც იწოდება მამის სუნთქვად ანუ სულად მამისა.

მამისაგან ძე ღმერთის უწინარეს საუკუნეთა შობის საიდუმლოს შესახებ იოანეს სახარების პირველსავე სტრიქონებშია ნათქვამი: „პირველთგან იყო სიტყუა და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუად იგი“.

13. კე ღმერთი, ღმერთი სიტყვა

ძე ღმერთი მთლიანად მამის ხატი და მისი სიტყვაა. მას თავისი საწყისი მამაში აქვს, მაგრამ ერთი წამითაც კი არ შეიძლება გავიფიქროთ, რომ ოდესმე ძე ღმრთისა არ იყო. ღმერთი ცხოვრობს არა დროში, არამედ მარადისობაში, სადაც არც წარსულია და არც მომავალი და სადაც ყოველივე უცვლელ აწმყოშია. არ შეიძლება აგრეთვე იმის გაფიქრებაც, რომ ძე ღმერთი რამდენადმე არ არის თანასწორი მამისა, რომ, მაგალითად, მას მამისაგან განსხვავებული არსი აქვს, ანდა რომ იგი არასრულყოფილი პირია. იგი არის „ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა“.

14. არიოზის მრესი (მწვალებლობა)

არ შეეძლო რა მარადიულობის წარმოდგენა და ფიქრობდა რა, რომ მარადისობა არის დრო, რომელიც გრძელდება უსასრულოდ, IV საუკუნის მღვდელი არიოზი ასწავლიდა, რომ ძე ღმერთი მამასავით დაუ-

საბამო კი არ არის, არამედ განსაკუთრებული უმაღლესი ქმნილებაა. ის ფიქრობდა, რომ უკეთუ ძე ღმრთისა მამისგან იშვება, მაშასადამე, იყო ღრო, როცა ის არ იყო. მას არ შეეძლო წარმოედგინა, რომ თუკი მამა საუკუნითგან დაუსაბამოა, მაშინ ძესაც დასაბამად საუკუნითგან ჰყავს მამა. მამა იმიტომაც არის მარადიული, რომ მას მუდამ ჰყავს ძე.

არიოზის სწავლებამ ხანგრძლივი საეკლესიო არეულობა გამოიწვია. წმიდა ათანასე დიდმა გვაჩვენა, — ძე ღმერთი რომ შექმნილი ყოფილიყო, მაშინ იგი თავისი განკაცებით ჩვენს ხსნას ვერ შეძლებდა. თუ ღმერთი არ იქმნა კაცად, მაშინ ვერც კაცი შეძლებს განღმრთობას, ვერ შეძლებს ცხონებასა და ღმერთთან შეერთებას.

15. ანალოგიის გზით კი ღმერთის დაუსაბამობის განმარტების ცდა

შექმნილ სამყაროში ძნელია ისეთი მაგალითის მოძებნა, რომელიც მამისაგან სიტყვა ღმერთის დაუსაბამობის წარმოდგენაში დაგვეხმარებოდა. ასე, ნათელ მხატვრულ სიტყვასა ან სახეში გამოხატული ადამიანური აზრი დამოუკიდებელი ცოცხალი არსება როდია. ასევე ბავშვიც დაბადებისას მხოლოდ ნაწილობრივ იღებს მამის ზოგიერთ თვისებას. ამასთან, იღებს მათ შეუცნობლად (შეუგნებლად), რადგანაც მამაც ასევე შეუგნებლად გადასცემს მათ ბავშვს. გარდა ამისა, ბავშვს ჰყავს დედაც. ამიტომაც არ ეგების, რომ ღმრთეებრივ ჰიპოსტასთა წარმოშობის საიდუმლო ადამიანური შობის მსგავსად წარმოვიდგინოთ. ზოგიერთი ღმრთისმეტყველი შორეულ ანალოგიას ხედავს მოძღვრის სულიერ გავლენაში თავის მიმდევარზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სულიერ მამობასა და შვილობაში. ამაზე პავლე მოციქული წერს: „შვილნო ჩემნო, რომელთათვის კუალად მეღმის, ვიდრემდე გამოიხატოს ქრისტე თქვენ შორის“ (გალ. 4,19).

16. სულიწმიდა

მამა ღმერთი არა მარტო შობს ძეს უწინარეს საუკუნეთა, არამედ ასევე უწინარეს საუკუნეთა გამოავლენს წმიდა სულს, „რომელი მამისაგან გამოვალს“ (ინ. 15,26).

წმიდა წერილსა და წმიდა მამების თხზულებებში მრავალი საკვირველი სიტყვა მოიპოვება სულიწმიდისა და მის მრავალ სახელწოდებათა შესახებ. სულიწმიდა თითქოსდა მამის სუნთქვაა, როცა იგი

თავის დაუსაბამო წინასაუკუნო სიტყვას წარმოთქვამს. სულიწმიდა არის, აგრეთვე, თითქოსდა სიყვარულის ქროლვა ანუ სიყვარულის ძალა მამისა, რომელიც ყოველივეს აძლევს ძეს. ის შთაგონებაა მამისა, რომელიც ძეში, უფლის სიტყვაში განგვეცხადება. მასვე ეწოდება, აგრეთვე, მშვენიერება ანუ ნათელი ღმრთეებრივი ჭეშმარიტებისა, რომელიც მამის ხატის მატარებელ ძეშია განბრწყინებული. იგი არის ღმრთის დიდებაც, დიდება ღმრთეებრივი სიყვარულისა და ჰარმონიისა, რომელიც წმიდა სამებაში მეუფებს, ანუ ნეტარება ღმრთეებრივი სიყვარულისა. წმიდა სულს აგრეთვე ღმრთის კეთილსურნელებასა და ყვავილსაც უწოდებენ და ბოლოს, ცხოვრებას მამისა, ცხოვრებას ძისა, ღმრთეებრივ ცხოვრებას — ასახულს წმიდა სამების მესამე პირში. იგი არის „ცხოვრების მომნიჭებელი“, სული ცხოველმყოფელი და ნუგეშინისმცემელი. ამგვარად, სულიწმიდა არის ცხოვრების პიროვანი გამოხატულება.

17. სულიწმიდის ღმრთიანებრიობა

ისევე როგორც ღმერთი სიტყვა, სულიწმიდაც მამის თანასწორი ღმერთია. იგი ისევე საუკუნოა, როგორც მამა ღმერთი და როგორც ძე ღმერთი. არის რა მამის ცხოვრებისა და სუნთქვის გამომხატველი, მასაც აქვს თავის თავში ღმრთეებრივი ცხოვრების სისრულე. და უკეთუ იგი მამის სიყვარული და ძის სიყვარულია, იგი ასევე თავის თავადაც არის სიყვარული. სულიწმიდის არსი და მისი პიროვნების მთელი შინაარსი იგივეა, რაც მამისა და ძისა. ისევე როგორც ძე ღმრთისა, სულიწმიდაც თავის ღმრთეებრივ არსს მამისგან იღებს. სულიწმიდა მამის ღმრთეებრივ ცხოვრებას ძის — ღმრთის სიტყვის — მეშვეობით განაცხადებს.

18. ღმერთი სამების საიდუმლოს ნათელმყოფი ანალოგიები

ზოგჯერ ყოვლადწმიდა სამების საიდუმლოს ნათელსაყოფად ეკლესიის მამები მატერიალური ცხოვრებიდან ნასესხებ სახეებს მიმართავენ, როგორიცაა, მაგალითად, ცეცხლი, მისგან წარმოშობილი სინათლე და გამომავალი სითბო. ისინი სარგებლობენ ისეთი სულიერ-სხეულებრივი სახეებითაც, როგორიცაა სუნთქვის შემწეობით სიტყვით გამოხატული და ბგერით გადმოცემული აზრი.

19. ღმრთის უმეცნეობის გზები

ღმერთის შესახებ რაიმეს მტკიცების ან გამოთქმისას, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: ღმერთი იმდენად აღემატება ყოველივე შექმნილს, რომ მის მიმართ ჩვენი ცნებები და სიტყვები სინამდვილეში გამოუსადეგარია. ჩვენი სიტყვები შექმნილ საგნობრივ სამყაროს ეკუთვნის, ხოლო ღმერთი სრულიადაც არ არის საგანი. ყველა საგანი, რომელთაც ჩვენ ვსწავლობთ, რაღაც მთელის ნაწილია, ღმერთი კი არც ამ მთელის ნაწილია და არც თვით ეს მთელი. ეკლესიის მოძღვარნი დაჟინებით ითხოვენ, რომ ღმერთზე ლაპარაკისას უფრო სწორი იქნებოდა გვემტკიცებინა არა ის, რომ ღმერთი არის ეს, ან ის, არამედ პირიქით, გვეთქვა, რომ ღმერთი არ არის არც ის და არც ეს.

„ღმერთი უსაზღვრო და მიუწვდომელია, — წერს წმ. იოანე დამასკელი, — და საკუთრივ ერთადერთი, რისი შეცნობაც ჩვენ შეგვიძლია, — ეს მისი უსაზღვროობა და მიუწვდომლობაა“. წმიდა გრიგოლ პალამა კი წერდა: „ჩვენ ღმერთის ზებუნებრივი ბუნების არც წარმოდგენა, არც აღწერა არ შეგვიძლია“. წმიდა ბასილი დიდი შეგვახსენებს, რომ ჩვენ მიერ ღმრთის შემეცნება მით უფრო შეზღუდულია, რომ შეზღუდულია ჩვენი ცოდნა შექმნილ სამყაროზე.

ღმრთისმეტყველებას, რომელიც ღმერთზე უარყოფითი ტერმინებით საუბრობს, აპოფატიკური ეწოდება.

ფიქრები იმაზე, რომ ღმერთი არ არის არც ეს და არც ის, არამედ იგი ყოველთვის ყოველგვარ წარმოდგენაზე მაღლაა, მასთან სულიერად მიახლოებაში გვეხმარება. ეს გონების უბრალო თამაში როდია, არამედ მისი უნარი მორჩილებით მიუახლოვდეს უმაღლეს შემეცნებას, ე. ი. პირად ზიარებას ღმერთთან, რომელიც განკაცდა რა, თავისი სიყვარულის გამო თვისი მიუწვდომელი არსით გარდამოდის, გვეცხადება, გვესაუბრება და გვეძლევა წმიდა საიდუმლოებებში. აპოფატიკური ღმრთისმეტყველება არის მიწვევა, რათა ღმრთის შესაცნობად ყველაფერ მიწიერს არა მხოლოდ გონებით, არამედ გულითაც განვერიდოთ, რადგანაც თავად უფლისავე თქმით: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მთ. 5,8).

რამდენადაც ადამიანი ნათელღებულია, მირონცხებული და ქრისტეში ცხოვრობს, მასში სული ჭეშმარიტებისა მკვიდრდება და იგი ღმრთის შემეცნებას იღებს.

ნაწილი 2

ღმერთი – სამყაროს შემოქმედი და მაცხოვარი

ა. შემოქმედი ღმერთი და შექმნილი სამყარო

1. რატომ შექმნა ღმერთმა სამყარო?

სწამთ რა ცისა და ქვეყნის შემოქმედი მამა ღმერთი, ადამიანები ჩვეულებრივ სამ კითხვას სვამენ: რატომ, რისთვის და როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო?

პირველ კითხვაზე ეკლესიის მამები პასუხობენ, რომ სრულყოფილ ღმერთს, რომელიც არაფრის ნაკლებობას არ განიცდის, არც სამყაროს შექმნა სჭირდებოდა, მაგრამ სამყაროს შექმნას აქვს აზრი, რადგანაც ღმერთი გონიერი და ბრძენია. არის რა თავად სიყვარული, ღმერთი სიყვარულის, მეტიც, ჭარბი სიყვარულის გამო ქმნის სამყაროს. ღმერთეებრივი სიყვარული სრულადაა დაკმაყოფილებული ჯერ კიდევ ყოვლადწმიდა სამების პირთა სრულყოფილ ერთობაში, მაგრამ თითქოს ღმერთეებრივი სიყვარულის თასიდან გადმოიღვარაო, ღმერთი უმყოფობიდან იხმობს თავის ქმნილებას, რათა იგი თავისი სიყვარულის ნეტარებას აზიაროს. ეს არის აგრეთვე პასუხი მეორე კითხვისაც: რისთვის შექმნა ღმერთმა სამყარო?

ამგვარი სწავლებით ეკლესიის მამები გვაფრთხილებენ, რომ არ შეიძლება ვიფიქროთ (როგორც ფიქრობდა ზოგიერთი მწვალებელი), რომ სამყარო ღმერთეებრივი ცხოვრების გაგრძელება ანდა წარმონაშობია, ანუ ღმერთების ემანაციაა. სამყაროს ბუნება სხვაგვარია; იგი მიდრეკილია წახდენისაკენ, ამქვეყნად შესაძლებელია დაცემა. ღმერთში კი ყველაფერი წმიდაა, და ღმერთს რომ იგივე ბუნება ჰქონოდა, რაც სამყაროს, მაშინ იგი ღმერთიც აღარ იქნებოდა. ღმერთი სამყაროს არაფრისგან ქმნის. მხოლოდ ეს მოძღვრება გვაძლევს ნებას ვიფიქროთ ღმერთზე, როგორც ყოვლად სრულყოფილზე, ხოლო სამყაროზე, ერთი მხრივ, როგორც არარაზე, მეორე მხრივ კი — ღმერთეებით აღბეჭდილზე.

2. დრო და მარადისობა

კითხვა, რომელსაც ხშირად სვამენ: რა იყო სამყაროს შექმნამდე? — აზრს მოკლებულია, რადგანაც თვით დრო სამყაროსთან ერთად შეიქმნა. სამყაროსა და დროის გარეთ მხოლოდ მარადიული ღმერთი

და ღმრთეებრივი მარადისობაა. იქ არც წარსულია და არც მომავალი, არამედ მხოლოდ მარადი აწმყო.

ჩვენ, დროში მცხოვრებით, არ შეგვიძლია ვიცოდეთ, თუ რა არის მარადისობა. მაგრამ მარადიული ცხოვრებისაკენ ღმერთი მოგვიწოდებს. მან თქვა: „და ესე არს ცხოვრებაჲ საუკუნოდ, რადთა გიცოდინაჲ შენ მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესუ ქრისტე“ (ინ. 17,3).

როცა უფალი იესო ქრისტე განკაცდა, ჩვენი დროებითი ცხოვრებით ცხოვრობდა, ხოლო თავისი ღმრთეებრივობით მარადისობაში სუფევდა. უფალი იესო ქრისტეს მეშვეობით რამდენადმე მარადისობასაც შევიძენებთ. სულიერი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მაღალი განცდები, განსაკუთრებით კი მგზნებარე ქრისტიანული სიყვარული, რომელიც ქრისტეს გვაზიარებს, ისე, თითქოსდა მისი ფარგლებიდან გამოვდიოდეთ, გვაიძულებს დრო დავივიწყოთ; ხოლო მაღალ სულიერ მდგომარეობას მიღწეული წმინდანები დროდადრო ცხოვრების ისეთ სისავსეს განიცდიდნენ, რომელიც ამქვეყნიურ დროის საზღვრებში არ თავსდება.

მარადიულია ის, რაც უსასრულოდ ფასეულია. მარადიულია ის, რაც მარადისობის ღირსია. ჩვენ უკვე აქვე უნდა ვისწავლოთ, რამდენადაც შეგვიძლია, მარადიული ცხოვრება; და მით უფრო მიუახლოვდებით მას, რაც უფრო დიდ დროს დაუთმობთ სულ უფრო და უფრო ფასეულ განცდებს, განსაკუთრებით კი ღმერთს.

3. ღმერთი სამყაროსთან მიმართებაში

სამყაროსთან მიმართებაში ზეარსსა და მიუწვდომელ ღმერთს განსაკუთრებული ყოფიერება აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ღმერთი ქმნის, განაგებს და განეცხადება სამყაროს. იმისათვის, რომ სამყარომ შეძლოს საღმრთო გამოცხადების აღქმა და სანეტარო ღმრთეებრივ ცხოვრებასთან ზიარება (რისთვისაც იგი შეიქმნა), სამყარო შექმნილია რაღაც ღმრთის ხატოვნებით — მას ღმრთეებრივი ბეჭედი აზის. ღმერთმა სამყარო თითქოსდა რაღაც გეგმის მიხედვით შექმნა: ყოველივე ქმნილს შეესაბამება ღმრთეებრივი ხატი, საგანგებო აზრი ღმრთისა. თუმცა, ეს მარტო აზრები კი არა, ღმრთის სიტყვებიცაა, და ამიტომ შემოქმედებითი ძალა აქვთ, ვინაიდან სამყარო ღმრთის სიტყვით არის შექმნილი. ღმრთის სიტყვა — ლოგოსი — ეს არის ძე ღმრთისა. შექმ-

ნილ სამყაროსთან მიმართებაში ღმრთის სიტყვა არის სიტყვათა სიტყვა, აზრთა აზრი, სიბრძნე ღმრთისა, რადგანაც მასშია თავმოყრილი აზრები ყოველ ქმნილებაზე.

ამგვარად, ცისა და ქვეყნის შემოქმედი მამა ღმერთის აღიარებით ჩვენ ვაღიარებთ, რომ სამყარო მისი შემოქმედებითი სიტყვითა და აგრეთვე მისი ცხოველმყოფელი სუნთქვით, ესე იგი სულიწმიდითაა შექმნილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ გვწამს, რომ სამყაროს შექმნასა და განგებაში მთელი წმიდა სამება მონაწილეობს. შემოქმედებითი სიტყვები, რომლებითაც ღმერთი უმყოფობიდან უხმობს თავის ქმნილებებს (ეს რაღაც საღმრთო ნებელობანი თუ ბრძანებანი) განუყოფელია ღმრთის ცხოველმყოფელ ძალთაგან და ენერგიებისაგან; ქმნიან რა სამყაროს, ისინი ყოველთვის მასში იმყოფებიან. სამყარო არა მარტო იქმნება, არამედ საღმრთო სიტყვებითაც არის დაცული; ამიტომაც განუყრელად აზის ღმრთიებრივი სილამაზისა და აზრის ბეჭედი.

4. ბუნებითი გამოცხადება

ასევე ღმრთიებრივი ბეჭდით არის აღბეჭდილი ადამიანის პიროვნებაც და, მაშასადამე, ადამიანური ცოდნაც და ხელოვნებაც. მაგრამ სრულ ცოდნას მხოლოდ ღმერთი ფლობს, მხოლოდ ის იცნობს თავის ქმნილებას. სხვა გონიერ არსებებს, ანგელოზებს და ადამიანებს, ეს შემეცნება შეიძლება ჰქონდეთ, რამდენადაც ისინი ღმრთიებრივ გონებას არიან ნაზიარენნი. ამგვარად, ადამიანს ღმერთის, სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობა ყოველი შექმნილის შესწავლის გზით შეუძლია. ასეთ ცოდნას ბუნებითი გამოცხადება ეწოდება, მაგრამ ასეთი არაპირდაპირი შემეცნება ღმრთისა ყოველთვის არასრულყოფილია, როგორც არასრულყოფილია თვით ბუნებაც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცოდვით წახდა.

ამრიგად, ბუნებითი შემეცნება „სარკითა და სახით“ ხედვას ემსგავსება, რაზეც ლაპარაკობს მოციქული პავლე (1 კორ. 13,12). მაგრამ ბუნებითი შემეცნება მაინც შემეცნებაა ღმრთისა და ღმერთთან ჩვენი მიახლოება შეუძლია.

ყოველგვარ შემეცნებაში ღმერთი იმყოფება არა მხოლოდ როგორც ბუნებაში გამოხატული, არამედ როგორც ფარული ჭეშმარიტებაც. ადამიანი რომ არ დაცემულიყო, ბუნებითი გამოცხადება მას ბევრ რამეს განუშლავნებდა, მაგრამ თავისი ისტორიის მანძილზე კაცობრიობა ცოდვებისაგან სულ უფრო და უფრო ირყენებოდა, რის შედეგადაც წა-
2. სსპ, 2011.

რმოიშვა სწორედ წარმართული რელიგიები და წარმართ ფილოსოფოსთა ვარაუდები (რომ. 1,20-25). ამიტომ სამყაროს ჭეშმარიტი შეცნობა მხოლოდ ღმრთის პირადი გამოცხადების გზითაა შესაძლებელი. ეს არის სწორედ ის გამოცხადება, რომელიც აღბეჭდილია ძველსა და ახალ აღთქმაში, განსაკუთრებით — უკანასკნელში. ახალი აღთქმის შუქზე გადაჭრით იცვლება ბუნებითი გამოცხადების აზრი. ანტიკური ხანის ფილოსოფიამ და ხელოვნებამ რამდენადმე შეინარჩუნეს თავიანთი ღირებულება, რადგანაც ისინი შეიძლება გარდაქმნილ იქნენ ახალი აღთქმის ჭეშმარიტებით. მეცნიერული კვლევა ქრისტეს სახარების შემდეგაც ინარჩუნებს თავისუფლებას, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი თავს არ გვახვევს მეტაფიზიკას, რომელიც საღმრთო გამოცხადებასა და საკუთარ არსებასაც ეწინააღმდეგება, და რომელიც უპირატესად გამოკითხვას (გამოძიებას) წარმოადგენს.

ქრისტიანული ხელოვნება, რამდენადაც მას ქრისტე (ღმერთკაცი) თავის ბეჭედს ასვამს, არაქრისტიანულისაგან აუცილებლად განსხვავდება. ეს ხელოვნება ლიტურგიკულია, მასში ღმრთის სასუფევლის ნათელია განცხადებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნებით გამოცხადებას ქრისტეს შემდეგ ძალა მიენიჭა, რადგანაც იგი ღმრთებრივი გამოცხადების ნათლითაა განათებული.

5. სამყაროს უმჯნის მიზანი

სამყაროს აქვს არა მარტო ყოფიერება, არამედ ამოცანა და მიზანიც: გახდეს მსგავსი ღმრთისა, ღირსი ღმრთებრივი დიდებისა და ნეტარებისა. ეკლესიის ზოგიერთი მოძღვარი განმარტავს, რომ უმაღლესი მშვენიერება საღმრთო სიყვარულის გალობაა და რომ სამყარო იმისთვის შეიქმნა, რათა იგი ასეთ გალობად — ღმრთებრივ სიმღონიად, ღმრთის ქებად იქცეს.

მაგრამ ქმნილებათა გვირგვინად დადგენილი ადამიანი ცოდვით დაეცა და ქვეყანა მზაკვარ სულს ჩაუგდო ხელში. ამგვარად, ქვეყანა კეთილისა და ბოროტის ბრძოლის არენად იქცა.

სიკეთე, მშვენიერება და ჭეშმარიტება ქრისტეს ჯვარზე ვნებითა და სიკვდილით იქნა აღდგენილი. ახლა ღმერთი ელოდება, რომ ადამიანი თავისი ნებით დაუბრუნდება მას, შეუდგება რა იგი ქრისტეს გზას, რომელშიც ქვეყნიერების თავდაპირველი ჭეშმარიტი დანიშნულების აღდგენა ხდება. პავლე მოციქულის სიტყვებით: „ყოველი დაბადე-

ბული ჩუენ თანა თანა-კუნესის და თანა-ელმის მოაქამდე... სასოებით, რამეთუ თუთ იგიცა დაბადებული გან-ვე-თავისუფლდეს მონებისაგან ზრწნილებისა აზნაურებასა მას დიდებისა შვილთა ღმრთისათა“ (რომ. 8,21-22).

6. ანგელოზები

ღმერთის მიერ შექმნილი უხილავი სამყარო ანუ ცა — ეს ანგელოზებია. ისინი ღმრთის განგების იარაღნი და ღმრთის ნების მაუწყებელნი არიან. წმიდა წერილი მოგვითხრობს მათ მოქმედებაზე ადამიანთა ხსნისათვის გადამწყვეტ მომენტებში ისტორიისა. ანგელოზი მძლავრი, უსხეულო სული, პიროვნება ანუ გონებაა. ანგელოზები იერარქიულად არიან შექმნილნი. ერთად შეადგენენ ერთობას ანუ კრებულს და იყოფიან „მხედრობებად“. ანგელოზებს აგრეთვე „მეორე ნათელსაც“ უწოდებენ.

ვარაუდობენ, რომ ყოველ ქმნილებას, მის გვარსა და სახეს თავისი ანგელოზი ჰყავს, მაგალითად, ეკლესიას, ხალხებს, ოჯახებს, ბუნების სტიქიებს. ცალკეული ადამიანის ანგელოზს მფარველი ანგელოზი ჰქვია. იგი ეხმარება ადამიანს ცხოვნებაში და იცავს მას. ეკლესია ანგელოზთათვის განკუთვნილ მთელ მსახურებას და მათ მიმართ მიმართულ ცალკეულ ღოცვებს იცნობს. „უხილავად გვმსახურებენ“ ანგელოზები საღმრთო ლიტურგიის დროს. სადაც ურწმუნონი ბედნიერ შემთხვევას ხედავენ, ხოლო მორწმუნენი — ღმრთის განგების გამოვლინებას, იქ ადვილად იცნობა ნათელ ძალთა ზემოქმედება. ეს ჩანს, მაგალითად, ტობიას წიგნში და „საქმე მოციქულთაში“. ნათლის ანგელოზებს არ შეუძლიათ ბოროტების ჩადენა. ისინი მთლიანად სიკეთისაკენ არიან მიდრეკილნი და მას მსახურებენ. ამ დროს ღმრთის ნების აღსასრულე-ბლად სავსებით თავისუფლად საუკეთესო გზებს თვითონ ირჩევენ.

უხილავ სამყაროს მიეკუთვნებიან დაცემული ანგელოზებიც, ანუ ბოროტი სულები. ჩვენს ცოდვილ სამყაროში მათი ზემოქმედება უფრო ცხადად შეიგრძნობა, მაგრამ სხვებზე მეტად მათ რეალურობას მორწმუნენი გრძნობენ.

7. ხილული სამყაროს შექმნა

ხილული სამყარო უხილავის შემდეგ შეიქმნა. პირველად შეიქმნა ნათელი; შემდეგ, რადაც პირველ-მატერია, რომელმაც ღმრთის სიტყვითა და სულიწმიდის მონაწილეობით თანდათანობით მიიღო გარკვეული ფორმები. ღმერთი სამყაროს მშვენიერად ქმნის და ხარობს შექმნილით.

ღმრთის ბრძანებით მიწა თვითონ წარმოქმნის მცენარეებსა და ცხოველებს. ქმნილებათა გვირგვინია ადამიანი.

8. ადამიანის უპყნა

ღმერთმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა (შესქ. 1,26) მიწის მტვრისაგან და მას სიცოცხლის სუნთქვა შთაბერა (შესქ. 2, 7). ამგვარად, ადამიანი თავისი შედგენილობით ორწილია: სხეულისა და ნაწილობრივ სულიერი წყობის მიხედვით, იგი ბუნებით სამყაროს ეკუთვნის, მაგრამ მალღდება მასზე თავისი მისწრაფებებითა და სულიერი ნიჭით. მრავალი მეცნიერული ჰიპოთეზა, შესაძღბელია, სავსებით ეთანხმებოდეს ბიბლიური თხრობის ჭეშმარიტებას. დაბადების წიგნში ლაპარაკია ადამიანის, არა როგორც ზოოლოგიური ფენომენის ბედზე, არამედ მის რელიგიურ დანიშნულებაზე.

9. ღმრთის ხატი კაცობრიოებაში

ადამიანის ღმრთის ხატად და მსგავსად შექმნის ჭეშმარიტება უფრო სრულად მას შემდეგ შეიცნობა, რაც ღმრთის ხატი მთელი თავისი სიწმინდით ღმერთკაცში, უფალ იესო ქრისტეში გამობრწყინდა. ქრისტიანული ანთროპოლოგია (მოდღრება ადამიანის შესახებ) მხოლოდ ქრისტეს შესახებ მოდღრებასთან (ქრისტოლოგიასთან) კავშირშია შესაძღბელი.

უფალი მოვიდა, რათა ადამიანთათვის სიყვარულის საფუძველზე ერთობა მიეძღვნა მსგავსად სამების პირთა ერთობისა; ამიტომაც ადამიანთა სიმრავლეში (კაცობრიობაში) ღმრთის ხატად უნდა ჩავთვალოთ ყოველთა მისწრაფება ერთობისაკენ. ბუნებით ერთნაირად (ერთარსად) შექმნილ ადამიანებს, ღმრთის შემწეობით ღმრთისადმი სულ უფრო მეტად მიმსგავსებით უნდა სრულექმნათ თავიანთი ერთიანობა, მაგრამ ცოდვამ განაშორა ისინი ერთმანეთისაგან.

განკაცებითა და ცოდვის დამარცხებით უფალმა კვლავ განუცხადა ადამიანებს ღმრთისმაგვარი ერთობის განხორციელების შესაძღბლობა. იგი ასწავლის ადამიანებს გამაერთიანებელ სიყვარულს — სულიწმიდის ამ უმაღლეს ნიჭს. ადამიანთა ღმრთისმაგვარი ერთობა მიიღწევა ქრისტეს მიერ ეკლესიაში, ქრისტე — კაცობრიობის ჭეშმარიტი ერთობის ცენტრია. იგია მისი შემკრები, ის არის თავი ეკლესიისა.

ღირსმა აბბა ღოროთემ ეს გეომეტრიული იგავით გამოხატა: ღმერთი — წრის ცენტრია, სამყარო — წრე, ადამიანები კი — წერტილებია

წრის ნებისმიერ ადგილას. ყველა წერტილის ერთმანეთთან დაახლოებისათვის უმოკლესი გზა მოძრაობა რადიუსების მიმართულებით ცენტრისაკენ, ე. ი. ღმერთისაკენ.

10. ღმრთის ხატი ადამიანში

ადამიანთა სიმრავლეს შეუძლია განახორციელოს ღმრთის ხატი იმიტომ, რომ ყოველ ადამიანს აქვს იგი თავის თავში. ცალკეულ ადამიანში, წმ. მამათა სწავლებით, ღმრთის ხატი უპირატესად თვით ღმრთისკენ სწრაფვაა, აგრეთვე ღმრთეებრივი სიყვარულის შეთვისებისა და ღმერთთან და სხვა ადამიანებთან ერთობისაკენ სწრაფვის ნიჭი. ამითაა განპირობებული ადამიანში ღმრთის ხატების სხვა თვისებებიც. მათგან ეკლესიის მოძღვარნი განსაკუთრებით აღნიშნავენ: ადამიანის თავისუფლებას, რადგანაც მის გარეშე არ არსებობს არც პიროვნება და არც სიყვარული, ადამიანის შემოქმედებით ნიჭს, მის მეფურ მღვდომარეობას ყოველი ქმნილების მიმართ და მის მისწრაფებას სრულყოფილებისაკენ ყველა სფეროში. ეს უკანასკნელი თვისება ადამიანს საშუალებას აძლევს იყოს ღმრთის ყოვლისშემძლეობისა და ყოვლისმცოდნეობის თანაზიარი (საკმარისია გავიხსენოთ ადამიანის სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევები).

ადამიანის უმაღლესი შემოქმედება საკუთარი პიროვნებისა და საკუთარი ცხოვრების მოწყობაა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, — სულიერი ცხოვრება, რომელიც წარმოუდგენელია ზეგარდმო შემწეობის გარეშე. იგი იმაში მღვდომარეობს, რომ ადამიანი ყოველგვარი ბოროტისაგან განიწმენდს სულსა და ცხოვრებას და რამდენადაც ძალუძს, ღმრთეებრივი სიყვარულის ნათელს შეითვისებს. ადამიანის სულიერი ცხოვრების შესწავლის საფუძველზე მამები ადამიანში სულს, სამშვინველს და სხეულს განასხვავებენ. სული ის საწყისია, რომელიც სამშვინველსა და სხეულს მართავს და აგრეთვე ურთიერთობა აქვს ღმერთთან. ზოგიერთი მამა კი განასხვავებს მხოლოდ სამშვინველსა და სხეულს, მაგრამ გულისხმობენ, რომ სამშვინველში არის სულიც.

ადამიანში სხეულის, სამშვინველისა და სულის არსებობის აღნიშვნისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მათ შორის განსხვავებას უფრო მეთოდოლოგიური ხასიათი აქვს. სინამდვილეში ადამიანი ერთიანი არსებაა, ცხოველთაგან ღიდად განსხვავებული. აღვნიშნოთ ადამიანის სხეულის ზოგიერთი, შედარებით უფრო მნიშვნელოვანი გან-

სხვაგვება ცხოველთაგან: ვერტიკალური მდგომარეობა; შიშველი კანი (არც ბეწვი აქვს, არც ბუმბული, არც ქერცლი); თავის ტვინი წონითა და სირთულით ნებისმიერი ცხოველის ტვინს აღემატება; შესაძლებლობა იქონიოს, ან სურვილისამებრ, არ იქონიოს სქესობრივი ურთიერთობანი ნებისმიერ დროს (განსაკუთრებული ციკლების გარეშე).

სამშენველი (რომელიც ცხოველებსა და მცენარეებსაც აქვს) არაჩვეულებრივად რთულია. მას აქვს აზროვნების უნარი, რომელიც სიტყვით გამოიხატება, ამიტომ იწოდება უტყვთაგან განსხვავებით ადამიანი მეტყველ არსებად.

სული, უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანის უნარი — განასხვავოს უმაღლესი ფასეულობანი: კეთილი და ბოროტი, მართალი და ტყუილი, შვენიერება და სიმახინჯე. თუკი არჩევანი ამ სფეროში გაკეთებულია, მაშინ სული ისწრაფვის, რომ თავის გადაწყვეტილებას სამშენველი და სხეული დაუმორჩილოს. უპირატესად სულის მეშვეობით უკავშირდება ადამიანი სხვა სულებს და, რაღა თქმა უნდა, ღმერთსაც. ღმერთთან ურთიერთობის გარეშე ადამიანის სულს არ შეუძლია პოვოს ნამდვილი კრიტერიუმები უმაღლეს ფასეულობათა განსაზღვრებისათვის, რადგანაც მხოლოდ ღმერთს, რომელიც თვითონ არის აბსოლუტური სიკეთე, ჭეშმარიტება და მშვენიერება, შეუძლია სწორად მიუთითოს ადამიანს, თუ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მან. აღნიშნული უმაღლესი ფასეულობანი განუყოფელნი არიან და რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭებას მახინჯე მორალიზმთან (ფარისევლობასთან, მერჯულებასთან და სხვ.), ანდა უკეთურ ესთეტიზმთან (პოზიორობასთან), ან კიდევ სიცრუესთან მივყავართ ნაცვლად ჭეშმარიტებისა, რომელიც სიკეთესაც შეიცავს და მშვენიერებასაც.

სხეულის, სამშენველისა და სულის გარდა ადამიანი პიროვნებაცაა. ყოველ ადამიანში არის შეუდარებელი პიროვნება და ამიტომაც არის იგი განუსაზღვრელი, რადგან განსაზღვრება შედარების გზით მიიღწევა. მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტად პიროვნება ინტუიციურად შეიცნობა. სინამდვილეში პიროვანი მხოლოდ ღმერთია. მისი მოქმედებანი არაფრით არ არის განსაზღვრული გარედან. ღმერთი უთუოდ თავისუფალია და მისი თავისუფლება წმიდა სამებაში დავანებულ უანგარო სიყვარულში გამოიხატება. ხოლო ადამიანი მით უფრო პიროვანია (არის პიროვნება), რაც მეტად აღასრულებს ღმრთის ნებას და სწორედ ამით ეზიარება უანგარო სიყვარულს. მაგრამ ადამიანის თავისუფლება მაინც

ყოველთვის შეზღუდულია, რადგანაც ადამიანი კოსმოსის ნაწილია და მასზე შიგნიდანაც და გარედანაც კოსმოსური ძალები მოქმედებენ.* მიუხედავად ამისა, გზა პიროვანი არსებობის თავისუფლებისა და სისრულისაკენ მას ნაჩვენები აქვს ღმერთკაცის, იესო ქრისტეს მიერ.

11. მამაკაცი და დედაკაცი

ღმერთმა ადამიანი მამაკაცად და დედაკაცად შექმნა და მისცა მათ მცნება აღორძინებულებიყვნენ და განმრავლებულებიყვნენ, რათა ყოველი კაცი ღმერთთან მარტო კი არ მისულიყო, არამედ სიყვარულით დაკავშირებული თავისივე მსგავსთან. ღმრთის ერთიანი ხატი ადამიანში სხვადასხვანაირად აისახება, სქესისა და ასაკიდან გამომდინარე.

ყველა ადამიანი თანასწორია თავისი ღირსებით, მაგრამ მამაკაცს მაინც აქვს რაღაც პირველობა შემოქმედებისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ხოლო ქალი კი შექმნილია, ვითარცა შემწე და შთამავგონებელი მამაკაცისა. ადამი პირველი შეიქმნა, მას მიეცა ცხოველთა სახელდების უფლება და მასვე მიეცა მცნება სამოთხის ბაღის მოვლისა. ცოდვით დაცემის შემდეგ ღმერთმა პირველად ადამს მოჰკითხა. ძველი აღთქმის პატრიარქებთანაც და რჩეულ ერშიც ოჯახში მამაკაცი მოთავეობს და მღვდელმოქმედებს. ახალ აღთქმაში მამაკაცის პირველობა შემოქმედებასა და პასუხისმგებლობაში კიდევ უფრო აშკარა ხდება. ძე ღმრთისა, სამყაროს შემოქმედი მამაკაცად მოგვევლინა და როგორც „ახალმა ადამმა“ შექმნა ახალი ქმნილება, აღადგინა რა ადამიანში ღმრთის ხატი. მამაკაცები არიან წმიდა იოანე ნათლისმცემელი და მოციქულებიც. მამაკაცებს აქვს მინდობილი აგრეთვე ახალი აღთქმის მღვდლობაც.

მეორე მხრივ, ყოველ ქმნილებაზე აღმატებით პატივდებულია ღმრთისა მიერ დედაი მისი, მარადქალწული მარიამი. პირველმა ევამ ბოროტებისთვის შთააგონა; „მეორე ევას“ — ღმრთისმშობელს ქვეყნად ჩამოჰყავს მადლი სულისა წმიდისა — ეს უმაღლესი შთაგონება წმიდა ქრისტეანული ცხოვრების აღმშენებლობაში. თავისი მარადქალწულო-

* იგულისხმება ადამიანის დაცემით გამოწვეული სამყაროს მიდრეკა წახდენისაკენ და არა ასტროლოგიური ზეგავლენა, რომლის ცრუმეცნიერული სწავლება ადამიანის თავისუფალ ნებას საერთოდ უარყოფს; ხოლო თუ ასტრონომიული ძალების მოქმედებას ვიგულისხმებთ (ატმოსფერული წნევა, მაგნიტური ველი, ულტრაიისფერი გამოსხივება და სხვ.), მაშინ თავისუფლების შეზღუდვაზე მხოლოდ სიმბოლურად შეიძლება ვილაპარაკოთ, რადგან ადამიანის თავისუფალი ნებით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას სტიქიონები პრინციპულად ვერაფერს აკლებენ (რედ.).

ბით იგი იძლევა უმაღლესი მთლიანობისა და ჰარმონიის შთამაგონებელ სახეს, რომლისკენაც მთელი სამყარო უნდა ისწრაფვოდეს. ვითარცა დედა ღმრთისა და ვითარცა დედა მთელი განახლებული კაცობრიობისა, „მეორე ევა“ — მარადქალწული მარიამი, ქვეყნისათვის უკვდავების საზრდოს — თავისი ძის ზორცის მიცემით, თავისი უნივერსალური სამსხვერპლო დედობით ყველა ქრისტიან დედას უკვლევს ყოველი ცოცხალის გამრავლების, გამოზრდის, დაცვისა და გარდაქმნისათვის ზრუნვის გზას.

ღმერთმა წმიდა მამათა თანასწორად განადიდა ეკლესიაში მრავალი წმიდა დედაც, რომელთაგან ზოგნი თავყვანისციკემებიან როგორც „მოციქულთასწორნი“.

12. ბოროტება

ყოველი არსებული, როგორც ზეგონიერი ღმრთის მიერ შექმნილი, გააზრებულია და ამიტომ ახსნადიც. მაგრამ ღმერთს ბოროტება არ შეუქმნია და ამიტომ მას აზრი არა აქვს და როგორც უაზრობა — აუხსნელია. რადგანაც შექმნილი არაა ბოროტება, საკუთრივ, არც არსებობს. იგი თითქოსდა წარმოსახვითი სიდიდე, ანუ უძყოფობაა, რომელსაც ღმრთის დაშვებით, როგორღაც შეუძლია გამომჟღავნდეს. ბოროტება — ეს არის მიქცევა ყოფიერებისა არყოფნად, მოძრაობა მოჩვენებითი მიზნისაკენ, გაუკუღმართება, სიცრუე, ყოფიერების სენი. როგორც არყოფნისაკენ მიმართული ძალა, ბოროტება ყოველთვის დამანგრეველია. წმიდა მამების აზრით, ღმერთმა იმისათვის დაუშვა ყოფიერების გადახრა უძყოფობისაკენ, რათა იგი თავის ყოფიერებაში თავისუფლად დამკვიდრებულიყო, რადგანაც ნამდვილი ყოფიერება სწორედ თავისუფალი ყოფიერებაა, რომელსაც თავისუფლად სურს იყოს ყოფიერება.

ბოროტება — ეს არის არასწორად გაგებული თავისუფლება და არასწორად წარმართული ნება, სხვაგვარად რომ ვთქვათ — ბოროტი ნება. ის შეიძლება გამოვლინდეს, რადგანაც არსებობს პიროვნება, რომელსაც იგი ეკუთვნის. ასეთი პიროვნება, პირველ რიგში ბოროტი სული, ანუ ეშმაკია. რა თქმა უნდა, თავდაპირველად ისიც კეთილად შეიქმნა, რადგან ღმერთს არაფერი ბოროტი არ შეუქმნია. მხოლოდ თავად მას, ადრე კეთილ სულს შეეძლო ბოროტებისაკენ გადახრილიყო და დაცემულიყო. წმიდა ეკლესია გვასწავლის ნათელი სულის დაცემის შესახებ, რომელიც შემდეგ ეშმაკად იქცა.

13. ნათლის ანგელოზის დაცემა

ღმრთის მიერ სიყვარულისათვის და ერთმანეთთან და ღმერთთან ურთიერთობისათვის შექმნილი ანგელოზები და ადამიანები, როგორც პიროვნებანი ზიარჭურჭლებს ჰგვანან, რომლებიც აღვსებისას ერთმანეთს უნდა გადასცემდნენ საკუთარ შიგთავსს. თვით ცხოვრება არის სიყვარულისმიერი ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, მისი (სიყვარულის) წყაროსთან — ღმერთთან.

აუხსნელი ახირებისა გამო ღმერთთან ყველაზე ახლოს მყოფმა და მის მიერვე შექმნილმა პიროვნებამ, უმაღლესმა ნათლის ანგელოზმა, ანუ ლუციფერმა (სინათლის მატარებელმა) მოინდომა ყველაფერი თვითონ ჰქონოდა და არავისთვის არაფერი მიეცა. წმიდა მამების თქმით, მას თავისი თავი შეუყვარდა და ერთგვარად თვითდანშულ ცარიელ ჭურჭლად იქცა. ამ პირველ ცოდვას ხან ამპარტაგნობას, ხან თავკერძობას, ახლა კი ეგოიზმსაც უწოდებენ. მისი არსი საკუთარი თავისაკენ ანგარეობიანი ყურადღების წარმართვაში მდგომარეობს, ანუ ეს საკუთარი თავისადმი ისეთი განსაკუთრებული ყურადღებაა, რომლის დროსაც საკუთარი „მე“ სამყაროს ცენტრად იქცევა. იგი საკუთარი თავის კერპი, ხოლო ყველაფერი დანარჩენი, რასაც საკუთარი ფასი ეკარგება — მისი საამებელი საშუალება ხდება. ამის გამო ღმრთისა და სამყაროსადმი უანგარო ინტერესი ჭკნება, ხოლო თავის თავში ჩაკეტილი პიროვნება სულ უფრო ნადგურდება. მაგრამ პიროვნება, ისევე როგორც ბუნება, ვერ იტანს სიცარიელეს და იწყებს ავსებას საკუთარი წარმოსახვის ნაყოფებით (სუროგატებით). აქედან იშვებიან ვნებანი, ანუ ლტოლვანი მრავალი სხვადასხვა კერპისადმი. ღმერთთან კავშირს მოკლებული დაცემული სული თავდავიწყებას ეძიებს, რითაც კი მოხვდება.

თავად მას, ვინც ბოროტება მოიგონა, მარტოობის სიცივე და სიცარიელე შურად ექცა. ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი სიყვარულისა და ერთობის აღუსოცელი სურვილი მის თვითჩაკეტილ პიროვნებაში სიძულვილისა და ნგრევის ძალად იქცა. ყოფიერების სისრულეში ერთიანობის მიღწევის შეუძლებლობა გადაიქცა მისწრაფებად საყოველთაო განადგურების გზით იმავეს მიღწევისაკენ. მაგრამ ასე უკიდურესად გაშიშვლებული ბოროტება ადვილად როდი იპოვის აღმასრულებელთ მათ შორის, ვინც შემოქმედის ბეჭედს ატარებს. ამიტომაც, რათა გვაცდუნოს, ბოროტება სიკეთედ გვაჩვენებს თავს, ესე იგი ტყუილსა და სიცრუეს მიმართავს.

უფალი ამბობს, რომ სატანა კაცის მკვლელი იყო დასაბამითა და მამა სიცრუისა (ინ. 8,44).

მოტყუებით კი ეშმაკმა, საგონებელია, რომ უფსკრულში თან გაი-
ყოლა სხვა სულებიც; სიცრუისა და ცილისწამების გზით მან მიაწვია
პირველ ადამიანთა ცოდვით დაცემას.

14. ადამიანის ცოდვით დაცემა

ბიბლიური მოთხრობა ადამიანის ცოდვით დაცემის შესახებ — სახეა
ყოველგვარი ადამიანური ცდუნებისა და დაცემისა. მასზე დაკვირვებით
ვხედავთ, რომ:

1. შესცოდა რა, მხოლოდ ადამიანი როდია დამნაშავე ამაში; იგი
მოტყუებულია და თვითმოტყუებაში ჩავარდნილი.

2. შეცდომილი ადამიანი ინარჩუნებს არჩევანის თავისუფლებას (ევა
ყოყმანობს, კამათობს გველთან).

3. ცდუნება იწყება საცდუნებელი წარმოდგენით.

4. იგი დაშვებულია ღმერთის მიერ, რათა გამოსცადოს და განამტკიცოს
ადამიანის თავისუფლება. ღმრთისმიერი გაფრთხილება ხისგან „ცნობადისა
კეთილისა და ბოროტისა“ ჭამის საშიშროების შესახებ — ეს არის ხმა
ღმრთეებრივი სიყვარულისა. მისთვის რომ დაეჯერებინა, ადამიანი თა-
ვისუფლებაში განმტკიცდებოდა, რადგანაც თავისუფლება სიყვარულით
ხორციელდება. თავისუფლად მოქცევა ხომ სიყვარულით მოქცევას ნიშნავს.

5. ვინც ღმრთის მიმართ სიყვარულით არ იქცევა, ცოდვაში ვარდება
და თავისუფლებას კარგავს. შეცოდეს რა, პირველი ადამიანები ცოდ-
ვის მონებად იქცნენ, რასაც მომდევნო დაცემათა ჯაჭვიც გვიმოწმებს
(ემალეებიან ღმერთს, დანაშაულს აბრალებენ ერთმანეთს და ა. შ.).

6. მოტყუება და თავის მოტყუება ცოდვისას — ეს არის არასწორად
გაგებული თავისუფლება, ცილისწამების დაჯერება. ცილისწამება
ისაა, რომ ღმრთეებრივი სიყვარულის ძახილი გაგებულია როგორც
ძალადობა. ღმერთი არ აყენებს თავის თავს უფროსის, ხოლო ადამიანს
ხელქვეითის მდგომარეობაში. ის მამაა და სურს, რომ ადამიანი იყოს
მისი ძე და სიყვარულით მისდევდეს მას.

15. ცოდვის უძლეობა

პირველ ადამიანთა ცოდვაში იყო გრძობისმიერი მომენტიც: შეს-
ახედავად მშვენიერი ნაყოფი ღმრთის ნების აღსრულებას ამჯობინეს.

აქ გვაქვს პიროვნების ჯანმრთელობისათვის აუცილებელი მარხვის დარღვევა და მორჩილება უპირატესისა უდარესისადმი, რომელიც საერთოდ ყოველგვარ ცოდვას ახასიათებს. ცოდვის შედეგი სამოთხის დაკარგვაა. უპირველეს ყოვლისა, ეს შინაგანი გაპარტახებაა, რომლის შესახებაც ზემოთ ითქვა.

მახინჯდება მისი შთამომავლობითი ცხოვრება, სხვადასხვა ვნებით წარმოშობილი. ქალისათვის მშობიარობა მტანჯველი ხდება. შრომას შემოქმედებითი სიხარული აკლდება. ადამიანებს შორის სიყვარულში ერთობის ნაცვლად შეხლა-შემოხლა და მკვლელობებიც კი იწყება. თვით ადამიანის პიროვნებაც, რომელმაც დაკარგა სიყვარულის სისრულე, რომელიც მას აერთიანებდა, იხლიჩება სურვილთა სიმრავლისაგან, კარგავს თავის მთლიანობას და უმანკობას. პიროვნების ავადმყოფობასა და მის რღვევას მოსდევს სულისა და სხეულის სნეულებანი და ბოლოს — სიკვდილი. დასნეულებული პიროვნებისათვის უკვდავება აუტანელი იქნებოდა, და ღმერთმაც არ დაუშვა რა, რომ ადამიანს ცხოვრების (უკვდავების) ხის ნაყოფი შეეჭამა, წყალობა უყო მას.

16. პირველი ადამიანების ცოდვა

პირველი ადამიანების — ადამისა და ევას — დაცემით „ცოდვად სოფლად შემოვდა, და ცოდვისა ძლით სიკუდილი“ (რომ. 5,12). ცოდვისადმი მიდრეკილება და ცოდვის ყველა შედეგი, სიკვდილის ჩათვლით, მემკვიდრეობითი გახდა. მაგრამ ღმრთის ხატი, თუმც მინავლული და გამქრქალებული, არ დაუკარგავს ადამიანს და მას დარჩა შესაძლებლობა ხსნისა, შესაძლებლობა იმ ცხოვრების თითქოსდა თავიდან დაწყებისა, რომლისთვისაც იგი სამოთხეში იყო მოწოდებული. ადამიანი დაეცა და შეიცვალა, თორემ ღმერთი და ღმრთის სიყვარული უცვლელია, და ღმერთიც მოდის თავისი დაცემული ქმნილების საშველად. ძველი აღთქმის წიგნები ღმრთის მიერ ხსნის დაპირების მუდმივ განახლებასა და მისი მოშხადების ისტორიას შეიცავს.

17. რატომ დაუშვა ღმერთმა ცოდვა?

ადამიანის მიერ ცოდვის ჩადენისა და ამით ცოდვის ყველა შედეგის გამოწვევის შესაძლებლობა არცთუ იშვიათად ბადებს მტანჯველ გაუგებრობას, ზოგჯერ კი ღმრთის სიკეთესა და საერთოდ მის არსებობაში დაეჭვებასაც. სწორად გავიგონებთ: „თუკი ღმერთი კეთილია, მას არ

ძალუძს ბოროტების დამეება, ზოლო რადგან უშეებს, მაშასადამე, არ ყოფილა კეთილი, ანდა ყოვლისშემძლე და ამიტომ ღმერთიც არ ყოფილა, ან, უბრალოდ, არ არსებობს იგიო“. ამაზე საღმრთო გამოცხადება გვიპასუხებს: 1) ადამიანი რომ თავისუფლად არ იყოს შექმნილი, იგი არ იქნებოდა ღმრთისმაგვარი პიროვნება (არამედ იქნებოდა მექანიზმი); 2) შეცოდების შესაძლებლობა რომ მისცა, ღმერთმა უწინარეს საუკუნეთა თავის თავზე აიღო ადამიანის ცოდვები. ადამიანის ცოდვისათვის ღმერთმა უსაზღვრო მსხვერპლი სიყვარულით გაიღო, მისცა რა ადამიანს გამოსყიდვისა და ხსნისათვის თავისი ძე. დროებით მოაკლო რა ადამიანს უკვდავება, ღმერთმა თვითონ მიიღო სიკვდილი, რათა ადამიანისათვის მარადიული ცხოვრება მიენიჭებინა. მაგრამ ამ უდიდესი გულმოწყალების აქტის ქმნის დროსაც ღმერთი უნარჩუნებს ადამიანს თავისუფლებას — მიიღოს თუ არ მიიღოს ღმრთებრივი სიყვარულის ეს უმაღლესი გამოხატულება, იგემოს თუ არა ნაყოფი ახლისა „ხისა ცხოვრებისა“, რომელთანაც ღმერთი კვლავ უშეებს ადამიანს. ადამიანისთვის დაბრუნებული ეს ხე ცხოვრებისა არის ჯვარი უფლისა — ხე სამსხვერპლო სიყვარულისა.

18. აპოლოგეტიკა

აპოლოგეტიკა საღმრთისმეტყველო მეცნიერებაა, რომელიც ჩვენს სარწმუნოებაზე თავდასხმებს იგერიებს. ადრე იგი ცდილობდა, ისტორიული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემები ბიბლიის მონაცემებთან შეეთანხმებინა. ჩვენს დროში კი იგი შემოიფარგლება იმის მითითებით, რომ არ შეიძლება ბიბლიისა და მეცნიერების ჭეშმარიტებანი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, რადგანაც ისინი ცოდნის სხვადასხვა სფეროს მიეკუთვნებიან. ბიბლია მოწმობს ღმერთის მოქმედებას სამყაროში, ზოლო მეცნიერება კი იკვლევს თვით სამყაროს. მეცნიერებისათვის მიუწვდომელ ძველი აღთქმისეულ ჭეშმარიტებას ძირითადად შეადგენს ჭეშმარიტებანი ერთი ღმერთის შესახებ, არაფრისაგან სამყაროს შექმნის შესახებ, ადამიანის, როგორც ღმრთის ხატის შესახებ, ადამიანთა მოდგმის ერთიანობისა და მისი ცოდვით დაცემის შესახებ, მაცხოვრის განცხადების აღთქმისა და საამისოდ მომზადების შესახებ.

19. კველი აღთქმის მნიშვნელობა

ეცხადებოდა რა ადამიანებს ასევე ადამიანთა — წმიდა წინასწარმეტყველთა მეშვეობით, თავისი გამოცხადების სისავსე ღმერთმა ღმერთმა

თკაც იესო ქრისტეში გამოავლინა. მისი განცხადების მომამზადებელი ძველი აღთქმა არის წინასწარგანხორციელება საღმრთო სიტყვისა ჯერ კიდევ არა ადამიანში, არამედ ადამიანურ სიტყვაში და ამიტომ მას არა მხოლოდ ღმრთეებრივი, არამედ კაცობრივი მხარეც აქვს.

ბიბლიისადმი ერთადერთი სწორი სულიერი მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ კაცობრივში ღმრთეებრივისა და წარმავალში მარადიულის დანახვა შევძლოთ. არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ ქრისტემდე ღმრთეებრივი ჭეშმარიტება თანდათანობით ცხადდებოდა, ამიტომ ძველი აღთქმის მოვლინების მიმართ ქრისტესმიერი ჭეშმარიტების სისავსიდან გამომდინარე შეფასებანი არ გამოგვადგება.

ბიბლიისადმი ასეთ სულიერ მიდგომაში განმტკიცებული მორწმუნე უკვე აღარ დაეჭვდება იმაში, რომ ბიბლიური წარმოდგენები სამყაროს ფიზიკურ მოვლენათა შესახებ არ ემთხვევა თანამედროვე (ასევე ყოველთვის შეფარდებით) წარმოდგენებს, რომ ძველი აღთქმის ზოგი წიგნი თურმე იმ წლებში არ შეუდგენიათ, როგორც ამას ფიქრობდნენ, ანდა რომ ძველადღობისეულ წმინდანთა ზოგი საქციელი არ შეესატყვისება ქრისტიანულ ეთიკას.

ყოველივე ამის მიუხედავად ორივე აღთქმა — ეს ერთიანი საღმრთო გამოცხადებაა. ძველი აღთქმის სიღიადე ურყევია; მისი არსი მდგომარეობს საღმრთო ჭეშმარიტების განუხრელსა და სულ უფრო სრულ განხნაში, ქრისტესათვის განუწყვეტელ მზადებაში, დაცემული „ძველი კაცის“ ჯიუტად გამოხატული უძღურებისა და წინააღმდეგობის მიუხედავად.

ბ. მოკლვრება ქრისტეს შესახებ

1. გულმოწყალე ღმერთი დაცემული ადამიანის სასველად მოღის

ღმერთი სიყვარულია, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი სიყვარულის დარღვევა არაფერს შეუძლია. ამიტომ ღმერთი მუდმივად უწყევს შემწეობას დაცემულ ადამიანს მისი დანიშნულების აღსრულებაში და მას, უპირველეს ყოვლისა, ეშმაკისა და ცოდვის მონობისაგან ათავისუფლებს. შეეწევა რა ამ საქმეში მოწყალეებით, ღმერთი არ ართმევს ადამიანს თავისი სიყვარულის წინანდელ ნიჭს და მათ შორის არც ერთხელ და სამუდამოდ ბოძებულ თავისუფლებას. ადამიანი თავისი ნებით დაეცა და ასევე თავისი ნებით უნდა აღდგეს კიდევ.

ეს რომ შესაძლებელი გამხდარიყო, რისთვისაც მხოლოდ ღმრთის შე-
მწეობა იყო აუცილებელი, ღმერთმა ისურვა თვითონ მიახლოებოდა მისგან
განდგომილ ადამიანს, რათა მას ისე, რომ მისი არ შეშინებოდა, კვლავ
თავისუფლად გაეკეთებინა არჩევანი და ღმერთთან დაბრუნებულიყო.

ძე ღმრთისა იქმნა ძედ კაცისა იმისათვის, რათა ძენი კაცთანი ღმრთის
ძეებად ექცია. ღმერთი განკაცდა, რათა კაცი მაღლით ღმერთი გამხდარიყო.*
უკვდავმა მოკვდავის ხატი მიიღო, რათა მისთვის უკვდავება მიენიჭებინა.

2. ღმერთპაცი

ღმერთი სიტყვა იქმნა ადამიანად — იესო ქრისტედ. სახელი იესო
ნიშნავს „ღმერთი იხსნის“, ანდა, მოკლედ, „მაცხოვარს“. ქრისტე ნიშნავს
„ცხებულს“. უფალი იესო ქრისტე არა მხოლოდ ღმერთია, კაცობრივ
ცხოვრებაში თავისი ღმრთეებრივი ცხოვრების განმცხადებელი, არა
მხოლოდ პირველსაუკუნო სიტყვა ღმრთისა, კაცთა ენაზე ღმრთეებრივ
საიდუმლოთა მაუწყებელი, არა მხოლოდ ღმრთეებრივი მოძღვარი ან
ხატი ღმრთისა, სრულყოფილ კაცში განცხადებული, არამედ ღმერთკაცი.

3. ღმერთპაცი — მაცხოვარი

იესო ქრისტეს პირში ღმრთეებრივი ბუნება კაცობრივს შეუერთდა,
რათა კაცობრივი ბუნება ღმრთეებრივს ზიარებოდა.

მართალია, ღმრთის ყოველი ქმნილება იმიტომ შეიქმნა და არსე-
ბობს, რომ უკვე ღმრთეებრივ სიტყვასაა ნაზიარები, ესე იგი ღმრთეე-
ბრივ აზრსა და საზრისს, მაგრამ ღმერთი-სიტყვის განხორციელებით
ადამიანი მაინც ახალ საფეხურზე ადის, იქცევა „ახალ ქმნილებად“,
რომელსაც უნარი აქვს იცხოვროს არა მხოლოდ თავისი, არამედ ღმ-
რთეებრივი, მარადიული ცხოვრებითაც. ღმრთის განხორციელების
შემდეგ ყოველ კაცს შეუძლია ეკლესიაში შესვლით ქრისტეს თანაზი-
არი ცხოვრებით იცხოვროს. ყოველი ადამიანი მოწოდებულია იქცეს
სულიწმიდის ტაძრად და ეშვილოს მამა ღმერთს. სწორედ ეს არის
ღმრთის ხატის აღდგენა ადამიანში.

* მაღლით ღმერთთან შეერთებულებს, ანუ განღმრთობილებს, წმიდა მამები ხშირად
ღმერთთა სახელით მოიხსენიებენ. მაგალითად, როგორც ვერემ მცირე განმარტავს:
„ღმერთ ღმერთთა ეწოდების ღმერთსა. არა თუ ღმერთ კერპთა, არამედ — ღმერთ
ბუნებით, მის მიერ ღმერთ-ქმნულთა მაღლით და ჯერ-ჩინებით, რომელი-ესე არს
ღმერთ-მთავრობა მისა, რამეთუ ღმერთი დადგების შორის ღმერთთაჲსა და ღმერთი
მთავრობს ღმერთთა ზედა, ანგელოზთა და წმიდათა“ (რედ.).

4. მოციქულები — ქრისტეს ღმრთიანობის მოწმენი

წმიდა მოციქულებმა პირველებმა იცნეს თავიანთ მოძღვარში ალთქმული მხსნელი, მესია, ხოლო შემდეგ კი თვით განხორციელებული ღმერთი. ეს რწმენა მოციქულთა სახელით აღიარა მოციქულმა პეტრემ, რომელსაც უფალმა მიუგო, რომ „კორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან“ (მთ. 16, 17). მას შემდეგ მოციქულები ცხოვრობდნენ სრულიად ახალი, გაუგონარი, საშინელი და უსასრულოდ სასიხარულო შეგნებით იმისა, რომ მათ თვალწინ და მათთან ერთად ცხოვრობს თვით განკაცებული ღმერთი. ამის შეგნებით მოგვრილი თრთოლვით არის აღსავსე მოციქულთა ნაწერები, განსაკუთრებით კი იოანე მოციქულისა: „...რომელი გუესმა და ვიხილეთ თუალითა ჩუენითა, რომელი ვიხილეთ და კვლნი ჩუენნი ჰმსახურებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა. და ცხორებაჲ იგი გამოცხადნა და ჩუენ ვიხილეთ და ვწამებთ და გითზრობთ თქუენ ცხორებასა მას საუკუნესა, რომელი იყო მამისა თანა და გამოგუჩნდა ჩუენ... და ამას მივსწერ თქუენდა, რადთა სიხარული იგი ჩუენი სავსებით იყოს“ (1 ინ. 1,1-4).

მოციქულთათვის ცხადი იყო, რომ იესო განკაცებული ღმერთია; მხოლოდ ქრისტეს ჭვრეტით გაიგეს მათ, რომ ღმერთი არის ნათელი და სიყვარული და რომ მასში არ არის არავითარი სიბნელე (1 ინ. 1, 5; 4, 8).

5. ცრუსწავლებანი ქრისტეს უმსახუ და ქალკედონის ღობატი

უკვე მოციქულთა დროიდან მოყოლებული, ზოგიერთებმა უფალი იესო ქრისტეს შესახებ მოძღვრების დამახინჯება დაიწყეს.

ასე, მაგალითად, *დოკეტები* ასწავლიდნენ, რომ ქრისტე ოდენ ღმერთი იყო და კაცად მხოლოდ გვეჩვენებოდა. *არიოზი* ასწავლიდა, რომ ძე ღმრთისა — ყოვლადწმიდა სამების მეორე პირი — არის მხოლოდ ქმნილება და ასეთად დარჩა იგი განხორციელების შემდეგაც. მოგვიანებით *ნესტორი* ამტკიცებდა, რომ ქალწული მარიამისაგან იშვა მხოლოდ კაცი, რომელსაც ღმერთი შეუერთდა და მასში მკვიდრობდა ვითარცა ტაძარში. ამიტომ ნესტორი ქალწულ მარიამს ღმრთისმშობელს კი არ უწოდებდა, არამედ ქრისტესმშობელს. აქედან გამომდინარე, ნესტორი ქრისტეში ისე განყოფდა ერთმანეთისაგან ღმრთეებრივსა და კაცობრივ ბუნებებს, რომ მასში თითქოსდა ორ პირს ხედავდა, ერთმანეთთან მხოლოდ საერთო მოქმედებისათვის შეერთებულს, უპირატესად იესო

ქრისტეს, როგორც კაცის, ზნეობრივი ძალისხმევის შედეგად. ნესტორის საპირისპიროდ, რომელიც ქრისტეს ღმრთეებრიობას აკნინებდა, *მონოფიზიტები* ასწავლიდნენ, რომ იესო ქრისტეში კაცობრივი ბუნება ღმრთეებრივის მიერ იყო შთანთქმული. და ამით ამცირებდნენ ქრისტეს კაცობრიობას.* ჭეშმარიტებიდან ორივე გადახრის შემთხვევაში თვით ღმრთის განხორციელება, უფლის სამსხვერპლო ცხოვრება და სიკვდილი, ისევე როგორც შემდეგ აღდგომა, ადამიანისთვის კარგავენ თავიანთ მაცხოვრებელ ძალას. ყოველი ადამიანი, ეზიარება რა ქრისტეს რწმენით, ცხოვრებითა და წმიდა საიდუმლოთა მეშვეობით, მხოლოდ მაშინ შეიძლება ცხოვნდეს, თუკი ქრისტეში მთელ კაცობრიობასთან ჭეშმარიტი ღმერთია ნაზიარები.

მართლმადიდებლური მოძღვრება ქრისტეში ღმრთეებრივ და კაცობრივ ბუნებათა შეერთების შესახებ გადმოცემულ იქნა 451 წელს ქალკედონის IV მსოფლიო კრებაზე. ამ განსაზღვრებაში ნათქვამია, რომ იესო ქრისტე არის სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცი, ერთარსი მამა ღმერთისა ღმრთეებით და ჩვენი ერთარსი კაცებით, ყოველთურთ ჩვენი მსგავსი გარდა ცოდვისა, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა ღმრთეებრიობით და ქალწულისაგან მარიამისა კაცობრივად, და რომ მასში ორივე ბუნება შეურწყმელად, უცვალებლად, განუყოფელად და განუყრელადაა შეერთებული, ისე რომ ყოველთვის ინარჩუნებს ერთიან პირში, ანუ ჰიპოსტასში თავის თავისებურებებს. ეს ნიშნავს, რომ კაცობრივ ბუნებას ქრისტეში თავისი ცალკე პირი კი არა აქვს, არამედ თვით ძე ღმერთის ღმრთეებრივი პიროვნება შეიმოსება კაცობრივი ბუნებით, რითაც მიიღწევა მისი (კაცობრივი ბუნების) სრული კურთხევა. მიუხედავად ამისა, კაცობრივ ბუნებას ქრისტეში აქვს თავისი ნება, ღმრთეების ნებისაგან განსხვავებული, თუმცა ეს ნება ყოველთვის თავისუფლად ემორჩილება ღმრთეებრივ ნებას. სწავლება ქრისტეში ორი ნების შესახებ დამტკიცებულ იქნა 680 წელს VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე *მონოთელიტთა* ცრუსწავლების უარსაყოფად, რომლებიც მონოფიზიტებთან მართლმადიდებელთა შერიგების სურვილით ამტკიცებდნენ, რომ ორი ბუნების მქონე იესო ქრისტეში მხოლოდ ღმრთეებრივი ნება მოქმედებს.

* მონოფიზიტები დღემდე არსებობენ: სომხები, კოპტები, ეთიოპები, სირიელი იაკობიტები.

6. მოწმობანი ქრისტეს ღმრთიანობის შესახებ

მიუხედავად მთელი იმ მოჩვენებითი დაუჯერებლობისა, რომ ღმერთი განკაცდა, ღმერთის განხორციელების ეს სასწაული არ შეიძლება ამ-
კარა არ ყოფილიყო წმიდა გულის მქონე მოციქულთა და ქრისტეს სხვა
უახლოეს მოწაფეთათვის. უპირველეს ყოვლისა, უფალი თვით აღი-
არებდა თავის თავს ღმერთად და კაცად და ასწავლიდა ამის შესახებ.
თანაც ასეთი არაჩვეულებრივი გამოცხადება გამოდიოდა იმ ადამიანის
ბაგეათგან, რომელშიც ყოველთვის გამოსჭვითოდა უდიდესი სიმართლე,
არაჩვეულებრივი სიბრძნე და სრული უანგარობა. ამრიგად, თავისი თა-
ვის შესახებ ქრისტეს მოძღვრების ჭეშმარიტებას მოწმობს, უპირველეს
ყოვლისა, მისი პიროვნება, ხოლო შემდეგ თვით მოძღვრება, რომელიც
თავისი სიმწყობრით ისეთ ერთიანობას ამჟღავნებს, რომ თუკი მის ერთ
ნაწილს მივიღებთ, ძნელი იქნება, არ მივიღოთ იგი მთლიანად.

მათთვის, ვინც ირწმუნა იგი, ან ვინც იწყებდა მის რწმუნებას,
ქრისტე თავისი ღმერთკაცობის სხვა მოწმობებსაც წარმოადგენდა. მათ
რიცხვს მიეკუთვნება ქრისტეს სასწაულები, აგრეთვე მამა ღმერთისა და
სულიწმიდის არაერთი დამოწმება. ამასვე მოწმობს მახარებელთა მიერ
ყველა ქრისტიანისათვის უწყებული ქრისტეს მუცლადღებისა და შობის
საიდუმლო. მაგრამ თავიანთი მოძღვრის ღმრთეებრიობის საბოლოო
დამოწმება მოციქულებმა მიიღეს ქრისტეს ჯვარზე სიკვდილითა და
აღდგომით. სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ ეს რწმენა მათთვის
მთელი მათი ცხოვრების მთლიანად განმსაზღვრეელ ჭეშმარიტ რწმენად
იქცა. ყოველივე ამასთან ერთად იესო ქრისტეს ღმრთეებრიობის აღი-
არებაში არ შეიძლება იყოს არავითარი გარეგანი იძულება, რადგან
ჭეშმარიტება შეიცნობა, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულით აღძრული
გულით, სიყვარული კი ყოველთვის თავისუფალია.

უფლის შეკითხვაზე, სურთ თუ არა მოციქულებს (ურწმუნოების
გამო) მისი მიტოვება, პეტრე მოციქულმა უპასუხა: „უფალო, ვისა
მივიდეთ ჩვენ? რამეთუ სიტყუანი ცხოვრებისა საუკუნოდსანი გქონან
შენ. და ჩვენ გურწმენა და გვცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე
ღმრთისა ცხოველისა“ (ინ. 6,68-69).

7. უფლის ცხოვრების ძირითად მოვლენათა განგებულებითი მნიშვნელობა. მუცლადღება, შობა და პირველი წლები მაცხოვრის ცხოვრებისა

ჩვენი ხსნის შესახებ საღმრთო განგებულების მთელი სიღრმე ყველაზე კარგად იხსნება უფალი იესოს ქრისტეს ცხოვრების ძირითად მოვლენებში.

უფლის მუცლადღება და შობა მარადქალწული მარიამისაგან და თვით სახე ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა გვიჩვენებს, თუ როგორი სიწმინდე და უშფოთველობა, მორჩილება და ღმრთის წყურვილია საჭირო სრულყოფილი მადლის მისაღებად. ამავე დროს ამითვე დამოწმდება მაცხოვრის ღმრთეებრიობის ჭეშმარიტება. თვით ქრისტეს განხორციელება ცხადყოფს მის უკიდურეს მორჩილებასა და თვით-შეზღუდვას. სიყვარულისა და მორჩილების განუყრელობაა უწყებული ყოვლადწმიდა ქალწული მარიამის გალობაში „ადიდებს სული ჩემი უფალსა“ (ლკ. 1,46-55). ბეთლემის გამოქვაბულისა და ბაგის სილატაკე აგრეთვე გვიჩვენებს, რომ ღმრთეებრივი სიყვარულის სიღიადე არაა დაკავშირებული ამა სოფლის დიდებასთან და რომ ადამიანის თავისუფლების უსაზღვროდ მოფრთხილებით უფალი მას თავისკენ იზიდავს ისე, რომ არ განაცვიფრებს მის წარმოსახვას გარეგნული დიდებით. მაგრამ მწყემსებს და აღმოსავლელ ბრძენთ მიეცათ გამოცხადება ახალშობილი ყრმა ღმერთის შესახებ, პირველებს — მორჩილებისათვის, მეორეებს — ჭეშმარიტების შეცნობის წყურვილისათვის.

ეს საიდუმლო განეცხადათ, აგრეთვე, სვიმეონ ღმრთისმძიმრქმელსა და ანნა წინასწარმეტყველს ზრუნვისათვის თავიანთი ხალხისა და კაცობრიობის სულიერ ბედზე, რომელთათვისაც ისინი მხსნელს მოელოდნენ.

უფალი იესო ქრისტეს ბავშვობა, ყრმობა და სიყმაწვილე თითქმის დაფარულია ჩვენგან, მაგრამ ის მცირედიც კი, რაც ცნობილია — ცხოვრება ხელოსნის ოჯახში, უკვე 12 წლის ასაკში თავისი დანიშნულების შეგნების მიუხედავად ყმაწვილური დამჯერობა — ისევე მის მორჩილებას ამჟღავნებს. იყო მრავალი მცდელობა სახარების ძუნწი სტრიქონების „შევსებისა“ იესო ქრისტეს ბავშვობისა და სიჭაბუკის შესახებ უხვი „წვრილმანებით“. ეკლესიამ გადაჭრით უკუაგლო და კვლავაც უკუაგლებს ასეთ გამონაგონ „თქმულებებს“, რომლებსაც „აპოკრიფებს“ უწოდებს.

8. იოანე ნათლისმცემელი და ნათლისღება უფლისა

იოანე ნათლისმცემელით მთავრდება ძველი აღთქმისეული მზადება მაცხოვრის მისადებად. წინამორბედის მოვლინება ადასტურებს სიმართლისაკენ მრავალი თაობის მემკვიდრეობითი სწრაფვის წმინდა აუცილებლობას ანუ სხვაგვარად, ისტორიის გააზრებულობას, აგრეთვე მისთვის დამახასიათებელ წმინდა მიჯნებსა და ვადებს. ღმერთი მათ აღნიშნავს განსაკუთრებული სასწაულებრივი მოვლენებით, მაგალითად, ანგელოზების ან წინასწარმეტყველთა წარმოგზავნით.

თვით ნათლისღება უფლისა არის ადამიანთათვის იოანე წინამორბედის სახით პირველად მოვლენილი განცხადება წმიდა სამების შესახებ და აქედან მოდის დღესასწაულის სახელწოდებაც — „ღმრთის განცხადება“; ეს არის აგრეთვე ნათლისღების საიდუმლოს წინასახე. თვით უფლისათვის კი ნათლისღება იყო მისი კურთხევა მსახურებისათვის.

9. უფლის გამოცდა

გამოცდა უფლისა ჩვენ იესო ქრისტეს წარმოგვიდგენს როგორც „მეორე ადამს“, რომელმაც გაიმარჯვა იქ, სადაც დამარცხდა პირველი ადამი. თხრობა ქრისტეს გამოცდის შესახებ ავსებს პირველ ადამიანთა ცოდვით დაცემის ამბავს. უფლის სიტყვები, რომ „არა პურითა ხოლო ცხოვრების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“ (მთ. 4,4), ყოველივე ბუნებრივის სულისადმი დამორჩილების აუცილებლობაზე მიგვითითებს და ეს არის პასუხი ყოველგვარ გრძნობისმიერ საცდურზე. მას შემდეგ, რაც უარი თქვა შიმშილის მოსაკლავად სასწაულის მოხდენაზე, უფალმა სასწაულებრივად დააპურა მისი სიტყვის მაძიებელნი უდაბურ ადგილას. პირველმა ადამიანებმა კი ისე იგემეს აკრძალული ნაყოფი, რომ ხორციელ შიმშილს არც კი განიცდიდნენ, საიდანაც ჩანს, რომ ცოდვა ზედმეტობაა.

უფლის სიტყვები „არა განსცადო უფალი ღმერთი შენი“ (მთ. 4,7), რომელიც იყო პასუხი სასწაულებრივი გადარჩენის გამოსაცდელად შემოთავაზებულ წინადადებაზე, არის გაფრთხილება, რომ არ შეიძლება უმაღლეს ნივთთა და ძალთა ძიება ამპარტავნული თვითმამკობის გამო. მაგრამ სწორედ ეს მოინდომეს ადამმა და ევამ ეშმაკის წაქეზებით („იქმნეთ ვითარცა ღმერთნი“, დაბ. 3,5).

ეშმაკს არ შეუძლია დიდხანს თვალთმაქცობა განხორციელებული

ჭემმარიტების, ქრისტეს წინაშე და ბოლოს აშკარად ითხოვს თავ-
ვანისცემასა და მორჩილებას. ამით ბოლომდე შიშვლდება ცოდვის
არსი, რომელსაც სულიერი თავისუფლების, ღმრთისადმი ადამიანის
მსგავსების ამ საწინდარის, დაკარგვამდე მიყვავართ. მესამე საცლურში
ეშმაკისადმი მორჩილება უკავშირდება სამყაროზე სრული ქვეყნიური
ხელისუფლების მოპოვებას. მაცხოვრის პასუხი: „უფალსა ღმერთსა
შენსა თავვანი-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე“ (მთ. 4,10), —
განცხადებაა იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ქვეყნად ღმრთის სა-
სუფევლის დამყარება ადამიანური ზეობის, ესე იგი ძალადობის გზით
(ცეზაროპაპიზმიც და პაპოცეზარიზმიც შეუთავსებელია უფლის მიერ
დასახულ გზასთან).

10. ქრისტე — მუჟუ

მაცხოვრის მთელი შემდგომი მსახურება და ყოველივე, რაც მის
შესახებ თქვეს მახარებლებმა და მოციქულებმა, გვიჩვენებს, რომ იგი
მოგვევლინა, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველებანი ვნებული
მესიის შესახებ. უფალი მხარს არ უჭერდა ხალხის ცდას ქვეყნიურ
მეუფედ ექცაით იგი და მხოლოდ ერთხელ, იერუსალიმში დიდებით შეს-
ვლისას მიიღო სახალხო თავვანისცემა, მაგრამ ეს უკვე მისი ჯვარცმის
დასაწყისი იყო. რათა ხაზი გაესვა იმისათვის, რომ მისი მეფობა ამქვეყნ-
იური არ იყო, რის შესახებაც მოგვიანებით პილატესაც უთხრა, უფალი
ქვეყნიურ მეუფესავით ცხენზე კი არ შეჯდა, არამედ ჩოჩორზე, „ნამობსა
კარაულისასა“. შემდეგ მისცა რა ნება ძვირფასი ნელსაცხებელი ეცხოთ
მისთვის ფეხებზე, მალე თვითონაც დაბანა ფეხები თავის მოწაფეებს
ნიშნად იმისა, რომ მისი ძალაუფლება სიყვარულის მსახურებაა.

იერუსალიმში დიდებით შესვლის წინ უფალმა თავისი დიდება
თაბორის მთაზე გამოავლინა. ეს მოვლენა ასევე ერთ-ერთი ძირითადი
რგოლია, რომელმაც უფლის ნებისითი ვნება და სიკვდილი და მისი ბრ-
წყინვალე აღდგომა მოამზადა. ფერიცვალება უფლისა იმავდროულად
არის ღმრთებრივი დიდების გამოვლენაც და საწინდარიც ადამიანისა და
ყოველი ქმნილების, უბირველეს ყოვლისა კი, მართალთა განდიდებისა,
რომლებიც უფლის სიტყვისაებრ „გამობრწყინდნენ, ვითარცა მზე სა-
სუფეველსა მამისა მათისასა“ (მთ. 13,43). ამ დაპირების დასტურად
ზოგიერთი წმინდანი, მაცხოვრის მსგავსად, ჯერ კიდევ ამქვეყნიურ
ცხოვრებაში იცვლიდა ფერს; მაგალითად, ღირსი სერაფიმე საროველი.

11. უფლის გამოხდომილი ვნებანი და სიკვდილი

უფალი იესო ქრისტეს ვნებანი, სიკვდილი, აღდგომა და, ბოლოს, ამაღლება ის მოვლენებია, რომლებშიც ბოლომდე გამოიხატა მისი ამქვეყნიური ცხოვრებისა და მოწოდების აზრი. მათი მეშვეობით დასრულდა ადამიანთა ხსნა, უფალი ნებით ეწეოდა და მოკვდა. მას, როგორც ღმერთს, შეეძლო თავის დასაცავად ანგელოზთა ლეგიონებისთვის ეხმოდ და ვითარცა უცოდველი, სიკვდილსაც არ დამორჩილებოდა. აიღო რა თავის თავზე ადამიანთა ცოდვები, მან ცოდვის მთელი საშინელება და მთელი სიბნელე ისე განიცადა, რომ არ ეხიარა მას. იყო რა უცოდველი, უფალმა იგემა ცოდვის ფიზიკური შედეგები: ძაგება, ჯვარზე ტანჯვა და სიკვდილი. უსაზღვროა და უნივერსალური მაცხოვრის თანაღმობითი სიყვარული. მისი უდანაშაულობა ზრდიდა მის მიერ ნაკისრი კაცობრიობის ცოდვათა სიმძიმეს. ეს განსაკუთრებული ძალითაა აღბეჭდილი დიდი პარასკევის საღმრთისმსახურო ტექსტებში:

„ესრეთ ეტყოდი, უფალო, ჰურიათა: ერო ჩემო, რა შეგაწუხენ თქუენ, ანუ რა განგარისხენ თქუენ ყრმანი თქუენნი განვნათლენ, კეთროვანნი განვკსწმინდენ, და განრღუეული ცხედარსა ზედა მდებარე აღუადგინე. მანანასა მის წილ მომიპყრობთ მე ნალველსა და წყლისა მის წილ ძმარსა, სიყვარულისა წილ ჯუარსა ზედა დამსჭუალეთ“ (მე-12 ანტიფონი). ხოლო დიდი შაბათის მწუხრზე გარდამოხსნის გამოსვენების წინ: „ყოველთა სიცოცხლეს სიკვდილი მიუსაჯეს... სამყაროს შემოქმედი უსჯულთა ხელშია“.

გოლგოთის ვნებათა სიმძიმე აუტანელი იქნებოდა, უფლის ჯვარი სრულყოფილი ღმრთეებრივი სიყვარულის გამოვლინება რომ არ იყოს. მასში განცხადდა „მამა ღმერთის ჯვარცმელი სიყვარული, ძის ჯვარცმული სიყვარული და სულიწმიდის ჯვრისმიერი ძალით მოხეიძე სიყვარული, ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა თვისი ძე მხოლოდშობილი, რათა ყველა დაეხსნა“ (მოსკოველი მიტროპოლიტრი ფილარეტი). ადამიანთა შორის პირველად ამას კეთილგონიერი ავაზაკი მიხვდა: შეგინებულ, დაჭრილსა და მომაკვდავ მართალში მან დაინახა ღმერთი, რომელმაც ქვეყნიერება სრულყოფილი სიყვარულით შეიყვარა, და ამიტომაც მას პირველს გაეღო სამოთხე. ფიქრობს რა იმაზე, თუ რა ნეტარებისათვის და როგორი ტანჯვით გამოგვისყიდა ჩვენ ქრისტემ, ყოველმა ქრისტიანმა იცის, რომ ჯვარი სიყვარულის სიმბოლოა და რომ, სადაც ჯვარია, იქ არის სიყვარულიც. ჯვარში,

როგორც შხეში სინათლე, თავმოყრილია ღმერთის მთელი სიყვარული ქვეყნიერებისა და ადამიანისადმი.

მამა ღმერთის „ჯვარცმელი სიყვარული“, ყოვლადწმიდა სამების პირთა სრულყოფილი ერთობისას, რა თქმა უნდა, უდიდესი თავგანწირვაა. წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვით, ჯვარი არის სასურველი მსხვერპლი, მაგრამ არა სახლაური და არა გამოსასყიდი ღმრთის წინაშე. ჯვარი აუცილებელია არა ღმრთის სიმართლის დასაცხრომად, არამედ ცოდვითა და სიკვდილით დასწეულზე უფრო ადამიანური ბუნების გასაცოცხლებლად. ადამიანი, რომელიც ქრისტეში კვდება, მისგან ახალ ჭეშმარიტ და სამარადისო ცხოვრებას იღებს. ქრისტეში სიკვდილი ძლეულია სიკვდილით, და ამამა ჯვრის საიდუმლო: „ჰურიათა სამე საცთურ, და წარმართთა სისულელე“ (1 კორ. 1, 23). სიკვდილის ძლევით ქრისტემ ეშმაკს მისი დიდებული იარაღი გამოაცალა.

წმ. იოანე ოქროპირი თავის სააღდგომო სიტყვაში ამბობს, რომ ეშმაკთან ერთად შერცხვა მისი სახლიც, ანუ ჯოჯოხეთი, როცა იგი, მიიღო რა მიწა, ცას შეხვდა.

12. ალღომა ქრისტესი

უფლის აღდგომა არის უდიადესი სასწაული და აზრისა და სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე.

სიკვდილით აღბეჭდილი, საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვით დაგვირგვინებული ქომაგობა სიმართლისა და სიყვარულისა, ქრისტემდეც იყო ცნობილი. მსგავს შემთხვევებში ადამიანს შეუძლია მოწინებით უჭვრეტდეს სიმართლის შინაგან ზეიმს. მაგრამ თუკი ამ შემთხვევაში სიმართლე სულიერად ზეიმობდა, ცხოვრება მაინც შეგინებული რჩებოდა. ხოლო როცა ქრისტე აღდგა, განცხადდა, რომ ჭეშმარიტება და სიყვარული სიკვდილზე ძლიერია და რომ თვით სიკვდილიც ჭეშმარიტებისა და სიყვარულისათვის არის მხოლოდ გარდასვლა ცხოვრების მარადიულ ზეიმში.

ქრისტეს აღდგომა არის სიხარული, ყოველგვარ სხვა სიხარულზე აღმატებული. აღსრულდა ყველაზე უფრო სასურველი, რაც შეიძლება ინატროს სიყვარულმა, — სატრფო სამარადისოდ ჩვენთან აღმოჩნდა და მეტად არაფერი ეშუქრება სიყვარულს. ისღა დაგვრჩენია, მის წინ დავემხროთ სიტყვებით: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“ (ინ. 20,28), რადგანაც ყოველგვარი ეჭვის შეტანა იმაში, რომ იგი ჩვენს დასახსნელად მოსული

განკაცებული ღმერთია, უკვე შეუძლებელია.

უფლის აღდგომა სხვა სიხარულსაც გვანიჭებს. იგია საწინდარი იმისა, რომ ჩვენცა და აგრეთვე ყველა, ვინც ჩვენ გვიყვარს, აღვდგებით და განუყრელად ერთად ვიქნებით, ისევე როგორც უფალთან, ოღონდ კი მას გავეყვით და მისი ბრწყინვალე აღდგომა ვირწმუნოთ.

ყველა მცდელობა ქრისტეს აღდგომის რწმენის შერყევისა განიფანტება, თუ ჩაუუკვირდებით სახარების მოწმობას. როგორ შეიძლება, მაგალითად, ლაპარაკი მოწაფეთა ჰალუცინაციებზე, როცა სახარება ადასტურებს მათ სასოწარკვეთას მაცხოვრის სიკვდილის შემდეგ, ჯიუტ ურწმუნობას აღდგომის შესახებ უწყების მიმართ და დაეჭვებასაც კი თვით მაცხოვრის გამოცხადებისას. ამავე დროს, ვის შეუძლია დაეჭვდეს იმ რწმენის ძალაში, რომლითაც მათ შემდეგში ქრისტეს აღდგომა ირწმუნეს. მოწმობდნენ რა ამის შესახებ, ქრისტეს მოწაფეები თავს სწირავდნენ და თავიანთი რწმენის ძალით უფალს მთელ ანტიკურ სამყაროს უმორჩილებდნენ. ასეთ ურყევ დარწმუნებას მხოლოდ ნამდვილი მოვლენა შეიძლება ედოს საფუძვლად.

სრულიად უსაფუძვლოა ზოგიერთი მცდელობა ქრისტეს აღდგომის რწმენის იმ ანტიკური მითების ზეგავლენით ახსნისა, რომლებიც მოგვითხრობენ ღმერთებზე, რომელნიც ჯერ მოკვდნენ და შემდეგ აღდგნენ. ეს იდეა სულ სხვა რიგისაა. ქრისტე მოკვდა და აღდგა არა როგორც ღმერთი, არამედ როგორც ადამიანი, ანდა ღმერთკაცი. ამგვარი წარმოდგენა სრულიად უცხოა ძველი რელიგიებისთვის. უაზრო და ფანტასტიკურია უფლის აღდგომის ნატურალისტური ახსნის მცდელობანი. მაგალითად, თითქოს, ქრისტე მხოლოდ მოსულიერდა, როცა იგი გულშეღონებული გარდამოხსნეს ჯვრიდან. ძალას კარგავს ცილისწამებაც, რომელზეც თვით სახარება მიუთითებს, რომ თითქოს ქრისტეს სხეული მოწაფეებმა მოიპარეს. ეს ცილისწამება, რომელმაც ვერც იუდეველებსა და ვერც წარმართებში ვერ ჰპოვა მხარდაჭერა, განიფანტება სახარებისეული მოთხრობის სიმართლით და ქრისტიანობის მთელი შემდგომი ისტორიით; „ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვპრწმენე“* (ინ. 20, 29), — ამბობს უფალი; ასეთი ურიცხვი არამხილველნი, მაგრამ მორწმუნენი თვითმხილველთა დარად, აგრეთვე, ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტი მოწმეები არიან ამ უდიდესი სასწაუ-

* ესე იგი: ნეტარ არიან, რომელთაც არ ვუნახივარ და ირწმუნეს ჩემი აღდგომა.

ლის სასიხარულო სულიერი განცდისა გამო. მართლმადიდებლური ეკლესია მდიდარია ასეთი სულიერი გამოცდილებით, და იგი მით უფრო დამაჯერებელია, რაც მეტად ახლავს ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს თვითონ მორწმუნეთა სულიერი აღდგომა.

ეკლესიის მოძღვრების მიხედვით, უფლის აღდგომას წინ უძლოდა მისი ჩასვლა ჯოჯოხეთში, მიცვალებულთა სულების სამყოფელში; ეს იყო მისი დამდაბლების უმაღლესი ხარისხი და იმავედროულად დასაწყისიც გამარჯვებისა და ზეიმისა. ქრისტემ ჯოჯოხეთისაგან იხსნა სულები, რომელნიც მის მოსვლას რწმენით ელოდებოდნენ (1 პეტ. 3,18-22; 4,6; კოლ. 2,15).

აღდგომისას ქრისტეს სხეული გარდაქმნილი, განდიდებული, სულიერი, ესე იგი მთლიანად სულს დაქვემდებარებული იყო. სივრცე და დრო ვერ ზღუდავდნენ აღდგომილ უფალს. ის ეცხადებოდა სხვადასხვა ადგილას, გადიოდა დახშულ კარებში. ცხადია, ის უკვე არ საჭიროებდა ამქვეყნიურ საკვებს, მაგრამ მოწაფეთა დასარწმუნებლად მაინც ჭამდა მათ თვალწინ. აღდგომილი უფლის სხეულმა შეინარჩუნა მისთვის მიყენებული ჭრილობები. ეს არის მითითება იმაზე, რომ ვნებანი, თავდადება და ყოველივე ღირსეული, ქმნული მართალთა მიერ, თავის ადგილს ჰპოვებს მათ საუკუნო განდიდებაში.

13. ამაღლება ქრისტესი

ამქვეყნად უფალი იესო ქრისტეს მსახურების უკანასკნელი საქმე იყო მისი ამაღლება. იგი აღსრულდა აღდგომიდან მე-40 დღეს, როცა, მახარებელთა სიტყვებით, „ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით ღმრთისა“ (მრკ.16,19; ლკ.24,51; საქმ.1,9). ამ მოვლენაში უნდა ვიგულისხმოდ არა ხორციელი გადასახლება უფლისა ხილული ცის რომელიღაც სფეროში, არამედ უფლის მიერ ჩვენი ადამიანური ბუნების (სხეულის ჩათვლით) ამაღლება მამა ღმერთის უშუალო მახლობლობაში. ეს კი არის არა მხოლოდ ადამიანური ბუნების დახსნა ცოდვისა და სიკვდილისაგან, არამედ მისი უკიდურესი განდიდება, განღმრთობა, რისი მიღწევაც ადამიანს შეუძლია, თუკი იგი ყოვლითურთ უფალს მიენდობა. მამასთან ზეცად აღსვლისას, იესო ქრისტემ აღგვითქვა (სხვაგვარად) ჩვენთან ყოფნა ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა და კვლავ დიდებით დაბრუნება ქვეყნად თავისი მეუფების საბოლოოდ დასამყარებლად. ქრისტეს ამაღლება — ეს არის აგრეთვე საწინდარი სულიწმიდის გარ-

დამოსვლისა, რომლის წარმოგზავნაც უფალმა მამისაგან აღგვითქვა. სულიწმიდა შეიძლებოდა გადმოსულიყო ადამიანებზე მხოლოდ იმის ძალით, რომ ძე ღმრთისამ, იესო ქრისტემ, ბოლომდე განამზადა, ესე იგი თავის თავში აკურთხა ჩვენი ადამიანური ბუნება. ამაღლების შემდეგ სულიწმიდის მეშვეობით უფალი უხილავად ისევ ჩვენთანაა თავისი სიტყვით, რომელიც წმიდა წერილში, წმიდა საიდუმლოებსა და სულიწმიდის ყოველგვარ კურთხეულ წყალობაშია აღბეჭდილი.

14. მსახატოლობა

უფლის ამაღლების შესახებ მის მოწაფეებს ანგელოზებმა აუწყეს: „ესე იესო, რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“ (საქმ. 1,11). თვითონ უფალს არაერთხელ უთქვამს იგივე, განმარტავდა რა, რომ მისი მოსვლა იქნებოდა მსგავსი ელვისა (მთ. 24,27) და რომ მას ღრუბლით მომავალს იხილავდნენ დიდითა ძალითა და დიდებითა (ლკ. 21,27; მრკ. 13,26).

უფალმა გაამჟღავნა, რომ მის მეორედ მოსვლას დიდებით წინ წარუძღვებოდა უჩვეულო ისტორიული და კოსმიური უბედურებანი, ხოლო მოციქულებმა განმარტეს, რომ ახლანდელი დედამიწა და სამყარო დაიღუპება და რომ „წესნი იგი დაიწუნენ და დაზულენ და ქუეყანად და მას შინა საქმენი დაიწუნენ“ (2 პეტ. 3, 10). მაგრამ სამყარო საბოლოოდ როდი დაიღუპება, იგი გარდაისახება და წარმოიშობა ახალი ცა და ახალი ქვეყანა, „რომელსა შინა სიმართლე დამკვიდრებულ არს“ (2 პეტ. 3,13). ამავე დროს ყველა მკვდარი აღდგება, ცოცხლები კი განახლდებიან და გარდაისახებიან (1კორ. 15,51-54). უფალი მეორედ მოვა, რათა ყველა განსაჯოს და ღირსეულთათვის სამუდამოდ დაამკვიდროს თავისი სასუფეველი. ამგვარად, ჩვენი ცხოვრება არის მზადება მომავალი სამსჯავროსათვის, რისთვისაც ყველა ადამიანი... რაღაცას იმზადებს (2 პეტ. 3, 7); ბოროტების გზით მავალნი სასჯელს მოიმზადებენ, ხოლო სიკეთის გზით მავალნი — მარადიულ ცხოვრებას (მთ. 13,24-30; 47-49; 25, 1-13; 31-46; რომ. 2,5-12; 2 თეს. 1,5-10; ებრ. 6,2).

უფალმა იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს უთხრა, რომ ჟამი სამყაროს აღსასრულისა, ანუ დღე უფლისა, არავის ეცოდინება გარდა მამა ღმერთისა; მაგრამ უფალმა მიუთითა აღსასრულის მოახლოების ნიშნებზე (მთ. 24,14-44). განსაკუთრებული სიმბოლოებით იგივეა მოთხრობილი წმიდა იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადებაშიც (აპოკალიფსში). ამ

ნიშნითა შორის არსებითია: ბრძოლის გამწვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის, სიმწიურე რწმენისა და სიყვარულისა, უშჯულოებათა გამრავლება და ბოროტების უჩვეულო კონცენტრაციის გამოვლენა ერთ პიროვნებაში — ანტიქრისტეში.

პირველი ქრისტიანები სამყაროს აღსასრულს მალე ელოდებოდნენ, სხვა ეპოქებშიც არაერთხელ გამწვავებულა ეს მოლოდინი.

ადამიანებს წმინდანებთან ერთად იესო ქრისტე გაასამართლებს, მაგრამ სამსჯავროზე თავისუფლება ყოველ მათგანს შეუნარჩუნდება, საქმენი, აზრები და გრძნობები ყოველი კაცისა ყველას წინაშე გამოქვამდება; ყველა შეიტყობს ერთი-მეორის ცხოვრების შესახებ. ღმრთის სამართლიანობის შუქზე ცხადი გახდება, როგორ უნდა შეფასდეს თითოეული ადამიანი და მისი ცხოვრება. განაჩენი იურიდიული სახით როდი უნდა წარმოვიდგინოთ; გამართლება, ანდა განსჯა არც ჯილდოა და არც სასჯელი, არამედ შედეგი ან ნაყოფი ამა თუ იმ ცხოვრებისა, უპირველესად კი მის მიერ აღებული გეზისა სიკეთისა თუ ბოროტებისაკენ. სასჯელის ან ნეტარების ხარისხები სხვადასხვა იქნება, მაგრამ შედარებით ნაკლებ ხარისხს თან არ ეხლება მოკლების განცდა. ადამიანის ყველა საუკეთესო მისწრაფებანი მომავალ საუკუნეში მიიღებს დასრულებას. ეკლესიის მრავალი მასწავლებელი ფიქრობს, რომ სრულყოფილების თვალსაზრისით გაზრდა მომავალ საუკუნეში ღმერთთან და სხვა ნეტარ არსებებთან უფრო მეტ ერთიანობაში, თავად ღმერთისა და მისი ხატის სილამაზის (რომელიც ადამიანთა შორის ამ სამყაროშიცაა არეკლილი) ჭვრეტაში მდგომარეობს. მსჯავრის დადება კი წმიდა მამების მიერ გაგებულა როგორც განკვეთა ღმრთისაგან და ამით იმის შესაძლებლობისგანაც, რომ უყვარდეს, ხოლო ზოგიერთი მამის აზრით — როგორც დაუცხრომლობა ცოდვიანი სურვილებისა. ისინი ფიქრობენ, აგრეთვე, რომ მომავალ საუკუნეში გაიგივდება შინაგანი (სულიერი) და გარეგნული სამყარო და რომ ნეტარებისა და ტანჯვის სულიერ მდგომარეობას თავისი სხეულებრივი გამოხატულებაც ექნება იმდენად, რამდენადაც მკვდარნი სხეულებითაც აღდგებიან, თუმცა აღმდგარი სხეულები სულიერი იქნება.

ბ. მოქალაქეობა სულიწმიდის უმსახეზ

ღმრთეებრივი გამოცხადება და ჩვენი ხსნა მთელი წმიდა მამების საქმეა, მაგრამ ღმერთი ჩვენ მისი ძის, იესო ქრისტესა და სულიწმიდის

მეშვეობით გამოგვეცხადა და მათი მეშვეობითაც გვიხსნის. როგორც ღმერთი, ქრისტე ახლოსაა ჩვენთან, რადგანაც განკაცდა; ასევე ახლოსაა სულიწმიდაც, რამდენადაც იგი ჩვენში მკვიდრდება და ქრისტესთან გვაერთებს.

1. სულიწმიდა ახელ აღთქმაში

ძველ აღთქმაში სულიწმიდა ჰიპოსტასურად, პიროვნულად კი არ ვლინდება, არამედ როგორც ღმრთეებრივი ძალა. ძველი აღთქმის წიგნებში მას ჩვეულებრივად სული ღმრთისა ეწოდება. ასეა ნათქვამი მის მოქმედებაზე სამყაროს შექმნისას (დაბ. 1,2) და მის განმგებელ ქმედებაზე როგორც სიცოცხლის მომნიჭებელისა და მცველისა (ფს. 103,30; 138,7; იობ. 27,3; 33,4 და სხვ.), მაგრამ ზოგჯერ მოიხსენიება როგორც დამსჯელიც, მაგალითად ეგვიპტელებისა (გამს. 15,10). მათში არის აგრეთვე დამოწმებანი სულიწმიდის ზემოქმედების შესახებ ადამიანის სულზე, რომელსაც იგი განსაკუთრებულ ცოდნასა და შთაგონებას ანიჭებს, აქცევს რა მას წინასწარმეტყველად, მაცნედ და იარაღად ღმრთეებრივი განგებულებისა. ამგვარ რჩეულებზე ნათქვამია, რომ სული ღმრთისა იყო მათთან, რომ ისინი აღსავსენი იყვნენ ღმრთის სულით, რომ იგი გარდამოვიდა და განისვენა მათზე (გამს. 31,3; 1 მეფ. 10,10; 19,20; 2 სჯ. 15,1; ნემ. 9,20; 9,30). არაერთხელაა ნათქვამი აგრეთვე ღმრთის სულზე, რომელიც მთელ რჩეულ ხალხზე განისვენებს (რიცხვ. 24,2; ნემ. 9,20; 9,30).

თვითონ წინასწარმეტყველები მომავალში სულიწმიდის კიდევ უფრო განსაკუთრებულ ზემოქმედებას ჭვრეტდნენ განსაკუთრებულ რჩეულზე — მესიაზე. ასე მაგალითად, ესაია ამბობს: „და გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესსა... და განისვენოს მის ზედა სულმან ღმრთისამან, სულმან სიბრძნისა და გულისხმის-ყოფისა, სულმან განზრახვისა ძლიერებისა, სულმან მეცნიერებისა და ღმრთისმსახურებისა“ (ეს. 11,1-2; 42,1). არის სხვა წინასწარმეტყველებანიც (მაგალითად, ეს. 52,13; 53,12; 61,1). წინასწარმეტყველები წინასწარმეტყველებდნენ აგრეთვე სულის განსაკუთრებულ გადმოღვრას რჩეულ ხალხზე (მაგალითად, ეზეკ. 37,14; 39,29; ინ. 2,28-29). იოველის წინასწარმეტყველებას ეყრდნობა მოციქული პეტრე სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს. ძველ აღთქმაში გვხვდება აგრეთვე დამოწმება სულიწმიდის მაკურთხეველი ზემოქმედებისა ცალკეული ადამიანის სულზე (მაგალითად, 50-ე ფს. და სხვ.).

2. სულიწმიდა აკურთხებს კველი აღთქმის ეკლესიას

სიწმინდე რჩეული ხალხისა განპირობებული იყო არა მხოლოდ იმით, რომ იგი ღმრთის სიტყვას (სჯულს) იცავდა, არამედ იმითაც, რომ სული ღმრთისა იყო მასთან, მის ტაძარსა და წინასწარმეტყველებში. ყოველივე ეს ემსახურებოდა მომზადებას მაცხოვრის მოსვლისათვის. ღმრთის სულმა მოამზადა მისთვის ადგილი სამყაროში. წინასწარმეტყველთა რწმენა არასოდეს ჩამკვდარა ისრაელში. მაცხოვარმა თვითონ დაამოწმა ღმრთივეშთაგონებულობა დავითისა (მთ. 12,3-4), ხოლო მოციქულებმა — საერთოდ წინასწარმეტყველებისა. წინასწარმეტყველთა გარემოში მიმდინარეობს პირველი მოვლენები ახალი აღთქმისა, რადგანაც წინასწარმეტყველები უნდა ვუწოდოთ იოაკიმესა და ანას, ზაქარიასა და ელისაბედს, სიმეონსა და ანას, დამწინდველ იოსებსა და წმიდა იოანე წინამორბედს.

3. სულიწმიდა ღმრთის განხორციელებასა და ღმრთის განცხადებაში

უფლის მუცლადღების ჟამს სულიწმიდა გარდამოვიდა მარადქალწულ მარიამზე, ხოლო როცა მაცხოვარი ინათლებოდა, იგი მასზე მტრედის სახით განცხადდა. როგორც წმიდა სამების მეორე პირი, უფალი განუყრელია სულიწმიდისაგან, მაგრამ ნათლობის შემდეგ ეს განუყრელობა წარმოაჩინა, თუმცა სახარება მხოლოდ ცალკეულ მომენტებს აღნიშნავს სულიწმიდის მიერ უფლის წინამძღოლობისა (მთ. 12,18; მრკ. 1,12; ლუკ. 4,14; 4,18).

4. უფლის მოძღვრება სულიწმიდის შესახებ

სულიწმიდის შესახებ მოძღვრებას უფალმა საფუძველი ჩაუყარა თავის თავის შესახებ როგორც ცხებულზე საუბრით, როგორც ეს ესაიას ჰქონდა ნაწინასწარმეტყველები (ლკ. 4,18; ეს. 61,1). ნიკოდიმოსთან საუბარში უფალმა გაამჟღავნა სულიწმიდისაგან ნათლობის მეშვეობით ადამიანთა მეორედ შობის საიდუმლო (ინ. 3,5-6, 8-34), ხოლო სამართელ დედაკაცთან საუბარში (ინ. 4,13-14) და კარვების დღესასწაულზე (ინ. 7,37-39) — სულიწმიდაში ახალი მადლისმიერი ცხოვრების საიდუმლო, აღწერა რა იგი (სულიწმიდა) ცხოველი წყლის სახით.

უფალმა აღუთქვა სულიწმიდის შემწეობა მისთვის დევნილთ (მრკ. 13,11; ლკ. 12,12) და სულიწმიდის მინიჭება ყველა მის მთხოვნელს (ლკ.

11,13). უფლის ყველა სასწაული დამოწმება იყო სულიწმიდის, როგორც სიყვარულის ცხოველყოფელი ძალის შესახებ, ხოლო ეჭვს იმისა, რომ ისინი აღესრულება არა სულიწმიდის ძალით, უფალმა მიუტყვებელი გმობა უწოდა (მთ. 12,32; მრკ. 3,29).

უფლის მოძღვრება სულიწმიდის შესახებ მთავრდება მის გამო-სათხოვარ საუბარში (ინ. 14,15 და 16 თავები). მასში უფალი უკვე პირდაპირ აღგვითქვამს სულიწმიდის წარმოგზავნას, „რომელი მა-მისაგან გამოვალს“, რათა იგი ქვეყნად იმყოფებოდეს. განმარტავს რა, რომ სულიწმიდის წარმოგზავნა განპირობებულია მისი, ქრისტეს, გამომსყიდველი მსხვერპლით, უფალი აღუთქვამს მოწაფეებს, რომ სულიწმიდა მოაგონებს მათ მის ყველა სიტყვას, ასწავლის ყველაფერს და იქნება მათი წინამძღოლი. ამ აზრით სულიწმიდას ეწოდება სული ჭეშმარიტებისა და სული ქრისტესი. იმავე საუბრიდან ცხადი ხდება, რომ სულიწმიდა მიეცემა მხოლოდ მათ, რომელთაც ქრისტე ირწმუნეს და სიყვარულით ერთობისაკენ ისწრაფვიან. სულიწმიდა აერთიანებს მორწმუნეებს ქრისტესთან და ერთმანეთთან, ყოველივე იმის დაძლე-ვით, რასაც კი ადამიანების ქრისტესგან და ერთმანეთისგან დაშორება შეუძლია. ამიტომ არის სულიწმიდა ნუგეშისმცემელი, იგი იძლევა სიხარულს, რომლის წართმევაც არავის არ ძალუძს.

5. სულიწმიდის გარდამოსვლა და ეკლესიის ცხოვრება

უშუალოდ თავისი ამაღლების წინ უფალმა სახეიმოდ დაუდასტურა მოწაფეებს, რომ ისინი სულიწმიდით მონათლებოდნენ (საქმ. 1,5-8), და ეს დაპირება აღსრულდა, როცა აღდგომიდან მეერგასე დღეს სუ-ლიწმიდა ცეცხლოვანი ენების სახით გადმოვიდა ქრისტეს ერთგულ მიმდევართა თემზე. ამ მოვლენით დაიწყო ეკლესიის ცხოვრება და წიგნი „საქმე მოციქულთა“ არის სახარება სულიწმიდისა და ეკლესიის შესახებ.

სულიწმიდის მიმღებნი ძირეულად შეიცვალნენ, აღივსნენ სიამა-აცითა და სიბრძნით, შეიძინეს ადრე მათთვის უცნობი ენების ცოდნა და გახდნენ ქრისტეს აღდგომისა და ჭეშმარიტების მოშურნე მოწმეები. ამ დღიდან ქრისტეს ყველა ჭეშმარიტი მახარებელი ცხოვრობს და მოქმედებს უმაღლესი შთაგონებით სულიწმიდისა, რომელიც ეკლესიის მფარველი გახდა. მოციქულთა საქმის წიგნიდან ჩანს, რომ იგი ცხადად იჩინეს თავს ეკლესიის სამლოცველო შეკრებებზე (საქმ. 4,31) და უფლის

სიტყვის ყოველ მქადაგებელში (საქმ. 4,8; 5,32; 7,55 და სხვ.). როგორც ეკლესიის მცველი, სულიწმიდა ზრუნავს მის ზრდაზე, უპირველესად იუდეველთა და პროზელიტთა (ე. ი. იუდეველთა სარწმუნოებაზე მოქცეულ წარმართთა) შორის (საქმ. 8,15-17, 26-40; 9,17-18,31), ეკლესიის შინაგანი ცხოვრების ისე მოწყობით, რომ არაფერი არ ამხელდეს ქადაგებებს (საქმ. 6,2-6), მახარებელთა დარიგებით (საქმ. 13,52; 20; 22-23) და მითითებით, თუ სად უნდა მივიდნენ (საქმ. 10,19-20) და სად არ უნდა მივიდნენ (საქმ. 16,6-7). სულიწმიდა ხელმძღვანელობს წარმართთა, მაგალითად, კორნილიოს ასისტავის, მოქცევას (საქმ. 29,1-11,18) და პავლე და ბარნაბა მოციქულების წარგზავნას.

სულიწმიდა იმდენად განუყოფელია ეკლესიისაგან, რომ მისი მოტყუების მცდელობა მელანდებდა როგორც თვითონ მისთვის ნათქვამი სიცრუე (საქმ. 5,1-9). ეს შემთხვევა (ანანიასა და საპფირას შეცოდება და დაღუპვა) მოწმობს იმას, რომ ეკლესიაში ყოველგვარი ძალაუფლების წყარო არის სულიწმიდა, რის შესახებაც არსებობს სხვა დამოწმებებიც (საქმ. 20,28).

6. სულიწმიდის მოქმედება ადამიანზე

მოციქულთა ეპისტოლეებში ადამიანზე სულიწმიდის ზემოქმედება უფრო ნათლად ვლინდება მამა ღმერთის იღუმალ განგებულებასთან და უფალი იესო ქრისტეს მაცხოვრებელ საქმესთან კავშირში: სულიწმიდა ღმრთის ძესთან ერთად ჩვენს თავს მამა ღმერთს აშვილებს (ეფ. 2,18), ღმრთის ძეებად გვაქცევს (რომ. 8,15) იმის გამო, რომ იგი თვითონ არის ძის სული, სული ქრისტესი (გალ. 4,6; ფილ. 1,19; რომ. 8,9). ეს შვილება ჩვენ გვათავისუფლებს, რადგან სულიწმიდა არის სული თავისუფლებისა (2 კორ. 3,17), და არა მონობისა და შიშისა (2 ტიმ. 1,7); ამიტომაც ღმრთის შვილები მამის ნებას ემორჩილებიან არა შიშის, არამედ ძეებრივი სიყვარულის გამო. უფალთან ერთად სულიწმიდა ათავისუფლებს ადამიანს ცოდვის მონობისგანაც.

7. სულიწმიდის ნაყოფი და ნიჭი

მოციქულთა ეპისტოლეებში მელანდებდა აგრეთვე ცალკეული ადამიანის შინაგანი ცხოვრებისათვის სულიწმიდის მთელი მნიშვნელობა და ჩამოთვლილია მისი სულიერი ნაყოფები და ნიჭიერებანი. ეს ნაყოფებია: „სიკეთე, სიმართლე და ჭეშმარიტება“ (ეფ. 5,9); სხვაგან კიდევ: „სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულ-გრძელობა, სიტკბოება,

სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება. ესევე-თართათვის არა სძეს სჯული“ (გალ. 5,22-23). ეს იმას ნიშნავს, რომ სულიწმიდის სრულად მიმდებელნი უკვე არ საჭიროებენ გარეგნული წესებით ხელმძღვანელობას, რადგანაც სულიწმიდა თავად დააკვალიანებს მათ ყოველგვარი სიძარტლით.

სულიწმიდის ნაყოფთაგან უნდა განვასხვავოთ მისი ნიჭი, რომლებიც არიან არა მადლისმიერი განწყობანი გულისა, არამედ მოყვასისა და ეკლესიის სასარგებლოდ ადამიანის მსახურებისა და მოღვაწეობის სახეები. პავლე მოციქული ამბობს: „ხოლო განყოფანი მადლთანი არიან, და იგივე სული არს... რომელსამე სულისა მისგან მიცემულ არს სიტყუად სიბრძნისაჲ, ხოლო სხუასა სიტყუად მეცნიერებისაჲ, მითვე სულითა, შეწევნანი ძალთანი, რომელსამე წინაღწარმეტყველებად, რომელსამე განკითხუად სულთაჲ, და სხუასა თესლად-თესლადი ენათაჲ“ (1 კორ. 12,4, 8-10). ერთი ქრისტიანის ნიჭიერების ჰარმონიული შეერთება სხვათა ნიჭიერებასთან ეკლესიას ცოცხალ ორგანიზმად, ქრისტეს სხეულად აქცევს. სულიწმიდის ნიჭებს მიეკუთვნება აგრეთვე ეკლესიაში იერარქიული მსახურების ნიჭიც.

მაგრამ ყოველგვარი ნიჭიერება მხოლოდ საშუალებაა უფრო დიდის, მათ შორის კი — უაღმატებულის, ერთდროულად სულიწმიდის ნიჭისა და ნაყოფის — სიყვარულის მოსაპოვებლად, რომლის შესახებაც პავლე მოციქული ამბობს, რომ მასთან შედარებით ყველაფერი არარაობაა, რადგანაც, თუნდაც „შევაჭამო ყოველი მონაგები ჩემი, და მივსცნე ჳორცინი ჩემნი დასაწუველად, და სიყვარული არა მაქუნდეს, არარაფე სარგებელ-არს ჩემდა“ (1 კორ. 13,3). პავლე მოციქულის კვალდაკვალ ასე გვასწავლის ეკლესიის ყველა მამა. XIX საუკუნის დასაწყისში, რუს წმინდანთა შორის, შესაძლოა, ყველაზე დიდი, ღირსი სერაფიმე საროველი ასწავლიდა, რომ ქრისტიანული ცხოვრების მიზანია სულიწმიდის მოხვეჭა და რომ ყოველი ქრისტიანული შრომა და ღვაწლი, როგორებიცაა: კეთილი საქმეები, მარხვა, ღოცვა და სხვ. მხოლოდ საშუალებებია ამ მიზნის მიღწევისა. როცა ამ მოძღვრებას თავის მოწაფეს ნ. მოტოვილოვს უხსნიდა, ღირსმა სერაფიმემ ფერი იცვალა: მისი სახე შხესავით გაბრწყინდა, მერე კი ილოცა და საშუალება მისცა თავის მოწაფეს განეცადა სულიწმიდის მადლისმიერ ნიჭთა არაჩვეულებრივი სისავსე და ძალა, სახელდობრ: ყოველგვარ მიწიერ წარმოდგენას აღმატებული სიმშვიდე, სიწყნარე, სიხარული, სიტკბოება, სითბო, კეთილსურნელება,

სინათლე. სულიწმიდის ეს ნიჭი უქმნელია: წმიდა მამები მათ ღმრთიურ ენერგიებს, ე. ი. ღმრთეებრივი ცხოვრების გამოვლენას უწოდებენ, რომელიც გვეძლევა მამისაგან, ძის მიერ, სულიწმიდით, და რომელსაც ვეზიარებით სულის ნაყოფთა შეწირვით.

სულიწმიდის ნიჭთა შემნახველი არის წმიდა ეკლესია.

დ. ეკლესია

„მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“, — ამ სიტყვებით სარწმუნოების სიმბოლოში თავად ეკლესიამ აღბეჭდა მოძღვრება თავისი თავის შესახებ.

1. ეკლესიისადმი რწმენა

შეცნობა იმისა, თუ რა არის ეკლესია, მხოლოდ მასში ცხოვრებით შეიძლება; ამიტომ ეკლესიის რაციონალურად განსაზღვრა შეუძლებელია. ამგვარი შინაგანი შეთვისება ეკლესიისა არის სწორედ მისი რწმენა, რწმენა მისი არსისა, რომელიც მხოლოდ გარეგანი გრძნობებითა და დისკურსიული აზროვნებით* როდი შეიცნობა. ამავე გზით შევიცნობთ ჩვენ, მაგალითად, ვუყვარვართ თუ არა მავანსა და მავანს, ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ — მოყვარე.

2. რა არის ეკლესია

ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, უნდა ჩავუფიქრდეთ იმას, თუ წმიდა წერილში რა არის ნათქვამი ეკლესიის შესახებ. ასე მაგალითად, მოციქულთა ეპისტოლეებში ეკლესია „ღმერთის სახლად“ (1 ტიმ. 3,15), „ღმერთის ქალაქად“ (ებრ. 12,22), მორწმუნეთა დედად (გალ. 4,26) და, ბოლოს, უფალი იესო ქრისტეს სხეულად იწოდება, რომლის თავიც თვითონვე არის (რომ. 12,5; 1 კორ. 6,15; 12, 12-28).

სახარებაში კი თავად უფალი ლაპარაკობს ეკლესიაზე როგორც ცხვართა ეზოზე, ვენახსა და ბაღეზე. ეკლესიას შეიძლება მივაკუთვნოთ ბევრი რამ, რაც ცათა სასუფეველის შესახებ თქმულა, რადგანაც ეკლესიის მოძღვართა სიტყვებით, იგი ცათა სასუფეველის დასაწყისია დედამიწაზე, „მარცვალნი მდოგვისა“, რომელიც დიდ ხედ იქცევა (მთ. 13,31-32). ამის საფუძველზე ამბობენ აგრეთვე, რომ ეკლესია ღმრთის

* დისკურსიული აზროვნება განსჯითი, თანმიმდევრული მსჯელობაა, რომლის დროსაც ყოველი მოძღვენო აზრი ლოგიკურად გამომდინარეობს წინამავალისაგან (რედ.).

სიტყვის ზრდაა ჩვენში: „სიტყუა იგი ღმრთისაჲ აღორძინდებოდა და განმრავლდებოდა“, — ასეა ნათქვამი მოციქულთა საქმის წიგნში (12,24), და ეს ეკლესიის შესახებაა ნათქვამი. საფუარის შესახებ იგავის განმარტებისას (ლკ. 13,21) ეკლესიის მრავალი მამა ამტკიცებს, რომ სწორედ ეკლესიაა ერში შერთული ახალი ცხოვრების ეს საფუარი.

3. მკლესიის მართობა

მაინც რაში მდგომარეობს ეს ახალი ცხოვრება?

ეკლესიაში მცხოვრებთათვის არ არის ძნელი დასანახი, რომ ეს ცხოვრება, უპირველეს ყოვლისა, ღმრთეებრივ სიყვარულში ცხოვრებაა ანუ ყველა ქრისტიანის ერთობა სიყვარულში ყოვლადწმიდა სამების პირთა ერთობის მსგავსად (ინ. 17 თ.), ანუ ისეთი ცხოვრებაა, რომელიც ეკლესიაში შემავალ პირთა სიმრავლეს, თითქოს ერთ არსებად აქცევს. ამ გაგებით ეკლესია არის ერთობა. იგი არის ჭეშმარიტ მორწმუნეთა ერთობა ღმერთთან და ერთმანეთს შორის.

სარწმუნოების სიმბოლოში ეკლესიის პირველ თვისებაზე მითითებით: „მრწამს ერთი... ეკლესია“, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ამ ერთობის რწმენას ვაღიარებთ.

4. ჰიე ამრთიანებს მკლესიას?

როგორაა შესაძლებელი ასეთი ერთობა?

ჩვენ ბუნებით ერთად, ანუ ერთარსად ვართ შექმნილნი, მაგრამ ეს ერთობა ცოდვითაა დაზიანებული. მისი აღდგენა ღმრთის განკაცების ძალითა და სულიწმიდის მადლით ხდება.

უფალ იესო ქრისტეში თვით ღმერთის ცხოვრება ადამიანის ცხოვრებად იქცა. ჰქონდა რა თავის თავში ღმრთეებრივი ცხოვრება (ცხოვრება თვით ცხოვრებისა), ქრისტე ყოველი ჩვენგანის ცხოვრებად იქცა და ამიტომ ყოველი ჩვენგანი ჰყავს თავის თავში და თავის თავს ყოველ ჩვენგანს აძლევს.

ქრისტეში აღსრულებული კაცობრიობის ეს ზიარება საღმრთო ცხოვრებასთან თავისუფლად უნდა იქნას შეთვისებული თითოეული ადამიანის მიერ, რაც სულიწმიდის მადლის მიღებითა და შეთვისებით ხორციელდება. ამგვარად, ადამიანთა ერთობა თვით უფალ იესო ქრისტეს ძალითა და სულიწმიდის მიერ, ესე იგი კაცობრიობის კურთხევის გზით იქმნება.

5. ეკლესიის ერთობა და სიწმიდე

შეიძლება სხვაგვარად ვთქვათ, რომ ეკლესია ერთია იმიტომ, რომ იგი წმიდაა. ეკლესიის ეს ორი თვისება ერთმანეთს განმარტავს და ერთად კი ერთ მთელს შეადგენს.

სარწმუნოების სიმბოლოში იმის აღიარებით, რომ ეკლესია არის ერთი და წმიდა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეკლესიის ერთობა ხორციელდება არა ადამიანური ძალით, არამედ ჩვენთვის მონიჭებული ღმრთეებრივი სიყვარულით. ეს ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ ეკლესია არ არის მხოლოდ ადამიანთა საზოგადოება ანდა კავშირი, არამედ ღმერთკაცებრივი ერთობა, ესე იგი ადამიანების კავშირი ღმერთთან და ერთმანეთს შორის.

სიწმიდე არის სიახლოვე ქრისტესთან და მის სიწმიდესთან ზიარება, მაგრამ უფალი იქ არის, „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა მისისათვის“ (მთ. 18,20); მაშასადამე სიწმიდეც იქ არის, სადაც რამდენიმე ადამიანი შეკრებილია ქრისტეს სახელით. და მართლაც, ქრისტემ დააფუძნა ეკლესია და არის მისი თავსაკიდური ღოდი; მიუხედავად ამისა, ეკლესია იწყება ერგასის დღიდან, როცა სულიწმიდა გადმოვიდა ქრისტეს მორწმუნე ადამიანებზე.

უფალი იესო ქრისტე ჩვენ ეკლესიაში გვკრებს იმიტომ, რომ იგი სწორედ იმისთვის მოვიდა, რათა ყველანი ერთად შევეკრიბეთ, ხოლო სულიწმიდა გვაერთიანებს იმიტომ, რომ იგი ყოვლისმომცველი ღმრთეებრივი სიყვარულია.

ამ ერთიანობისათვის ლოცულობდა უფალი: „რადთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო, და მე შენდამი, რადთა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყვნენ. ...რადთა იყვნენ სრულ ერთობითა“ (ინ. 17,21 და 23).

როცა ქრისტეში ეკლესიის ერთიანობაზე ლაპარაკობს, პავლე მოციქული მას ქრისტეს სხეულს უწოდებს, ხოლო უფალს — მის თავს. იგივე აზრი გამოიხატება, როცა ეკლესია ქრისტეს სასძლოდ იწოდება. ეკლესიაში მორწმუნეები მამა ღმერთს ეშვილებიან და ამგვარად ეზიარებიან ყოვლადწმიდა სამების ცხოვრებას. ეკლესიაში აისახება სამებისმიერი სიყვარულის ხატი, და იგი ყოვლადწმიდა სამების საუფლოა, ესე იგი სიყვარულის საუფლო. უსიყვარულოდ არ არის ეკლესიაც. „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“, — ბრძანებს უფალი (ინ. 13,35).

ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია და ეკლესიის ყოველ წევრს, როგორც ორგანიზმის უჯრედს, შეუძლია ცხოვრობდეს მხოლოდ ამ ორგანიზმის კანონების მიხედვით, ესე იგი სიყვარულის კანონის მიხედვით.

6. ეკლესიის ერთობის ნიშნები

ეკლესიის ერთობა გამოვლინდება და იმავდროულად იქმნება სარწმუნოების ერთობის მეშვეობით (ეკლესიის გარდამოცემა), საიდუმლოთა და ლოცვის ერთობის მეშვეობით, საეკლესიო იერარქიისა და ეკლესიის მოწყობის ერთობის მეშვეობით. პავლე მოციქული წერს: „ერთ ზორც და ერთ სულ, ვითარცა-იგი იხინებით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქუენისაჲთა; ერთ არს უფალ, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლის-ღება, ერთ არს ღმერთი და მამაჲ ყოველთაჲ, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის“ (ეფ. 4,4-6).

7. ეკლესიის კათოლიკეობა ანუ საყოველთაოება

„მრწამს... ერთი წმიდა კათოლიკე... ეკლესია“.

„კათოლონი“ ბერძნულად ნიშნავს „ის, რაც საერთოა“, „ის, რაც ერთადაა“. ეკლესიის კათოლიკეობა და საყოველთაოება მისი ერთობიდან და სიწმინდიდან გამომდინარეობს. მართლმადიდებლური ეკლესია ინახავს ქრისტიანული სარწმუნოების სისავეს და მის შესახებ მთელი ქვეყნიერების წინაშე ამოწმებს, რაც სწორედ ჭეშმარიტი მსოფლიო ეკლესიის ნიშანია.

ეკლესიის კათოლიკეობა, ერთი მხრივ, უნდა გვესმოდეს როგორც მისი საზღვრების დროითა და სივრცით შეუზღუდველობა, ე. ი. მსოფლიურობა, მეორე მხრივ კი, როგორც მისი ერთიანობის კონკრეტული გამოხატულება, ანუ მის წევრთა უაღრესი ერთობა ეკლესიის ცხოვრების ყველა სფეროში.

8. ეკლესიის უცოდველობა

ასე გაგებული ეკლესიის „კათოლიკეობა“ კიდევ იმაზე მიუთითებს, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიაში უცოდველი მხოლოდ თავად ეკლესიაა, მთლიანობაში აღებული. მხოლოდ ეკლესიას უგზავნის მამა ღმერთი ჭეშმარიტების სულს. უფალმა ბრძანა: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“ (ინ. 14,6). ჭეშმარიტება ეკლესიაში — ეს თვით ქრისტეა. სულიწმიდა არის სული ჭეშმარიტებისა და სიყვარულისა,

იგი ეკლესიაში, ვითარცა ქრისტეს სხეულში განისვენებს, რომლის ცალკეული წევრები სიყვარულში ერთ მთელს შეადგენენ ყოვლადწმიდა სამების პირთა დარად.

ეკლესიის სხვა ორგანოებთან შედარებით, ყველაზე მეტად მსოფლიო კრებებს შეუძლიათ იყვნენ მისი ბაგეები და მისი ხმა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ შეუძლიათ დაეხმარონ ეკლესიას მასში დავანებული ჭეშმარიტების გამოვლენაში. ეკლესიის ისტორია გვიჩვენებს, რომ მსოფლიო კრებების გადაწყვეტილებები ხორციელდება მათი აღიარებით ეკლესიის მიერ, რომელსაც წინამძღვრობს სულიწმიდა, და რომ მსოფლიო კრების წოდება მხოლოდ ისეთ კრებებს შეუნარჩუნდათ, რომელთა დადგენილებებმაც საყოველთაო საეკლესიო აღიარება მოიპოვეს.

უცოდველი მხოლოდ ღმერთია. ეკლესია კი თავის მთლიანობაში უცოდველია იმდენად, რამდენადაც ძე ღმრთისა თავის მოწაფეებსა და მათი მეშვეობით წმიდა ეკლესიასაც შეჰპირდა: „მე თქუენთანა ვარ ყოველთა ღღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მთ. 28,20). მიუხედავად ამისა, თავიანთი ეპარქიების საზღვრებში ეპისკოპოსებსაც აქვთ შეფარდებითი უცოდველობა ანუ „ნიჭი ჭეშმარიტებისა“. ღმერთი ადგენს ეკლესიაში ეპისკოპოსებს, რათა ისინი ძე ღმრთის მაგალითისაძებრ მწყსიღნენ და ასწავლიდნენ მეტყველ ცხვრებს. მაგრამ ეს ნიჭი მათ შეიძლება წაერთვათ, თუკი ისინი დაარღვევენ ეკლესიის ერთობას ან კიდევ მათთვის მინდობილ უფლის სიტყვას ხელყოფენ.

9. ეკლესიის თავისუფლება და აასუხისმგებლობა

წმიდა ეკლესია არასოდეს არ მოითხოვს არც ერთი თავისი წევრისგან ბრმად, მონურად მიღებას რაიმე ჭეშმარიტებისა.

რელიგიური ჭეშმარიტება რომ ეკლესიის ყოველი წევრისათვის მაცხოვრებელი იყოს, ამისათვის საჭიროა, რომ იგი საღმრთო გამოცხადებას წარმოადგენდეს, მეორეც, როგორც ასეთი მიღებული იყოს ეკლესიის მიერ და შესამეც, თითოეული წევრის მიერ აღქმული იქნას თავისუფალი ნებით. ამ სამივე მომენტში თავისუფლება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც თითოეულ მათგანში სიყვარული მჟღავნდება. ღმერთი სიყვარულით, თავისუფლად განუცხადებს ადამიანებს ჭეშმარიტებას; სიყვარულის სულით აღძრული ეკლესიაც თავისუფლად იღებს და გადასცემს მას თავის შვილებს; და ისინიც, უყვართ რა ეკლესია ვითარცა ღედა, იღებენ ამ ჭეშმარიტებას და მას მოსიყვარულე გულით განიცდიან.

ღმერთს არ მიუცია თავისი მოძღვრება ერთი რომელიმე ადამიანისათვის, რომელსაც სხვები უნდა დაემორჩილონ, არამედ მან იგი ძე ღმერთის სისხლით აღდგენილ მთელ „ახალ კაცობრიობას“, სახელდობრ, ეკლესიას მისცა. ამიტომაც მართლმადიდებლობა თავისუფალია როგორც რომის ეკლესიის ავტორიტარულობისაგან, ასევე პროტესტანტთა უკიდურესი ინდივიდუალიზმისაგან. მართლმადიდებლობა — ეს არის ავტორიტეტისა და თავისუფლების სინთეზი. ერთი მხრივ — ეს არის გარეშე უცოდველი სტრუქტურის უქონლობა სარწმუნოების საკითხებში, ხოლო მეორე მხრივ — შეფარდებითი უცოდველობის შესაძლებლობა განსაზღვრებებისა, რომლებიც საეკლესიო ხელისუფლებიდან მომდინარეობენ და მოცემული დროისა და ადგილის საეკლესიო ცნობიერებას გამოხატავენ. ასეთია მართლმადიდებლობაში პირობები თავისუფლებისა.

მორწმუნენი, რომელნიც ეკლესიის სწავლებას თავისუფლად და სიყვარულით იღებენ, თავიანთ მწრამს მისი გადმოცემის შუქზე ამოწმებენ და პირუკუ, თუკი ვინმე გადაჭრით განეყოფა ჭეშმარიტებას, იგი როგორც მკვდარი შტო განეყოფა ეკლესიასაც და უხილავად, ზოგჯერ კი აშკარადაც, ეკლესიის ავტორიტეტული ორგანოს გადაწყვეტილებით მოიკვეთება. ეკლესიისაგან დოგმატურ საკითხებში გამოყოფილებს ერეტიკოსები (მწვალებლები) ეწოდებათ, ხოლო საეკლესიო ერთობიდან კანონიკის მიზეზით განშორებულებს — განხეთქილნი (раскольники).

10. სამოციქულო ეკლესია

ეკლესიას სამოციქულო იმიტომ ეწოდება, რომ მისი მოძღვრება ეყრდნობა ქადაგებას მოციქულებისა, რომლებიც უფალი იესო ქრისტეს ცხოვრებისა და აღდგომის თვითმხილველნი და მოწმეები იყვნენ.

თავად უფლის მიერ არჩეულმა მოციქულებმა, ჯერ ერთი, გადმოგვცეს ახალი აღთქმის წერილი (სახარება, მოციქულთა საქმის წიგნი, ეპისტოლეები და გამოცხადება) — საფუძველი ყოველგვარი ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრებისა; მეორეც, მათ დააფუძნეს მრავალი ადგილობრივი ეკლესია საეკლესიო იერარქიით, რომელთაც გადასცეს სულიწმიდის ნიჭი. ეკლესიის მწყემსნი დღემდე მათ მემკვიდრეებად ითვლებიან; მესამეც, თავიანთი ცხოვრებით მოციქულებმა დაგვიტოვეს მაგალითი სიწმინდისა და მოშურნეობისა, რომლებსაც უნდა ფლობდეს ქრისტიანი სახარების მთელ ქვეყანაზე გასავრცელებლად.

ჭეშმარიტი ეკლესია, მართლმადიდებელი ეკლესია, სამოციქულო

ეკლესიაა, რადგანაც ყველაფერი, რაც კი მას აქვს: წმიდა წერილი, წმიდა გარდამოცემა და თავისი მაღლმოსილი ცხოვრება — ყველაფერი ეს ქრისტესგან მიიღო მოციქულთა მეშვეობით.

სიტყვა „მოციქული“ ნიშნავს „წარგზავნილს“, ანდა „მაცნეს“. ქრისტემ ლოცვაში მამა ღმერთისადმი თქვა: „ვითარცა მომავლინე მე სოფლად, მეცა წარვაველინებ მათ სოფლად“ (ინ. 17,18). ამგვარად, მოციქულობა არის ეკლესიის მიმართვა ერისადმი, რადგანაც იგი მისი განათლებისა და ფერისცვალებისთვისაა მოწოდებული. ვაღიარებთ რა იმას, რომ ჩვენ სამოციქულო ეკლესიას ვეკუთვნიით, ამით ვაღიარებთ ვალდებულებას ვკისრულობთ — გავაგრძელოთ მოციქულთა მისია. მოციქულობის, ანუ მისიონერობის ვალი აძევს ეკლესიის ყოველ წევრს, რომელ წრესაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, მაგრამ განსაკუთრებით იერარქიას.

11. ეკლესიის წყობილება

ეკლესიის წყობილება წმიდა წერილის, წმიდა გარდამოცემისა და საეკლესიო კანონების თანახმად მიმართულია ყველა დროში ეკლესიის არსის, მისი ერთობის, მისი სიწმინდის, მისი კათოლიკეობის და მისი სამოციქულო მემკვიდრეობის დაცვისა და გამოვლენისაკენ. ეკლესიის წყობილებასთან დაკავშირებით სამი ძირითადი საკითხი უნდა გაირკვეს: ა) როგორ ხორციელდება ერთობა ადგილობრივ ეკლესიაში; ბ) მისი მემკვიდრეობა დროში; გ) მისი ერთობა თანამედროვე მსოფლიოში.

ეკლესიის ადგილობრივი ერთობა. — „სადაც არის ქრისტე, იქ არის მსოფლიო ეკლესიაც“, — წერდა I საუკუნეში მღვდელმონაქვე ეგნატე ღმერთმემოსილი, ანტიოქიის ეპისკოპოსი, სმირნის ეკლესიისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში. ქრისტე არის ერთი წინამძღოლი, ერთი თავი, ეკლესია კი — მისი სხეული. არ არსებობს ეკლესია ქრისტეს გარეშე, მაგრამ სადაც არის ქრისტე, იქ ეკლესიური სისავსეცაა. ქრისტე, ჯერ ერთი, იმყოფება საღმრთო ლიტურგიაზე, რომლის აღსრულებაც მან თვითონ დაადგინა; იგი არის ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაქმნილ პურსა და ღვინოში. ლიტურგია სრულდება მორწმუნეთა თემის მიერ, ეპისკოპოსის მეთაურობით, როგორც იგი პირველად აღსრულდა სიონის ოთახში თვით უფლის მიერ თავის მოციქულთა შორის. ისევე როგორც მაშინ, ქრისტე ახლაც იმყოფება კრებულში, რომელიც მისი ერია და რომელშიც მის ნაცვლად ეპისკოპოსი დგას, ასევეა იგი პურსა და ღვინოში, რომლებიც მის ხორცად და სისხლად გარდაიქმნებიან.

ევქარისტიული კრება წარმოადგენს მსოფლიო ეკლესიას თავის ადგილობრივ ერთობაში. ასე გაერთიანდნენ ყველგან ქრისტიანობის დასაწყისში მორწმუნეები ჭეშმარიტებაში, ცხოვრებასა და ევქარისტიასში. ამგვარად, დოგმატი ეკლესიის ერთობის შესახებ მოითხოვს, რომ ერთ არემარეზე მცხოვრები მართლმადიდებელი ქრისტიანები თავიანთ ერთობას აღიარებდნენ ერთი ეპისკოპოსის მეთაურობით ერთ ლიტურგიაში ერთსულლოვანი მონაწილეობით.

ეპისკოპოსს შეუძლია დაინიშნოს მოადგილე ლიტურგიის შესასრულებლად: ამაში მდგომარეობს სამრევლო მღვდელთა მოვალეობა.

მემკვიდრეობა დროში. მოციქულებმა ეპისკოპოსები დაადგინეს მათ მიერ მოწყობილ ყველა ადგილობრივ ეკლესიაში (იხ. საქმე მოციქულთა, ეპისტოლეები ტიმოთესა და ტიტეს მიმართ). იქიდან მოყოლებული დღემდე ეპისკოპოსები ხელთ ასხამენ თავიანთ მოადგილეებს. ამგვარად, დღევანდელმა ჩვენმა ეკლესიამ უწყვეტად შეინარჩუნა სამოციქულო მემკვიდრეობა.

ეკლესიის ერთობა თანამედროვე მსოფლიოში. მორწმუნეთა თემი თუ ეპარქია კათოლიკეა იმდენად, რამდენადაც მათ ურთიერთობა აქვთ ყველა დანარჩენ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან სარწმუნოებისა და ცხოვრების ერთობის თვალსაზრისით.

ცალკეული ეპარქიები მსოფლიო ერთობის გამოვლენისა და დაცვისათვის ერთიანდებიან და შედიან უფრო ვრცელი ერთეულების — ავტოკეფალური ეკლესიების — შემადგენლობაში, რომელთა საზღვრები ჩვეულებრივ, მაგრამ არა აუცილებლად, ემთხვევა სახელმწიფოთა პოლიტიკურ საზღვრებს. ყოველ საეკლესიო ოლქში მთავარი ქალაქის ეპისკოპოსი ატარებს მთავარეპისკოპოსის ან პატრიარქის ტიტულს. ყოველი ავტოკეფალური ეკლესია თავის განსაზღვრულ ადგილს იკავებს უფროსობის მიხედვით სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებს შორის, მაგრამ ყველანი საპატიო პირველობას კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს აკუთვნებენ.

ამგვარად, ეკლესიის ერთიანობა მსოფლიო პლანშიცაა დაცული.

12. ამჟვეყნიური ეკლესიის საზღვრები

ეკლესიის ისტორიაცა და მისი დღევანდელი მდგომარეობაც გვიჩვენებს, რომ მთელი რიგი ადგილობრივი ეკლესიებისა, მაგალითად, რომის კათოლიკური, სომხური, კობტური და სხვ., თავიანთ მოძღვრებაში

გადაიხარნენ საღმრთო გამოცხადების ჭეშმარიტებისაგან, რომელიც ეკლესიაში სულიწმიდის მადლით ინახება და ურთიერთობა გაწვევით მართლმადიდებლურ ეკლესიასთან.

საეკლესიო გარდამოცემის მიხედვით, ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დოგმატური ცდომილებანი არსებითად ვნებენ ქრისტიანულ ცხოვრებას საერთოდ და კერძოდ წმიდა საიდუმლოთაგან მადლისმიერ ძალას განაშორებენ. უფლის სიტყვებიდან „მე ვარ გზად და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება“ (ინ. 14,6) ვიცით, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება ძირითადი პირობაა ქრისტეში ცხოვრებისათვის. რამდენადაც ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან გამოყოფილ თემებში საიდუმლოებს არა აქვთ მადლმოსილება, მართლმადიდებლები მათ საიდუმლო მოქმედებაში მონაწილეობას არ უნდა იღებდნენ. მიუხედავად ამისა, ეკლესია არც ხელმეორედ ნათლავს და არც სამღვდლო ხარისხში აკურთხებს ხელმეორედ არამართლმადიდებლებს,* რომლებიც მასთან მოდიან. იგი იმედოვნებს და ლოცულობს იმისათვის, რომ საღმრთო მადლმა განშორებულნი ქრისტიანთა ერთობასა და მათ თანხმობით აღსავსე ცხოვრებას დაუბრუნოს.

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ არამართლმადიდებელთა მიმართ სხვაგვარი სიყვარული უნდა გვქონდეს, ვიდრე თავისიანთა მიმართ. პირიქით, ჯერარს, რომ მათ სიყვარულს მუდმივად ვაძლიერებდეთ წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვების გახსენებით: „ჩვენ გამარჯვებას კი არ ვეძიებთ, არამედ ძმათა დაბრუნებას, რომლებთან განშორებაც გვტანჯავს“.

13. მოზიემე ეკლესია

ეკლესიის საზღვრები დედამიწაზე მცხოვრები ადამიანებით არ შემოიფარგლება. გარდა ამქვეყნიური, ბოროტების მძლეველი მებრძოლი ეკლესიისა, გარდა გადასარჩენთა ეკლესიისა, არის კიდევ მოზიემე, ზეციური ეკლესიაც. იგი ამქვეყნიურ ეკლესიასთან ერთიანია. ზეციურ ეკლესიას ეკუთვნიან ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი და მარადის ქალწული მარიამი, წმიდა იოანე, წინამორბედი და ნათლისმცემელი უფლისა, ანგელოზთა ყველა დასი, წმინდა მოციქულები, წინასწარმეტყველები, მოწამენი, მღვდელმთავარნი, ღირსნი, უვერცხლონი და

* იგულისხმება სჯულისკანონით დადგენილი წესი, რომელიც გარკვეულ არამართლმადიდებლურ კონფესიათა ყოფილ მიმდევრებზე ვრცელდება (რედ.).

მრავალი სხვა განდიდებული თუ განუდიდებელი წმინდანები. ეკლესიას ეკუთვნის ყველა გარდაცვლილი მართლმადიდებელი ქრისტიანი, ვიდრე უკანასკნელი საშინელი სამსჯავრო არ აღსრულებულა.

ეს უხილავი ეკლესია სხვადასხვაგვარად მონაწილეობს ამქვეყნიური ეკლესიის ცხოვრებაში, ხოლო ჩვენ კი — მის ცხოვრებაში.

14. წმინდანები და ანგელოზები

წმინდანები ის ადამიანები არიან, რომლებშიც ადამიანის დანიშნულება აღსრულდა, რომლებშიც განხორციელდა ღმრთის მსგავსება და პირველყოფილი სიწმინდით გაბრწყინდა ხატი ღმრთისა.

იმის გამო, რომ უფალი იესო ქრისტეს ცხოვრებას ეზიარებიან, რომელიც არის „მხოლო წმიდა“, ყველა ქრისტიანი ახალ აღთქმასა და ლიტურგიაში „წმიდად“ იწოდება. ქრისტიანის სიწმიდე მდგომარეობს უფლის წინაშე არა რაც შეიძლება მეტ „დამსახურებათა“ დაგროვებაში, არამედ იმ შეგნების გაღრმავებაში, რომ „ქრისტე იესუ მოვიდა სოფლად ცოდვილთათვის ცხორებად, რომელთაჲ პირველი მე ვარ“ (1 ტიმ, 1,15).

წმიდანები ისინი არიან, ვინც სინანულის გზით სულიწმიდის ტაძრად იქცნენ, უცილობლად შეუერთდნენ უფალ იესო ქრისტეს, ეშვილნენ მამა ღმერთს, შევიდნენ ყოვლადწმიდა სამების საუფლოში, განღმრთდნენ და ღმერთთან და ყველასთან, ვინც საამისოდ წინასწარ აირჩია ღმერთმა, სიყვარულში ერთობა შეძლეს.

სიწმიდის გზები მრავალგვარია, ისევე როგორც მრავალგვარია წმინდანთა სიწმიდისა და ნეტარების ზომა, მაგრამ არის რაღაც იდუმალი ზღვარი, როცა ადამიანს სამუდამო დაღუპვისაკენ დაქანება უკვე აღარ შეუძლია, თუმცა კი ბარბაცით, მაგრამ მაინც მხოლოდ წამოდგომა ძალუძს. სწორედ ეს მიჯნა განვლეს წმინდანებმა.

წმინდანთა რიცხვი ჩვენთვის უცნობია. ყველა წმინდანი როდია განდიდებული ან განცხადებული ეკლესიის ცნობიერების მიერ, მაგრამ განცხადებული წმინდანები შემწვედ გვევლინებიან, როგორც ხატნი ღმერთკაცობრივი ცხოვრებისა და როგორც ახალი სიტყვა ღმრთისა ჩვენდა მომართ. ისინი ვითარცა ლამპარნი, ჩვენი გზის გასანათებლად არიან მოწოდებულნი, მაგრამ გვინათებენ არა საკუთარი, არამედ ქრისტეს ნათელით, ნათელით მისი ღმრთეებრივი სიყვარულისა.

წმინდანები ჩვენთვის არა მხოლოდ ცოცხალი მაგალითები არიან ჭეშმარიტი ცხოვრებისა, არამედ გვეხმარებიან ღოცვითა და ზოგჯერ

ფარული, ზოგჯერ კი ამკარა შთაგონებით. არაჩვეულებრივად დიდია მათი მნიშვნელობა მართლმადიდებლური ეკლესიის საღმრთისმსახურო, ლოცვით ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი საღმრთო ლიტურგიის შესრულებისას. ამის მსგავსია ანგელოზთა სამყაროს მნიშვნელობაც. ანგელოზები უხილავი გამტარნი არიან ღმრთიერი ნათლისა, ჩვენს ლოცვებში მონაწილეობენ და ჩვენთან ერთად უხილავად მსახურებენ საღმრთო ლიტურგიის დროს.

15. მართლმადიდებლური და კათოლიკური სწავლება „დამსახურებათა“ შესახებ

მართლმადიდებლობისათვის სრულიად უცხოა კათოლიკური სწავლება წმინდანების იმ დამსახურებათა შესახებ, რომლებიც მოვალეობას აღმატებენ, რადგან მართლმადიდებლობისათვის საერთოდ უცხოა იურიდიული წარმოდგენა ღმრთის წინაშე დამსახურებათა და, მით უმეტეს, ამგვარ ზედამსახურებებზე. მოქმედებანი მხოლოდ საშუალებებია მადლისმიერ ნიჭთა მოსახვეჭად, ანდა დამოწმება მათ შესახებ, ხოლო სიწმინდე კი, როგორც მადლმოსილი მდგომარეობა, არა ჯილდო, არამედ ღმრთისკენ მიმსწრაფი ცხოვრების ნაყოფია. მართლმადიდებლური წარმოდგენის თანახმად, ღმერთი კარგსა და ცუდ საქმეებს კი არ აღრიცხავს, არამედ ადამიანის გულს განიხილავს. ასეთი აღრიცხვა კიდევაც რომ არსებობდეს, ადამიანი ღმერთის წინაშე მუდამ ვალში იქნებოდა, რადგან არა აქვს ზღვარი ღმრთისკენ აღმასვლას და მის გულუხვობას.

16. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი

ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი ყველა სხვა წმინდანზე მეტად მონაწილეობს ამქვეყნიური და ზეციური ეკლესიის ცხოვრებაში. წმიდა ეკლესია მას მფარველსა და შემწეს უწოდებს. დედა ღმრთისას შემწეობა ისაა, რომ მისი დახმარების წყალობით ჩვენ, ცოდვილ ადამიანებს შეგვიძლია ჩვენთვის უვნებლად ყველაზე მისაწვდომი ზომით და ამ ზომაზე მეტადაც აღვიქვათ ღმრთიერი სიყვარულის ნათელი, საღმრთო მადლი.

დედა ღმრთისა ყველა ადამიანზე მეტადაა მადლმოსილი. მან თავის წიადში მიიღო განხორციელებული ღმერთი და ღმრთიური ცეცხლით არ დამწვარა. იგია „მაყვალე შეუწველი“ და ამის გამო იღუპილად გვმკვლის, რათა დაუწველად მივიღოთ ღმრთიური ცეცხლი, რომლის

58

ქვეყნად ჩამოსატანადაც მოვიდა მისი ძე (ლკ. 12, 49). უფალმა მისგან მიიღო კაცობრივი ხორცი და მისივე მეშვეობით გვაძლევს თავის ხორცს, ოღონდ უკვე გარდაქმნილს მისი ღმრთეებრიობის ცეცხლით.

უფალი თითქოსდა მუდმივად ხორცს ისხამს თავისი ეკლესიის სხეულში და ვინ, თუ არა დედა ღმრთისა, არის მოწოდებული ჟამთა აღსასრულამდე შეეწოდეს ამ სრულმყოფელ განხორციელებას ღმრთისა?

ნაწილი III

საღმრთო მადლისა და საზოგადოდ

საიდუმლოთა შესახებ

1. მადლი

ადამიანებზე სულიწმიდის მაცხოვრებელ ზემოქმედებას, რომელიც ეკლესიაში ერგასის დღიდან მკვიდრობს, მადლი ეწოდება. იგი მამა ღმერთის სიყვარულით, ძე ღმერთის, იესო ქრისტეს, გამომსყიდველ დამსახურებათა გამო და მისი შუამდგომლობით წარმოდინდება. საღმრთო მადლი ადამიანის სულიერი ცხოვრების ყველა საფეხურზე აუცილებელია: იგი იწყებს (წინამსწრობი ანუ აღმძვრელი მადლი), აგრძელებს და ამთავრებს ცხოვრებას.

მადლი ანუ მადლისმიერი ნიჭნი პირადად სულიწმიდისაგან გვეძლევა, ამიტომ უხვად მადლმოსილ ადამიანზე ამბობენ, რომ მან სულიწმიდა მოიხვეჭა, ანდა სულიწმიდით აღივსო. მიუხედავად ამისა, მადლი, როგორც პირადი შეხება ღმერთთან, ადამიანის მიერ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში და უმეტესწილად სულიერი ცხოვრების ძალზე მაღალ საფეხურებზე განიცდება. უფრო ხშირად კი ადამიანი ან ვერ აცნობიერებს მადლის ზემოქმედებას, ანდა განიცდის მას, როგორც თავის პირად, ზოგჯერ კი როგორც სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობას; სამაგიეროდ მადლისმიერი შემწეობა მისი ნაყოფით, მაგალითად, ცოდვის დაძლევით, იცნობა.

მადლმოსილება, რომელიც მაღალ საფეხურებზე ვლინდება, როგორც ადამიანის სრული განახლება და ფერისცვალება და როგორც ღმერთთან შეხვედრაც კი, შესაძლებელია იმიტომ, რომ ეკლესიის სწავლების თანახმად, ღმრთის (უპირატესად სულიწმიდის) შეხვედრა ადამიანთან მისი განსაკუთრებული ენერგიებით, ანუ ძალებით ხდება.

ღმერთის მიღმური (ტრანსცენდენტური) არსი ადამიანისათვის მიუწვდომელი რჩება, მაგრამ სამყაროსთან მიმართებაში ღმერთს ყოფიერების განსაკუთრებული სახე აქვს, რომლითაც იგი ადამიანებს განეცხადება და ურთიერთობას ამყარებს მათთან.

2. მადლის მოხვეჭის გზები

შეუძლებელია ყველა იმ გზის მოხილვა და ჩამოთვლა, რომელთა მეშვეობითაც ადამიანს მადლი ენიჭება. იგი შეიძლება მოეფინოს ღმერთის მაძიებელ ადამიანს ნებისმიერი ლოცვითი და ცხოვრებისეული ღვაწლის პასუხად; მართალია, ადამიანის ღვაწლი აუცილებელია, მაგრამ მადლი მაინც არ არის განპირობებული არავითარი ადამიანური ძალისხმევით, არამედ მთლიანად მხოლოდ თავისუფალი ღმრთიებრივი სიყვარულის ნიჭია.

ეკლესიის წმიდა საიდუმლოთა მეშვეობით მადლი უცილობლად, თითქოსდა პირდაპირი გზით, ჩაიდვრება ქრისტიანის გულში. წმიდა საიდუმლონი ეკლესიას გადაეცა, როგორც მასში სულიწმიდის განუშორებელი ყოფნის ნიშანი და როგორც მისი ჭეშმარიტობის მოწმობა. მათი წყალობით ადამიანის სულიერი და მადლისმიერი ცხოვრება ღმრთიებრივ (ობიექტურ) საფუძველს და იმავდროულად ზომიერებასა და წესრიგს იძენს.

გარეგნულად წმიდა საიდუმლონი განსაკუთრებულ მღვდელმოქმედებათა და ლოცვათა შეხამებაა, რომელთაგან ზოგს აღსრულებითი ეწოდება (საიდუმლოთა მიმართ) და მეტწილად სულიწმიდის მოწვევას წარმოადგენს. გარდა ამისა, საიდუმლოს ნამდვილობისათვის საჭიროა კანონიერი შემსრულებელი, ეპისკოპოსი ან მღვდელი, რომელიც საიდუმლოს ეკლესიის სახელით და მასთან ერთად აღასრულებს. საეკლესიო იერარქია და საიდუმლონი განუყოფელია ერთმანეთისაგან.

წმიდა საიდუმლოს მომზადებულნი უნდა მივებახლოთ, შესაფერისი სულიერი განწყობილებებით, თორემ ადამიანის სულიერი გზა შეიძლება მტანჯველი და ძნელი გახდეს, ხოლო მადლის ამ წყაროს მიმართ უპატიო დამოკიდებულება აშკარა დაღუპვით იმუქრება. წმიდა საიდუმლოები ყოველთვის ქმედითია.

ამჟამად მიღებულია, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიას შვიდი საიდუმლო აქვს, მაგრამ ეკლესია ყოველთვის არ იზიარებდა ამ რიცხვს და იგი პირობითია, რადგან ძნელია ზღვარის გაკლება საიდუმლოთა

და იმ წესებს შორის, რომელთა მეშვეობითაც გადაეცემა აგრეთვე მადლისმიერი ნიჭნი. ამასთანავე, მათი შესრულების პირობები იგივეა, რაც წმიდა საიდუმლოთა. ეს შეიძლება ითქვას დიდი და მცირე წყლის კურთხევის, ტაძრის, ოდიკისა და წმიდა მირონის კურთხევის, ბერად აღკვეცისა და ეკლესიის მსახურად ხელთდასხმის შესახებაც. აგრეთვე ჯვრის გადასახვითაც, განსაკუთრებით თუ ეპისკოპოსი ან მღვდელი აკურთხებს, უეჭველად გადაეცემა მადლისმიერი ძალა.

განსაკუთრებული მადლისმიერი ნიჭის გადაცემა ყოველ საიდუმლოში ხდება, ხოლო ერთობლივ ყველა საიდუმლოს მეშვეობით ადამიანისა და მთლიანად ადამიანთა მოღვაწის ცხოვრება იკურთხება.

3. ნათლისღების საიდუმლო

ნათლისღება არის საიდუმლო, რომელშიც მორწმუნე წყალში სამგზის შთაფვისა და მისი მნათლავის მიერ ყოვლადწმიდა სამების, მამისა და ძისა და სულიწმიდის, სახელის მოწოდების დროს, ხორციელი, ცოდვილი ცხოვრებისათვის კვდება და სულიწმიდის მიერ სულიერ და წმიდა ცხოვრებაში აღდგება. ამით ახლად მონათლული ეკლესიაში შედის და მისი წევრი ხდება.

უკვე თვით ნათლისღების საიდუმლოს განსაზღვრება მეტყველებს იმაზე, რომ იგი ადამიანის ცხოვრებაში ძირეულ გარდატეხასთანაა დაკავშირებული. ქრისტიანად გახდომა მხოლოდ მრწამსის ან თუნდაც ცხოვრების წესის შეცვლას არ ნიშნავს, იგი სრულ გარდაქმნას, ახალ ადამიანად გადაქცევას გულისხმობს. უფლის სიტყვები, რომ მარცვალი ისე ვერ გაღვივდება, თუ არ მოკვდა (ინ. 12, 24), ანდა: „რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვსი... ვერ ხელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა“ (ლკ. 14,27), ან კიდევ ნიკოდიმოსისათვის ნათქვამი: „უკეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელ-ეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“ (ინ. 3,5), აუხდენელი არ რჩება. წმინდა ისტორიამ, ისევე როგორც ქრისტიანობის ისტორიამ, დაწყებული პავლე მოციქულით, მრავალი მაგალითი იცის, როცა ქრისტეს მორწმუნენი და შემდეგ ნათელღებულნი მართლაც ახალ ადამიანებად იქცეოდნენ.

სულიერი დაბადება იმას ნიშნავს, რომ ადამიანი წყვეტს ცხოვრებას თავისთვის და ცხოვრებას ქრისტესა და სხვა ადამიანებისათვის იწყებს, მოიპოვებს რა ამ დროს სრულ ცხოვრებას თავისთვისაც. ქრისტესკენ მოქცევა საესებით ცვლის ინტერესების ცენტრს. ასეთი მოქცევა ზოგჯერ

მკვეთრია, ზოგჯერ თანდათანობითი. მოზრდილთა ნათლისღება მათში მომხდარი სულიერი გარდატეხის შედეგია და საიდუმლოს მაღლი აკურთხებს და განამტკიცებს მას, ხოლო ბავშვების მონათვლისას, თუმცა მათ ჯერ კიდევ არა აქვთ შეგნებული რწმენა, მათშიც მაღლიანი ცხოვრების თესლი ჩაითესება, რომელსაც შემდგომში, სათანადო ქრისტიანული აღზრდის პირობებში, მონათლულის სრულ გარდაქმნამდე მივყავართ.

ნათლობის ღირსეული მიღებისათვის საჭიროა რწმენა და სრული სინანული, უარის თქმა უწინდელ თავკერძა ცხოვრებაზე, მისი ბოროტი სულების მოქმედებასთან კავშირის შეცნობით და მათგან განდგომით. ჩვილ ბავშვთა მონათვლა დიდი ხნის წინათ დაიწყო. მათგან, რასაკვირველია, არ უნდა ველოდეთ რწმენასა და სინანულს, მაგრამ მათ ნათლავენ მშობლებისა და ნათლიების რწმენის ძალით, რომელთაც აკისრიათ წმიდა მოვალეობა — შეასწავლონ მონათლულთ სარწმუნოების ჭეშმარიტებანი და დაეხმარონ მათ ახალი ცხოვრებისათვის განახლებაში. ჩვენ ვლოცულობთ ბავშვებისათვის და გვწამს, ჩვენი ღოცვის მიხედვით უფალს შეუძლია მათ სხვადასხვა წყალობა მიჰმადლოს. განა შეიძლება იმაში დაეჭვება, რომ მთელი ეკლესიის ღოცვით ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებისას ბავშვთათვის მინიჭებული მაღლი სათანადო ნაყოფს გამოიღებს? ჩვენ ვიცით, რომ თვითონ უფალი უშვებდა ბავშვებს თავისთან (ლკ. 18, 15-16) და რომ წმიდა იოანე ნათლისმცემელმა ჯერ კიდევ დედის წიაღში აღიდა უფალი. მაღლი მოქმედებს ადამიანის ქვეცნობიერებაზეც.

ამავე დროს ყველა ქრისტიანს უნდა ახსოვდეს, რომ ნათლისღების საიდუმლოში ბოძებული ტალანტი, საწინდარი ახალი ცხოვრებისა, პირადი ძალისხმევით, ზოგჯერ კი მთელი ცხოვრების ღვაწლით მრავლდება. სხვა სიტყვებით, ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ნათლობისას მიცემული აღთქმები. მიუხედავად ამისა, წმიდა ნათლობის მიღებისთანავე მონათლულში წარუშლელი ცვლილებები ხდება. იგი თავისუფლდება პირველმობილი ცოდვის ტყვეობიდან და მისი გულიდან ეშმაკი განიდევნება. თუმცა ეშმაკს რჩება ცდუნების შესაძლებლობა, მაგრამ იგი თითქოსდა უცხო ხდება ადამიანისათვის. მოუნათლავ ადამიანს პირველი ცოდვის ძალით არსებითად არ შეუძლია არ შესცოდოს, მონათლულს კი, თუმცა შესაძლებელია შესცოდოს, მაგრამ საიმისო ძალაც შესწევს, რომ არ სცოდავდეს.

4. ნათლისღების საიდუმლოდ შესრულება

ნათლისღება არის ადამიანის ეკლესიის წევრად ჩარიცხვის საიდუმლო, ქრისტეს ძალით მამა ღმერთისათვის მისი შვილების გზით. ამგვარად, ნათლობა ეკლესიის საერთო საქმეა და ზეიმია. ძველ დროში უფრო ხშირად მას უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს — წმიდა პასექს უკავშირებდნენ და ტაძარში, მორწმუნეთა კრებულში საზეიმოდ ასრულებდნენ. ტაძარშივე ხდებოდა მზადება ნათლობისათვის, სარწმუნოების შესწავლა, ანუ კათაკმეველობა.

ჩვენს დროში ნათლისღებისათვის მოსამზადებლებზე ეკლესიის ეს საერთო ზრუნვა მხოლოდ კათაკმეველთა ლიტურგიაში, მათთვის აღვლენილ ლოცვებში შემორჩა. პასექის დღეს ნათლობის გამართვის ძველ ჩვეულებას ახლა იკოსის კითხვა და დიდი შაბათის მსახურების ზოგი თავისებურებაღა თუ მოგვაგონებს. ნათლისღების საიდუმლოდ თანდათანობით კერძო საოჯახო მოთხოვნილების ხასიათი შეიძინა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მისი ზოგადსაეკლესიო და პასქალიური მნიშვნელობა შენარჩუნებულია და მღვდლები ამის შესახებ, ისევე როგორც ნათლიების (მიმრქმელთა) ხშირად მივიწყებულ პასუხისმგებლობაზე, მუდმივად უნდა მოაგონებდნენ.

„კათაკმეველად დაყენება“, როგორც ნათლისღებისათვის მზადების დამამთავრებელი აქტი, რომელიც წინათ ცალკე წესად სრულდებოდა, ახლა უშუალოდ წინ უსწრებს ნათლობას. ამ წესის მთელ სიმბოლურ მღვდელმოქმედებას ღრმა ქმედითი მნიშვნელობა აქვს. მათგან ყველაზე არსებითია: ეშმაკის შეფუცება, მასზე უარის თქმა, ქრისტეს შედგომის აღთქმა და, ბოლოს, მართლმადიდებლური სარწმუნოების აღიარება. ქრისტიანებმა პირადი სულიერი გამოცდილებით იციან, თუ რა დიდია ბოროტების მატარებელი ეშმაკის ძალა, რომელიც სიკეთეს აქტიურად ებრძვის. სატანის შეფუცება უფლის სიტყვების მიხედვით: „სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ“ (მრკ. 16, 17), მოსანათლს აწ უკვე მისგან განშორებულ მტერთან ბრძოლაში ჩაბმის შესაძლებლობას აძლევს, ხოლო შემდგომი უარის თქმა სატანაზე მის გამოწვევას ნიშნავს. ამ მომენტიდან მოსანათლი უკვე ქრისტეს მხედარი ხდება და ბოროტ სულს სიკვდილამდე ებრძვის, რომელიც თავის მხრივ ამ გამოწვევას არ ივიწყებს და სასტიკად ებრძვის ქრისტიანს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ყოველი ჩვენგანის ნაცვლად ეს ბრძოლა უკვე გასწია ღმერთკაცმა იესო ქრისტემ და იგი მისი სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამიტომ,

თუმცა უფალმა თქვა: „გემინოდეს მისა..., რომელი შემძლებელ არს სულისა და ხორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა“ (მთ. 10,28), ქრისტიანს, რომელსაც შემწედ თავად მძლე უფალი ჰყავს, არასოდეს არ უნდა წარეკვეთოს სასო თავის სულიერ ბრძოლაში. სიმბოლო სარწმუნოებისა ყველა ქრისტიანულ ჭეშმარიტებას შეიცავს, რომელიც ადამიანებმა ძველად ნათლისღებამდე იცოდნენ, ჩვენს დროში კი, ჩვეულებრივ, ნათლისღების შემდეგ საღმრთო სჯულის კურსით შეისწავლება. პასუხისმგებლობას ამ შესწავლისათვის თავის თავზე ნათლიები იღებენ და ისინი უმძიმეს ცოდვას სჩადიან, თუკი ამას დაივიწყებენ.

თვით ნათლისღების საიდუმლო წყლისა და ზეთის კურთხევაში, ნაკურთხი ზეთის ცხებასა და, ბოლოს, ყველაზე მთავარ მღვდელმოქმედებაში — მოსანათლის წყალში სამგზის შთაფლვაში სიტყვებით „ნათელს იღებს მონა ღმრთისა (მისი სახელი) სახელითა მამისათა. ამინ. და ძისათა. ამინ. და სულისა წმიდისათა. ამინ“. — მდგომარეობს.

იორდანეში ჩასვლით უფალმა იესო ქრისტემ წყალიცა და მასთან ერთად სამყაროს ყველა სტიქია და საერთოდ მატერია აკურთხა. ამ მოვლენის შემდეგ მთელმა ბუნებამ კვლავ შეიძინა ძალა მაღლისმიერ ნიჭთა მიღებისა და გარკვეულწილად მაღლის შენახვისა. ამაშია წყლისა და სხვა სტიქიათა და საგანთა კურთხევის საფუძველი. წყალი ძველთაგან იყო განწმენდის, ხოლო მასში შთაფლვა — სინანულის სიმბოლო. ამასთანავე, როგორც სიცოცხლისათვის აუცილებელი, იგი სიცოცხლის სიმბოლოც იყო. აირჩია რა წყალი ნათლობის საიდუმლოს აღსრულებისათვის, უფალმა მასთან დაკავშირებულ სიმბოლოებსაც ქმედითი ძალა მიანიჭა.

წმიდა კირილე იერუსალიმელის სიტყვით, კურთხევის შემდეგ მოსანათლისათვის წყალი „კუბოდ და დედად“ იქცევა. კუბოდ იმიტომ, რომ ემბაზში ჩასვლით ადამიანი მსგავსებით უერთდება ქრისტეს სიკვდილს; დედად იმიტომ, რომ სანათლავი სიკვდილის მიერ მისი ხელახალი დაბადება ხდება.

ნაკურთხი ზეთი, რომელიც საიდუმლოს დროს ჯერ წყალს, ხოლო შემდეგ მოსანათლს ეცხება, განკურნებისა და სიჯანსაღის, შერიგებისა და მშვიდობის სიმბოლოა. სანთლები მართალი სარწმუნოების ნათელს გამოხატავს, საკმეველი — სულიწმიდის კეთილსურნელებას, ახლად მონათლულის თეთრი სამოსელი — ცოდვისა და სატანის ტყვეობიდან განთავისუფლებულ ახალ ცხოვრებას ანუ ქრისტიანის სულს,

რომელიც მან უმწიკვლოდ უნდა დაიცვას, და ბოლოს, სატარებელი ჯვარი — ჯვრით ქრისტეს მიმდევრობისა და მისი გამარჯვების რწმენის გამომხატველია.

უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში ნათლისღების შესრულება, წყალში უბრალოდ შთაფლვით (ან კიდევ სხურებით) და სანათლაკი სიტყვების წარმოთქმით, ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს შეუძლია, რადგან იგი „სამეუფო მღვდელობას“, ანუ ეკლესიას ეკუთვნის.

წმიდა ეკლესიამ იცის აგრეთვე სისხლით ნათლისღებაც, როცა ადამიანი, რომელმაც ვერ მოასწრო მონათვლა, ქრისტესადმი თავის ერთგულებას მოწამეობრივი სიკვდილით აღბეჭდავს.

5. მირონცხების საიდუმლო

მირონცხება არის საიდუმლო, რომელშიც მორწმუნეს მისი სხეულის წმიდა მირონით ცხებისას სულიწმიდის ნიჭი ეძლევა მისი სულიერი ცხოვრების განწმედის, განმტკიცებისა და ამაღლებისათვის.

სულიწმიდის მადლის მიცემა ყველა საიდუმლოში ხდება, მაგრამ უპირატესად მირონცხება სულიწმიდის საიდუმლოა. იგი ამთავრებს ნათლისღებას. იქ სულიერი შობაა, აქ კი სულიერი ზრდა. შექმნა რა ადამიანი ღმერთმა, მას სიცოცხლის სული შთაბერა, ხოლო როცა თავისი ძის მეშვეობით ადამიანთა ხსნა აღასრულა, ერგასის დღეს მათ სულიწმიდა მოუვლინა. ასევე ნათლისღების, ამ სულიერად შობის შემდეგაც, სულიწმიდა ადამიანს მირონცხების მეშვეობით განსაკუთრებული სახით ეგზავნება. ამგვარად, ეს საიდუმლო ეკლესიაში ახლად შესული ადამიანისათვის პირადი ერგასის დღეა.

ეკლესიის მოძღვარნი მირონცხების საიდუმლოში ბოძებულ სულიწმიდის მრავალ ნიჭთა შორის, უპირველეს ყოვლისა, ძირითადს — კურთხევის ნიჭს არჩევენ, რომელიც როგორც ღმრთის მსახურებისათვის ხელთდასხმა, ისე მიიღება. მისი წყალობით ადამიანი სამეფო სამღვდელოების რიგებში შედის და რჩეულ ერში (1 პეტ. 2,9), ე. ი. ეკლესიაში ირიცხება. ეს იმაში გამოიხატება, რომ მირონცხებულს გზა ყველა სხვა საიდუმლოში მონაწილეობისათვის ეხსნება.

სულიერი ცხოვრება განუზრელი სულიერი ზრდა და აღმასვლაა. სულიწმიდა, ხელს უწყობს რა ამას, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის მოძღვრების შეთვისებაში, ესე იგი სიბრძნის ზრდაში გვეხმარება, რადგანაც, მოციქულის თქმით: „უფროდს არს ღმერთი გულისა ჩუენისა 5. სსპ, 2011.

და იცის ყოველი“ (1 ინ. 3,20). იგი აკურთხევს გრძნობებსა და ნებას, რომლებზეც ადამიანის საქციელია დამოკიდებული.

6. მირონცხების საიდუმლოდ შინაგანი შინაგანი

მირონცხების საიდუმლო ადამიანისათვის შუბლზე, თვალებზე, ნესტოებზე, მკერდზე და, ბოლოს, ხელებსა და ფეხებზე მირონის ცხებით სრულდება. როგორც უმაღლესი შთაგონება, სულიწმიდა შთაგონებს ადამიანს წმინდა ცხოვრებისათვის და თავისი ძალით მასში ალაგზნებს სწრაფვას ღმრთისაკენ, როგორც პირველხატისაკენ. რაშიც ყველაზე მეტად ვლინდება, რომ ადამიანი ღმრთის ხატადაა შექმნილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ქრისტიანული ცხოვრების მიზანი სულიწმიდის მოხვეჭაა“ (ღირსი სერაფიმე საროველი), ეს მიზანი კი ადამიანის ცხოვრების გამუდმებული გასულიერებით მიიღწევა, რასაც საფუძველი სწორედ მირონცხების საიდუმლოში ეყრება. სხეულის სხვადასხვა ნაწილზე მირონის ცხებისას მღვდელი ყოველ ცხებაზე წარმოთქვამს: „ბეჭედი ნიჭისა სულისა წმიდისა“. ეს ბეჭედი არის ნიშანი იმისა, რომ ადამიანი ღმრთისა გახდა. ზოგჯერ ამ მღვდელმოქმედებას ძვირფასი ნელსაცხებლით ანდა ღვინით სავსე ჭურჭლების დაბეჭდვას ადარებენ, რადგან ქრისტიანი მართლაცდა ყოველთვის უნდა რჩებოდეს მაღლის სათავსოდ და სულიწმიდის სადგომად. პავლე მოციქული ამის შესახებ წერს: „არა უწყითა, რამეთუ ჴორცინი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან, რომელ-ეგე გაქუს ღმრთისაგან და არა ხართ თვისთა თავთანი? რამეთუ სასყიდლით სყიდულ ხართ. აღიდეთ უკუე ღმერთი ჴორციითა მაგით თქუენითა და სულითა მაგით თქუენითა, რომელი-იგი არს ღმრთისა“ (1 კორ. 6,19-20).

სულიწმიდის აურაცხელ ნიჭთა შორის უმაღლესია ქრისტიანული სიყვარული. რასაკვირველია, მირონცხების საიდუმლოდ მემკვიდრეობით ქრისტიანის სულში ღმრთიერებრივი სიყვარული და მასთან ერთად „სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სიტკბოება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება“ (გალატ. 5,22-23) და ნუგეშისმცემელი სულის უამრავი სხვა ნაყოფიც ჩაითესება. ლოცვაში, რომლითაც მირონცხების საიდუმლო იწყება, ეკლესია მრავალ მათგანს ითხოვს. ამავე ლოცვაში ეკლესია საიდუმლოდ მიახლებულისათვის უფლის ხორციდან და სისხლთან ზიარების შესაძლებლობასაც გამოითხოვს.

ძველ დროში ახლადნათელღებულნი და მირონცხებულნი დიდი

შაბათის ლიტურგიაზე წმიდა ზიარებას მაშინვე მიეახლებოდნენ, რის საფუძველზეც დიდი შაბათის სამოციქულო და სახარება ჩვენს დროშიც წმიდა მირონის ცხების შემდეგ იკითხება. ორივე საკითხავი ერთნაირად ეხება ორივე შესრულებულ საიდუმლოს. სამოციქულო: რომ. 6,3-11; სახარება: მთ. 28,16-20.*

საიდუმლო მთავრდება მღვდლის, ნათლისა და ახლადმონათლულის სამგზის შემოვლით ემბაზის გარშემო. წრე მარადიულობის სიმბოლოა, ამიტომ ეს წესი შესრულებული საიდუმლოს საუკუნო ძალას აღნიშნავს. თანამედროვე პრაქტიკაში მირონცხების საიდუმლოს ახლადმონათლულის განბანვა (მირონისაგან) და თმის შეკვეცა ერთვის, რომელიც წინათ მხოლოდ 8 დღის შემდეგ სრულდებოდა. პირველ წესს ახალი ქრისტიანი ჩვეულებრივ ცხოვრებაში იმ დიდი ამბის შეხსენებით შეჰყავს, რაც მას გარდახდა, ხოლო თმის შეკვეცა ღმრთისათვის თავის შეწირვის მზადყოფნას გამოხატავს.

ისტორიული მონაცემების მიხედვით, მირონცხების საიდუმლო თავდაპირველად ეპისკოპოსის ხელთდასხმით სრულდებოდა, მოგვიანებით კი აღმოსავლეთში, იმის გამო, რომ გასავლელი მანძილი დიდი იყო, ეპისკოპოსებმა დაიწყეს ზეთის კურთხევა და მისი გადაცემა მღვდელთათვის საიდუმლოს შესასრულებლად. ამჟამად მირონი (ზეთისხილის ზეთისაგან, განსაკუთრებულ ნელსაცხებელთა დართვით) პატრიარქის მიერ საგანგებო წესით დიდ ზუთშაბათს იკურთხევა.

7. ეპქარისტია (ზიარება)

ეპქარისტია უპირატესად ეკლესიის საიდუმლოა.

მორწმუნეთა კრებულში, მთელი ეკლესიის ლოცვით, ეპისკოპოსი ან მღვდელი, აკურთხებს ხორბლის პურსა და ყურძნის ღვინოს, რომლებიც სულიწმიდის ძალით უფალი იესო ქრისტეს ხორცად და სისხლად გადაიქცევა და განკუთვნილია მორწმუნეთა ზიარებისთვის ცოდვების მისატევებლად, საუკუნო ცხოვრებისათვის და მათ შესაერთებლად უფალთან და ერთმანეთთან ეკლესიის ერთიან სხეულში. წმიდა ძღვენთა კურთხევა და ზიარება ეპქარისტის (ზიარების) ერთიანი საიდუმლოა.

უფალმა თავისი სისხლი დაღვარა და თავისი თავი ადამიანთა

* დიდი შაბათის ლიტურგიაზე იკითხება მათეს სახარების ბოლო თავი მთლიანად (28,1-20), ხოლო ნათლისღებისა და მირონცხების საიდუმლო მთავრდება მისი ბოლო ნაწევების კითხვით (28,16-20).

მოდგმას მსხვერპლად შესწირა, ამიტომაც მისი ზორცი და სისხლი თავის თავში ამ სამსხვერპლო, გამაერთიანებელი სიყვარულის ძალას შეიცავს. თავისი ვნების წინ უფალი ყველას სიყვარულით გაერთიანებისთვის ლოცულობდა: „მამაო წმიდაო, დაიცვენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მე, რადთა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩუენ“ (ინ. 17,11).

უფლის კაცობრივი ბუნება გოლგოთაზე ღმერთს ერთგზის შეეწირა, მაგრამ თავად მის მიერვე დადგენილ საიდუმლოში — ევქარისტიაში — მორწმუნეებს შესაძლებლობა მიეცათ ამ დიდი მსხვერპლის მაცხოვრებელ ძალას კვლავ და კვლავ ეზიარონ და სრული გამარჯვება მოიპოვონ ცოდვაზე, ეშმაკსა და სიკვდილზე, რადგან უფალმა თავისი სამსხვერპლო სიყვარულით ყოველგვარი ბოროტება დაამარცხა. უფლის გამარჯვება მისი ბრწყინვალე აღდგომითაა ასახული. მორწმუნენი უფლის განდიდებულ ზორცსა და სისხლს ეზიარებიან და ამიტომაც წმიდა ძღვენს უკვდავების საზრდო ეწოდება. იგია საწინდარი ჩვენი აღდგომისა.

წმიდა ძღვენში მდგომარეობს აგრეთვე თავად მაცხოვრის სასწაულთმოქმედი, კერძოდ, კურნების ძალა. ეკლესია ინახავს დამოწმებებს წმიდა ზიარების შემდეგ ურიცხვ განკურნებათა შესახებ; მაგრამ მთავარი სასწაული, რომელიც წმიდა საიდუმლოთა მონაწილეებზე აღესრულება, — ადამიანის ცოდვით შებღალული და მოკვდინებული სულის განკურნება და აღდგენაა.

მაგრამ იმისათვის, რომ ზიარება მაცხოვრებელი იყოს, მის ღვაწლში მონაწილეობით უფალს უნდა მივემსგავსოთ, მასთან ერთად უნდა მოვკვდეთ, რათა მასთან ერთადვე გავცოცხლდეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ უნდა მოვკვდეთ ცოდვილი ცხოვრებისათვის, საკუთარი განკერძოებულობისა და ეგოიზმისათვის, და შემდეგ ქრისტესთან ერთად ვევნოთ და მისი გამომსყიდველი ღვაწლი, უპირველეს ყოვლისა, ღმრთისა და შემდეგ მოყვასთა მიმართ სიყვარულის მისეულ მცნებათა გამუდმებული შესრულებით გულის განვიცადოთ. პავლე მოციქული წერს: „გლოცავ თქვენ, ძმანო, მოწყალებათათვის ღმრთისათა, წარუდგინენით კორცნი თქუენი მსხვერპლად ცხოველად, წმიდად, სათნოდ ღმრთისა მეტყუელი ეგე მსახურებად თქუენი“ (რომ. 12,1). ნათლისღების საიდუმლოს მსგავსად, ევქარისტია სიკვდილისა და აღდგენის საიდუმლოა.

საიდუმლოს სახელწოდება „ევქარისტია“ მადლობას ნიშნავს. სიტყვა „მადლობის“ ქვეშ აქ ღმრთეებრივი სიძარტილისა და სიყვარუ-

ლის ყოვლისშემძლეობის სასიხარულო შეგნება, უფლის გამარჯვებით სიკეთის უკვე წინასწარგადაწყვეტილი საბოლოო ზეიმის რწმენა და ყოველივე მისგან ბოძებულისათვის ღმერთის ქება იგულისხმება. ჭეშმარიტი მადლიერება მხოლოდ კეთილშობილ, განწმენდილ გულს ძალუძს, რადგან უფლის სიტყვებით, „წმინდანი გულითა“ ღმერთს იხილავენ (მთ. 5,8). სწორედ ლიტურგიას მიჰყავს ადამიანი განწმენდისა და სულიერი ჭვრეტისაკენ ღმერთის დიდებისა, რომელიც ადამიანებს ყველაზე მეტად ღმერთის განხორციელებითა და ღმერთკაცის მთელი სამსხვერპლო მსახურებით განეცხადებათ, რაც მთელი წირვის განმავლობაში განსაკუთრებით იხსენიება.

ადამიანები, რომლებსაც სულიერი თვალი აეხილათ და ჩვენზე საღმრთო განგებულების უზომო მშვენიერება იხილეს, მზად არიან საკუთარი სიცოცხლეც შესწირონ, როგორც სამადლობელი მსხვერპლი. ჩვენ არაფერი ისე არ გვაერთიანებს, როგორც ეს საერთო, უანგარო სიხარული უფლისა გამო.

8. ევქარისტიის საიდუმლოს შესრულება

ერგასის დღიდან მოყოლებული მოციქულებიცა და მათი მაგალითისამებრ ყველა ქრისტიანიც ევქარისტის აღსასრულებლად „უფლის დღეს“, ე. ი. კვირაობით, იკრიბება თანახმად უფლის ბრძანებისა: „ამას ჰყოფდით მოსაჯსენებლად ჩემდა“ (ლკ. 22,19). ამგვარად, ქრისტიანობაში კვირა დღემ — ახალი აღთქმისა და ღმერთის ხსოვნის დღემ — შეცვალა შაბათი, რომელიც ქრისტემდე ღმერთის მიერ ადამიანებთან დადებული ძველი აღთქმის მოსახსენებელ დღედ ითვლებოდა. ქრისტიანები „ახალ ისრაელს“ წარმოადგენენ, რომელთანაც ღმერთმა თავისი ძის მიერ ახალი აღთქმა დადო. რადგანაც კვირა დღე ამას მოწმობს, ამიტომაც არ შეიძლება იყო ეკლესიის წევრი და საკვირაო ევქარისტიაში რეგულარულად არ მონაწილეობდე.

ქრისტე კვირა დღეს აღდგა; კვირა დღეს გარდამოვიდა აგრეთვე სულიწმიდა ეკლესიაზე, ამიტომაც იმავე კვირა დღეს ეკლესია გამუდმებით იწვევს სულიწმიდას და ისიც ახორციელებს ჩვენს შორის ღმერთის ყოფნას: პური და ღვინო უფალი იესო ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაიქცევა.

შემდეგში, როცა ევქარისტიის შესრულება უკვე არა მხოლოდ კვირაობით, არამედ ზოგ დღესასწაულსა და წმიდა მოწამეთა ხსოვნის

დღეებშიც დაიწყო, საიდუმლოს მნიშვნელობა ოდნავადაც არ შეცვლილა. „რაოდენ-გზისცა შჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუბელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს“ (1 კორ. 11,26).

მართლმადიდებლურ ეკლესიაში, როგორც ეს პირველ ქრისტიანულ თემებში იყო, ევქარისტიის შესრულება საზოგადოებრივ ხასიათს ინარჩუნებს. როგორც სიყვარულისა და ერთობის საიდუმლო, ევქარისტია მთელი ეკლესიის მიერ სრულდება. იგი არის ყველა მორწმუნის „საერთო საქმე“, ბერძნულად „ლიტურგია“.* მიუხედავად ამისა, თავდაპირველად ქრისტეს ეკლესიაში ევქარისტიის საიდუმლოს შესრულების სახე ერთგვარი არ ყოფილა, თუმცა ძირითადად იგი ერთი და იგივეა. ჩვენს დროში ლიტურგია ან წმიდა იოანე ოქროპირის, ამ წმიდა ბასილი დიდის, ხოლო ზოგჯერ წმიდა იაკობის, უფლის ძმის, ტიპიკონით სრულდება, დაბოლოს, დიდი მარხვის ზოგიერთ დღეს სრულდება მწუხრის ლოცვა წინა კვირადღეს ნაკურთხ წმიდა ძღვენთან ზიარებით; ამ მსახურებას „პირველშეწირულ ძღვენთა ლიტურგია“ ეწოდება.

ლიტურგია შედგება სამი ნაწილისაგან:

1. **კვეთა** (პროსკომიდია), ანუ მოსამზადებელი ნაწილი. ამ დროს მღვდელმსახურები მღვდელმოქმედებას სამკვეთლოზე პურსა და ღვინოზე ასრულებენ, რომლებიც შემდეგ ლიტურგიაზე იკურთხევა. ძველად პური და ღვინო მორწმუნეებს მოჰქონდათ, აქედან მოდის სახელწოდება „პროსკომიდია“, რომელიც „შესაწირავს“ ნიშნავს.

პური ერთობის სიმბოლოა; ასე მაგ., ერთ ძველ ლოცვაში (დიდაქე, 9) ნათქვამია: „როგორც ეს პური, მთების ზემოთ მიმოფანტული, შეიკრიბა და ერთი გახდა, ამგვარადვე შეიკრიბოს კიდით-კიდემდე შენი ეკლესია შენს სასუფეველში“.

ყურძენი არაჩვეულებრივ მცენარეულ ძალას შეიცავს, ხოლო მისგან დამზადებული ღვინო (ზომიერი მოხმარებისას) მხნეობას გვანიჭებს და მეფსალმუნის თქმით „ახარებს გულსა კაცისასა“ (ფს. 103,15).

საიდუმლოს დაწესება და მიცემა ტრაპეზზე, საზრდელის ერთობლივი მიღების სახით, ჩვენზე ღმრთის განგებულების მოწმობაა, რადგან ჩვეულებრივი კვება და ოჯახური სუფრა საღმრთო ტრაპეზის ხატია და

* ქართული სახელწოდება ლიტურგიისა „წირვა“ — გამოხატავს მის შინაარსს — უსისხლო მსხვერპლის შეწირვას ღმრთისათვის (მთგ.).

გარკვეულწილად მისთვის გვაშზადებს. კვების მეშვეობით ადამიანი სასიცოცხლო ძალას იძენს, ხოლო საზრდელის შინაურული ერთობლივი მიღება საუკეთესო დროა მეგობრული ურთიერთობისათვის.

ლიტურგიის პურს ეწოდება „სეფისკვერი“, რაც აგრეთვე „ძღვენს“ ნიშნავს. იგი უნდა მოშზადდეს საფუარით, რადგან სიტყვა „არტოსი“, რომლითაც სახარებაში საიდუმლო სერობაზე გატეხილი პური აღინიშნება, სწორედ გაფუებულ პურს ნიშნავს; კვეთის დროს მღვდელი ფეშხუმზე ალაგებს პურის ნაწილებს: ცენტრში იღება ტარიგი, რომელიც წირვის დროს უფლის ხორცად გარდაიქცევა, გარშემო ნაწილები: ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახსოვრად (მარჯვენე), წმინდანებისათვის (მარცხნივ), ცოცხლებისა და გარდაცვლილთათვის (ქვემოთ). ფეშხუმზე ნაწილების ასეთი განლაგება თვალსაჩინოდ გამოხატავს მაცხოვრის გარშემო შეკრებილ ეკლესიას.

2. კათაკმეველთა ლიტურგია. წირვის ამ ნაწილზე დასწრების უფლება აქვთ კათაკმეველებს, ესე იგი მათ, ვინც წმიდა ნათლისღებისათვის ეშზადება. ნათლისღებისათვის მათ მოშზადებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ლიტურგიის ამ ნაწილში წმიდა წერილი — სამოციქულო და სახარება — იკითხება.

მაგრამ წმიდა წერილის მნიშვნელობა დიდია მონათლულთათვისაც. წმიდა წერილის კითხვა და შეთვისება თავისი მნიშვნელობით ეკლესიის საიდუმლოებს უტოლდება. ღმრთის სიტყვის შესემნით მორწმუნენი უკვე ეზიარებიან ქრისტეს, რადგან ღმრთის სიტყვა თავად ღმერთია და შემოქმედებითი ძალის მქონეა. ამიტომაც ღმრთისმსახურების დროს სამოციქულოს და მეტადრე სახარების კითხვა განსაკუთრებული ზეიმურობითაა გარემოცული. მას წინ უსწრებს უფლის საქადაგებლად გამოსვლის გამომხატველი სახარებით შესვლა, რომლის დროსაც უფრო ხშირად ნეტარების მცნებანი იგალობება, რომელნიც ადამიანის სულიერი აღმასვლის შესახებ ქრისტეს მოძღვრების საფუძვლებს შეიცავენ. მცირე შესვლის შემდეგ იგალობება საგალობლები (ტროპარები და კონდაკები), რომლებიც დღის სადღესასწაულო მოვლენებს შეეხება, ხოლო მათ შემდეგ, უშუალოდ სამოციქულოსა და სახარების კითხვის წინ, „სამწმიდა“.

ჯერ კიდევ „ძველი ისრაელი“ იქცა „საღმრთო ერად“, ძველი აღთქმის ეკლესიად, სწორედ იმიტომ, რომ საღმრთო სჯულის მისაღებად და დასაცავად იყო მოწოდებული. საღმრთო ლიტურგიაზე მღვდელმ-

სახურის პირით თავად უფალი მოგვემართავს ჩვენ, ისევე როგორც ოდესღაც იგი მოწაფეებსა და ხალხს მიმართავდა.

ღმრთის სიტყვის კითხვა საუკეთესო მზადებაა თვით ევქარისტის საიდუმლოს მისაღებად.

კათაკმეველთა ლიტურგია საერთო ლოცვით ქრისტიანთა სხვადასხვა საჭიროებათა შესახებ (დიდი კვერექსი), ზოგჯერ მიცვალებულთათვის და, ბოლოს, კათაკმეველთათვის ლოცვით მთავრდება. ამ ლოცვაში გამოიხატება მლოცველთა სურვილი ერთმანეთის მწუხარება და სიმძიმელი ზიდონ, და მორწმუნენი ერთმანეთზე ზრუნვით ერთიანდებიან.

3. მართალთა ლიტურგია ნაწილია ლიტურგიისა, რომელსაც მხოლოდ ეკლესიის მონათლული წევრები ესწრებიან. ქერუბიმთას გალობისას, რომელიც მორწმუნეებს ამსოფლიურ საზრუნავებზე ხელის აღებისაკენ მოუწოდებს, ბარძიმსა და ფეშხუმს სამკვეთლოდან საზეიმოდ გადაასვენებენ ტრაპეზზე, რასაც დიდი გამოსვლა ეწოდება. ეს მღვდელმოქმედება, ისევე როგორც მისი მომდევნო მსახურება, მლოცველებს გოლგოთაზე უფლის მსვლელობას, ჯვარზე მის ტანჯვას, სიკვდილსა და დაფლვას მოაგონებს.

ამის შემდეგ სარწმუნოების სიმბოლოს გალობა ემსახურება მორწმუნეთა გაერთიანებას ქრისტიანული სარწმუნოების უმაღლეს ჭეშმარიტებათა ჭვრეტაში. სარწმუნოების აღიარების შემდეგ იწყება ლიტურგიის ყველაზე არსებითი ნაწილი — ევქარისტული კანონი, რომლის დროსაც ძღვენის კურთხევა (ანაფორა) სრულდება.

ევქარისტული კანონის ლოცვები ეკლესიის სახელით წინამძღვრის, ე. ი. უფროსი მღვდელმსახურის, ეპისკოპოსის ან მღვდლის მიერ იკითხება და მიმართულია მამა ღმერთისადმი. მათში აღველინება მადლობა ღმრთის მაცხოვრებელი განგებულებისათვის, ღმერთკაცის გამომსყიდველი მსახურებისა და ევქარისტის საიდუმლოს დაწესებისათვის; გარდა ამისა, ეს ლოცვები ითხოვს სულიწმიდის მოწვევას „ჩვენსა და ძღვენზე“ და, ბოლოს, სავედრებელია ეკლესიისათვის.

სულიწმიდის მოწვევა, ბერძნულად ეპიკლეზისი, მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ ლიტურგიის მთავარ, ევქარისტის საიდუმლოს დამამთავრებელ მღვდელმოქმედებადაა მიჩნეული. კათოლიკური მოძღვრება პურისა და ღვინის ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდმოარებას, ერთი სუბსტანციის სხვა სუბსტანციად რადაცნაირ გარდაქმნას

გულისხმობს. ამ დოქტრინის თანახმად, პურისა და ღვინისაგან მხოლოდ მოჩვენებითი სახე ან თავისებური ილუზია რჩება.

მართლმადიდებლური მოძღვრება ასეთი როდია. ეკრძალოდნენ რა ეკეპარისტის სასწაულს, მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვარნი არ ისწრაფოდნენ სქოლასტიკურ ტერმინებში გამოეხატათ უდიდესი საკვირველება. სიტყვა „გარდმოარსება“-ს გარდაქცევას ამჯობინებენ და განსაზღვრებათა ნაცვლად ანალოგიებს ირჩევენ, მაგალითად, გავარვარებული რკინა რკინადვე რჩება, მაგრამ იმავე დროს ცეცხლადაც იქცევა.

ესე, — ამბობს უფალი და მიგვითითებს პურზე, — **არს ხორცი ჩემი**, და **ესე**, — მიგვითითებს ღვინოზე, — **არს სისხლი ჩემი**.

სიტყვა „ესე“ პურსა და ღვინოში მატერიის არსებობას ადასტურებს, მაგრამ სიტყვა „ესე“ იმასაც ნიშნავს, რომ ხორციცა და სისხლიც აქვე არსებობს. უფლის სულიერი სხეული არც დროითაა შეზღუდული და არც სივრცით. ქვეყნად მისი მყოფობა შეუზღუდავია, ამიტომ გარდაქმნაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. მართლმადიდებლური ეკლესიის ერთი მოძღვარი წერს: „იხილვება პური და ღვინო, იყნოსება პური და ღვინო, შეიგრძნობა პური და ღვინო, ხოლო წმიდა საიდუმლოს გამოაშკარავება და გამოცხადება ხდება თავისი მოქმედებით. სწორედ ასე განგვეცხადა ადამიანურობით შემოსილი ღმერთიც“.

წმიდა საიდუმლოებებში უფლის საიდუმლო მყოფობასთან დაკავშირებით ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თავისი ამაღლების შემდეგ უფალი იესო ქრისტე მამის მარჯვნივ, გრძნობადი (ემპირიული) სამყაროს მიღმა იმყოფება და წმიდა ძღვენში მისი ყოფნა მის დედამიწაზე დაბრუნებას არ ნიშნავს.

პროტესტანტები მართლმადიდებლებისა და კათოლიკებისაგან განსხვავებით ან მთლად უარყოფენ წმიდა ძღვენში უფლის ხორცისა და სისხლის არსებობას და საიდუმლოს გახსენებას უბრალო რიტუალად თვლიან, ან კიდევ მიაჩნიათ, რომ ხორცი და სისხლი სწორედ ზიარების მომენტში ახლავს პურსა და ღვინოს. მათ შორის ისეთებიც არიან, რომლებიც თვლიან, რომ ჩვეულებრივი პურისა და ღვინის მიღებისას, მიმღების რწმენის მიხედვით, ისინი უბრალოდ ზოგ მადლისმიერ ნიჭს შეიცავენ. ყოველივე ეს ძირშივე ეწინააღმდეგება საიდუმლოს მართლმადიდებლურ გაგებას, რომელიც ძველ გადმოცემასა და უფლის მიერ როგორც საიდუმლო სერობის დროს, ასევე კაპერნაუმის სინაგოგაში

საუბრისას ნათქვამ სიტყვებზეა დაფუძნებული (ინ. 6,51-57).

მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრების თანახმად, ფუძემდებლურ სიტყვებს („მიიღეთ და ჭამეთ“ და ა. შ.) საიდუმლოს არსში თუძცა კი შეეყვართ, მაგრამ მას მაინც ვერ ამთავრებენ. რომის ეკლესიის სწავლებით კი წმიდა ძღვენთა არსობრივი გარდაქმნა სწორედ ამ სიტყვების წარმოთქმისას ხდება. კათოლიკებთან მღვდელი საიდუმლოს შესრულების დროს ქრისტეს მოადგილედ ითვლება, ამასთან იგი თითქოსდა წყდება ეკლესიას, რაც სხვათა შორის მღუმარე ლიტურგიის შესრულებაში და იმაში გამოიხატება, რომ მხოლოდ მღვდელი ეზიარება ორივეს — უფლის ხორცსაც და სისხლსაც, მაშინ, როცა ერისაგანნი მხოლოდ ქრისტეს ხორცს ეზიარებიან.

მართლმადიდებლური ეკლესია გვასწავლის, რომ საიდუმლოს ეპისკოპოსის ან მღვდლის მეშვეობით მთელი ეკლესია ასრულებს, მორწმუნეთა (თუნდაც მღვდლის ჩათვლით ორი კაცის) კრებულის არსებობისას, ამასთან, სათანადო წესით ნაკურთხ ტრაპეზზე ან ოდიკზე და, რა თქმა უნდა, არა სხვაგვარად, თუ არა ლიტურგიაზე, რომელიც ერთი განუყოფელი მთლიანობაა. ამიტომ ძღვენის კურთხევა თითქოს თანდათანობით, აღმასვლით სრულდება; დაბოლოს, არა დაწესებული სიტყვებით („მიიღეთ და ჭამეთ“), არამედ სულიწმიდის მოწვევით (ეპიკლეზისით) მთავრდება.

წინათ ლიტურგიაზე დამსწრე ყველა ქრისტიანი ზიარების წმიდა საიდუმლოს მიეახლებოდა. ეკლესიის მამები და მოძღვარნი ერთხმად მიუთითებენ რეგულარული ზიარების აუცილებლობაზე, რა თქმა უნდა, პავლე მოციქულის გაფრთხილების მხედველობაში მიღებით: „გამოდა-იცადენ კაცმან თავი თუცი და ესრეთ ჰურისა მისგან ჭამენ და სასუმელისა მისგან სუნ“ (1 კორ. 11,28). მიუხედავად ამისა, ევქარისტია, როგორც საერთო ტრაპეზი, თვით უფლის მიერ არის დადგენილი, ამიტომაც ჩვენ უარი არ უნდა ვთქვათ მასში მონაწილეობაზე, თუკი თავს უცხოდ არ ვთვლით ქრისტესა და მისი ეკლესიისაგან.

ევქარისტია არის წყარო ახალი ცხოვრებისა იესო ქრისტეში.

9. სინანულის საიდუმლო

სინანულის საიდუმლოში ქრისტიანს ნათლისღების შემდეგ ჩადენილი ცოდვები მიეტევება. მონანული თავის ცოდვებს ეპისკოპოსის ან მღვდლის წინაშე, ხოლო მათი სახით უფლისა და ეკლესიის წინა-

შეცადინა, რომლის ლოცვითაც უფალი მას აღიარებულ ცოდვებს მიუტევებს და კვლავ ეკლესიაში დააბრუნებს. ამგვარად, სინანულის საიდუმლოში შეიძლება გავარჩიოთ, როგორც საკუთრივ სინანული და აღსარება, ასევე ცოდვათა მიტევება და კვლავ ეკლესიასთან შეერთება.

ყოველგვარი ცოდვა უარის თქმაა ღმრთეებრივ ნათელზე. იმისათვის, რომ საკუთარი ბოროტება დავინახოთ, საღმრთო სიმართლის ნათელი და მშვენიერება უნდა ვიხილოთ, რომელიც ყველაზე მეტად უფალი იესო ქრისტეში, მის სახარებასა და წმიდა ადამიანებში გამოვლენილია. ამიტომაც უნდა მოვინანიოთ უფლის წინაშე, რომელსაც ზეცათა მეუფემ ქვეყნიერების მთელი სამსჯავრო გადასცა. სამსჯავრო კი იმაში მდგომარეობს, რომ, რადგანაც უფალი ნათელია, სიბნელისაკენ მიქცევით ამ ნათლის უარყოფელი მსჯავრს უკვე თავის თავში ატარებს.

ყოველგვარი ცოდვა შეცოდებაა სიყვარულის წინააღმდეგ იმდენად, რამდენადაც თვით ღმერთი სიყვარულია. არღვევს რა სიყვარულის კანონს, ყოველგვარ ცოდვას ღმერთსა და ადამიანებთან კავშირის გაწყვეტისაკენ მიყვარებულ და ამდენად იგი ეკლესიის წინააღმდეგ ჩადენილ ცოდვასაც წარმოადგენს. ამიტომ ცოდვილმა, რომელიც ეკლესიას ჩამოშორდება, მის წინაშე უნდა მოინანიოს. ძველად ცოდვილი მთელი ეკლესიის კრებულის წინაშე ინანიებდა, ახლა კი მღვდელი მარტო იღებს აღსარებას უფლისა და ეკლესიის სახელით.

ცოდვა მდგომარეობს არა მარტო ადამიანის ცალკეულ ქცევებში, არამედ იგი მუდმივი ავადმყოფობაა, რომელიც ადამიანს ღმრთეებრივი მადლის მიღებას უშლის, მას ჭეშმარიტი ცხოვრების წყაროს ართმევს. ისეთ ცოდვათა ამოსაძიკვად, როგორცაა ამპარტავნობა ანდა ეგოიზმი, გამუდმებული ყურადღებაა საჭირო საკუთარი თავის მიმართ, ბრძოლა ბოროტ ზრახვებთან და მწარე სინანული ხშირ შეცდომათა გამო. სწორედ ეს არის მუდმივი მონანიება. მადლი რომ ჩავისუნთქოთ, ამისათვის ცოდვის ნამწვი მუდმივად უნდა ამოვისუნთქოთ. ის, ვინც გამუდმებით ამოწმებს თავის თავს და განვილილ დღეს თუნდაც საღამოს ლოცვის დროს იხსენიებს, აღსარების დროს ცოდვებს წარმატებით ინანიებს, ხოლო ვინც უგულვებელჰყოფს სულის ყოველდღიურ ჰიგიენას, ისე ადვილად ვარდება დიდ ცოდვებში, რომ ვერც კი ამჩნევს მას. სინანული, რომელიც წინ უსწრებს აღსარებას, ჯერ ერთი, საკუთარი ცოდვების გააზრებას მოითხოვს, მეორეც, მწარე დარღს მათ გამო და, ბოლოს, — გამბედაობას გამოსწორებისათვის.

კარგად მონანული ცოდვილი თავისი საქციელის მიზეზებსაც პოულობს. მაგალითად, ის მიხვდება, რომ მცირე წყენის გადატანისა და მიტევების უნარობა ამპარტავნობით აიხსნება, რომელთანაც მუდმივი ბრძოლაა საჭირო.

10. აღსარება

რადგან ცოდვის ძირი ადამიანის თავმოყვარეობით გამოწვეული გულჩათხრობილობაა, ამიტომ მასთან ბრძოლა ღმრთისა და ადამიანების წინაშე სულის გადახსნაში უნდა გამოიხატებოდეს. სწორედ აღსარებაა, უპირველეს ყოვლისა, გამოსვლა ავადმყოფური სუბიექტურობისაგან; იგი მოითხოვს თვითშეწირვასაც (საკუთარი თავმოყვარეობით), რის გარეშეც არ არსებობს ნამდვილი სიყვარული. გარდა ამისა, თხრობა ცოდვის შესახებ, რასაც არცთუ იშვიათად თან მწველი სირცხვილიც ახლავს, პიროვნების ჯანსაღი გულიდან ცოდვის მოკვეთასაც უწყობს ხელს. ზოგი სწეულება ხომ ქირურგის ლანცეტის ან მოწვის გარეშე არ იკურნება. აღიარებული ცოდვა უცხო ხდება ადამიანისათვის, ხოლო ფარული კი მთელი სულის დაწყლულებას იწვევს. თანამედროვე ფსიქონალიზმა ბევრი მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინა ამ სფეროში, მაგრამ მან არ იცის, რაში მდგომარეობს ნამდვილი სიჯანსაღე და სად უნდა ვეძებოთ იგი. ჩვენ ცოდვებს მხოლოდ იმისთვის კი არ ვადიარებთ, რომ სასჯელს გავექცეთ, არამედ იმისთვისაც, რომ მათგან განვთავისუფლდეთ, ე. ი. დაზღვეულნი ვიყოთ მათი განმეორებისაგან. მონანიეს რომ იღებს, მღვდელი ასე მიმართავს მას: „ყურადღებით იყავი, შენ სამკურნალოში მოხვედი, ნუ წახვალ აქედან განუკურნებელი“.

ცოდვა შლის სულს, ხოლო მისთვის მთლიანობის დაბრუნება, ე. ი. განკურნება, მხოლოდ ღმრთეებრივ სიყვარულს შეუძლია. სწორედ ამისთვის მივიღვართ ეკლესიაში, სადაც თავისი სიყვარულით თვით ქრისტე გვკურნავს. როგორ არ აღიგზნოს მონანიე ადამიანის გულში ღმრთეებრივი სიყვარული, როცა უფალი ეუბნება: „არცა მე განგიკითხავ შენ, წარვედ და ამიერიტგან ნულარა სცოდავ“ (ინ. 8,11), ან, რაც იგივეა, როცა მღვდელი წარმოთქვამს განსახსნელი ლოცვის სიტყვებს? ცოდვების გახსნის მეუფება უფალმა მისცა თავის ეკლესიას, როცა მოციქულებს უთხრა: „რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰკვნათ ქუეყანასა ზედა, კვნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მთ. 18,18).

აღსარებისათვის მზადებას, უპირველესად, ადამიანის სულიერი ცხოვრება წარმოადგენს სინდისის გამუდმებული ვარჯიშით, რის შესახებაც ზემოთ ითქვა; შემდეგ კი განსაკუთრებული საშუალებები, როგორებიცაა: განმარტობა საკუთარ ცოდვებზე დასაფიქრებლად, ლოცვა, მარხვა, წმიდა წერილისა და სასულიერო წიგნების კითხვა.

აღსარება სრული და ზუსტი უნდა იყოს თავის მართლების გარეშე. ჯერ უნდა გავიხსენოთ ყველაზე უფრო სავალალო ცოდვები (ვნებები, მანკიერებანი), სწორედ მათ უნდა ვებრძოლოთ პირველ რიგში, აგრეთვე ცოდვები სიყვარულის წინააღმდეგ (განკითხვა, სიაყე, მტრობა). თუკი ასეთი ცოდვები გვაქვს, გამუდმებული სინანულისა და ბრძოლის საგანი პირველ რიგში ისინი უნდა გახდეს, რადგანაც ღმერთი სიყვარულია. ამავე მიზეზით, აღსარების წინ ყველას უნდა შევერიგდეთ, პატიება ვითხოვოთ და ჩვენც მივუტევოთ. უფალმა ბრძანა: „ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან მიგიტევნეს თქვენ შეცოდებანი თქუნენი“ (მთ. 6,15).

ყველაფერს, რაც აღსარებაზე ითქმება, მღვდელი ინახავს როგორც უცილობელ საიდუმლოს. როგორც სულის სამკურნალო საშუალება, მღვდელს შეუძლია მონანიეს ეპიტიმია დაადოს, მაგალითად, დაუნიშნოს მას საგანგებო სულიერი სავარჯიშოები, ანდა დროებით არ დაუშვას წმიდა ზიარებაზე.

განსახსნელი ლოცვის კითხვის დროს მღვდელი მონანულს თავზე ოლარს გადააფარებს და ჯვარს გადასახავს.

11. ქორწინების საიდუმლო

ქორწინება არის საიდუმლო, რომლის დროსაც მამაკაცისა და ქალის ბუნებრივი სასიყვარულო კავშირი, რომელშიც ისინი თავისუფლად შედიან, ერთმანეთისათვის ერთგულების აღთქმით, ეკლესიასთან ქრისტეს ერთობის ხატად იკურთხევა. ამ საიდუმლოში იკურთხევა ოჯახური ცხოვრება, აგრეთვე ბავშვების შობა და აღზრდა.

თვით დაყოფა ადამიანებისა მამრობითი და მდედრობითი სქესის არსებებად, იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ერთმანეთის შესავსებად არიან შექმნილნი. მამაკაცისა და ქალის ბუნებრივი ურთიერთსიყვარული ადამიანების ღმერთთან და ერთმანეთთან დამაკავშირებელი სიყვარულის ცოცხალი ხატია.

წმიდა წერილი და წმიდა გარდამოცემა, წმიდა მამების სიტყვები

და საღმრთისმსახურო ტექსტები აღსავსეა მიწიერი სიყვარულის ხატებით, რომლებშიც გაცხადებულია ღმერთის სიყვარული ეკლესიისა და ადამიანის მიმართ და ეკლესიისა და ადამიანის სიყვარული ღმერთის მიმართ. ღმერთთან მიმართებაში ეკლესია და ცალკე აღებული ადამიანის სული მუდმივად ემსგავსება ხან საპატარძლოს, ხან ქალწულს, ხანაც სატრფოსა თუ ცოლს, უფალი კი — სიძეს, სატრფოს და ქმარს, ხოლო ქორწილი და საქორწინო ღვინო რელიგიური ცხოვრების მაღალ მდგომარეობათა სახეებს წარმოადგენენ და ეს არც არის შემთხვევითი, რადგან ცოცხალი მსგავსება მამაკაცისა და ქალის სიყვარულსა და სულიერი სიყვარულის მაღალ საფეხურებს შორის ძალზე ღრმაა. საკმარისია მივუთითოთ, რომ ამქვეყნიურ სიყვარულსაც ძალუძს ეგოიზმის დაძლევა, აგულიანებს თავგანწირვისა და სრულყოფისათვის, ალაგებს ადამიანს ზემთაგონებითა და ნათელი სიხარულით.

მაგრამ მიწიერი სიყვარული მაინც მხოლოდ ხატია უმაღლესი სიყვარულისა და უკეთეს შემთხვევაში — ერთი საფეხური მისკენ, და თუ იგი მაღლისმიერ კურთხევას არ შეიძენს, არამტკიცე იქნება და ადამიანის ამაღლებას ვერ შეძლებს. ზეგარდმო შეწევნის გარეშე აღორძინდება პირადი ეგოიზმი, ქმარი და ცოლი ერთმანეთში მხოლოდ თავიანთი ყოფითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალების დანახვას იწყებენ, ანდა აღმოცენდება ოჯახური ეგოიზმი, ზოგჯერ უფრო სასტიკი, ვიდრე პიროვნული.

ამ საშიშროებათა დასაძლევად სხვაგვარი სიყვარულია საჭირო, რომელიც ადამიანებს არა აქვთ, მაგრამ რომლის მოცემაც ქრისტეს შეუძლია. ეს ის სიყვარულია, რომლითაც ქრისტემ მთელი ეკლესია შეიყვარა. ქორწინების საიდუმლოში, თუკი მექორწილენი თავიანთ ბუნებრივ სიყვარულს თავისუფლად უმორჩილებენ ღმერთისა და ეკლესიისადმი სიყვარულს, ისინი უმაღლესი, მაღლმოსილი ქრისტესმიერი სიყვარულის ნიჭს იღებენ. იგი, როგორც უჯრედი ორგანიზმისა, მხოლოდ ეკლესიის წიაღში შეიძლება არსებობდეს.

ბავშვის დაბადება ეგოიზმის დაძლევაში ახალ საფეხურს წარმოადგენს. აქ უკვე ორნი სწავლობენ მესამისათვის თავგანწირვას, მაგრამ ეს გაფართოებული კავშირიც მაღლისმიერ შეწევნას საჭიროებს. ბავშვები ადვილად იქცევიან თავიანთი მშობლების კერპებად და ამას დიდი ზიანი მოაქვს ბავშვებისთვისაც და მშობლებისთვისაც. ბავშვი კერპი არ უნდა იყოს, იგი ცოცხალი, განსაკუთრებით ნათელი ხატია,

რადგანაც ბავშვებში ღმრთის ხატი ნაკლებ დაზიანებულია, ვიდრე მოზრდილებში. ბავშვურ უბრალოებას, მიმდობლობას, უბოროტობას და უმწიობას სწავლება და ნუგეშისცემა შეუძლია. ტყუილად კი არ მოწოდებდა უფალი ბავშვებივით დამდაბლებისაკენ, რადგან ასეთებისაა, მისი თქმით, ცათა სასუფეველი. ამიტომაც არის ბავშვი ღმრთის განსაკუთრებული წყალობა და ოჯახის სიხარული.

ღრმად რომ ჩავწვდეთ, როგორი უნდა იყოს ქრისტიანული ქორწინება, უნდა ჩავუკვირდეთ ქრისტეს დამოკიდებულებას ეკლესიისადმი, აგრეთვე წმიდა წერილის იმ სიტყვებს, რომლებიც მამაკაცისა და ქალის შექმნას შეეხება. თავად ეკლესია გვიჩვენებს ამ გზას ქორწინების საიდუმლოს აღსრულების წესის თანმიმდევრობით.

წმიდა ტექსტები გვიჩვენებს, რომ ოჯახში ქმრისა და მამის უცილობელი მეთაურობა „მცირე ეკლესიის“ ანუ ოჯახის მესაჭის დიდ სულიერ პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მსგავსად უფლის სამსხვერპლო ზრუნვისა მთელს თავის ეკლესიაზე. ოჯახის უფროსი ჰგავს მოძღვარს, რომელიც პასუხისმგებელია თავისი სულიერი შვილების ბედისათვის. მას ყველაზე მეტად ევალება იმაზე ზრუნვა, რომ არ გაწყდეს კავშირი მის „მცირე ეკლესიას“ — ოჯახსა და ქრისტეს მთელ ეკლესიას შორის. იგი უნდა დაეხმაროს მთლიანად ოჯახს და მის ყოველ წევრს, თავისი მოწოდების შესაბამისად უნდა იპოვოს რაიმე უმაღლესი ინტერესი, რომელშიც ღმრთისა და ეკლესიისადმი მისი სამსახური გამოვლინდება. შეუძლებელია მოიძებნოს უკეთესი საფუძველი ბავშვების აღზრდისათვის, ვიდრე მათთვის იმის შეგრძნებინება, რომ ისინი ოჯახში იმ თემის წევრები არიან, რომელიც რაღაც საერთო საქმეს ემსახურება.

ცოლს, როგორც ქმრის შემწეს, განსაკუთრებით ოჯახური ცხოვრების აღმშენებლობის დარგში, შეუძლია იყოს ქმრის შთამაგონებელი, რაც არსებითაა ქალის დანიშნულებაში. ქორწინების საიდუმლო საეკლესიო კურთხევით იწყება, მაგრამ გრძელდება მთელი ცოლქმრული ცხოვრების განმავლობაში. ორის შეერთება ერთ არსებად სასწაულია, რომელიც ურთიერთგამდირების უდიდეს შესაძლებლობას იძლევა და ეკლესიაც აღნიშნავს ქორწინების სიხარულს.

ყველაფერი, რასაც მოსიყვარულე ადამიანები ერთად განიცდიან, ეს თითქოს ღვინოა, პიროვნული განცდების წყალთან შედარებით, მაგრამ უფალმა გალილეის კანაში ქორწილზე წყალი ღვინოდ აქცია ხატად

ღვინის მომავალი ექპარისტოული გადაქცევისა მის წმიდა სისხლად, რომელიც უკვე უფალთან და ერთმანეთთან ყველას შესაერთებლადაა მოწოდებული (ინ. 2,1-11).

12. ქორწინების საიდუმლოს შესრულება

ქორწინების საიდუმლოს შესრულება იწყება წინდობით, რომელიც შეიძლება ცალკეც შესრულდეს. ერთმანეთისათვის მიცემულ დაპირებათა სიმტკიცის აღსანიშნავად მღვდელი მექორწინეებს თითზე წამოაცმევს ნაკურთხ ბეჭდებს, რომლებსაც შემდეგ ისინი ერთმანეთს უცვლიან.

თავის ლოცვებში ეკლესია მათთვის სრულყოფილ სიყვარულს, ჭემ-მარიტებაში ერთსულოვნებას, მტკიცე რწმენას, უბიწო ცხოვრებასა და შვილების შობას ითხოვს. ამასთან იხსენიება, რომ ღმერთმა პირველად მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.

შემდეგ, ჯვრისწერის დაწყებისას, დასაქორწინებელთ ეკითხებიან: ნებით ქორწინდებიან თუ არა ისინი და ხომ არ არიან დაკავშირებულნი პირობით სხვებთან? შემდეგ მღვდელი სიძესა და პატარძალს თავზე გვირგვინებს დაადგამს და საიდუმლო მთავრდება სამგზის კურთხევით, რომლის დროსაც მღვდელი შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს: „უფალო ღმერთო ჩვენო, დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან ჰყუენ ესენი“. მერე სამოციქულო და სახარება იკითხება და უფლის ლოცვა აღევლინება. დაქორწინებულნი სამგზის მოსვამენ ღვინოს საერთო თასიდან და მღვდლის წინამძღოლობით სამგზის შემოუვლიან გარს ანალოლიას (ტაძრის შუაგულში დასვენებულ ხატს).

გვირგვინები ვნებებზე გამარჯვების ნიშანია და შეხსენება სიწმიდის დაცვის მოვალეობაზე; საერთო თასი — ჭირისა და ღვინის გაზიარების აუცილებლობის სიმბოლოა, ხოლო ანალოლიის შემოვლა — ქორწინების სიმტკიცისა.

ჯვრისწერის ლოცვებში არა მარტო შვილების, არამედ შვილიშვილების მიცემაც გამოითხოვება; არის აგრეთვე ლოცვა ჯვარდაწერილთა მშობლებისათვის. ახალი ოჯახისათვის გამოითხოვება კეთილდღეობა, რომელიც მან სხვებსაც უნდა გაუზიაროს იმის შესახსენებლად, რომ ოჯახი თავის თავში არ უნდა ჩაიკეტოს. ამ საიდუმლოს ღრმა აზრი განსაკუთრებით ცხადი სამოციქულოსა და სახარების ტექსტებიდან ხდება. სამოციქულოში სულიწმიდით აღვსილ მორწმუნეთა

ცოლქმრული ცხოვრება ქრისტესა და ეკლესიის ურთიერთობასთანაა შედარებული (ეფ. 5,20-33), ხოლო სახარებაში უფლის მიერ გალილის კანაში ქორწილზე წყლის ღვინოდ გადაქცევა კიდევ უფრო დიდი სასწაულის, მთელი ეკლესიის საქორწინო ღვინის — ექპარისტის წინასახეს წარმოადგენს (ინ. 2,1-11).

ძველად ქორწინება ლიტურგიის დროს სრულდებოდა, მაგრამ იგი ახლაც მთელი ეკლესიის საქმედ და სიხარულად უნდა ითვლებოდეს.

ქრისტიანული ქორწინება მხოლოდ ერთადერთი შეიძლება იყოს. საქორწინო სიყვარულის საიდუმლო იმაშია, რომ მოყვარულნი მთლიანად აძლევენ ერთმანეთს საკუთარ თავსა და სიცოცხლეს. ამ სიყვარულში ადამიანის პიროვნება არ ნაწევრდება და მთელი ცოლქმრული სიყვარული მარადისობით იზომება. ამიტომაცაა დაუშვებელი გაყრაცა და მეორედ ქორწინებაც. გაყრა, ქრისტეს სიტყვის თანახმად (მთ. 5,32), დასაშვებია მხოლოდ ცოლქმრული ერთგულების დარღვევის შემთხვევაში. ეკლესია ამას (პირობითად) მაშინაც უშვებს, როცა ქორწინების განხორციელება შეუძლებელია.

მეორე და მესამე ქორწინება დაიშვება როგორც ადამიანის სისუსტის შეწყნარება. ჯვრისწერის წესი ამ შემთხვევებში ზემოქრობას მოკლებულია და სინანულის ღოცვებს შეიცავს.

13. მონაზვნობა

ისტორიული მონაცემები. ქალაქებიდან და სოფლებიდან უდაბურ ადგილებში განრიდება, განდევილობა, მარხვა, ქალწულობა და ბევრი სხვა ასკეტური ღვაწლი ძველთაგანვე იყო დამახასიათებელი მრავალი რელიგიისათვის. ამგვარი ცხოვრების მაგალითები ძველსა და ახალ აღთქმაშიცაა მოცემული.

მარხვისა და ღოცვისათვის თვით ქრისტეც უდაბნოში გავიდა. მართლმადიდებლურ ეკლესიაში არსებული ტრადიციის თანახმად, პირველ მონაზვნებად იოანე ნათლისმცემელი (მამათა შორის) და ღმრთისმშობელი, მარადის ქალწული მარია (დედათა შორის) არიან მიჩნეულნი. მიუხედავად ამისა, ბერმონაზვნობის ფუძემდებლად წმინდა ანტონი დიდი, ან წმინდა პავლე თებაიდელია აღიარებული.

როგორც საეკლესიო წესი, მონაზვნობა IV საუკუნეში აღმოცენდა და ფართოდ გავრცელდა მაშინ, როცა იმპერატორ კონსტანტინეს ნებით ქრისტიანული რელიგია გაბატონებული გახდა და ეკლესიაში მრავალი

ნომინალური ქრისტიანი შევიდა, რის შედეგადაც საეკლესიო თემებმა თავდაპირველი მკაცრი ცხოვრების წესის დაკარგვა დაიწყეს. მაშინ გულმოდგინე ქრისტიანებმა ჯერ ქალაქის გარეუბნებში იწყეს გახიზვნა, შემდეგ კი უდაბნოშიც გავიდნენ. ამ პროცესს სათავე ეგვიპტეში დაელო.

როცა პირველ მეუღლებს მრავალი მიმდევარი გაუჩნდა, თანდათანობით დადგინდა ბერთა თანაცხოვრების წესები, პირველად ღირსი პახუმი დიდის, ხოლო მოგვიანებით წმინდა ბასილი დიდის მიერ. შემდეგში სამონასტრო ცხოვრების სხვა წესებიც, ანუ წესდებები გაჩნდა: პალესტინაში — ღირსი საბა განწმენდილისა, ბიზანტიაში — ღირსი თეოდორე სტუდიელისა, დასავლეთში — ღირსი ბენედიქტესი.

აღმოსავლეთში თანდათანობით ჩამოყალიბდა სამონაზვნო ცხოვრების სამი ძირითადი ტიპი: ერთად ცხოვრება, განმარტოვებული და შერეული. ამასთან, შემუშავდა ბერად აღკვეცის განსაკუთრებული საეკლესიო რიტუალი ანუ წესი — მონაზვნად აღკვეცა.

მონაზვნად აღკვეცის წესი. ეს მღვდელმოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ ბერად შედგომის მსურველი, ჯერ ერთი, უცოლშვილოდ ცხოვრების (უქორწინებლობის აღთქმა), მეორე, საკუთრების გარეშე (უპოვრობის აღთქმა), და მესამე — საეკლესიო და სამონაზვნო წესდებებისა და სულიერ მოძღვართა მორჩილებით (მორჩილების აღთქმა) ცხოვრების პირობას დებს. ამ აღთქმათა მიღების ნიშანია ის, რომ აღმკვეცი (ეპისკოპოსი ან საამისოდ დანიშნული ბერი) ახალ სახელს აძლევს აღსაკვეცს, თავზე ჯვრის სახედ შეაკვეცს ცოტაოდენ თმას და მას ჯვარს, სანთელს, ფსკენილსა და სხეულის შესამოსად ჯვრის გამოსახულებიან ქსოვილს გადასცემს.

გარდა ამისა, ახლადაღკვეცილი შეიმოსება საგანგებო საბერო შესამოსელით. აღკვეცის წინ ბერობის მსურველი იხდის თავის სამოსელს და აღმკვეცის წინაშე მხოლოდ გრძელი პერანგით (ძაძით) წარდგება.

აღკვეცას წინ უძღვის აღსაკვეცის გამოკითხვა, რითაც ირკვევა მისი თავისუფალი და მტკიცე განზრახვა ბერად შედგომისა. გამოკითხვის შემდეგ აღმკვეცი წარმოთქვამს ლოცვას, რათა ახალ ბერს მაღლისმდებარი ძალა მიანიჭოს ღვაწლის ღირსეულად გასაწევად.

ყოველ ცალკეულ მღვდელმოქმედებას თან ახლავს აღმკვეცის საიდუმლოს აღმასრულებელი სიტყვები. მაგალითად, თმის შეკვეცის მომენტში იგი ამბობს: „ძმა ესე ჩვენი (სახელი) მოიკუეცს თმასა თავისა თვისასა სახელითა მამისათა, ამინ, და ძისათა, ამინ, და სულისა

წმიდისათა, ამინ. ვთქუათ ყოველთა ამისთვის: უფალო, შეგვიწყალებ“.

ფსკვნილის მიღება იესოს ლოცვის გამუდმებით წარმოთქმაზე თანხმობას ნიშნავს: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. აღკვეცა ძველად საღმრთო ლიტურგიაზე (წირვაზე) სრულდებოდა. საამისოდ დაწესებული იყო საგანგებო სამოციქულო და სახარების საკითხავები.

სამონაზვნო და ზოგადქრისტიანული ცხოვრება. ბერად აღკვეცის მთელი წესი მოწმობს, რომ თავისი არსით საბერო ღვაწლი იმავე მიზნისკენაა მიმართული, საითაც საერთოდ ყოველგვარი ქრისტიანული ცხოვრება და საბერო აღთქმებიც თავისი სულით ნათლისღების აღთქმებს შეესატყვისება. ყოველი ქრისტიანი ცოდვილი ცხოვრებისათვის უნდა მოკვდეს და სულიერად გაცოცხლდეს ქრისტესათვის. ყოველმა ქრისტიანმა, თუკი ამას უფალი იხებებს, უარი უნდა თქვას ნებისმიერ ამქვეყნიურ კავშირსა და სიყვარულზე და საკუთარ სიცოცხლეზეც კი. ყოველ ქრისტიანს ეხება პავლე მოციქულის სიტყვები: „ჟამი ესე შემოკლებულ არს ამიერთგან; და რადთა რომელთა ესხნენ ცოლ, ესრეთ იყვნენ, ვითარცა არა ესხნეს; და რომელნი ტიროდინ, ვითარმცა არა ტიროდეს; და რომელთა უხაროდის, ვითარმცა არა უხარის... და რომელნი იმსახურებდენ სოფელსა ამას, ვითარმცა არა იმსახურებენ“ (1 კორ. 7,29-31). ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტ ქრისტიანს, არაფერი ამქვეყნიური, რაგინდ ღიდი სიკეთეც არ უნდა იყოს, ქრისტეზე მეტად არ უნდა უყვარდეს. ამიტომ სამონაზვნო ცხოვრება ზოგადქრისტიანულისაგან რაიმე საგანგებო თვისებით კი არ განსხვავდება, არამედ მხოლოდ ღმრთისკენ სწრაფვისას განსაკუთრებული, არა ყველასათვის მისაწვდომი გულმოდგინებით.

მონაზვნობა და ქორწინება. არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ მონაზვნური და ცოლქმრული ცხოვრება დაპირისპირებულ, ურთიერთგამომრიცხავ მოვლენებად ჩავთვალოთ. ერთიცა და მეორეც ღმრთისკენ ერთმანეთის მხარდამხარ, პარალელურად მიმავალი გზაა. მონაზვნური, უქორწინებელი ცხოვრება ქორწინების უარყოფა კი არაა, არამედ მხოლოდ განსაკუთრებული გზა ადამიანური ბუნების ძალთა გამოყენებისა. ქორწინების უარყოფა და მისი უკადრისობა ეკლესიამ ღიდი ხანია გადაჭრით დაგმო, მაგრამ ამასთან ერთად იგი უქორწინებლობასაც და ქალწულობასაც აკურთხევს.

უქორწინებელი და ქალწულებრივი ცხოვრების ამრჩევენი თითქოსდა

წინასწარ ჭვრეტენ მომავალ ცხოვრებას, რომელშიც, უფლის თქმით „არცა იქორწინებოდნან, არცა განჰქორწინებდნენ, არამედ ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი, იყვნენ ცათა შინა“ (მთ. 22,30). ოღონდ უქორწინებელი ცხოვრების გზა ბევრს არ ხელეწიფების, უფლის სიტყვებით: „არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთადა მიცემულ არს“ და „რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ“ (მთ. 19, 11-12). მიუხედავად ამისა, ასეთი ცხოვრების სიძნელეთა დასაძლევად არსებობს ბუნებრივი საფუძვლებიც. ძველთაგანვე ცნობილი იყო და თანამედროვე მეცნიერებაც ადასტურებს, რომ ყველა ძალა, რომელიც ადამიანის სულსა და სხეულშია ჩადებული, შეიძლება სულიერ-შემოქმედებითი მიზნებით იქნეს გამოყენებული და ერთგვარად შეიცვალოს თავისი მიმართულება და დანიშნულება. სხეულის ენერჯია სულის ძალებთან ერთად ადამიანის სულიერ-შემოქმედებით სწრაფვას ასაზრდოებს და შეუძლია მთლიანად დამორჩილდეს მას. ბერული ცხოვრება სწორედ მაშინაა შესაძლებელი, როცა არა ბუნებრივ მოთხოვნილებათა უბრალო დათრგუნვაზეა დამყარებული, არამედ როცა მას თან ღმრთისა და ადამიანთა მსახურებისაკენ შთაგონებული სწრაფვაც ახლავს. ასკეზის ასეთი განწყობილებისას ყოველგვარი თავშეკავებულობა ბუნებრივად აუცილებელი ხდება. იგი ამა თუ იმ ზომით ყოველგვარ შემოქმედებით საქმიანობას ახლავს თან და გარდაუვალია.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბერებს შემწედ განსაკუთრებული მადლისძიერი ნიჭი ეძლევათ, რომელთაც, როგორც ახალ საფუარს, მთელი ადამიანური ბუნების ძირეულად გარდაქმნა ძალუძთ.

მონაზვნობა და საკუთრება. რაც უქორწინებლობის აღთქმის შესახებ ითქვა, იგივე უნდა ითქვას უპოვრობის აღთქმის შესახებაც, რომელიც საკუთრების უარყოფა კი არ არის, არამედ გარკვეული სახე იმ სულიერ ძალთა ეკონომიისა, რომელიც მადლისძიერ ნიჭთა შესაძენადაა საჭირო. მატერიალური სიკეთეებისადმი ამგვარი განდგომილი დამოკიდებულება ამა თუ იმ ზომით ყველა ქრისტიანისათვის აუცილებელ თვისებას წარმოადგენს. საამისოდ თავად უფლის მრავალი სიტყვა გვაგულიანებს, ხოლო წმინდა ბასილი დიდის ლიტურჯიაზე ეკლესია კეთილისმყოფელთათვის შემდეგი სიტყვებით ლოცულობს: „მიანიჭე მათ ქვეყანისათა წილ ზეცისათანი, და საწუთოდსა წილ — საუკუნონი, განხრწნადთა წილ — უხრწნელნი“.

მორჩილების აღთქმა და თავისუფლება. მორჩილების აღთქმა ადა-

მიანურ თავისუფლებაზე უარის თქმა კი არ არის, არამედ პირიქით, პირდაპირი გზა მისკენ. თავისუფალი ბოლომდე მხოლოდ ღმერთია. ადამიანი კი თავისუფლებას მაშინ იძენს, როცა ღმრთის ნებას ადასრულებს, მაგრამ ღმრთის ნება რომ აღვასრულოთ, საკუთარ ნებაზე უნდა ვთქვათ უარი, რასაც ხელს სწორედ მორჩილების აღთქმა უწყობს.

ბერი და საზოგადოება. არა მხოლოდ მონასტერში წასვლა, არამედ თვით დაყუდებაც კი, სრულებითაც არ არის ეგოისტური თვითჩაკეტვა. პირიქით, ეს არის გზა საკუთარი გულის გახსნისაკენ ყოვლისმომცველი სიყვარულისათვის. ადამიანი, რომელმაც თავის გულში ქრისტე შეიძინა, რომელიც თავისი სიყვარულით მოიცავს ყველას, მასთან (ქრისტესთან) ერთად იძენს ყველა ადამიანს. მრავალი ღირსი მამა, რომლებმაც ბერული ღვაწლით გული განიწმინდეს, შემდგომ ღმრთის ბრძანებით თავიანთი დარიგებებითა და რჩევებით ადამიანებს ემსახურებოდნენ, თითოეულის გასაჭირი ესმოდათ და ხშირად, ისევე როგორც იესო ქრისტეს, სხვისი აზრებისა და სურვილების უშუალო წაკითხვა შეეძლოთ.

ბერის ლოცვა. სამონაზვნო მოღვაწეობის ყველა სახე ლოცვასა და შეძლებისდაგვარად ღმრთის სიტყვისა და წმიდა მამათა ნაწერების კითხვასთან უნდა იყოს აუცილებლად შეერთებული. ხოლო ლოცვათაგან მართლმადიდებელი ბერისათვის აუცილებელია იესოს ლოცვის განუწყვეტლივ განმეორება. მისი ზეპირი წარმოთქმა, თუ იგი მართებულადაა გამოყენებული, მოღვაწისათვის თავიდან აზრობრივი, შემდეგ კი გულისხმიერი და თვითმოძრავი ხდება. ამ უკანასკნელი სტადიის მიღწევისას მოღვაწის სული თითქოსდა გარდაიქმნება. ბოროტი ზრახვებისა და წარმოდგენების წარმოშობა არა მარტო წყდება, არამედ აზრებითა და გრძნობებით ყოველგვარი თვითნებური თამაშიც ქრება. სულში მხოლოდ სულისმიერი წარმოდგენები რჩება და იგი ღმერთთან ისეთი სიახლოვის შეგრძნებით, რომლის გადმოცემაც ადამიანურ სიტყვას არ ძალუძს, ღმრთებრივი სინარულით, სიყვარულითა და სინათლით ივსება. ბერული ღვაწლი, თუკი იგი მსგავსი მაღალი მდგომარეობისაკენ არ ისწრაფვის, რამდენადმე კარგავს თავის აზრს.

ანგელოზბრივი ცხოვრება. ამგვარი მაღალი მდგომარეობისაკენ სწრაფვისა და მისი მიღწევის გამო სამონაზვნო ღვაწლს ანგელოზთა მსახურებას ადარებენ. ისევე როგორც ანგელოზები, ეკლესიის ზოგიერთი მამის სწავლებით, ღმრთებრივ ნათელს სარკეთა მსგავსად

ირეკლავენ და ადამიანებს გადასცემენ, ბერიც, რომელმაც ღმრთეებრივი სიყვარულის ნათელი მიიღო, მთელ ქვეყანას უნდა ანათებდეს. არსებობს ასეთი გამოთქმა: „ერისკაცთა ნათელი ბერები არიან, ბერების ნათელი — ანგელოზები“.

როცა ერისკაცები მონასტრებში მიდიოდნენ, ბერებთან უმთავრესად იმ ღმრთეებრივი ნათლის რეალურ დამოწმებას ეძიებდნენ, რომელიც კაცს განაბრწყინებს, ე. ი. სიწმინდეს მიელტვოდნენ. ბევრმა ჰპოვა კიდევ ასეთი მოწმობა ბერების ბრძნულ სიტყვებში, მათ მიერ ქმნილ სასწაულებში და თვით მათ მორჩილსა და მაღლმოსილ ხატში.

მონაზონთა ერთად ცხოვრება. მონასტრები, სადაც ბერები ერთად ცხოვრობენ, გარკვეულწილად პირველქრისტიანული საეკლესიო თემების ცხოვრების აღსადგენად არიან მოწოდებულნი. ძმური, მოსიყვარულე ურთიერთობის სწავლება მათი ერთი მთავარი მიზანთაგანია. იგი საერთო ღოცვის, საერთო ტრაპეზის, საერთო შრომისა და საკუთრების გზით, მოკლედ — ერთად ცხოვრების გზით მიიღწევა. მიუხედავად ამისა, ის რომ ყოველ ბერს საკუთარი კელია (სენაკი) აქვს, გზას უხსნის მას ღმრთისაკენ პირადულ სწრაფვაში.

მონასტრების ზოგადი მნიშვნელობა. ქრისტიანული სამყაროსათვის მონასტრების მნიშვნელობა მხოლოდ იმაში როდი მდგომარეობდა, რომ ისინი სულიერად ანათებდნენ. მრავალი სავანე განათლებისა და ქველმოქმედების კერა და ეროვნული შეგნების ცენტრი იყო. ზოგიერთი მათგანი მისიონერულ საქმიანობასაც ემსახურებოდა.

დასავლეთის ეკლესიაში ბერმონაზვნობა სხვადასხვა ორდენებად დაიყო, რომელთაგან თითოეული თავის განსაკუთრებულ საეკლესიო საქმეს ასრულებს. მართლმადიდებლებს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებათა მიხედვით ასეთი დაყოფა არ გვაქვს. მიუხედავად ამისა, ასეთი რამ გამორიცხული არ არის და ზოგიერთმა მონასტერმაც სახელი სწორედ საეკლესიო ცხოვრების ამა თუ იმ დარგში მოღვაწეობის შედეგად გაითქვა.

განდევილობა და დაყუდებულობა. განდევილთა და დაყუდებულთა ცხოვრების წესი ბერმონაზვნური ცხოვრების სხვა სახეებისაგან არსებითად არ განსხვავდება. მათ ერთი აქვთ როგორც მიზანი, ასევე აღთქმებიც. მიუხედავად ამისა, ბერმონაზვნობის დასაწყისიდანვე ზოგი ბერი სრულ მარტოობას ირჩევდა. ერთნი გამოქვაბულებს ეხიზნებოდნენ, სხვები ტყეებში იშენებდნენ განმარტოებულ სენაკებს; „მესვეტეები“

მაღალ კოშკებსა და უდაბურ კლდეებზე ცხოვრობდნენ; ზოგიერთი კი თუმცა მონასტერში რჩებოდა, მაგრამ თავისი სენაკიდან არ გამოდიოდა.

ასეთი მარტობა ადამიანს თავისი ზრახვების თვალყურის დევნაში ეხმარება და ამგვარად განუწყვეტელი ლოცვისას სრული ყურადღების გამომუშავებას უწყობს ხელს. თუმცა არც ის უნდა ვიფიქროთ, თითქოს მოღვაწისათვის განმარტობა მშვიდსა და უშფოთველ ცხოვრებას ნიშნავდეს; პირიქით, ქვეყნისაგან განშორებულს ვნებები და დემონები განსაკუთრებული ძალით ესხმიან თავს და ამ სასტიკ ბრძოლაში იარაღი უღრმეს მორჩილებასთან ერთად მხოლოდ განუწყვეტელი ლოცვაა. სწორედ ამიტომაც განდევილობა ყველა ქრისტიანის ხვედრი როდია. მხოლოდ მათ, ვინც ადამიანთა შორის დიდხანს იღვაწეს და სხვადასხვა, ზშირად აკადემოფურ ცდუნებათა დაძლევათა აუცილებელი ჩვევები შეიძინეს, შეუძლიათ სულიერი სარგებელი ჰპოვონ ერისაგან განშორებაში. ქრისტიანთა უმრავლესობისათვის კი ეს არა თუ სასარგებლო, საშიშიც კია. ამიტომ ასეთი ცხოვრებისათვის გამოცდილი მოძღვრის მეთვალყურეობით მომზადებაა აუცილებელი.

განსაკუთრებულნი ნიჭნი სულიწმიდისა, როგორიცაა წინასწარმეტყველური ხედვა, განკურნება, ცრემლები და — ღმრთიურ ნიჭთა შორის უმაღლესი — სრულყოფილი სიყვარულის ნიჭი, უფრო ზშირად სწორედ განდევილ ბერებთან გვხვდება. მხოლოდ ასეთი სულიერი სრულყოფილების მიღწევის შემდეგ თმობენ ისინი მარტობას სამოციქულო მოღვაწეობისათვის.

მკაცრი მონაზვნური ცხოვრების მაგალითები გვიჩვენებს, რომ ყოველგვარი ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრება ადამიანის ღმერთთან უშუალო შეხებით უნდა წარიმართოს და რომ ქრისტიანი ღმრთეებრივ მითითებათა მისაღებად და აღსასრულებლადაა მოწოდებული.

ამგვარად, ქრისტიანები ერთმანეთისაგან მხოლოდ „სულიწმიდის მოხვეჭის“ სულიერი ხარისხით განსხვავდებიან.

14. მღვდლობის საიდუმლოს შესახებ

ა) ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, როგორც ეკლესიის წევრი, ღმრთისადმი მიძღვნილი „წმიდა ერი“ და „სამეფო სამღვდლოება“ (1 პეტ. 2,9), თავისებური მღვდელმსახურია, რადგან თვით ქრისტიანული ცხოვრება ღმრთისმსახურებაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერისკაცები საიდუმლოს მონაწილეები, ხოლო განსაკუთრებულ

შემთხვევებში ნათლისღების საიდუმლოს შესრულებელნიც კი არიან. მაგრამ თუ ეკლესიაში ერთობლივი ღმრთისმსახურებისათვის მოწოდებულია ყველა, სამაგიეროდ ამ მსახურების სახეები სხვადასხვაა. წმიდა პავლე მოციქული წერს: „რომელნიმე დაადგინა ღმერთმან ეკლესიათა: პირველად მოციქულნი, მეორედ წინადაწარმეტყველნი, მესამედ მოძღუარნი, მერმე — ძალნი, მაშინდა მადლი კურნებათანი, შეწევნანი, ღუწოლანი თესლად-თესლადი ენათად“ (1 კორ. 12,28).

ბ) ღმრთისმსახურების სხვადასხვა სახიდან ზოგი განსაკუთრებულ კურთხევას მოითხოვს. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ევქარისტიასა და სხვა საიდუმლოთა შესრულებასთან დაკავშირებული მსახურებანია.

ასეთ კურთხევას, მოციქულთა დროიდან, განსაკუთრებით საჭიროებდა ეპისკოპოსი, რომელიც ეკლესიის სახელით ევქარისტიას ადასრულებდა და იმ საეკლესიო თემის მლოცველ კრებულს ხელმძღვანელობდა, რომელსაც იგი მეთაურობდა და განასახიერებდა. მორწმუნეთა გამრავლების კვალობაზე ეპისკოპოსის დავალებით ევქარისტიის, ისევე როგორც სხვა საიდუმლოთა შესრულება, დაიწყეს და საამისოდ კურთხევა მიიღეს პრესვიტერებმა (ხუცესებმა), რომლებსაც აგრეთვე იერევებს, ანუ მღვდლებს უწოდებდნენ. საიდუმლოს შესრულებისას ეპისკოპოსებისა და მღვდლების დასახმარებლად და საქველმოქმედო საქმიანობისათვის დიაკვნებს ირჩევდნენ და აკურთხევდნენ.

ეს კურთხევა თავდაპირველად მოციქულთა, ხოლო შემდგომ ეპისკოპოსთა ხელდასხმით სრულდებოდა, რის შესახებაც ზოგიერთი დამოწმება გვაქვს მოციქულთა საქმისა და ეპისტოლეთა წიგნებში (საქმ. 6,6; 14,21-23; 1 ტიმ. 4,14; 5,22; 2 ტიმ. 1,6; ტიტ. 1,5). ამგვარად, ეპისკოპოსები მოციქულთა მემკვიდრენი არიან. მიუხედავად ამისა, ეპისკოპოსთა დანიშნულება და საქმიანობა სხვაგვარია, ვიდრე მოციქულებისა. ეპისკოპოსები საიდუმლოთა აღსასრულებლად სათავეში უდგანან ადგილობრივ ეკლესიებს, მაშინ როცა სამოციქულო მსახურება სახარების მთელ ქვეყანაზე ქადაგებას გულისხმობდა.

გ) ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები შეადგენენ საეკლესიო იერარქიას, ურომლისოდაც საიდუმლოთა შესრულება, ქრისტიანული ჭეშმარიტების სწორი სწავლება, მისი დაცვა-განმარტება და ასევე ეკლესიის საქმეების მართვა შეუძლებელია.

წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი ასწავლიდა, რომ ეპისკოპოსი ეკლესიაში თვით ღმრთის ხატს ატარებს, რადგანაც ეკლესიაში, რო-

მელიც ქრისტეს სხეულს წარმოადგენს, უხილავადაა ქრისტე, ხოლო ეპისკოპოსს საეკლესიო თემში ის ადგილი უკავია, რომელიც ქრისტეს ეჭირა საიდუმლო სერობაზე.

თუ მივიღებთ გამოთქმას, რომ საეკლესიო იერარქია საეკლესიო ხელისუფლებაა, ან მას ხელისუფლება აქვს, მაშინ კარგად უნდა შევიგნოთ, რომ ეს განსაკუთრებული, სიყვარულის მსახურებისათვის მოწოდებული ხელისუფლებაა. „უდიდესი იგი თქვენ შორის იყავნ მრწემ, და წინამძღუარი იგი — ვითარცა მსახურ“ (ლუკ. 22,26), — ამბობს უფალი. და კიდევ: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათუს“ (ინ. 10,11).

დ) ეპისკოპოსი ყველა საიდუმლოს შემსრულებელია, კერძოდ, მხოლოდ მას აქვს უფლება ხელი დაასხას მღვდლებსა და დიაკვნებს, აკურთხოს ტრაპეზი, ოდიკი და მირონი, ეპისკოპოსი უმაღლესი მოძღვარია ეკლესიაში და მის ეპარქიაში მყოფი სამღვდლოებისა და საეკლესიო ერის ხელმძღვანელი.

ეპისკოპოსი სამწყსოს საეკლესიო კანონების საფუძველზე მართავს და თავის მოქმედებებში ადგილობრივსა და მსოფლიო კრებებს და (თუკი ავტოკეფალურ ეკლესიას თვითონვე არ მეთაურობს) იმ ოლქის ეპისკოპოსს ექვემდებარება, რომელშიც მისი ეპარქია შედის.

მაგრამ ყველა თავის ფუნქციას ეპისკოპოსი მხოლოდ თავის ეპარქიის საზღვრებში უნდა ასრულებდეს. ამის გამო ეპისკოპოსები ყოველთვის ატარებდნენ ტიტულს, რომელიც მათი საგამგებლო ქალაქების სახელისაგან წარმოდგება (მაგალითად, ბასილი, ეპისკოპოსი კესარია-კაპადოკიისა; ფოტიოსი, არქიეპისკოპოსი კონსტანტინეპოლისა; ფილარეტი, მიტროპოლიტი მოსკოვისა). ძველად ადგილობრივი ეკლესიები თავიანთ ეპისკოპოსს თვითონვე ირჩევდნენ, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე იქვე რჩებოდნენ. 1918 წლის ადგილობრივი კრების წესების მიხედვით, რუსულ ეკლესიაში მმართველ ეპისკოპოსს მთელი ეპარქიის წარმომადგენლები ირჩევენ. *

ასეთი აუცილებელი კავშირი ეპისკოპოსსა და მის ეპარქიას შორის ნათლად გვიჩვენებს, რომ საეპისკოპოსო ხელისუფლება ეკლესიის შიგნით მოქმედებს და არა ეკლესიაზე.

მღვდლები ასრულებენ ეპქარისტიას და სხვა საიდუმლოებებს,

* საქართველოში ეპისკოპოსს გამოარჩევს და ადგენს წმ. სინოდი (რედ.).

გარდა ხელდასხმისა, მაგრამ ეპისკოპოსზე დამოკიდებულებით. ისინი ვალდებული არიან ასწავლონ ქრისტიანული ჭეშმარიტებანი და თავიანთი მრევლის სულიერ ცხოვრებას უხელმძღვანელონ, ხოლო ზოგჯერ, ეპისკოპოსის საგანგებო კურთხევით, ესა თუ ის ადმინისტრაციული ფუნქციაც შეასრულონ.

დიაკვნები საიდუმლოებებს არ ასრულებენ, მაგრამ ეხმარებიან მათ შესრულებაში ეპისკოპოსსა და მღვდელს. ღმრთისმსახურების დროს დიაკვანი შემაერთებელი რგოლია წინამძღვარსა და ხალხს შორის.

ე) სამღვდლოება სულიწმიდის იმ ნიჭთა გამტარია, ანუ დამრიგებელია, რომელთაც ეკლესია ფლობს. ეს ყველაზე მეტად საიდუმლოთა შესრულებით, ადამიანებისათვის უფლის სიტყვის წაკითხვითა და განმარტებით, ლოცვით, დამოძღვრითა და ცხოვრებისეული მაგალითების მეშვეობით მიიღწევა. მაღლისმიერ ნიჭთა დარიგება ადამიანთა შეკრებასა და გაერთიანებას, მიზიდვასა და ეკლესიაში ჩართვას, ე. ი. მღვდელმსახურის სამოციქულო, ანუ მისიონერულ მოღვაწეობას გულისხმობს.

მღვდელმსახურებისათვის საჭირო მაღლი, რომელიც მას მღვდლობისა და აგრეთვე სხვა საიდუმლოებებში ეძლევა, მღვდელმსახურისაგან განსაკუთრებულ „მოკვდინებას“, ანუ პირად ცხოვრებაზე უარის თქმას და ეკლესიის საკეთილდღეოდ ახალი ცხოვრებისათვის აღდგომას მოითხოვს. მღვდლობის საიდუმლოს მრავალი რამ აქვს საერთო ქორწინების საიდუმლოსთან. დაქორწინებულნი თავიანთ სიცოცხლეს ახალ სულიერ ორგანიზმს — ოჯახს ანუ „მცირე ეკლესიას“ აძლევენ, ხოლო მღვდელმსახურნი — მთელ ქრისტეს ეკლესიას, უპირატესად კი იმ საეკლსიო თემს, რომლისათვის სულიერი საზრდოს მისაცემად და რომლის საწინამძღვროდაც იქნენ მოწოდებულნი. ღრმა მსგავსება ამ ორ საიდუმლოს შორის მათი შესრულების წესთა მსგავსებაშიც გამოიხატება.

ამ საიდუმლოს, როგორც ეკლესიასთან მღვდელმსახურის სულიერი ქორწინების, ამგვარი ხასიათი განაპირობებს იმას, რომ წმიდა ხარისხში მყოფს, თუკი იგი უცოლოა ან დაქვრივდა, დაქორწინება აღარ შეუძლია. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება XI საუკუნიდან დადგენილი სამღვდლოების უქორწინებლობა კათოლიკურ ეკლესიაში. მართლმადიდებლურ ეკლესიაში დღეს ეპისკოპოსები ყოველთვის უცოლოები არიან; ტრადიციის მიხედვით, IV საუკუნიდან მოყოლებული, მათ ბერებიდან ირჩევენ.

ვ) მღვდლობის საიდუმლოს ქიროტონია (ხელდასხმა) ეწოდება.

ამ საიდუმლოში კანონიერად გამორჩეული ქრისტიანი, ეპისკოპოსისაგან ხელდასხმითა და ეკლესიის ლოცვით, სულიწმიდის განსაკუთრებულ მადლს იღებს, რათა წმიდა საიდუმლოება შეასრულოს, ერს ღმრთისმსახურებაზე წარუძღვეს და ქრისტეს ფარა დამწყოსოს, ხოლო თუ დიაკვანია, — ყოველივე ამაში დაეხმაროს.

მღვდლობის საიდუმლოს სამი ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავებული წესი ანუ ქიროტონია აქვს: ეპისკოპოსის, მღვდლისა და დიაკვნის ხარისხში ასაყვანად. საეპისკოპოსო ქიროტონია ლიტურგიის დასაწყისში სრულდება, სამღვდლო — დიდი შესვლის შემდეგ, სადიაკვნო კი — წმიდა ძღვენთა კურთხევის შემდეგ.

საიდუმლოს შესრულება შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობს: სამღვდლო ხარისხში არჩეული პირის წარდგენა, მის მიერ წმიდა ტრაპეზის შემოვლა, კურთხევის ლოცვა, ხელდასხმა, სამღვდლო შესამოსელით შემოსვა და საეკლესიო ერის მიერ ღირსების დამოწმება. ამ საიდუმლოს მღვდელმოქმედებებსა და ლოცვებში აშკარად გამოსჭვივის ის აზრი, რომ ხელდასხმული ყოვლადწმიდა სამების მსახური ხდება. რაც, კერძოდ, მრავალი მოქმედების სამგზისობაშიც გამოიხატება. საკურთხებელ პირს სამგზის შემოატარებენ ტრაპეზის ირგვლივ, თვითონ იგი სამგზის მუხლს იყრის ეპისკოპოსის წინაშე. ამ დროს იმავე საგალობლებს გალობენ, რასაც ქორწინების საიდუმლოს დროს: პირველი — მიმართვა წმიდა მოწამეებისადმი შემწევობისათვის (ეს მითითებაა მსახურების სამსხვერპლო ხასიათზე), მეორე — დიდებისმეტყველება ქრისტეს, როგორც მოციქულთა სიქადულისა და მოწამეთა სინარულის მიმართ, რომელთაც სიტყვითა და საქმით იქადაგეს წმიდა სამება, და მესამე — ქება-დიდება ღმრთისმშობლისა და წინასწარმეტყველ ესაიასი, რომელმაც მაცხოვრის ქალწულისაგან შობა იწინასწარმეტყველა. მუხლმოყრილ წარდგენილზე ხელდასხმისას (დიაკვანი მხოლოდ ცალმუხლს იყრის) ეპისკოპოსი წარმოთქვამს: „სადმრთო მადლი უძღურთა ყოვლადვე მკურნალი და ნაკლულოვანთა აღმაკვებელი, ხელდასხმულ ჰყოფს ღმრთის მოშიშს, დიაკონსა (სახელი) მღვდლად: ვილოცოთ უკვე ამისთვის, რათა გარდამოვიდეს ამას ზედა მადლი ყოვლად წმიდისა სულისადა“.

დიაკვნად ხელდასახმელისათვის ლოცვებში ეპისკოპოსი იხსენიებს პირველმოწამეს და პირველდიაკონს სტეფანეს და უფლის სიტყვებს: „ვის უნდეს... პირველ ყოფად, იყოს იგი... ყოველთა მსახურ“ (მრკ. 9,35).

მღვდლად ხელდასხმის ლოცვებში ეპისკოპოსი განსაკუთრებით გამოითხოვს შემწეობას წარდგენილისათვის ტრაპეზის წინ უბიწოდ დგომაში, უფლის სიტყვის ღირსეულად ქადაგებასა და წმიდა ნათლობის მეშვეობით ადამიანთა განახლებაში.

ხელდასხმის შემდეგ სამღვდლო ხარისხში აყვანილნი ეპისკოპოსისაგან სამღვდლო შესამოსელს იღებენ და იმოსებიან. ძღვენთა კურთხევის შემდეგ ახალ მღვდელს ეპისკოპოსი წმიდა ტარიგის განსაკუთრებულ ნაწილს გადასცემს იმის ნიშნად, რომ მღვდელი, როგორც ექპარისტის შემსრულებელი, წმიდა ძღვენს, როგორც წმიდათა წმიდას, უნდა უფრთხილდებოდეს და ზიარებასთან მხოლოდ ღირსეულთ უშვებდეს. „წმიდაა წმიდათას“ ასამაღლებლის შემდეგ მღვდელი ამ ნაწილს კვლავ ეპისკოპოსს უბრუნებს.

ეპისკოპოსის ქიროტონიას წინ უძღვის მისი „სახელდების“ საგანგებო წესი, მის მიერ მრწამსის საზეიმო აღიარება საეკლესიო ერის წინაშე, აგრეთვე განსაკუთრებული ფიცის დადება. თვითონ ეპისკოპოსის ქიროტონია რამდენიმე ეპისკოპოსის მონაწილეობით სრულდება. ხელდასახმელ ეპისკოპოსს თავზე გადამოილ სახარებას დაადებენ ასობით ქვემოთ, რაც თვით უფლის ხელს გამოხატავს, ხოლო ამის შემდგომ თავიანთ მარჯვენა ხელებს.

მღვდლობის საიდუმლოს შესრულებაში მრევლის მონაწილეობა არა მარტო საერთო ლოცვაში გამოიხატება, არამედ წარმოდგენილის ღირსების შესახებ ეპისკოპოსის კითხვაზე ხმამაღალი პასუხის გაცემაშიც. ჩვენს დროში ამ პასუხს „ღირსია“ (ბერძნულად „აქსიოს“) მრევლის სახელით საეკლესიო გუნდი გალობს.

ზ) მღვდლისათვის დაკისრებულ მზრუნველობას ადამიანთა სულიერი აღორძინებისათვის მოძღვრობა ეწოდება. რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს იგი: ქადაგებაში თუ საუბრებში, მიმოწერაში, აღსარების მიღებასა თუ მატერიალურ დახმარებაში — წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუკი მღვდელი თავისთავში მოძღვრული, ე. ი. უაღრესად ქრისტიანული, სიყვარულის ნიჭს მუდმივად ალაგზნებს. მოძღვარს უნდა შეეძლოს თავისი თავი „ცხოვარის“ ადგილას დააყენოს, მასთან გააიგივოს, მზად იყოს მისთვის სიმშვიდის, ქონების და სიცოცხლის გასაწირადაც კი, მოკლედ — იყოს მამამთავარი სულიერი შვილებისათვის.

თუკი ასეთი მოძღვრული სიყვარულის საფუარი — თავისი სულიერი

შვილების დედა ეკლესიისა და ღმერთისათვის მიშვილება — მღვდლობის საიდუმლოში მიეცემა, თავად სიყვარული წმიდა ტრაპეზთან და განსაკუთრებით კი, ევქარისტის საიდუმლოს შესრულების დროს, თვითონ მღვდელმთავრის მიერ აღინთება. ეპისკოპოსისა და მღვდლის მოძღვრული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა კეთილმყოფელი მამინ იქნება, თუკი ისინი ღირსეულად და მხურვალედ მღვდელმოქმედებენ.

15. ზეთის კურთხევის საიდუმლო

ზეთის კურთხევა არის საიდუმლო, რომელშიც მღვდელი ან ეპისკოპოსი ეკლესიასთან ერთად ავადმყოფისათვის ნაკურთხი ზეთის ცხებისას, მის სულიერ ან ხორციელ სნეულებათაგან განმკურნებელ მადლს გამოითხოვს.

უფალი იესო ქრისტე ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე აღადგენდა მკვდრებს, განასხამდა ეშმაკთ, კურნავდა სნეულთ, ანახლებდა ცოდვით დაბნელებულ სულებს, ამოწმებდა რა ამით ღმრთეებრივი სიყვარულის სრულყოფილებას და იძლეოდა რა მაგალითებს შებრალებისა. როცა თავისი მოწაფეები საქადაგებლად წარგზავნა, ავადმყოფთა განკურნება უფალმა მათ პირდაპირ უანდერძა (მთ. 10,1), ამასთანავე მოციქულები სნეულებს ზეთს სცხებდნენ (მრკ. 6,13) და შემდეგში ასე მოქცევა ასწავლეს მორწმუნეებს ყველა ეკლესიაში. იაკობი ამ ბრძანებას შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგინოს იგი უფალმან. დაღაცათუ ცოდვად რამე ექმნეს, მო-ვე-ეტეოს მას“ (იაკ. 5,15).

ზეთის კურთხევის საიდუმლო ამ წმიდა აღთქმების განსახორციელებლად სრულდება. გარდა ხორციელი განკურნებისა, საიდუმლოში ცოდვების მიტევებაც გამოითხოვება, რადგან სნეულებათა დიდი ნაწილი ცოდვის შედეგია, რომელიც თვითონ სულის სნეულებას წარმოადგენს. ეკლესიის მრავალი მასწავლებლის განმარტებით, ზეთის კურთხევის საიდუმლოში უპირატესად დავიწყებული ცოდვები მიეტევება.

ზეთის კურთხევის საიდუმლო შეიღმა მღვდელმა უნდა აღასრულოს, რითაც ნაჩვენებია, რომ ზრუნვა სნეულებაზე და მათი შებრალება მთელი ეკლესიის საქმეა. რიცხვი შვიდი — ეკლესიისა და მისი სისავსის სიმბოლური ნიშანია. ამავე მიზეზით ავადმყოფისათვის ზეთის ცხებაცა და ცოდვების მისატევებელი და განსაკურნი ლოცვებიც შვიდგზის მეორდება. ასევე იკითხება შვიდი სხვადასხვა ნაწყვეტი ეპისტოლეე-

ბიდან და შვიდი — სახარებიდან; მათში მოთხრობილია მონანიებაზე, განკურნებაზე, ღმრთის რწმენისა და სასოების აუცილებლობაზე, შებრალებასა და მოწყალებაზე.

ისინი, ვინც ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულებისას ღმრთის სიტყვას გულისყურით ისმენენ, იმის შეგნებამდე მიდიან, რომ შემწეობა ტანჯულისა საკუთარი ხსნის გზაცაა. მღვდლები ზეთს ავადმოფოს სახის სხვადასხვა ადგილას, მკერდზე და ხელებზე სცხებენ ლოცვის შემდეგი სიტყვებით: „წმიდაო მამაო, სულთა და ზორცთა მკურნალო... განკურნე მონა შენი (სახელი) მისი ზორციელი და სულიერი უძღურებისაგან და განაცხოველე იგი ქრისტეს მადლით“.

საიდუმლოს დასრულებისას მღვდელი სწეულს თავზე წმიდა სახარებას დაადებს, ასოებით ქვემოთ და შენდობის ლოცვას წაუკითხავს.

ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესასრულებლად ერთი მღვდელიც საკმარისია. ეკლესიამ იცის აურაცხელი სიმრავლე ამ საიდუმლოს ძალით სწრაფად და ზოგჯერ მყისვე განკურნებული ავადმოფებისა. თუ სწეული კვდება, მართლმადიდებლების რწმენით ზეთის საიდუმლოს საშუალებით იგი განსაკუთრებულ მადლისმიერ შემწეობას იხვეჭს იმ სამყაროში გადასვლისათვის. მით უმეტეს ეს საიდუმლო არავითარ შემთხვევაში არაა, როგორც ამას ბვერი ფიქრობს, სიკვდილისათვის გზის დალოცვის საიდუმლო. იგი, უპირველეს ყოვლისა, არის საიდუმლო სწეულების განკურნებისა და ეკლესიის მონაწილეობისა მისი ტანჯული წევრის თანაგრძნობის გამომხატველ სიყვარულში.

იქიდან გამომდინარე, რომ დავიწყებული ცოდვების მიტევებას ყველა საჭიროებს და არავის შეუძლია თავი სრულიად ჯანსაღად ჩათვალოს, ამ საიდუმლოს აღსრულება რუსეთის (ისევე როგორც საქართველოს) ეკლესიაში ჯანმრთელებზეც დადგინდა. იგი ტაძარში ვნების შვიდეულში სრულდება.

ნაწილი IV
ქრისტიანის სულიერი ცხოვრების შესახებ.
ქრისტიანული ეთიკა

1. ქრისტიანული ცხოვრების მიზანი

ქრისტიანული ცხოვრების მიზანი — შეერთება ღმერთსა და ადამიანებთან ერთარსება სამების მსგავსებით — უფალი იესო ქრისტეს ცხოვრებასთან ზიარების წყალობით მიიღწევა. ჩვენ უნდა დავადგრეთ მის თანა, ვითარცა რტონი ვენახისა (ინ. 15,4-9). რადგანაც ეს სულიწმიდის ძალით აღესრულება, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული ცხოვრების მიზანი სულიწმიდის ან მის მაღლისმიერ ნიჭთა მოპოვებაში მდგომარეობს. სულიწმიდის ნიჭთაგან უდიდესია ყველას გამაერთიანებელი წმინდა სიყვარული ან ზეგარდმო შთაგონება სიყვარულისა და წმინდა ცხოვრებისა. ის, ვინც სიყვარულის ნიჭი მოიხვეჭა, ხდება რატადარი სულისა წმიდისა, უკვე არა თავისი მისწრაფებებითა და მოსაზრებებით, არამედ ღმრთის შთაგონებით ცხოვრობს. მას შეუძლია გაიმეოროს მოციქულის სიტყვები: „ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე“ (გალატ. 2,20). ამგვარი ადამიანი მამა ღმრთის შვილია, იგი წმინდაა, რის შედეგადაც ამბობენ, რომ ქრისტიანული ცხოვრების მიზანი სიწმინდეა.

2. ღმრთეებრივი გამოცხადება
(წმიდა წერილი და წმიდა გარდამოცემა)

ღმრთეებრივი გამოცხადებით ღმრთი თვითონ მიგვითითებს ჭეშმარიტი ცხოვრების მიზანსა და იმაზეც, თუ როგორ უნდა მივადწიოთ მას. ღმრთეებრივი გამოცხადება ეკლესიისათვის ანუ იმ ადამიანთა კრებულისთვისაა მოცემული, რომელთაც ერთობა ღმრთთან და ერთმანეთთან უკვე მოინდომეს. ღმრთეებრივ გამოცხადებას ან ცოცხალ გამოცდილებას ღმრთთან კავშირისა ეკლესია ინახავს და მას თავის წევრებს გადასცემს, რასაც წმიდა გარდამოცემა ეწოდება. ყველაზე ძვირფასი, რაც მასში შედის, წმიდა წერილი ანუ ღმრთისგან არჩეული ადამიანების მიერ წერილობით ასახული ღმრთეებრივი გამოცხადებაა.

წმიდა წერილის შეთვისება პირველი ნაბიჯია ღმრთისკენ მიმავალ გზაზე.

წმიდა წერილი, ძველი და ახალი აღთქმა, ერთ მთელს წარმოად-

გენს, მაგრამ ქრისტიანისათვის ყოველივეს საფუძველი ახალი აღთქმა, უწინარეს ყოვლისა კი, სახარებაა; მასში აღბეჭდილია თვითონ იესო ქრისტეს სახე, რომელიც მისი ცხოვრების მოვლენებსა, საქმეებსა და სიტყვებში წარმოჩინდა.

ახალი აღთქმის წმიდა წერილი ყოველივეს მოიცავს, რაც კი ადამიანმა გადარჩენისათვის უნდა იცოდეს. მისთვის არც რაიმეს მიმატება შეიძლება და არც რაიმეს მოკლება.

წმიდა წერილის მოკრძალებით კითხვა არა მხოლოდ ღმერთზე ცოდნას, არამედ ნაწილობრივ თვითონ ღმრთის ცოდნასაც გვაძლევს, რამდენადმე გვაზიარებს რა მას განსაკუთრებით სახარების მეშვეობით.

წმიდა გარდამოცემა განყენებულ ცოდნათა ჯამი როდია, რომელიც დასამახსოვრებლად გადმოგვეცა, არამედ ეს არის გამოცდილება ადამიანებისა, რომელნიც ქრისტეში ცხოვრობენ. მათი გამოცდილების შესწავლა, უწინარეს ყოვლისა, ამ გამოცდილებასთან ზიარებაა. გადმოიცემა ცოცხალი ჭეშმარიტება, რათა იგი ცხოველმა გულმა შეითვისოს. მიბაძვა ასლის ბრმად გადმოღებას არ გულისხმობს. ბუნებრივია, რომ მოღვაწეობის ფორმები მე-20 საუკუნეში სხვაგვარია, ვიდრე მე-4 საუკუნის მეუდაბნოეთა დროს იყო.

3. წმიდა გარდამოცემის შედგენილობა

წმიდა გარდამოცემაში, გარდა წმიდა წერილისა, შეიძლება ასევე ყოველი წერილობითი და ზეპირი სიტყვაც შევიდეს, რომელსაც ეკლესია მორწმუნეებს სულიერი დამოძღვრისას სთავაზობს, ისევე როგორც ზოგიერთი მღვდელმოქმედება. წმიდა წერილის შემდეგ უპირატესი მნიშვნელობა მსოფლიო კრებების დოგმატურ დადგენილებებსა და ეკლესიის საიდუმლოებებს, ღმრთისმსახურების ტექსტებსა და წესებს, აგრეთვე კანონიკურ დადგენილებებს, წმიდა მამების თხზულებებს, საღმრთისმეტყველო შრომებსა და ქადაგებებს ენიჭებათ, მაგრამ რამდენადაც ყველა ისინი თანაბარი ღირებულებისანი არ არიან, ამდენად ეკლესიის ცოცხალი გამოცდილების თანახმად მეტ-ნაკლები მნიშვნელობა აქვთ წმიდა გარდამოცემაში.

4. ღმრთიებრივი გამოცხადების შინაარსი

ღმრთიებრივი გამოცხადების შინაარსი შეიძლება ხუთ ნაწილად დაიყოს: 1. გამოცხადება თვითონ სამპიროვან ღმერთსა და მის ღმრთე-

ბრივ ცხოვრებაზე; 2. სწავლება ღმერთზე — სამყაროს შემოქმედზე, სამყაროსა და ადამიანის შექმნაზე, მათ დანიშნულებასა და ცოდვით დაცემაზე; 3. განხორციელებულ ღმერთსა და სულიწმიდაზე, რომელიც სამყაროში მოქმედებს, ანუ სწავლება კაცობრიობის მხსნელ საქმეზე; 4. ეკლესიისა და წმიდა საიდუმლოებზე (რაც უკვე ზნეობრივ მოძღვრებაზე გადასვლას წარმოადგენს); 5. სწავლება ადამიანის სულიერ ანუ ზნეობრივ ცხოვრებაზე (ეთიკა).

უკეთესი იქნება თუკი ამ უკანასკნელ ნაწილს თავის მხრივ კიდევ სამ ნაწილად დავყოფთ: ა) სწავლანი ადამიანის ჭეშმარიტი, მართალი ცხოვრების სახეებზე; ბ) ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრებისაკენ სწრაფვის დამაბრკოლებელ ვნებებსა და ცოდვებზე; გ) ბოროტების გადალახვისა და მაღლისმიერი ცხოვრების მოპოვების საშუალებებზე.

5. ეკლესიის დოგმატური და ზნეობრივი სწავლება

თვითონ ღმერთზე, სამყაროსა და ადამიანზე ღმრთეებრივი გამოცხადებიდან, რომელიც ეკლესიის დოგმატებში აისახება, ჩვენ ვიგებთ, რომ „ღმერთი სიყვარული არს“ (1 ინ. 4,16). ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ დამღუპველობა ბოროტებისა და სიბნელესა და სინათლეს შორის სწორი არჩევანი გავაკეთოთ. მაგრამ გარდა იმ ჭეშმარიტებებისა, რომელიც ღმრთისმეტყველების საგანს წარმოადგენს, ღმრთეებრივი გამოცხადება იმასაც გვასწავლის, სახელდობრ როგორც მივიღეთ ნათელთან, რაც ზნეობრივი ღმრთისმეტყველების საგანს შეადგენს.

6. ადამიანის სულიერი ცხოვრების ძირითადი კანონები და მათი გახსნა კველ აღთქმაში

„შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მრკ. 12,30-31). ეს ორი ძირითადი კანონი ადამიანის ცხოვრებისა „სულითა და ჭეშმარიტებითა“ (ინ. 4,23), დარიგებათა და მცნებათა ფორმით გამოთქმული, უკვე ძველ აღთქმაშია მითითებული, სადაც მათი მნიშვნელობა იმ ადამიანთა სახითაა გახსნილი, რომელნიც ამ კანონების თანახმად ცხოვრებას ცდილობდნენ. მაგრამ ძველ აღთქმაში მოყვასად მხოლოდ რჩეული ხალხის შვილები ითვლებოდნენ. ზნეო-
7. სსპ, 2011.

ბრივი იდეალის ასეთი შეზღუდულობა ქრისტიანისათვის, რომელმაც ღმრთეებრივი სიყვარულის უნივერსალურობა იცის, მიუღებელია. იმ დროისათვის კი ეს აუცილებელი იყო. რადგან ძველი აღთქმის კაცობრიობა მხოლოდ სწავლობდა იმ ღმრთეებრივ მცნებათა გაგებასა და აღსრულებას, რომელნიც მთელი სისრულით მხოლოდ ქრისტეს მოსვლის შემდეგ გაიხსნენ.

ძველი აღთქმის ზოგიერთი მართალის სახე იმდენად მშვენიერია, რომ თვით უფლის წინასახეს წარმოადგენს. მაგალითად, უდანაშაულოდ ტანჯულნი და მშვიდნი — აბელი, ისააკი, იოსები, თავისი ხალხის წინამძღოლი და მასწავლებელი მოსე, — კაცობრიობის მხსნელი ქრისტეს მსახურების წინასახეს წარმოადგენენ.

მაგრამ ძველ აღთქმაში ბოროტი ადამიანების სახით ღმრთისგან განდგომის მაგალითებიცაა მოცემული. ამგვართა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, კაენი, რომლის სახეშიც ზეადამიანური ძალითაა დაღდასმული ადამიანის მიერ ადამიანის მოკვლა (რაც არცერთ ძველ რელიგიაში არ გვხვდება).

7. დეკალოგი ანუ ათი მცნება

ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე ძველი აღთქმის ღმრთივ გამოცხადებითი მოძღვრება მრავალ მცნებაშია გახსნილი, რომელთა შორისაც თავის მნიშვნელობას ქრისტიანებისათვის მოსეს ათი მცნება ანუ დეკალოგი ინარჩუნებს. მათგან პირველი ოთხი ღმრთის სიყვარულის მცნებას ხსნის, ხოლო დანარჩენები — ადამიანის სიყვარულისა. მათ უმეტეს ნაწილს აკრძალვის უარყოფითი ფორმა აქვს, მიუთითებენ რა ამავე დროს ძირითად დაბრკოლებებზე, რომელნიც ღმრთისსათნო ცხოვრების გზაზე არსებობენ.

8. პირველი და მეორე მცნება

პირველი მცნება ძირითად ჭეშმარიტებას აცხადებს, იგი ამბობს, რომ ღმერთი ერთია: „ნე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე“; *მეორე მცნება* პირველს განმარტავს: „არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი, რაოდენი არს ცასა შინა და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა და რაოდენი რაღა არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანისა, არა თაყუანის-სცე მათ, არცა ჰმსახურებდე მათ“. ეს არის გაფრთხილება ცრუ ღმერთებისათვის წარმართული

თაყვანისცემის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, კერპთაყვანისმცემლები დღესაც არიან და ამასთან იმათ შორისაც, რომელნიც თავს კერპთაყვანისმცემლებად არ თვლიან; ისინი თვით ქრისტიანთა შორისაც კი გვხვდებიან. კერპთაყვანისმცემელია ისიც, რომელიც ყოველივეს სწირავს ფულისა, პირადი დიდებისა, ღვინისა, მუცლის სიამოვნებისა და სხვა ამგვარ ტკობათათვის. ყოველივე ეს ღმრთის ღალატს, ჭეშმარიტი მიზნის ცრუ მიზნით შეცვლას, მთელის ნაწილისადმი და ამაღლებულის მდაბლისადმი დამორჩილებას წარმოადგენს. ეს ცხოვრების გაუკუღმართება, ავადყოფობა, სიმახინჯე და ცოდვაა, რომელთაც არა მხოლოდ თვითონ კერპთაყვანისმცემლის პიროვნება, არამედ ხშირად სხვა ადამიანებიც დაღუპვისაკენ მიჰყავს. აქედან გამომდინარე, მეორე მცნება შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც გაფრთხილება საერთოდ ყოველგვარი ცოდვის წინააღმდეგ.

9. მესამე მცნება

მესამე მცნება: „არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა“ იცავს ლოცვას, რომელიც ღმერთთან ჩვენი ურთიერთობის საფუძველია. უფალმა სიტყვით სამყარო შექმნა, ხოლო განხორციელებული სიტყვა ღმრთისა ჩვენს მხსნელად იქცა; ამიტომ ჩვენს სიტყვასაც (რამდენადაც ჩვენ ღმრთის ხატს წარმოვადგენთ) დიდი ძალა აქვს. საერთოდ ყოველი სიტყვა ფრთხილად უნდა წარმოვთქვათ, მაგრამ განსაკუთრებული სიფრთხილე ღმრთის სახელის წარმოთქმისას გეპართებს, რომელიც თვითონ ღმერთმა გაგვიმჟღავნა. მისით შეიძლება მხოლოდ ლოცვისას, კურთხევისას და ქადაგებისას ვისარგებლოთ. წარმოვთქვამთ რა ღმრთის სახელს ამაოსა ზედა, ამით ჩვენ ღმერთთან ურთიერთობის საკუთარ უნარს ვასუსტებთ. უფალი იესო ქრისტე გვაფრთხილებს, არ დავიფიცოთ (მთ. 5,34-37). ადამიანისათვის განსაკუთრებით საზიანოა ღმრთისგმობა, მის მიმართ გამოხატული დრტყინვა, მკრეხელობა და ფიცი, მაგრამ დამანგრეველი ძალა ყოველ ბოროტსა და ცრუ სიტყვას აქვს: მას შეუძლია გაანადგუროს მეგობრობა, ოჯახი და მთელი სახელმწიფოებიც კი. ენის ალაგმვის აუცილებლობაზე განსაკუთრებული ძალით მოციქული იაკობი წერს თავისი ეპისტოლეს მესამე თავში. უკეთუ ღმერთი და მისი სიტყვა თვითონ ჭეშმარიტება და სიცოცხლეა, ეშმაკი და მისი სიტყვა სიცრუესა და სიკვდილის წყაროს წარმოადგენს, როგორც უფალმა ბრძანა, ეშმაკი

„კაცის — მკვლელი იყო დასაბამითგან... მტყუვარი და მამადცა მისი მტყუვარი არს“ (ინ. 8,44).

10. მართხე მცნება

„მოიხსენე დღე იგი შაბათთად და წმიდა-ყავ იგი. ექუს დღე იქმოდე და ჰქმნე ყოველნი საქმენი შენნი. ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისა“. ეს მცნება შეგვახსენებს, რომ საქმენი გზაა ღმრთისაკენ, რომლის გარეშეც არ არსებობს განსვენება. ძველ აღთქმაში სამყაროს შექმნის შემდეგ ღმრთის განსვენების, ან სხვაგვარად, მისი შინაგანი ღმრთიებრივი ცხოვრების ხატი შაბათი იყო, აქედან გამომდინარე, შაბათი იყო აგრეთვე ხატი ადამიანის უმაღლესი სულიერი (მჭვრეტელობით) ცხოვრებისაც, რომელსაც მას შაბათის განსვენება ასწავლიდა და რომლისკენაც მოუწოდებდა. ქრისტიანებისათვის კი უფლის დღე კვირაა; იგია დღე ლოცვისა, დღე ღმრთის სიტყვის შეთვისებისა და ევქარისტისა. პირველი ქრისტიანები, თუკი ისინი ზედიზედ ორ კვირას არ ეზიარებოდნენ, ეკლესიიდან განიკვეთებოდნენ.

ქრისტემ თავისი მოძღვრება ღმრთისა და ადამიანის სიყვარულის განუყოფლობაზე იმით განამტკიცა, რომ სწეულებს ღმრთის დღეს, შაბათს კურნავდა. დღეს ღმრთისა და ადამიანის მიმართ ჩვენი განუყოფელი სიყვარულის ნიშანს, უწინარეს ყოვლისა, ევქარისტიაში მონაწილეობა წარმოადგენს. იგი გვაძლევს ჩვენ ძალას სიკეთის ქმნისა. ამიტომაცაა ასე მნიშვნელოვანი ქრისტიანებისათვის ზმირი მისვლა ტაძარში, განსაკუთრებით კი, მონაწილეობის მიღება კვირისა და სადღესასწაულო დღეების ლიტურგიებში.

11. მხუთე მცნება

„პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რადთა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქუეყანასა ზედა“. ეს მცნება არა მხოლოდ მშობლების, არამედ ყოველი ადამიანის სიყვარულისაკენ მოგვიწოდებს. მაგრამ სხვების სიყვარული რომ ვისწავლოთ, ამისთვის ჯერ ახლობლები უნდა გვიყვარდეს (1 ტიმ. 5,8). სრული სიყვარულის წინასახე მისი ზეციერი მამის მიმართ უფალი იესო ქრისტეს სიყვარულია. ყოველთა ერთობა, რომლისთვისაც ადამიანები არიან მოწოდებულნი, ქრისტიანულ ოჯახში იწყება. მშობელთა პატივისცემა და მათი რჩევადარიგებანის შესმენა კულტურის საფუძველია. მათი უპატივცემულობა,

რომელსაც ნოეს მეორე შვილი ქამი განასახიერებს, დასაწყისია ადამიანთა ყოველი საზოგადოების დაშლისა და ეკლესიისგან ჩამოშორებისა.

12. მემკვლელობა

„არა კაც-ჰკლა“ — ძირითადი მცნებაა, რადგან მკვლელობა სიყვარულის უკიდურეს დაპირისპირებას წარმოადგენს. გიყვარდეს — ნიშნავს სრული სიკეთე, უწინარეს ყოვლისა კი, სრული სიცოცხლე ანუ მარადიული ყოფა გსურდეს იმისი, ვინც გიყვარს. მკვლელობა ამავე დროს თვითმკვლელობაცაა, რადგან იგი, მკვლელის გულში სიცოცხლის საფუძველს — სიყვარულს ანადგურებს. მაგრამ ყველაზე მძიმე ცოდვა მაინც პირდაპირი გაგებით თვითმკვლელობაა. იგი ღმრთის მიმართ ყოველგვარი ნდობის, მისი სასოების უარყოფასა და მონანიების შესაძლებლობაზე უარის თქმას ნიშნავს. პრაქტიკულად ეს უღმერთობაა და ყველაზე ანტიბუნებრივი იმ საქციელთაგან, რომელიც კი ადამიანს შეუძლია ჩაიდინოს. მკვლელობისა და თვითმკვლელობის საშუალებანი აღურაცხელია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მხედველობაში არაპირდაპირ მკვლელობასაც მივიღებთ. ადამიანის მოკვლა შეიძლება არა მხოლოდ იარაღით და ხელებით, არამედ სიტყვით, დუმილით, მხერით და შეხედვის სურვილის არქონითაც კი. ბოლოს და ბოლოს, ყოველგვარი ცოდვა, როგორც დარღვევა ჭეშმარიტი ცხოვრების კანონებისა, არაპირდაპირი მკვლელობაა. მკვლელობაა აგრეთვე ისიც, როცა არ სურთ დაიცვან და იხსნან მეორე ადამიანი. დაცვამ კი შეიძლება არა მხოლოდ თავგანწირვა, არამედ ძალის გამოყენებაცა და ზოგჯერ მკვლელობაც კი მოითხოვოს. მნიშვნელოვანწილად ეს ამართლებს მეომარს, რომელიც ომში კლავს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ მკვლელობას არა სიძულვილისა და არა სისხლის წყურვილის გამო სჩადის. ამით ყოველთვის არც ომი მართლდება, რომელიც თავისთავად ბოროტებას წარმოადგენს. პოლიტიკა და ომის წარმოების წესი ზნეობრივ შეფასებას ექვემდებარება, რაც სამწუხაროდ თანდათანობით ეძლევა დავიწყებას ჩვენს საუკუნეში.

13. იმრუშო

„არა იმრუშო“ — ყოველგვარი უქორწინებელი შეერთება მამაკაცისა და ქალისა ამ მცნების პირდაპირ დარღვევას წარმოადგენს, მაგრამ მის დარღვევად ითვლება აგრეთვე ყოველგვარი სიჭარბე გრძნობებისა და

ყოველგვარი მოქმედება, რომელიც მის ჩადენას უწყობს ხელს. ეს მით უფრო საშიშია, რომ ადამიანის ყველა მაღალი შემოქმედებითი სწრაფვა მჭიდროდ უკავშირდება მის ზნეობრივ ცხოვრებას. თავშეკავება სულიერ ძალებს ამძლავებს, ხოლო თავაშვებულობა მათ ასუსტებს და ხშირად სხვადასხვა სენსაც იწვევს, რომელიც ცოდვის ჩამდენის შთამომავლობაზეც გადადის. უწყსო სქესობრივი ცხოვრება ადამიანებთან ურთიერთობაშიც უწყსრიგობას, ხოლო ხანდახან სასტიკ მტრობასაც იწვევს. ცოდვის ცდუნებებთან ბრძოლაში, განსაკუთრებით სქესის სფეროში, მხოლოდ ნებისყოფის დაძაბვა არასაკმარისია. აქ საკუთარ თავში სხვა უფრო მაღალი ინტერესების გამოშვება მოგვეთხოვება; რა თქმა უნდა, საჭიროა აგრეთვე ლოცვა, მონაწილეობა ეკლესიის მაღლისმიერ ცხოვრებაში და რაც მთავარია, ცხოველი სიყვარული ღმრთისა და ადამიანებისა.

14. პერვე, მეცხრე და მათი მცნებანი

მცნება „არა იპარო“, გვაფრთხილებს არ ჩავიდინოთ ცოდვა, რომელსაც შეუძლია დიდად ავნოს სიყვარულს ადამიანთა შორის. საკუთრება ხშირად ადამიანის სიცოცხლისა და მისი მომავლის უზრუნველყოფისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ზოგჯერ კი იგი წარსულთან კავშირსაც განასახიერებს; ხშირად საკუთრება პირობაა შემოქმედებისა, ხოლო ხანდახან მისი ნაყოფიც. მსგავსად სახელისა, საკუთრებაც სიმბოლოა თვითონ ადამიანისა. ამიტომ ქურდს შეუძლია ღრმა შეურაცხყოფა მიაყენოს გაქურდულს და ზნეობრივად დაასახიჩროს იგი. მით უმეტეს არ შეიძლება, რომ საკუთრების ცალკეულ სახეებს, კერძო იქნება ის თუ საზოგადოებრივი, აბსოლუტური მნიშვნელობა მივანიჭოთ. ღირსი კასიანე რომაელის სწავლებით, თავისთავად საკუთრება არც სიკეთესა და არც ბოროტება, არამედ რაღაც მათ შორის მდგომი, რომელსაც შეუძლია სიკეთედაც იქცეს და ბოროტებადაც.

ქრისტეს მოძღვრება არ იძლევა საფუძველს რომელიმე განსახვდვრული ეკონომიკური სისტემისათვის, მაგრამ იძლევა კრიტერიუმს, როგორ ვიმსჯელოთ სხვადასხვა შემთხვევაში საკუთრებაზე. ამ კრიტერიუმს კი ადამიანის სულიერი კეთილდღეობა წარმოადგენს.

მეცხრე მცნება: „არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა“, გარდა იმისა, რომ სასამართლოში ცრუ ჩვენების ცოდვას ამხელს, ეკლესიის მამების მიერ, რომელნიც წმინდა წერილს განმარტავდნენ, გაგებულია როგორც

გაფრთხილება, არ ჩავიდინოთ ცოდვა სიტყვით, ე. ი. განიხილება როგორც ღამატება მესამე მცნებისა.

მეათე მცნება: „არა გული გითქუმიდეს ცოლისა მოყუასისა შენისა... არცა ყოველი, რად იყოს მოყუასისა შენისა“, გვაფრთხილებს, წინააღმდეგობა გავუწიოთ შინაგან ბოროტებას, რომელიც მიზეზია გარეგნულად გამოხატული ბოროტებისა. ამ მიმართებით მეათე მცნება ახალი აღთქმის მცნებებს ემსაგვსება.

15. მოძღვრება ზნეობაზე ახალსა და ძველ აღთქმაში

ღმრთისა და მოყვასის სიყვარულზე ძველი აღთქმის მცნებებში უკვე მოცემულია გამოცხადება საფუძველზე ჭეშმარიტი ცხოვრებისა, მაგრამ მისი შინაარსი ძალიან მცირეა და გახსნილი. მაგალითად, დეკალოგი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რაც სიყვარულს ეწინააღმდეგება და კიდევ უფრო მეტად — ბოროტების მიერ გამოღებულ ნაყოფებზე. ახალ აღთქმაში ჭეშმარიტი ცხოვრება, ვითარცა ღმრთეებრივი სიყვარული, სრულადაა გახსნილი. ის ჯერ თვითონ განკაცებული ღმერთის, უფალი იესო ქრისტეს პიროვნებაში, მის ცხოვრებასა და მოძღვრებაში განცხადდა, ხოლო შემდეგში, 50 დღის მერე, ქრისტიანების გულში — სულიწმიდის ძალით.

16. ქრისტეს საქმენი და სასწაულები

იესო ქრისტეს ცხოვრებაზე, მის გამომსყიდველობით ღვაწლსა და მის ძლევაზე ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, მაგრამ ქრისტეს მოძღვრება და მისი სასწაულები, რომელთაც იგი თავის „საქმეებს“ უწოდებდა, ადამიანის ჭეშმარიტი ცხოვრებისა და გზის მაგალითებს იძლევიან. ქრისტეს სასწაულები ღმრთეებრივი სიყვარულის სრულყოფილებასა და ძლევამოსილებას გვიდასტურებენ, რომელიც ადამიანს ბოროტებისაგან ათავისუფლებს და ყოველგვარ სიკეთეს სრულად ანიჭებს. მაგალითად, როცა უფალმა გალილეას კანაში ქორწილზე წყალი ღვინოდ გადააქცია, მან ამით სიხარული გაამრავლა. როცა იგი ეშმაკებს ღვინო და, სნეულებს კურნავდა და მკვდრებს აღადგენდა, ტანჯვისა და ცოდვის სამწუხარო შედეგებისაგან ათავისუფლებდა. აღადგენდა რა ადამიანის ცოდვით დაცემის შედეგად დაკარგულ ძალაუფლებას სტიქიებზე, უფალი თავის სიყვარულს აცხადებდა აგრეთვე სასწაულებში, რომლებითაც ბუნებაზე ზემოქმედებდა (ქარიშხლის დამორჩილება, წყალზე სიარული, პურის

გამრავლება). მაგრამ გარდა ამისა, უფალი ცოდვით მკვდარ სულებს აღადგენდა, რასაც მის სიტყვასთან ერთად ყველა მისი სასწაულიც ემსახურებოდა. მათი მეშვეობით უფალი ადამიანთა გულებში მის სიყვარულსა და რწმენას, ანუ იმ ძალებს განამტკიცებდა, რომელთა გარეშეც სული მკვდარია, უფალი უარს ამბობდა ჩაედინა სასწაულები, რომელნიც წარმოსახვას აოცებენ და რწმენას აიძულებენ. იგი მაშინ სასწაულმოქმედებდა, როცა უკვე ჩასახულ რწმენას შენიშნავდა და ამით აჩვენებდა, რომ კი არ აიძულებს, არამედ სიკეთისაკენ მოუწოდებს.

დაბოლოს, წმიდა საიდუმლოებათა დადგენით უფალმა ადამიანებს შესაძლებლობა მიანიჭა სულიწმიდის გარდამოსვლის წყალობით ყოველთვის იყვნენ მოწმენი და მონაწილენი მისი სასწაულებისა. ეკლესიის საიდუმლოებანი ქრისტეს სასწაულმოქმედებათა გაგრძელებას წარმოადგენენ. ევქარისტიის საიდუმლოში ყოველივე შეიძინება, რასაც კი უფალი ამ ქვეყნად ცხოვრების ჟამს ანიჭებდა ადამიანებს: სულის უფლობა მატერიაზე, ბოროტ სულთა განდევნა, სულისა და ხორცის განკურნება და ჩვენი დიდებით აღდგომის საწინდარი.

ამგვარად, ქრისტეს სასწაულები ჩვენთვის ღმრთის მოწყალები-საყენ, სასოებისა, რწმენისა და სიყვარულისაკენ მოწოდებაა. უფლის სიტყვებზე ნაკლებად არც ისინი გვასწავლიან, რა უნდა გავაკეთოთ, რომ მარადიული ცხოვრების მონაწილენი გავხდეთ.

17. ქრისტეს მოწოდება სიყვარულისკენ სიყვარულის მაგალითებით

სიყვარული ყოველთვის თავისუფალი გრძნობაა, ამიტომ ბრძანებით სიყვარული შეუძლებელია. სიყვარულისაკენ მხოლოდ მოწოდება შეიძლება, ასევე შეიძლება სიყვარულის გაღვივება, ოღონდ მხოლოდ საკუთარი სიყვარულით. ყოველივეს, რაც ჩვენ სიყვარულზე უნდა ვიცოდეთ, ყველაზე ხშირად თვითონ უფალი გვიცხადებს მაგალითებით. უდიდესი მაგალითი სიყვარულისა და მისკენ მოწოდებისა — თვითონ უფალია.

18. იბავები მამაზენიერზე

მოგვიწოდებს რა ვიყოთ „სრულ ვითარცა მამა ზეცათაჲ სრულ არს“ (მთ. 5,48), „რამეთუ მზე მისი აღმოვაღს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წუჟს მართალთა ზედა და ცრუთა“ (მთ. 5,45), უფალი იგავებში, უპირველეს ყოვლისა, თავისი მამის ღმრთეებრივი სიყვარუ-

ლის მაგალითს გვაძლევს. ზეციური მამის, სიყვარულის ამგვარ გამოცხადებას წარმოადგენს, მაგალითად, იგავი შეცლომილ ძეზე (ლუკ. 15,11-32), მასში მჟღავნდება, რომ როგორც კი სულში სინანულის გრძნობა გაჩნდება, ღმერთი მზადაა განაახლოს და დალოცოს იგი. ეს იგავი იმასაც გვაჩვენებს, რომ სიყვარული არა მხოლოდ თანადგომაა, არამედ თანასიხარულიც.

ზეციერი მამის მოწყალებაზე უფალი საუბრობს აგრეთვე იგავებში ცრუ მსაჯულზე (ლუკ. 18,1-8); შვილზე, რომელიც პურსა და თევზს ითხოვს (მთ. 7,9-11); ვენახის პატრონზე, რომელმაც თავისი ძე მსხვერპლად გაიღო (მთ. 21-33-41; მრკ. 12,1-12; ლუკ. 20,9-19); გულმოწყალება მამისა მჟღავნდება აგრეთვე იგავში სხვადასხვა დროს დაქირავებულ მუშებზე, რომელთაც გასამრჯელო ერთნაირი მიიღეს (მთ. 20,1-16). ყველა ეს იგავი მოწოდებაა შევიცნოთ სრულყოფილი სიყვარული ზეციერი მამისა და მისი სიყვარულის ძალასა და ნეტარებას ვეზიაროთ.

19. იგავები მაცხოვარზე

სხვა იგავებში მაცხოვარი თავის თავზე საუბრობს. მაგალითად, იგავში გონიერსა და უგუნურ ქალწულებზე (მთ. 25,1-13), ქრისტე თავის თავს განაცხადებს როგორც მომნიჭებელს უზენაესი სიხარულისა და როგორც სიძეს ეკლესიისა და ყოველი სულისა. იგავში კეთილ მწყემსზე (ინ. 10,1-16), უფალი მის მიერ გაღებულ ყველას მხსნელ მსხვერპლზე, ეკლესიის მთლიანობისათვის მზრუნველობასა და თავისთავზე, როგორც ერთადერთ კარზე, რომლითაც ყოველად უხვი ცხოვრების სფეროში შესვლა შეიძლება, საუბრობს. იგავში დაკარგულ ცხოვარზე უფალი გვასწავლის, რომ ერთი ადამიანის სულს მისთვის ისეთივე ფასი აქვს, როგორც ყველა სულს ერთად აღებულს. ამ იგავის არსი განსაკუთრებით ეკლესიის მწყემსებმა უნდა შეითვისონ, რომელნიც იმისათვის არიან მოწოდებულნი, რომ ქრისტესმიერი სიყვარულის ცოცხალი მაგალითები იყვნენ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იგავს საშინელ სამსჯავროზე (მთ. 25,31-46). იგი შეიცავს სწავლებას უფალზე როგორც მსაჯულზე ყველა ადამიანისა და იმაზე, რომ სამყარო სიყვარულით განისჯება. უმთავრესი, რაც ადამიანს გაამართლებს, მისი გულმოწყალების ნაყოფი და საერთოდ მოწყალებისკენ სწრაფვაა. იგავი თანაღმობით აღსავსე სიყვარულის ძირითად ნიშნებზე მიუთითებს: მშვიდობის დაპურება, მწყ-

ურვალისათვის წყლის მიწოდება, სნეულებისა და პატიმრების მონახულება. უსაზღვრო სიყვარულის გამო უფალმა თავისი თავი ყოველ ადამიანებთან გააიგივა. ამიტომ შევიწყალეთ მოყვასს თუ პირიქით, შევურაცხვეოთ, ჩვენ თვითონ მას (უფალს) ვანიჭებთ სიხარულს ან შევურაცხვეოთ. ვისაც მოყვასი უყვარს, მიუხედავად იმისა, შეგნებული აქვს თუ არა თვითონ მას ეს, თავად ღმერთი უყვარს, რადგან სიყვარული მასში, ვინც გვიყვარს, უსაზღვროდ ფასეული ღმრთის ჭვრეტას ნიშნავს; მაგრამ დადგება წამი, როცა ადამიანი შეატყობს, რომ როცა მოყვასი შეებრაღა და შეიყვარა, იგი ღმერთს შეხვდა, რადგან ღმერთი სიყვარულია, ხოლო როცა ტანჯულს გვერდი აუარა, თვითონ ღმერთი უარყო. ყოველი ჩვენი შეხვედრა მოყვასთან, განსაკუთრებით იმასთან, ვინც წარუმატებლობითა და ტანჯვითაა დათრგუნვილი, ჩვენთვის საშინელი სამსჯავროს დასაწყისს წარმოადგენს. ვინც ამას გაიგებს, მას შეუძლია უკანასკნელ განაჩენს სასოებით დაელოდოს.

უფალი იესო ქრისტე გვასწავლის აგრეთვე, რომ მის გარეშე ჭეშმარიტად კეთილს ვერაფერს გავაკეთებთ და რომ ქრისტიანული ცხოვრება მხოლოდ კეთილ საქმეთა ჯაჭვი და უბრალოდ ფილანთროპია კი არაა, არამედ მუდმივი აღსვლა ღმრთისაკენ, რომლის დროსაც ის ყოველთვის ჩვენთან ერთად მოდის და გვეხმარება.

20. იგავები ღმრთის სასუფეველზე

სახარება ღმრთის სასუფეველზე კეთილ უწყებას წარმოადგენს. უფალმა ყველაზე მეტი მის შესახებ გვასწავლა, რადგან იგი ამ სასუფეველის დასაფუძნებლად მოვიდა და მასში შესვლისაკენ მოგვიწოდა. სასუფეველი ღმრთისა არის სასუფეველი ქრისტესი, მაგრამ იგი მამის სახლიცაა, მადლის სასუფეველიცა და სულიწმიდის საბრძანებელიც. ღმრთის სასუფეველის დასაწყისი დედამიწაზევეა — ეს ქრისტეს ეკლესიაა. მაგრამ უფალი უპირატესად ადამიანთა გულებში სუფევს, ამიტომ სასუფეველი ღმრთისა არა მხოლოდ ეკლესიაა, რომელიც ჩვენს შორისაა, არამედ სული ღმრთისა, რომელიც წმიდა გულში დამკვიდრდება. ამ და სხვა აზრითაც, სასუფეველი ღმრთისა უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს. თავის იგავებში უფალი მას დაფარულ საუნჯეს უწოდებს, რომელიც „ყანასა შინა“ დამარხული (მთ. 13,44) და რომლისთვის არ შეიძლება, ყოველივე რაც გაქვს, არ გაიღო; ძვირფას მარგალიტს, რომელიც ყველა სხვა სიძლიდრეზე მეტად ფასობს (მთ. 13,45); სახლს, რომელიც კლდესა

ზედაა დაშენებული და რომელსაც ვერაფერი შემუსრავს (მთ. 7,24).

სასუფეველი რომ ზეციდან ბოძებულ ყველა სხვა წყალობას აღემატება, ამას ერთხმად ადასტურებენ წმინდანები, რომელნიც სულიერი ცხოვრების უმაღლეს საფეხურზე ასვლის ღირსნი გახდნენ. ისინი ამტკიცებენ, რომ ღმრთის სიახლოვეზე უფრო ღირებული ამქვეყნად არაფერია. ხანდახან ცოდვილი ადამიანებიც კი განიცდიან, მაგალითად, წმ. ზიარების მიღების შემდეგ ან კეთილშობილური საქციელისას, სიხარულისა და ღმობიერების შეუდარებელ გრძობას, რომელსაც ვერაფერი შეეძრება. მრავალთათვის კი უმაღლეს განცდას ცოდვისაგან განთავისუფლება და სინდისის დამშვიდება წარმოადგენს.

იგავებში მღოგვის მარცვალზე (მთ. 13,31; მრკ. 4,31), საფუარზე (მთ. 13,33), ან კიდევ მიწაში ჩაგდებულ თესლზე (მრკ. 4,26), ადამიანების გასამხნეველად უფალი წინასწარ მიუთითებს, როგორ შეუძმნეველად გასრულდება ზრდა-განვითარება ეკლესიისა და სულიერი ამაღლება ადამიანისა, რომელიც მისი წევრია.

21. იგავები ადამიანის ყოფაქცევაზე

დაბოლოს, რამდენიმე იგავში უფალი იძლევა ნიმუშებს ადამიანის მართებული და უმართებულო საქციელებისა. მათში ყოველივე, რაც ღმრთის ნებას ეთანხმება, ზეციური სილამაზით ბრწყინავს, ხოლო რაც უმართებულოა, უარყოფილია.

ამგვარი მაგალითები მოცემულია იგავებში მეზვერესა და ფარი-სეველზე (ლუკ. 18,10), ძე შეცდომილზე (ლუკ. 15,11-32), გულმონწყალე სამარიტელზე (ლუკ. 10,30-37), მეფესა და ბოროტ მონაზე (მთ. 18,23-24), მდიდარსა და ღატაკ ლაზარეზე (ლუკ. 16,19-28), ორ მოვალეზე (ლუკ. 7,40-43), ორ ძეზე (მთ. 21,28-31), თვალში ბეწვსა და ღირეზე (მთ. 7,3; ლუკ. 6,41) და სხვ.

22. უფლის სწავლება ცოდვის მიზეზებზე

იგავებთან ერთად უფალი პირდაპირი სიტყვითაც ასწავლიდა როგორც ზეციერ მამაზე, თავის თავსა და სულიწმიდაზე, ასევე ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე, რადგან იგი არა სჯულის დასარღვევად, არამედ აღსასრულებლად მოვიდა (მთ. 5,17). ძველი აღთქმის სჯული უმთავრესად ბოროტების გარეგნულ გამოვლინებათა და მის ნაყოფთა გამოვლებისაგან აფრთხილებდა, უფალი კი თვით ცოდვის ძირებზე

მიუთითებდა. მაგალითად, დეკალოგის მეექვსე მცნება გვეუბნება: „არა კაც ჰკლა“, ხოლო უფალი იესო ქრისტე გვასწავლის: „ნუ განრისხდები, სამაგიეროს ნუ მიაგებ, მიუტევე, ნუ განიკითხავ და ნურც განსჯი“. მეშვიდე მცნება გვასწავლის: „არა იმრუშო“, ხოლო უფალი განმარტავს, რომ ყოველმა, რომელმაც ქალს გულსითქმით შეხედა, უკვე იმრუშა მასთან თავის გულში (მთ. 5,28). ამგვარად, უფალმა გვაჩვენა, რომ ცოდვა ჩვენს გულში იბადება და ამიტომ მასთან ბრძოლა გულის უკეთური სურვილებისა და აზრებისაგან განწყმენდით უნდა დავიწყოთ, რადგან „გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, ცილის-წამებანი, გმობანი. ესენი არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა“ (მთ. 15,19-20).

23. ცოდვის წარმოშობისა და მასთან ბრძოლის შესახებ

იცავენ რა უფლის მცნებას უკეთური სურვილებისაგან გულის განწყმენდის აუცილებლობაზე, წმიდა მოციქულებმა და მათ შემდეგ წმიდა მამებმა სულიერი ბრძოლის საკუთარი გამოცდილების საფუძველზე დაწვრილებითი სწავლება გამოიმუშავეს იმის თაობაზე, როგორ იბადება ცოდვა და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას.

თავდაპირველად ჩნდება ცოდვიანი წარმოსახვა, რომელიც ჯერ მხოლოდ ცდუნებაა და არა ცოდვა. თუ ადამიანმა ამ წარმოსახვას თანაგრძნობით შეხედა, ეს უკვე ცოდვის დასაწყისია. მისგან ჩნდება ცოდვილი გრძნობა და მისით ტკობა. ბოლოს ნებაც გადაიხრება ცოდვისაკენ და ადამიანი მას საქმით აღასრულებს. ერთხელ დაშვებული ცოდვა ადვილად მეორდება, ხოლო განმეორება ცოდვის მიჩვევას იწვევს და მაშინ უკვე ადამიანი ამა თუ იმ ბიწიერების თუ ვნების ტყვეობაში აღმოჩნდება.

ყველაზე ადვილია ბოროტების დამარცხება, თუ მას დასაწყისშივე შევებრძოლებით, როცა მხოლოდ იბადება, ანუ უკეთური წარმოსახვის გაჩენისას. რაც უფრო დავაგვიანებთ, ბრძოლაც უფრო ძნელი გახდება. ბრძოლა ვნებასთან, ბიწიერებასთან ან სხვა მანე ჩვევასთან ძალიან ძნელია, მაგრამ უკეთური აზრები დასაწყისშივე რომ განვდევნოთ, მათში გარკვევა უნდა შეგვეძლოს; უნდა ვისწავლოთ ყურადღება საკუთარი თავის მიმართ და უნდა შევიცნოთ იგი. როგორც კი უკეთურ გულისთქმას გავაცნობიერებთ, მაშინვე უნდა მოვიკვეთოთ, ანუ ყურადღება სხვა რამეზე უნდა გადავიტანოთ. ყველაზე უკეთესია, თუ პირობები საშუალებას გვაძლევს, სახარება ვიკითხოთ მანამ, სანამ ცოდვიანი გულისთქმა

თავს არ დაგვანებებს, რაც ძნელია. უმჯობესია უკეთური გულისთქმის გაჩენისთანავე (იქნება ეს გულისთქმა ღვარძლისა, წყენისა, შურისა, სიხარბისა თუ ხორციელი წადილისა) ღმერთს შევეკედროთ და მას საცდურის განდევნა ვთხოვოთ.

ეკლესიის მამები სხვა ლოცვებზე უფრო იესოს ლოცვის წარმოთქმას გვირჩევენ: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. ვინც ასე მოიქცევა, თანდათანობით ისწავლის თავის ფლობას, ხოლო შემდეგ მუდმივად მშვიდსა და სიხარულით აღსავსე სულიერ მდგომარეობას მოიპოვებს. მუშაობას საკუთარი სულის მოსაწესრიგებლად წმიდა მამები „მეცნიერებათა მეცნიერებას“ და „ხელოვნებათა ხელოვნებას“ უწოდებენ, რომლის გარეშეც არ არსებობს ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრება. წმიდა ისიხიოს იერუსალიმელი ამბობს: „უკეთუ კაცი ღმრთის ნებას გულში ვერ შობს, ვერც გარეგნულად აღასრულებს მას“.

24. მტრების სიყვარულის უმსახეობა

უფალი იესო ქრისტე არა მხოლოდ გულის განწმენდისაკენ მოუწოდებდა, არამედ ახლებურ გარეგნულ ქცევასაც ასწავლიდა. იგი ასწავლიდა სამაგიერო არ მიეგოთ შეურაცხმყოფელთათვის და დაეთმოთ სიხარბით მეძიებელთათვის: „ხოლო მე გეტყვ თქვენ: არა წინა-აღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯვენესა, მიუპყარ მას ერთკერძოცა. და რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი... და რომელი გთხოვდეს შენ, მიეც; და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე-მიიქცევი“ (მთ. 5,39-40,42).

უფრო მეტიც, უფალი მტრების სიყვარულისაკენ მოგვიწოდებდა: „გიყუარდელ მტერნი თქუნნი და აკურთხევდით მწყევართა თქუნთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუნთა“ (მთ. 5,44). იცოდა რა, რომ სიყვარული არ განიყოფება, უფალი ადამიანებს სრულყოფისაკენ მოუწოდებდა: ვისაც უყვარს ერთნი, ხოლო სხვების მიმართ გულში სიბოროტე აქვს, მას არა აქვს ნამდვილი, სრული სიყვარული, რის გამოც, შესაძლებელია, მისი სიყვარული მეგობრების მიმართ მტრობით შეიცვალოს, რაც ღმრთისთვის უცხოა. იგი სრული და მარადიული სიყვარულია: „მზე მისი აღმოვაღს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წუმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (მთ. 5,45).

25. მოყვასთათვის მიტევებასა და მათ განუკითხველობაზე

სრულყოფილი სიყვარულისაკენ მიმავალ გზაზე არა მარტო აშკარა ღვარძლი და წყენის მიტევების უუნარობა, არამედ უბრალო განკითხვაც კი დაბრკოლებას წარმოადგენს: „ნუ განიკითხავთ, რადიო არა განიკითხნეთ... ანუ რადიო ჰხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დურესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი?... აღმოიღე პირველად დურე თუალისაგან შენისა და მაშინ იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა“ (მთ. 7-1,3,5).

გასამართლება და განსაკუთრებით განკითხვა უკვე ის ღირება, რომელიც ხელს გვიშლის ღმრთის ხატი სხვაშიც დავინახოთ და შევიყვაროთ. უფალი არაერთგზის მიუთითებდა, რომ ცოდვა სხვა არა არის რა, თუ არა სენი და რომ იგი ცოდვილთა განსაკურნებლადაა მოსული: „არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა... არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მთ. 9,12-13). უფალმა თვითონვე გვიჩვენა გასამართლებაზე და განკითხვაზე უარის თქმისა და მიტევების უდიდესი მაგალითები: იგი ჯვარზე მისი ჯვარმცემლებისთვის ლოცულობდა; ხოლო უფრო ადრე მან არ განიკითხა მრუშობისთვის მოყვანილი დედაკაცი და არ განიკითხა სრული სიყვარულის გამო. სწორედ ამგვარი სიყვარული არცხვენს, წვაეს და განწმენდს თავისი სინათლით.

„ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თქუენდა?“ (ლუკ. 12,14), — თქვა უფალმა. და კიდევ: „არა მოავლინა ღმერთმან მე თვისი სოფლად, რადიო დასაჯოს სოფელი, არამედ რადიო აცხოვნოს სოფელი მის მიერ“ (ინ. 3,17). და: „არა მოვედ მე სჯად სოფლისა, არამედ რადიო ვაცხოვნო სოფელი“ (ინ. 12,47).

მიუხედავად ამისა, სხვაგან უფალი არ უარყოფს, რომ საბოლოო სამსჯავრო სწორედ მას ეკუთვნის — მამამ „ყოველი სასჯელი მოსცა ძესა“ (ინ. 5,22), მაგრამ განმარტავს, რომ „ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი“ (ინ. 3,19), ხოლო ნათელი თავად უფალია: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ, რომელ შემომიღეს მე... აქუნდეს ნათელი ცხოვრებისაჲ“ (ინ. 8,12; 9,5).

ქრისტეს კვალდაკვალ ჩვენც სიყვარულითა და ყოვლისმიტევების ნათლით უნდა ვბრწყინავდეთ. ჩვენი სამსჯავრო მხოლოდ ეს ნათელი შეიძლება იყოს. დაუბინდავი, ყოვლის მიმტევებელი სიყვარულის

დამკარგავი იმ ძალას კარგავს, რომელიც სამყაროს ხრწნილებისაგან იცავს. „თქვენ ხართ მარილი ქუეყანისაჲ, — ამბობს ქრისტე, — უკუეთუ მარილი იგი განქარდეს (ე. ი. დაკარგოს ძალა ანუ სიყვარული)... არღარა შემძლებელ არს მერმე“; და შემდეგ: „თქვენ ხართ ნათელი სოფლისაჲ... ეგრეთ ბრწყინვედინ ნათელი თქუენი წინამჲ კაცთა, რადთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და აღიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მთ. 5,13-14-16).

26. სიმდიდრის საშიშროებათა შესახებ

უფალი გვაფრთხილებს არა მხოლოდ უშუალოდ ბოროტების ჩადენას მოვერიდოთ, არამედ ყოველივე იმას, რასაც კი შეუძლია ღმერთს დაგვაშოროს, სახელდობრ, ზედმეტ გართობასა და საზრუნავებს. მაგალითად უფალი გვისახავს სიამტკბილობას მიცემულ მდიდარს; იგი ვერც კი ამჩნევს გლახაკ ლაზარეს, რომელიც მის გვერდით იტანჯება. „ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისათჳს, რად სჭამოთ და რად ჰსუათ; ნუცა კორცთა თქუენთათჳს, რად შეიმოსოთ... იცის მამამან თქუენმან, რად გიკვმს ამათ ყოველთაგანი. ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ. ნუ ჰზრუნავთ ხვალისათჳს, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თჳსისა. კმა არს ღლისა მის სიბოროტე თჳსი“ (მთ. 6,25, 32-34). რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ წარმოადგენს მოწოდებას უქნარობისა და უზრუნველობისაკენ, არამედ გვაფრთხილებს, თავი შევიკავოთ მომავალზე გადამეტებული ზრუნვისაგან, რომელიც შეიძლება არც დადგეს. ჩვენ მხოლოდ აწმყო გვეკუთვნის, ადამიანი კი ხშირად მიდრეკილია, დაანგრიოს იგი მომავალზე უსაფუძვლო ოცნების გამო.

ხშირად მომავალს გამოდევნებული ადამიანები ფეხქვეშ თელავენ აწმყოს. განსაკუთრებით საშიშია, თუ ამგვარ გამოდევნებას ანგარება ამოძრავებს. „დრო ფულია“ — აი ფორმულა, რომლითაც ეს მომავლის მოყვარული ადამიანები სარგებლობენ. თვითონ ეს ფორმულა საკმარისად ამხელს მისი მიმდევრების ცოდვას. ფული ყოველთვის მხოლოდ საშუალებაა და არა ღირებულება და მიზანი. ის, ვინც ფულს ანუ საშუალებას აღმერთებს, ჭკმშიარით მიზნებსა და ღირებულებებს უარყოფს. ყოველი წამი დროისა შეიძლება ნამდვილ ღირებულებად იქცეს, თუკი იგი მიმდევნოს როგორც მხოლოდ საშუალება არ ემსახურება და თუ ჩვენც მზად ვართ გავცეთ იგი რაიმე ღირებულისათვის.

ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ჩვენ არა მხოლოდ მომავლით, არამედ აწმყოთითაც ვცხოვრობთ და არა მხოლოდ მოქმედება, არამედ ჭკრეტაც შეგვიძლია. მარადიულის მიღწევა მხოლოდ აწმყოთი და მასთან ყურადღებიანი დამოკიდებულებით შეიძლება. ღმერთთან შეხვედრაც მხოლოდ წამიერ აწმყოშია შესაძლებელი და არა მომავალზე ოცნებებში. ამასობაში კი ჩვენი ეპოქის ცივილიზაცია მისი ტექნიკითა და ცხოვრების დაჩქარებული რიტმით ადამიანს თითქმის ართმევს შესაძლებლობას იცხოვროს აწმყოთი, მიეცეს ჭკრეტას, ილოცოს და შეხვდეს ღმერთს. სწორედ ამ საფრთხის წინააღმდეგ გვაფრთხილებს უფალი იგავში მდიდარზე, რომელმაც ძველი ბედლის დანგრევა და ახლის აშენება გადაწყვიტა, არ იცოდა რა, რომ იმ ღამეს მოკვდებოდა (ლუკ. 12,16-21). ლაპარაკობს რა გადაჭარბებული ზრუნვის საფრთხეზე, უფალი საერთოდ სიმდიდრის წინააღმდეგ გვაფრთხილებს: „ვერ კვლ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონადისა“ (მთ. 6,24), და კიდევ: „უადვილეს არს აქლემი განსვლად ჳურელსა ნემსისა, ვიდრე მდიდარი შესვლად სასუფეველსა ცათასა“ (მთ. 19,24). ამ სიტყვებით შემფოთებული მოციქულები უფალს ეკითხებიან: „ვისმე კვლ-ეწიფების ცხოვნებად?“ (მთ. 19,25).

27. სახარების მცნებათა აზრისა და სასიამოის უმსახე

ქრისტეს მოწაფეთა შეკითხვა — „ვის-მე კვლ-ეწიფების ცხოვნებად“ — ადამიანური უძღურების ძრწოლაა სახარებისეული მოწოდების აბსოლუტურობის წინაშე. მსგავსი შეკითხვის დასმა შეუძლია იმასაც, ვისაც ესმის მოწოდება: „გიყუარდედ მტერნი თქუენი“ (ლუკ. 6,27). როგორ გვიყვარდეს, როცა სიყვარული არაა? ვინღა შეძლებს გადარჩენას? უფლის პასუხი ყველა ეჭვს აქარწყლებს, მასშია მთელი ძალა და მთელი აზრი ქრისტეს ზნეობრივი მოძღვრებისა: „კაცთაგან შეუძლებელ არს ესე, ხოლო ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“ (მთ. 19,26). სახარების ყველა, განსაკუთრებით კი სიყვარულის მცნება, არა ბრძანებას, არამედ მოწოდებას წარმოადგენს. მოწოდების პასუხად ადამიანს შეუძლია სიყვარული ეძიოს, ხოლო თვითონ სიყვარულს თავად უფალი მისცემს. სიყვარული სულიწმიდის უმაღლესი ნიჭია, მაგრამ ღმერთი ამ ნიჭზე უარს არ გვეუბნება: „უკუეთუ თქუენ უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენტა, რაოდენ უფროდს

მამამან ზეცით მოსცეს სულიწმიდა, რომელნი სთხოვდენ მას“ (ლკ. 11,13). თვითონ ღმერთი სიყვარულია. ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვება ყოველივე, რაც მას სიყვარულში ხელს უშლის, მოიშოროს და ეს მას ხელეწიფება, ისევე როგორც ხელეწიფება ითხოვოს ღმერთისაგან, და ილოცოს. ადამიანს მეტის გაკეთებაც შეუძლია, კერძოდ, მას შეუძლია მოიქცეს ისე თითქოს უკვე უყვარს. სწორედ ამის თაობაზე დაგვიდო უფალმა მცნებად: „ყოველი რომელი გინდეს თქვენ, რადთა გიყონ კაცთა, ეგრეცა თქვენ ჰყვით მათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს სჯული და წინასწარმეტყველნი“ (მთ. 7,12).

28. მადლმოსილი ცხოვრების უმსახუბ

თუმცა ქრისტეს მცნებანი და მათ შორის მთავარნიც — ღმრთისა და კაცის სიყვარულზე, არა ბრძანებანი, არამედ მოწოდებანია, ადამიანის, რომელიც ღმრთის ხატად და მსგავსად შეიქმნა, სულიერი ცხოვრების ძირითად კანონებად სწორედ ისინი გვევლინებიან. სიყვარულის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ცხოვრება, არამედ მხოლოდ სიკვდილი, ჯოჯოხეთური წამება და სიცარიელე. ამიტომაც აღუსრულებლობა სახარებისეული მცნებებისა მხოლოდ მოჩვენებითია. თავის მცნებებს, მაგალითად, მცნებას მტრის სიყვარულზე, თავისი მადლისმიერი ძალით უფალი ჩვენთვის თვითონვე აღასრულებს, ოღონდ არა ჩვენს გარეშე, ელოდება რა ჩვენგან მხოლოდ იმას, რაც შეგვიძლია. სწორედ ამაშია კანონი ადამიანის ცხოვრებისა — იცოცხლოს ყოველთვის ღმერთთან ერთად. ქრისტიანული ცხოვრება სულაც არ არის მხოლოდ რაღაც წესიერი ყოფაქცევა, რომელიც გარეგნულ წესებს შეესატყვისება და შესრულებულია იმ სასჯელის შიშით, რომელიც განსაკუთრებით მკაცრი საიქიოშია. ეს ცხოვრება ჭეშმარიტად ღმერთკაცობრივია — ადამიანი ღმერთთან ერთად, მსგავსად საქორწინო კავშირისა. ადამიანი ეკითხება, ღმერთი უპასუხებს; ადამიანი წუხს, ღმერთი ანუგეშებს; ადამიანი ცდება, ღმერთი გზას უჩვენებს.

ქრისტიანული ცხოვრება მადლმოსილი ცხოვრებაა და ამით განსხვავდება იგი ძირეულად ყოველგვარი, თუნდაც იმ მადალზნეობრივი ცხოვრებისაგან, რომელიც ეკლესიის გარეშეა. ამიტომაც ამბობს უფალი: „უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტკრთი ჩემი სუბუქ არს“ (მთ. 11,30).

29. **ჰიწრო გზა ქრისტიანისა. ჯვრის ზიდვა.** **სიკვდილი და აღდგომა ქრისტიანთან ერთად**

მართლაც რომ ტკიბილია ქრისტეს უღელი და ტვირთი მისი მსუბუქი, მათშია დაფარული ნეტარება მარადის თავისუფალი სიყვარულისა, მაგრამ ადამიანის ცოდვით წარწყმედის გამო ღმრთის სასუფეველისაკენ ძნელსა და ვიწრო გზას მივყავართ. საჭიროა უარის თქმა არა მხოლოდ ყოველგვარ ბოროტებაზე, ამაო გართობასა და საზრუნავებზე, არამედ ზოგჯერ მთელ ჩვენს სიძლიდრეზეც კი: „უკუეთუ გნებავს რაითა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა“ (მთ. 19,21). უფალი უფრო დიდ მსხვერპლზეც ლაპარაკობს: „რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამად თუსი და დედად თუსი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და მერმე კუალად სულიცა თუსი, ვერ ჰველ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა“ (ლუკ. 14,26).

როგორ უნდა გავიგოთ ეს სიტყვები მაშინ, როცა უფალი თავად მოგვიწოდებს მშობლების პატივისცემისაკენ (მთ. 19,19)? ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ახლობლების სიყვარულმა ღმრთის სიყვარულს ხელი არ უნდა შეუშალოს, ან სხვაგვარად, იგი ანგარებიანი არ უნდა იყოს. ადამიანები თავისთავად უნდა გვიყვარდეს და არა იმ სარგებლობისა და სიამოვნების გამო, რომელსაც ჩვენ გვანიჭებენ, რათა საყვარელი არსებანი მხოლოდ თვითტკობის საშუალებად არ იქცნენ. ასეთი სიყვარული არამტკიცეა და ღმერთს გვაშორებს.

დაბოლოს, ადამიანისაგან უფალი არა მხოლოდ ყოველივეზე, არამედ საკუთარ თავზეც კი სრული უარის თქმას ელის და ესაა სწორედ ქრისტესთან თანაჯვარცმა: „ყოველმანვე თქუენგანმან რომელმან არა იჯმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თუსისა, ვერ ჰველ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა“ (ლუკ. 14,33), — ამბობს ქრისტე. და კიდევ: „რომელსა უნებნ შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნთ თავი თუსი და აღიღენ ჯუარი თუსი და მომდევდინ მე“ (ლუკ. 9,23; მრკ. 8,34).

მაგრამ თავისთავად არცერთ ამ მსხვერპლთაგანს ფასი არა აქვს; ისინი მხოლოდ გზაა უმაღლესი სიკეთის — სიყვარულისაკენ. პავლე მოციქული წერს: „და შე-ღათუ –ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცნე ჳორცნი ჩემნი დასაწუველად და სიყუარული არა მაქუნდეს, არარაივე სარგებელ არს ჩემდა“ (I კორ. 13,3).

საკუთარი თავის სრული უარყოფა იქედან გამომდინარეობს, რომ

ცოდვა, რომელმაც ღმერთს განგვაშორა, უკიდურეს თვითდამკვიდრებას, თავისთავში ჩაკეტვასა და ეგოიზმს წარმოადგენს. ღმრთის ხელახლა მისაღებად გულის კარები ბოლომდე უნდა გავაღოთ.

30. ღმერთი ჩვენს მსხვერპლს იწირავს

მაგრამ ღმერთი მისი სასუფევლისათვის მიტანილ ყველა გულწრფელსა და მდაბალ მსხვერპლს იწირავს: „ამენ გეტყუ თქვენ, რამეთუ არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი გინა მამად, გინა დედად, გინა ძმანი, გინა ცოლი, გინა შვილნი სასუფევლისათვის ღმრთისა, რომელმან არა მიიღოს მრავალი წილი ჟამსა ამას და საუკუნესა მომავალსა ცხორებად საუკუნოდ“ (ლუკ. 18,29-30).

წმიდა მამების განმარტებით უფლის სიტყვები „ჟამსა ამას“ იმასაც ნიშნავს, რომ ქრისტიანმა უკვე ამ ცხოვრებაშივე ცხადად უნდა შეიგრძნოს სიხარული მადლმოსილებისა, სხვაგვარად ის მას ვერც მომავალ ცხოვრებაში მოიპოვებს.

მართლაც, წმიდა ადამიანები ამ ცხოვრებაშივე არა მხოლოდ ცოდვის ძალადობისგან თავისუფლდებოდნენ, არამედ სულიერი სიხარულითა და სინათლითაც ივსებოდნენ. წმინდა თვალისათვის ყოველივე წმინდაა და წმინდანებიც ყველა ადამიანსა და საერთოდ მთელ სამყაროს როგორც მშვენიერს ისე ხედავდნენ, წინასწარ ტკებდნენ რა სამოთხის ნეტარებით. ყოველივე, რაც მათ ღმრთის გულისათვის საკუთარ თავს მოაკლეს, უკან დაუბრუნდათ გარდაქმნილი სახით. წმიდა მარკოზ მოღვაწე წერს: „იმათგან, რაც ღმრთისთვის დათმე, არაფერს დაკარგავ, რადგან თავის ღროხე, მრავალგზის გამრავლებული დაგიბრუნდება“.

31. ნეტარების მცნებანი (მთ. 5,3-12)

ნეტარების მცნებებში უფალი იმ სულიერ თვისებებზე მიგვითითებს, რომლებიც ღმრთის სასუფევლის მისაღწევად საჭირო. ისინი ერთდროულად არიან ჭეშმარიტი ცხოვრების როგორც ნაყოფნი, ასევე ნიშნებიც; მათში და მათი მეშვეობით უკვე ამქვეყნიურ ცხოვრებაში წინასწარ ვუგებთ გემოს მომავალი ცხოვრების ნეტარებას.

ჭეშმარიტად ქრისტიანულ ცხოვრებაში წარმატებისათვის, უწინარეს ყოვლისა, მორჩილება, ანუ საკუთარი ცოდვებისა და მათთან ბრძოლაში ღმრთის შემწეობის გარეშე საკუთარი უძლურების შეგნებაა აუცილებელი. აქედან გამომდინარე, სულის მუდმივი მონანიე

მდგომარეობაა სწორედ ის, რასაც სულიერი სიგლახაკე ეწოდება — „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“ (მთ. 5,3).

თვითკმაყოფილების საპირისპირო მდგომარეობის ხატია აღბეჭდილი იგავში მეზვერესა და ფარისეველზე (ლუკ. 18,10-14).

„ვინც საკუთარ ცოდვებს განიცდის, უკეთესია იმაზე, ვინც თავისი ლოცვით მკედრებს აღადგენს“, ხოლო „ვინც ღირსი გახდა საკუთარი თავის ხილვისა, უკეთესია ვიდრე მხილველნი ანგელოზებისა“, — ამბობს ღირსი მამა ისააკ ასური. საკუთარი თავისა და საკუთარი ცოდვების შეცნობას სინანულის ცრემლებამდე მიყვავართ, რომელიც ცოდვებისაგან გაგვბანს და გვანუგეშებს. ზოგიერთ წმინდანს, მუდმივად დასტიროდა რა თავის ცოდვებს, „ნიჭი ცრემლისა“ ჰქონდა. რამდენადაც უფრო დიდია სინათლე სულში, მით უფრო ცხადად ხედავს ადამიანი თავის ლაქებს და თვით უმცირეს შეცდომებსაც კი ამჩნევს. ამგვარ ადამიანებზე თქვა უფალმა: „ნეტარ არიან მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ“. მათ რიცხვს ეკუთვნის ისინიც, რომელნიც თანაგრძნობისა და შებრალების გამო ტირიან.

„ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაჲ“. გლახაკნი სულითა და საკუთარი ცოდვების დამტირებელნი სხვებს არ განიკითხავენ, წყენას პატიობენ და მშვიდნი ხდებიან. ამგვარი მომთმენი, სათნოებით აღსავსე ადამიანები თავს ყველგან როგორც საკუთარ სახლში და როგორც მემკვიდრენი (შინაურები) ისე გრძნობენ, ადვილად ეგუებიან რა ყველაფერს, ისინი ხშირად სხვებზე დიდხანს ცოცხლობენ, მაგრამ მათი ნამდვილი სამკვიდრო (მემკვიდრეობა) მომაკვლი ცხოვრების ახალი ქვეყანაა, სადაც მოშუდარნი ვერ შევლენ.

„ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძიდენ“. ესენი პირველ რიგში ისინი არიან, რომელთაც სურთ, რომ ყოველი მათი საქციელი ღმრთის ნებას ემთხვეოდეს, მას აზრი ჰქონდეს და მთელი მათი ცხოვრება უმაღლესი აზრით იყოს განბრწყინებული; ესენი არიან ისინიც, რომელთაც სურთ, რომ მათ ირგვლივ სამართლიანობა სუფევდეს, რათა ოჯახურ, საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ურთიერთობებში ქრისტესმიერი სიმართლის სილამაზე ზეიმობდეს. ზნეობრივად გასხივოსნებული იშვიათი ისტორიული პერიოდებისათვის როგორც ცალკეული ხალხები, ასევე მთელი კაცობრიობაც იმ ადამიანებს უნდა უმაღლოდეს, რომელთაც

სიმართლე შიოდათ და სწყუროდათ.

„ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“. მოწყალეების საქმეებზე, რომელიც თანადგომით გამოწვეული სიყვარულის ნაყოფს წარმოადგენს, უფალი საუბრობს იგავში საშინელ სამსჯავროზე (მთ. 25,31-46). მისი სასწაულებიც ამასვე მოწმობენ. მოწყალეობა უპირველეს ყოვლისა, სასარგებლოა თვითონ ქველმოქმედთათვის: იგი მათში კაცთმოყვარეობას განამტკიცებს: „უკეთუ ღატაკები აგედევნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმრთის წყალობა აგედევნა“, — ამბობდა მამა იოანე კრონშტადტელი. მაგრამ მოწყალეა ისიც, რომელმაც პატიება იცის. გულღრძო და შურისმძიებიელი, პირველ ყოვლისა, თავის თავს აწამებს და მას საკუთარ საპყრობილეში ამწყვდევს. სანამ არ დამშვიდება და (თავისი სიყვარულის) უკანასკნელ გროშებს არ გასცემს, იგი ამ საპყრობილედან ვერ გამოვა (ლუკ. 12,59; მთ. 18,34; 5,26).

„ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“. გული ანუ იგივე სული ადამიანისა მისი პიროვნების საფუძველსა და სიღრმეს წარმოადგენს. ადამიანის მიერ ყველა ძირითადი შეფასება და ყოველგვარი არჩევანი გულში აღესრულება; სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს იგი თავის გულში იღებს. ზნეობრივ შეფასებასთან მიმართებაში გული სინდისია, მაგრამ გულით შეიცნობა აგრეთვე ჭეშმარიტებაც და სილამაზეც. გულს უნდა მივაკუთვნოთ უფლის სიტყვები: „სანთელი გუამისაჲ არს თუალი. უკუეთუ თუალი შენი განმარტოებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს... იხილე, ნუუკუე ნათელი იგი შენ შორის ბნელ იყოს“ (მთ. 6,22; ლკ. 11,34-35). პავლე მოციქული ეფესელებს უსურვებს, რომ ღმერთმა თვალნი გულისა გაუნათლოთ (ეფ. 1,18). ადამიანის უზნეობა იმდენად ღრმაა, რომ იგი გულზეც ვრცელდება. ის, ვინც ცოდვას გამუდმებით უთმობს, ბოლოს და ბოლოს სიკეთისა და ბოროტების გარჩევას ვედარ შეძლებს. გულის განწმენდა ადამიანის თავის თავზე მუშაობით მიიღწევა და ღმრთეებრივი მაღლის მოქმედებით მთავრდება. გულის სიწმინდის (ანუ მხედველობის) საბოლოო დაკარგვა სულიერი სიკვდილია და პირიქით, ადამიანის ხსნა გულის განათებაში მდგომარეობს. ადამიანი ღმერთს თავის გულში ხვდება, რადგან ღმერთი სულიწმიდას სწორედ გულში გზავნის (გალ. 4,6). ადამიანთა გულებში მკვიდრდება ქრისტეც (ეფ. 3,17), როცა მათში თავის რჯულს ნერგავს (ებრ. 10,16). გულთამხილავი ღმერთი ადამიანებს მათი გულების მიხედვით განსჯის. „მე ვარ

რომელი განვიკითხავ გულსა და თირკუმელთა“, — ამბობს უფალი (გამოც. 2,23).

„ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდნენ“. კარგია იყო მშვიდი, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესია, როცა სიმშვიდეს შენს ირგვლივ თესავ. მაგრამ ეს მხოლოდ იმათთვისაა შესაძლებელი, ვინც საკუთარ თავში სიმშვიდის ჩვეულებრივ ხარისხზე ამაღლდა. დიდი რუსი წმინდანი, ღირსი სერაფიმე საროველი ამბობდა: „მოიბოვე სიმშვიდე და შენს ირგვლივ ათასები ცხონდებიან“, ხოლო მეორე რუსი ღირსი მამა იოანე კრონშტადტელი წერდა: „სხვებთან მშვიდობისა და თანხმობის გარეშე შეუძლებელია გქონდეს მშვიდობა და თანხმობა საკუთარ თავში“. მაგრამ სხვათა დაზავების მაღლი ყველას და ყოველთვის არა აქვს მიცემული; ხოლო ვინც დაზავებას სიამაყითა და გულფიცხობით ცდილობს, საქმეს ადვილად წაახდენს.

„არა არს ღმერთი შფოთისაჲ, არამედ მშვიდობისაჲ“ (1 კორ. 14,33), „იგი თავადი არს მშვიდობაჲ ჩუენი“ (ეფ. 2,14). ამიტომაც მის ძეებად მხოლოდ მშვიდობის მყოფელებს შეუძლიათ იწოდებოდნენ. აღმდგარი ქრისტე ეცხადებოდა რა მოწაფეებს, ეუბნებოდა: „მშვიდობა თქვენ თანა“ (ინ. 20,19, 21; ლუკ. 24,36). მოციქულები, რომელნიც თავიანთ ღმრთეებრივ მასწავლებელს ბაძავდნენ, მოწაფეებს ყოველთვის ამ სიტყვებით მიმართავდნენ: „მაღლი თქუენ თანა და მშვიდობაჲ განმრავლდინ“ (1 პეტ. 1,2; 2 პეტ. 1,2; იუდ. 1,2), ან უბრალოდ „მშვიდობაჲ შენდა“ (3 ინ. 3,15), და კიდევ: „მაღლი თქუენდა და მშვიდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესო ქრისტესა“ (რომ. 1,7; 1 კორ. 1,3; 2 კორ. 1,2; გალ. 1,3; ეფ. 1,2 და სხვ.).

მოციქულთა მისალმებანი და სიტყვები თვითონ უფლისა, განსაკუთრებით კი მის მიერ გამოსათხოვარი საუბრისას თქმულნი, იმაზე მოწმობენ, რომ ქრისტესმიერი მშვიდობა სულიწმიდის ნიჭს წარმოადგენს.

„ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გღევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთჳს. გიხაროდენ და მხიარულ იყვნით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა, რამეთუ ეგრეთ დევნენს წინასწარმეტყუელნი უწინარეს თქუენსა“.

ტანჯვა ქრისტესათვის უდიდესი ღვაწლია კაცისა, ხოლო უარყოფა მისი — უდიდესი დაცემა. „რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უარ-ვეო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“ (მთ. 10,33). ვინც

ქრისტეს უარყოფს, უარყოფს ყოველივეს, რაც ჭეშმარიტად ადამიანურია, რადგანაც ის, რაც ჭეშმარიტად ადამიანურია, ღმრთის ხატს წარმოადგენს, რომელიც მთელი სისრულითა და სიწმინდით ქრისტეში გაბრწყინდა. ეს აგრეთვე საკუთარი თავის, საკუთარ თავში საუკეთესოს უარყოფაცაა, ანუ სხვაგვარად — სულიერი თვითმკვლელობა.

უფლის უსაზღვრო ერთგულება — მისთვის სიკვდილია, ხოლო უსაზღვრო სიყვარული ადამიანებისა — სიკვდილი მათთვის. „უფროდსი ამის სიყვარული არავის აქუს, რადთა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის“ (ინ. 15,13).

32. ქრისტიანები სიკვდილის პირისპირ

საშინელია სიკვდილი, მაგრამ იგია საზომი ყოველივე ამბლებული-სა, საზომი ადამიანის ღირსებისა. სიკვდილისთვის მზადყოფნით იზომება სიმამაცე, ერთგულება, სასოება, სიყვარული, რწმენა... ჭეშმარიტი ქრისტიანი მზადაა შეეგუოს როგორც იძულებით, ისე ჩვეულებრივ სიკვდილს, რომელიც სენით ან სიბერითაა გამოწვეული. სიკვდილთან შეგუებით იზომება მისი რწმენა აღდგომისა და ღმრთის ყოვლად სახიერებისადმი. ქრისტიანს უნდა ჰქონდეს „სასიკვდილო მეხსიერება“, ანუ არ უნდა დაავიწყდეს, რომ მოკვდავია და რომ საბოლოო ზეიმი ნათლისა მხოლოდ მიცვალებულთა აღდგომის შემდეგ დადგება. მაგრამ სიკვდილისათვის მზადყოფნა იმას როდი ნიშნავს, რომ ამქვეყნიური ცხოვრება თავის ფასს კარგავს, პირიქით, იგი უდიდეს სიკეთედ რჩება; ქრისტიანიც სწორედ ამ ცხოვრების სისავსისთვისაა მოწოდებული, რადგანაც მას შეუძლია მისი ყოველი წამი ქრისტეს სიყვარულის ნათელით აავსოს და ამის გაკეთება მხოლოდ ჭეშმარიტ ქრისტიანს ძალუძს.

33. ქრისტიანული ცხოვრების სისრულე; ტალანტთა გამრავლება

მომავალ სრულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების იმედს მხოლოდ ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანის სულიერი ძალების გაფურჩქვნა, ანუ სხვაგვარად, სულიერ ნიჭთა ანუ ტალანტების სრული გამოყენება იძლევა. ამას გვასწავლის უფალი იგავებში ტალანტებისა (მთ. 25,14-30) და მნათა შესახებ (ლუკ. 19,12-27). ადამიანს თავისი დანიშნულების შესრულება მაშინ ეადვილება, თუ იგი იმას აკეთებს, რისთვისაც მოწოდებულია. მოწოდებანი და ტალანტები მრავალ-

გვარია. ესენია, პირველ რიგში, უშუალო ნიჭნი სულიწმიდისა, ის ქარიზმები, რომლითაც ასე მდიდარნი იყვნენ პირველი ქრისტიანები (ნიჭი წინასწარმეტყველებისა, ენებისა, განკურნებისა და სხვ.); მეორეც, ეს ის სხვადასხვა სახის უნარია, რომელიც საზოგადოებრივსა (მჭევრმეტყველებისა, ორგანიზაციული, პედაგოგიური, მხატვრული) და პირად (ცოლ-ქმრობისა, ქალწულებისა, მამობისა, დედობისა) ცხოვრებაში მჟღავნდება. შემოქმედებითი საქმიანობა მოწოდების მიხედვით ყველაზე უკეთ ქმნის და აყალიბებს ადამიანის პიროვნებას და მას ყველა ქრისტიანისთვის საერთო მოწოდების განხორციელებაში ეხმარება, რომელიც საკუთარ თავსა და სამყაროში ღმრთის სასუფეველის მშენებლობაში მდგომარეობს. ყველა ტალანტი, როგორც ცალცალკე, ასევე მათი ჰარმონიული ერთობლიობით, ამ ძირითად მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ამ ძირითადი შემოქმედების გარეშე, რომელიც ქრისტესთან და ქრისტეში აღესრულება, ყოველგვარი ადამიანური მოღვაწეობა, თუნდაც მოწოდების მიხედვით, ირყვება და ჭკნება. ამგვარად, ჭკნება ხელოვნება, რომელსაც რელიგიური სული არ ასახრდობს, კვდება სახელმწიფო წყობილება; თვით სამხედრო საქმეც კი, ქრისტესმიერი სიმართლის დავიწყებისას, ერთნაირად უმზადებს დაღუპვას დამარცხებულებსა და გამარჯვებულებს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველგვარი მოწოდება ჯვარია და რომ იგი ძალისხმევასა და მსხვერპლს მოითხოვს, რომელთა გარეშეც ტალანტი ვერ გამრავლდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ჯვრის გზა უკანასკნელი ცხოვრებისეული მოწოდება იყო თვითონ უფლისა და რომ უფლის მიერ თავისი ჯვრის საბოლოო მიღება — ცხოვრების უაღრეს დაძაბვასა და უკიდურეს ჩქეფას წარმოადგენს. „ჯვარი ნებაა, რომელიც მზადაა ყოველგვარი მწუხარებისათვის“, — ამბობს ერთი ძველი მამა. მაგრამ ამავე დროს, ჯვარი არის აგრეთვე კურთხევა ყოველგვარი მოწოდებისა; ქრისტეს ერთგული მიმდევრებისთვის იგი განუყოფელია მათ ნიჭთა გამოძღვლებისა და ტალანტების გამრავლებისაგან; მაგრამ ყოველი ადამიანის ჯვარი ქრისტეს ჯვარზე უნდა იყოს დამყნობილი, ეს კი ყველაზე უკეთ მაშინ აღესრულება, როცა ნებისმიერი შემოქმედებითი მოწოდების ჯვარი ღმრთისა და ეკლესიის სამსახურისათვის გამოიყენება. ადამიანისათვის მიცემული ტალანტები ყველაზე მეტად სწორედ მაშინ მრავლდება.

34. ღმრთის ნების აღსრულება

თუ ცხოვრებისეულ (ონტოლოგიურ) მიმართებაში ქრისტიანული ცხოვრების მიზანი განღმრთობა ანუ ღმერთთან და მასში სხვა ადამიანებთან შეერთებაა, რაც ღმრთის სასუფეველის მიღწევას ნიშნავს, ზნეობრივ მიმართებაში ამ მიზანს ღმრთის ნების აღსრულება წარმოადგენს.

მისი მაგალითი თვითონ უფალმა მოგვცა და გვიანდერბა კიდევ. „გარდამოვკვდ ხეცით, არა რადთა ვყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ მოძაველინებელისა ჩემისა მამისაჲ“ (ინ. 5,38), — ამბობს უფალი თავისთავზე, ხოლო ჩვენ გვაფრთხილებს: „არა ყოველმან, რომელმან მრქუა მე: უფალო, უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ“ (მთ. 7,21). ღმრთის ნება რომ ავასრულოთ, იგი უნდა ვიცოდეთ, ხოლო ღმრთეებრივი გამოცხადების შესაცნობად, რომელშიც ეს ნება მჟღავნდება, ეკლესიურად უნდა ვიცხოვროთ, რადგან ჭეშმარიტება მთელი თავისი სისრულით არა ცალკეულ ადამიანს, არამედ ეკლესიას მიეცა; მაგრამ მის წევრებს ღმრთეებრივი ნება პირადად მიღებული ზეგარდმო მითითებებითაც გაუმჟღავნდებათ.

სულიერი ცხოვრების მწვერვალზე ქრისტიანი უკვე სულიწმიდის უშუალო წინამძღოლობით ცხოვრობს და ხელმძღვანელობს რა მისგან მიღებული მუდმივი მითითებებით, თავის გულში ცხადად არჩევს — ღმერთს მისგან რა სურს. შედარებით დაბალ საფეხურზე ღმრთის წინამძღოლობა ნაკლებად შეიგრძნობა, მაგრამ სულიერ ზრდასთან ერთად უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება; მაგალითად, ყურად იღებს რა ღმრთის სიტყვას, ადამიანი სულ უფრო და უფრო არჩევს, რომელი მიეკუთვნება მასში მისი ცხოვრების გარემოებებს, ხოლო სხვა ადამიანებთან შეხვედრებისგან სულ უფრო ხშირად შეიძენს მითითებას თავისი სულის სასარგებლოდ; ასე მაგალითად, როცა უმსგავსოდ განრისხებულ ადამიანს შეხვდება, მას შეუძლია ამაში საკუთარ თავში მომწიფებული წყნისა და უკმაყოფილების წინააღმდეგ გაფრთხილება აღმოაჩინოს. სულიერ ცხოვრებაში ზრდას, რომელსაც ქრისტიანი ღმრთის ნების უფრო ცხად გაგებად და მის ზუსტად შესრულებად მიჰყავს, ხელს უწყობს ყველა საშუალება, რომელსაც ეკლესია გვთავაზობს: მონაწილეობა წმიდა საიდუმლოებებში, ღმრთის სიტყვისა და სასულიერო წიგნების კითხვა, საზოგადო და პირადი ლოცვები, გულის განწმენდა ზრახვებისაგან, შეზღუდვა ბუნებრივი მოთხოვნილებებისა (მარხვა).

აუცილებელია აგრეთვე პირადი ურთიერთობა ეკლესიურად მცხოვრებ ადამიანებთან, მათგან, და განსაკუთრებით კი სულიერი მამისგან, სულიერ რჩევათა გამოკითხვა. ეს რჩევები ისევე უნდა შესრულდეს, როგორც ყველა რჩევა, რომელსაც ადამიანი ზეციდან იღებს. აუცილებელია აგრეთვე საკუთარ ნიჭთა კიდევ უფრო განვითარება მოწოდების მიხედვით და იმ მოწოდების ღმრთისა და ხალხის სამსახურში ჩაყენება. ჩამოთვლილ საშუალებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ღოცვას ენიჭება, მასშია გული სულიერი ცხოვრებისა, რომელიც ღოცვის გარეშე უბრალოდ არც არსებობს. ღოცვა ორგვარია: კერძო და საზოგადო, ხოლო შინაარსის მიხედვით — სავედრებელი, სამადლობელი და სადიდებელი. სავედრებელი აღევლინება როგორც საკუთარი თავის, ისე სხვებისთვისაც, როგორც გარეგნულ წყალობათა, ისე სულიერ სიკეთეთათვის, განსაკუთრებით კი, ცოდვათა მიტევებისა, საცდურებთან ბრძოლაში შემწეობისა და ბოლოს ზეგარდმო მითითებებისათვის იმის თაობაზე, როგორ მოვიქცეთ. წარმართები უპირატესად საკუთარი წარმატებებისათვის ღოცულობენ, ხოლო ქრისტიანები იმისათვის, რომ ღმრთის ნების თანახმად იქცეოდნენ. ღმერთი ამგვარ ღოცვას უპასუხოდ არ ტოვებს, განსაკუთრებით კი მამინ, თუ იგი სხვებს ეხება; ღოცვა სხვებისათვის — სიყვარულისაკენ გზასა და სიყვარულის ნაყოფს წარმოადგენს. კიდევ უფრო მაღლა ერთობლივი ღოცვა დგას: „უკეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათვისვე საქმისა, რომელიც ითხოვონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათადასა, რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მთ. 18,19-20).

35. უფლის ღოცვა

ღოცვის მაგალითს უფლის ღოცვა წარმოადგენს. მისი პირველი სიტყვა „მამა“ ღმრთისადმი სიყვარულითა და ნდობით ღოცვას გვასწავლის, მეორე სიტყვა კი — „ჩვენო“ — მიუთითებს, რომ არა საკუთარი თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც უნდა ვილოცოთ და თანაც უმჯობესი იქნება — ერთობლივად.

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“ — მიუთითებს რა ზეცაზე, როგორც ღმრთის ადგილ-სამყოფელზე, შეხსენებაა ღმრთის სრულყოფილებაზე, რომელიც ყველა მიწიერ გაგებას აღემატება.

ამის გამო არ შეიძლება არ გვესურდეს, რომ ღმრთის თვით სახ-

ელიც ყველასათვის წმიდა იყოს, რომ ჩვენ თვითონაც სიტყვითა და საქმით ვადილოთ იგი და ზეციერი მამის ღირსეული შვილები ვიყოთ. „წმიდა იყავნ სახელი შენი“ — ამ სიტყვებშია მთელი ჩვენი სულთქმა სიწმინდის შესახებ.

თხოვნა — „მოვედინ სუფევად შენი“ — ვედრებაა იმის თაობაზე, რომ სიწმინდე ყველგან განბრწყინდეს, რომ ღმრთეებრივმა სიძარტლემ შინ და გარეთ იზეიმოს და რომ სამყარო სიყვარულის საუფლოდ იქცეს.

მაგრამ სასუფეველი ღმრთისა მთელი სისრულით მომავალ ცხოვრებაში, მიცვალებულთა საყოველთაო აღდგომისას გამჟღავნდება და მისი კარი მხოლოდ იმისთვის იქნება ღია, ვინც ღმრთის ნებას აღასრულებს. ხოლო რადგანაც ღმრთის შემწეობის გარეშე მისი ნების შესრულება ჩვენ არ შეგვიძლია, ამიტომ აუცილებელია გამუდმებით ვლაღაღებდეთ: „იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა“. ღმრთის ნება ხალისით და სიხარულით უნდა აღვასრულოთ, ისე როგორც ამას ანგელოზები და წმინდანები აკეთებენ.

როცა ვითხოვთ „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს“, უწინარეს ყოვლისა, სულიერ ანუ ექქარისტიულ პურს — უფლის უწმინდეს ხორცს ვითხოვთ, რომლის შესახებაც თვითონვე თქვა: „რომელი ჭამდეს ამას პურსა, ცხოვნდეს უკუნისამდე“ (ინ. 6,58). პური არსობისა — არის აგრეთვე სიტყვა ღმრთისა, რომლის შესახებაც ნათქვამია: „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა ღმრთისადა“ (ლუკ. 4,4). დაბოლოს, არსობის პურში ჩვენი მიწიერი ცხოვრების ყველა მოთხოვნილება უნდა ვიგულისხმოთ. ჩვენი საჭიროებანი ღმერთმა, რა თქმა უნდა, იცის, მაგრამ მათთვის ვედრება ჩვენსავე სარგებლობისთვისაა აუცილებელი: იგი განამტკიცებს რწმენას და ჩვენს სურვილებს ზღვარს უდებს; ხოლო ლოცვა სხვა ადამიანების საჭიროებებისათვის გვამაღლებს.

ვედრებაში ცოდვების მიტევებისათვის — „და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“ — სულიერი სიგლახაკე უნდა გამოიხატოს, რომლის გარეშეც არც გამოსწორება არსებობს და არც სულიერი ზრდა, ხოლო ცოდვათა მიტევება მათი მეუფებისაგან ჩვენი განთავისუფლებით შეიცნობა. მოხსენება იმისა, რომ ჩვენც ვპატიობთ, — უპირველეს ყოვლისა, მოწოდებაა შენდობისაკენ. განმარტა რა ეს სავედრებელი, უფალმა თვითონვე თქვა: „უკუეთუ არა მიუტევენთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა

მამამან თქვენმან მოგიტევნეს თქვენ შეცოდებანი თქვენნი“ (მთ. 6,15).

„და ნუ შემოიყვანებ ჩუენ განსაცდელსა“. ღმერთს ბოროტება არ შეუქმნია და არც შეუძლია იყოს მიზეზი ბოროტებისა, მაგრამ იგი სატანისაგან ცდუნებას სიკეთისათვის ბრძოლაში ჩვენი კეთილი ნების განსამტკიცებლად უშვებს. მოციქული იაკობი წერს: „ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან დაუთმო განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქმნეს და მოიღოს გვირგვნი ცხორებისად, რომელ აღუთქვა ღმერთმან მოყუარეთა მისთა. ნუვინ განცილდითაგანი იტყუნ, ვითარმედ ღმერთისა მიერ განვიცდები, რამეთუ ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტისა და არავის განსცდის იგი. არამედ კაცად-კაცადი განიცადების თვისისაგან გულის თქუმისა, მოიზიდვის და სცთების“ (იაკ. 1,12-14).

განსაცდელი, რომელიც მასთან საბრძოლველად აღგვირავს, ლოცვისათვის განგვაწყობს და ამგვარ ლოცვას ღმერთიც ისმენს. უფალ იესო ქრისტეს, რომელიც თვითონაც გამოიცადა, მოციქულის სიტყვებით, „ძალ-უც, რომელნი იგი განიცადებოდნან, მათდაცა შეწევნად“ (ებრ. 2,18). გარდა ამისა, ჩვენი შესაძლებლობა ღმერთმა იცის და არავის მიმართ არ უშვებს იმგვარ განსაცდელს, რომელიც მის ძალას აღემატება. პავლე მოციქული წერს: „სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიყვნეს თქვენ განცდად უფროდს ძალისა თქვენისა, არამედ იყოს განსაცდელსა თანა გამოყვანებადცა, რადთა შეუძლოთ დათმენად“ (1 კორ. 10,13).

სიტყვა „განსაცდელით“ წმიდა წერილსა და სასულიერო ლიტურატურაში არა მხოლოდ ცოდვით ცდუნება, არამედ ტანჯვით გამოცდაც აღინიშნება. „მრავლითა ჭირითა ჯერ არს ჩუენდა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (საქმ. 14,22).

უკანასკნელ სავედრებელში: „არამედ მივსნენ ჩუენ ბოროტისაგან“, ჩვენ ყოველგვარ ბოროტებასა და მის მატარებელ სატანას უარყოფთ და ვითხოვთ რა უზენაესისაგან შემწეობას, აღთქმას ვღებთ, როგორც ღმრთის მხედრობის ჭეშმარიტმა მეომრებმა, სიკეთისათვის ვიბრძოლოთ.

დამამთავრებელი დიდებისმეტყველება — „რამეთუ შენი არს მეუფება, ძალი და დიდება“ — ამოწმებს ჩვენს რწმენას სამპიროვანი ღმერთისა და მისი უეჭველი ზემის შესახებ ყოველგვარ ბოროტებაზე.

36. საზოგადო და კერძო ლოცვა

გარდა უფლის ლოცვისა, ეკლესია ჩვენ სხვა მრავალ ლოცვასაც გვთავაზობს, რომელიც სხვადასხვა ღმრთისმსახურებაში შედის: ამავე დროს ეკლესია საოჯახო და ინდივიდუალური ლოცვის მოწესრიგებასაც ესწრაფვის და ამ მიზნით ლოცვის წესსაც გვაძლევს. მართალია, ამ წესით სარგებლობისას მლოცველებს გარკვეული თავისუფლება ენიჭებათ, მაგრამ მისი უგულებელყოფა მით უფრო არ შეიძლება, ისევე როგორც თვითონ ლოცვითი ღვაწლის არსზე მამების მითითებებისა. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლოცვას ამ წესის გათვალისწინების გარეშე, მხოლოდ საკუთარ განწყობილებაზე დაყრდნობით შევძლებთ. ეკლესიის მამების თქმით, ლოცვა მეცნიერება ან კიდევ ხელოვნებაა და იგი შესწავლასა და ჩვევების გამომუშავებას მოითხოვს. სწორედ ლოცვაა საფუძველი და ცენტრი ქრისტიანული ცხოვრებისა.

37. იესოს ლოცვა

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეკლესია იესოს ლოცვას ანიჭებს: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. ბერ-მონაზვნებმა იგი მუდმივად უნდა იმეორონ, ხოლო ერში მცხოვრებთ მისით სულის ნებისმიერი მანკიერი სწრაფვის აღსაკვეთად და ყოველგვარი საპასუხისმგებლო საქმის აღსრულების დროს უნდა ისარგებლონ. ლოცვა შეიძლება შემოკლებული სახითაც წარმოითქვას. მისი ყველაზე მოკლე ფორმაა: „უფალო, შემიწყალე“. ამ ლოცვისას არსსა და მისით სარგებლობაზე ვრცელი სასულიერო ლიტურატურა არსებობს, რომელსაც მეტნაკლებად ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი უნდა გაეცნოს.

38. სულიერი კითხვის უმსახუბ

ღმრთის სიტყვის კითხვა ყოველად აუცილებელია. წმიდა წერილი ღმრთისმსახურების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და ტაძარში მის ყურადღებით მოსმენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, აუცილებელია აგრეთვე ღმრთის სიტყვა სახლშიც ვიკითხოთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ გარემოებანი საეკლესიო ღმრთისმსახურებაზე ხშირად დასწრების საშუალებას არ გვაძლევენ. ტაძარში ღმრთის სიტყვის აღქმის სახელმძღვანელოს ღმრთისმსახურის ქადაგება წარმოადგენს, ხოლო შინ — კითხვა წმიდა მამებისა და ეკლესიის მასწავლებელთა ნაწერებისა.

წმიდა წერილი ჩვენ ჭეშმარიტად ღმრთეებრივ ცხოვრებას განვიცხადებს, ხოლო წმიდა მამები გვასწავლიან, სახელდობრ, სხვადასხვა ვითარებისას ეს ჭეშმარიტი ცხოვრება როგორ უნდა აღვიქვათ და მისით როგორ უნდა ვიცხოვროთ. სასარგებლოა რელიგიური წიგნების კითხვა ლოცვასთან ერთად, ანდა პირიქით, ლოცვა კითხვის თანხლებით.

39. მართლმადიდებლური ღმრთისმსახურება

მართლმადიდებლურ ეკლესიაში ცხოვრება ერთ განუყოფელ მთელს წარმოადგენს. ესაა ღმერთკაცობრივი ცხოვრება და გზა, რომელსაც ცხოვნებისაკენ მივყავართ, ანუ სხვაგვარად — ადამიანის განღმრთობა. ამ გზაზე არა მხოლოდ წმიდა წერილის შეთვისება, წმიდა საიდუმლოებებში მონაწილეობის მიღება და ქრისტესმიერი სიმართლის შესაფერისი ყოფაქცევაა შესაძლებელი, არამედ ეკლესიის საღმრთისმსახურო ცხოვრებაში სრული შეღწევაც.

მართლმადიდებლურ ღმრთისმსახურებაში მაცხოვრებელია როგორც ცალკეული ლოცვები, ასევე თვითონ მისი სტრუქტურა და ლოცვის თანხლები მღვდელმოქმედებანი. საზეიმო ღმრთისმსახურების წყალობით ჩვენ არა მხოლოდ ღმრთისმოსაობით ვიხსენებთ სადღესასწაულო მოვლენას, არამედ სულიერად მისი მოწმენი და მონაწილენიც ვხდებით და იგი, მისაწვდომი ზომით, ჩვენი პირადი ცხოვრების მოვლენადაც იქცევა. ამის შედეგად ჩვენი ცხოვრება გარდაქმნას იწყებს: მის ქსოვილში ოქრომკედლივით გამობრწყინდება უფლისა და მისი ეკლესიის ცხოვრება და ამგვარად, ჩვენ დროებით ყოფაში უკვე მარადიულობა გამოსჭვივის.

მთელი მართლმადიდებლური ღმრთისმსახურება მსგავსად ხატწერისა, ღრმად სიმბოლურია. მასში სახეებითაა გადმოცემული ჩვენი მაცხოვრებელი შინაარსი წმიდა ისტორიის მოვლენებისა. ხატწერას ზოგჯერ უწოდებენ „ღმრთისმეტყველებას ფერებში“, ხოლო ღმრთისმსახურებას შეიძლება „მოქმედებებითა და ბგერებით ღმრთისმეტყველება“ ვუწოდოთ.

ტაძრისა და მასში შესრულებული ღმრთისმსახურების წყალობით სული ღმრთეებრივ ჭეშმარიტებასა და სილამაზეზე ყველა თავისი სიმით გამოხმაურებას სწავლობს, ხოლო წმიდა სიმბოლოები უპირატესად წმიდა საიდუმლოებებში ჩვენი მონაწილეობის მიღებით ჩვენთვის სულიერ მოვლენად იქცევა. წმიდა ისტორიისა და ეკლესიის ისტორიის მოვლენები ჩვენი პირადი ცხოვრების მოვლენათა მნიშვნელობას

სწორედ მათი წყალობით იძენენ, ხოლო თავის მხრივ, ჩვენი პირადი ცხოვრებისეული მოვლენები შეიძლება საეკლესიო მოვლენათა ჯაჭვში იქნენ ჩართულნი. ასე მაგალითად, ქორწინების საიდუმლოთა მეშვეობით მამაკაცისა და ქალის ბუნებრივი სიყვარული და ახლად შექმნილი ოჯახი მთელი ეკლესიის ცხოვრებისათვის ღრმა მნიშვნელობას იძენს. ასევე ეკლესიის რომელიმე წევრის ავადმყოფობა ზეთისკურთხევის საიდუმლოს მეშვეობით მთელი საეკლესიო თემისათვის მოვლენად იქცევა და მას სწეულის მიმართ თანაღმობით აღსავსე სიყვარულით აღძრავს, ხოლო თვითონ ავადმყოფს ახლებურად ჩართავს საეკლესიო ცხოვრებაში. ცოდვაც კი, — ყველაზე მწარე და საშინელი რამ ჩვენს ცხოვრებაში, — სინანულის საიდუმლოს მეშვეობით, შესაძლებელია, ცოდვილის ძირფესვიანად აღორძინების დასაბამად იქცეს, რაც ეკლესიისათვის დიდად სასიხარულოა, რადგანაც მასში, ისევე როგორც ზეცაში, ერთი მონანიე ცოდვილის გამო უფრო ხარობენ, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტი მართლისა გამო, რომელნიც მონანიებას არ საჭიროებენ (ლუკ. 15, 7). დაბოლოს, მართლმადიდებლურ ღმრთისმსახურებაში თვით სიკვდილის სიმწარეც კი საკმაოდაა დაძლეული. სიკვდილის დამთრგუნველი ძალა ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისა ექპარისტის საიდუმლოს წყალობით გარდაცვლილ ქრისტიანებსაც გადაეცემათ და რადგანაც მონანიება თვითონ აღარ შეუძლიათ, ჩადენილი ცოდვების გამო პასუხისმგებლობას უმსუბუქებთ, რადგან ეკლესიის ლოცვა საკუთარი სინანულის ნაცვლად შეერაცხებათ. გარდა ლიტურგიკული მოხსენებისა, მართლმადიდებლურ ეკლესიაში მათთვის სხვა განსაკუთრებული წესებიც სრულდება: წესის აგება, შესანდობელი წირვა, პანაშვიდი და ლიტია. ყველა ეს ღმრთისმსახურება მლოცველებს სიკვდილთან სათანადო დამოკიდებულებას ასწავლის.

მართლმადიდებლური ღმრთისმსახურების სასიცოცხლო მნიშვნელობა დიდზე დიდია; მთელი მისი სიღრმე მასში მხოლოდ აქტიური მონაწილეობით შეიცნობა, თუმცადა ბოლომდე მისი ჩაწვდომა შეუძლებელია.

40. ხატის თაყვანისცემა

ა) ხატთაყვანისცემა და ხატთაგრაძობა

მართლმადიდებლურ ღმრთისმოსაობაში წმიდა ხატების თაყვანისცემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ისინი მართლმადიდებელთა არა მხოლოდ ტაძრებს, არამედ სახლებსაც ამკობენ. ზოგიერთი ხა-

ტის სასწაულის მოსახსენებლად საეკლესიო დღესასწაულებიც კია დაწესებული. თავად ხატწერა სრულიად განსაკუთრებული დარგია ხელოვნებისა, რომელიც ჩვეულებრივი ფერწერისაგან განსხვავდება.

წმიდა ხატების წინ ღოცულობენ, მათ სანთლებსა და კანდელებს უნთებენ, მათით აკურთხებენ და მათი მეშვეობით არა მხოლოდ იკურნებიან, არამედ ზოგჯერ მითითებებსაც კი იღებენ.

მე-8 საუკუნეში მაჰმადიანებისა და იუდეველების ზეგავლენით, რომელნიც უხილავი ღმერთის გამოსახვას შეუძლებლად თვლიან, ბიზანტიის იმპერიაში ხატთაყვანისცემა აკრძალეს, ხოლო ხატთა თაყვანისმცემლებს დევნა და წამება დაუწყეს. 787 წელს მე-7 მსოფლიო კრებაზე ხატთაყვანისცემა არა მხოლოდ აღდგენილ იქნა, არამედ მის დოგმატურ დასაბუთებასაც ჩაეყარა საფუძველი.

ბ) ხატების დოგმატური ზინაარსი

უფალი იესო ქრისტეს, მისი ყოვლადწმიდა დედის, მისი ცხოვრების მოვლენებისა თუ წმიდა ადამიანების გამოსახვა, უპირველეს ყოვლისა, ღმრთის განხორციელების (ღმრთის გამოცხადების ამ მწვერვალის) ჭეშმარიტებისა და ადამიანში ღმრთის ხატის ჭეშმარიტად არსებობის რწმენის აღიარების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს.

ძე ღმრთისა, როგორც ღმრთეებრივი სიტყვა, მამა ღმერთის ხატია. მაგრამ ღმრთის განხორციელებამდე ეს ხატი ადამიანისათვის უხილავი იყო და მხოლოდ კაცობრივ სიტყვაში აღბეჭდილი ცხადდებოდა. ამიტომ, მართალია, სიტყვიერად აღბეჭდილი ღმრთეებრივი გამოცხადება ანუ წმიდა წერილის წიგნები ძველ აღთქმაშიც თაყვანისიციემებოდა, მაგრამ იმ დროს ღმრთის არავითარი გამოსახულება არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ხოლო როცა „სიტყვა იგი ხორციელ იქმნა“ (ინ. 1,14) და, როცა ძე ღმრთისა ადამიანი იესო ქრისტე გახდა, ადამიანებს შესაძლებლობა მიეცათ მასში თავიანთი მიწიერი თვალებით არა მხოლოდ თვითონ ღმერთი განეჭვრიტათ, არამედ შეხებოდნენ კიდევ მას ხელებით.

„მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი, და კმა არს ჩუენდა“. — ამბობს ფილიპე მოციქული საიდუმლო სერობაზე, ხოლო იესო მას უპასუხებს: „ესოდენ ჟამ თქუენ თანა ვარ, და არა მიცი მე, ფილიპე? რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი და შენ ვითარ მეტყუ მე: მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი?“ (ინ. 14,8-9).

ხილვა უფლისა, შეხება მისი, ხოლო მისი მეშვეობით თვითონ ღმრთისა, უდიდესი ბედნიერება იყო, როგორც ამას მოციქული იოანე

ღმრთისმეტყველი გვიდასტურებს თავისი პირველი ეპისტოლის პირველ სტრიქონებში (I ინ. 1,1-4). ამ ბედნიერებისა და სარგებელის ნაწილს გადმოგვცემს ჩვენ წმიდა ეკლესია, რომელიც ნებას გვრთავს და მხარს გვიჭერს იმაში, რომ უფალი იესო ქრისტე გამოვსახოთ.

ბ) ხატწერა როგორც ხელოვნება

მაგრამ ჩვენ ხატებზე უფლის მხოლოდ ხორციელ გამოსახულებას ხომ არ ვუყურებთ? და ამდენად ღმერთი ჩვენთვის მართლაც უხილავი ხომ არ რჩება? აქედან გამომდინარე, მართლაც ხომ არ არის ხატი ღმერთკაცის დამცირება?

რა თქმა უნდა, ეს ასე არაა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მხატვარი ყოველგვარ პორტრეტში ამა თუ იმ ზომით იჭერს და გამოხატავს სამშვინველსა და სულს ადამიანისა, და მეორეც, ხატებზე ადამიანის — იესო ქრისტეს ხილული ხატის ქვეშ მისი ღმრთიერივი ჰიპოსტასია გამოხატული, რაც იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც ხატწერა განსაკუთრებულ ხელოვნებას წარმოადგენს. მისი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ხატზე არა ჩვეულებრივი სხეული და სახეა ასახული, არამედ იმდენად გარდაქმნილი და გასულიერებული, რომ თავის თავში ღმრთიებას იტევს.

ამგვარი გამოხატვისათვის საგანგებო ხერხებია შემუშავებული, რომელნიც ყველა იმ თავისებურებას არბილებენ, რომელთაც გრძნობიერი და მიწიერი მიდრეკილებების გამჟღავნება შეუძლიათ და, პირიქით, იმ კაცობრივ თვისებებს გამოკვეთენ, რომელნიც სულიერებას გამოხატავენ. მიუხედავად ამისა, ეს ხერხები ადგილს მხატვრის ინდივიდუალური შემოქმედებისთვისაც ტოვებენ.

ხატწერაში განსაკუთრებული ხერხები არსებობს აგრეთვე საგნებისა და პეიზაჟების გამოხატვისთვისაც.

ღ) ხატწერა და ქრისტიანული ცხოვრება

როცა ძე ღმრთისამ ადამიანური ბუნება შეიერთა, მასში ნათესაურიც ჰპოვა, რადგან ადამიანი თავიდანვე ღმრთის ხატად და მსგავსად შეიქმნა. მაგრამ დაცემულ ადამიანში ღმრთის ხატი დაბნელებული იყო და აღდგენას მოითხოვდა. ამიტომაც ღმრთის განკაცებამდე ადამიანის გამოსახულება თაყვანისცემის ღირსი არ ყოფილა, რის გამოც სძაგდათ სწორედ ქრისტიანებს ანტიკურ ღმერთთა გამოსახულებანი.

ეს გამოსახულებანი ადამიანის დაცემულ ვნებიან ბუნებას ასახ-
9. სსზ, 2011.

ავდნენ, რადგან თვითონ წარმართული ღმერთებიც, გარკვეულწილად, ადამიანურ ვნებათა განსახიერებებს წარმოადგენდნენ.

მიუხედავად ამისა, ეჭვგარეშეა, რომ ანტიკური ხელოვნების ნიმუშებში ადამიანის ჰარმონიისა და სრულყოფილებისაკენ მაღალი მისწრაფებანიც აისახა, რის გამოც ამ ხელოვნებიდან გარკვეული ფორმებისა და ხერხების სესხება სავსებით დასაშვებია ხატმწერი-სათვის, ისევე როგორც საერთოდ ქრისტიანული ხელოვნებისათვის.

ხატწერა, გარკვეული აზრით, გამოყენებითი ხელოვნებაცაა: იგი უმაღლეს ხელოვნებას ემსახურება, ხელოვნებას, რომელიც ღმრთებრივი მაღლის შემწვობით თვითონ ადამიანსა და მის ცხოვრებას გარდაქმნის.

ე) ხატწერის თემატიკა

ხატწერის ძირითად თემას, როგორც სრულყოფილი ხატი მამა ღმერთისა, უფალი იესო ქრისტე წარმოადგენს.

დედა ღმრთისა არსებითად ქრისტესაგან განუყოფელია, რადგან მისი წყალობით გახდა შესაძლებელი ღმრთის განკაცება და აქედან გამომდინარე, გამოსახვა ღმერთისა.

წმინდანებს კი იმდენად ვცემთ თავვანს, რამდენადაც მათში ქრისტეა „გამოსახული“. ისინი თავად არიან (და აქედან გამომდინარე მათი გამოსახულებებიც) უფლის ცოცხალი ხატები. ხატებზე აგრეთვე წმიდა ისტორიის მოვლენებიცაა ასახული. მათში ხატწერა ისწრაფვის ამ მოვლენათა ჩვენი მაცხოვრებელი ღმრთისმეტყველური შინაარსი გამოხატოს და არა მათი ისტორიული ვითარება. ამიტომ ზოგიერთები ხატწერას „ღმრთისმეტყველებას ფერებში“ უწოდებენ.

თავისი საქმის წარმატებით შესასრულებლად თვითონ ხატმწერი და მისი მოღვაწეობა რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდეს. იგი მართლმადიდებელი უნდა იყოს და თავის საქმეს ღოცვითა და შესაფერისი სულიერი განწყობილებით აღასრულებდეს. საუკეთესო ხატმწერთაგან მრავალი წმინდანთა თანა იქნა შერაცხული.

ვ) ხატების სიწმიდე

გარდა ამისა, რომ ხატს გამომსახველობითი მნიშვნელობა აქვს, მასზე გამოსახული მაღლისმიერად იმყოფება. ამგვარ ადგილად იგი კურთხევისა და მისთვის სახელის მინიჭების ძალით იქცევა. არა

მხოლოდ ადამიანს, არამედ მთელ ბუნებას, მთელ მატერიალურ სამყაროს, როგორც ღმრთის სიტყვით შექმნილსა და დაცულს, შეუძლია ღმრთეებრივი მადლის მიძღვნილი და გადამცემი გახდეს. ამასთან იდუმალი ზღვარი სულიერსა და მატერიალურს შორის მოუხელთებელია.

VII მსოფლიო კრებამ ხატებთან მართლმადიდებლური მიმართება დაამტკიცა: ხატზე გამოსახული იესო ქრისტე ან წმინდანი თავყვანისიცემება და არა მატერიალური საგანი, რომელზეც გამოსახულებაა აღბეჭდილი.

მართლმადიდებელ ეკლესიაში განსაკუთრებულ პატივს დედა ღმრთისას ხატებს მიაგებენ, რომელთაც დიდი მადლისმიერი ძალა აქვთ. ეს გასაგებიცაა, რადგან ყოვლადწმიდა ქალწული ის „ხიდი“ და სი „კიბეა“, რომელიც უხილავ ზეცას და ჩვენს ხილულ ქვეყანას აერთებს.

41. წმიდა ნაწილთა თავყვანისცემა

მართლმადიდებელ ეკლესიაში აგრეთვე წმიდა ნაწილთა ანუ შესვენებული წმინდა ადამიანების ნეშტთა თავყვანისცემაც არსებობს.

ზოგიერთი შესვენებული წმინდანის სხეული ან ნაწილობრივ ან კიდევ სრულად ინახება. მაგრამ ისინი არა მხოლოდ მათი უხრწნელობისათვის თავყვანისიცემება, არამედ იმისთვის, რომ შესვენებულთა სიწმინდის გამო მათი სხეულები ღმრთეებრივ მადლს სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებენ, რომლის ძალითაც მორწმუნეებს კურნებისა და სხვა სულიერი ნიჭები მიეძღვრებათ.

წმინდანების ნეშტთათვის დამახასიათებელი მადლისმიერი ძალა თავად უფლის ცხოველმყოფელ ძალაზე მოწმობს და მომავალი საყოველთაო აღდგომის მომასწავებელ ნუგეშისმცემელ ნიშანს წარმოადგენს.

42. მარხვა

ა) მარხვა წარმატებული სულიერი ცხოვრების გზაზე დიდ შემწეობას გვიწევს. მისი მაგალითი ჯერ უფალმა იესო ქრისტემ მოგვცა (მთ. 4,2), ხოლო შემდეგ, იოანე ნათლისმცემლიდან მოყოლებული, ახალი აღთქმის წმინდანთა დასებმა; მაგრამ მარხვა ძველი აღთქმისა და სხვა რელიგიებისთვისაც ცნობილი იყო.

მარხვა ვარჯიშია, რომელიც სამშვიინველისა და სხეულის სულისათვის, აქედან გამომდინარე კი, ღმრთისთვის დამორჩილებას უწყობს ხელს. ამავე დროს, იგი ძლიერი იარაღია სატანასთან ბრძოლაშიც (მთ. 17,21; მრკ. 9,29).

ეკლესიის მიერ მარხვა აღდგომის, ქრისტესშობის, ღმრთისმშობლის მიძინებისა და წმიდა მოციქულების — პეტრესა და პავლეს მოსახსენებელი დღესასწაულების წინაა დადგენილი. გარდა ამისა, იგი მთელი წლის მანძილზე ოთხშაბათსა და პარასკევს და კიდევ ზოგიერთ სხვა დღესაცაა დაწესებული.

მარხვის თვისებებზე წმიდა წერილში, საღმრთისმსახურო ტექსტებსა და წმიდა მამათა თხზულებებშია თქმული. იგი, უპირველეს ყოვლისა, საჩვენებელი და თვალთმაქცური არ უნდა იყოს, როგორც ამის შესახებ თვითონ იესო ქრისტე გვეუბნება (მთ. 6, 16-18). თავისი არსით მარხვა ჩვენში სინანულის გრძნობებს აღრმავებს. საერთოდ ქრისტიანი მუდამ უნდა ებრძოდეს უხეო სურვილებს და ყოველთვის ზომიერი უნდა იყოს, რის მიღწევასაც ბუნებრივ მოთხოვნილებათა პერიოდულად შეზღუდვა გვიადვილებს.

მარხვა ვარჯიშია არა მხოლოდ თავშეკავების მისაღწევად, არამედ კეთილ საქმეთა აღსრულებისთვისაც. სწორედ მარხვის ამ დანიშნულებაზე მიუთითებს ეკლესია დიდი მარხვის საგალობლებში. მაგალითად, საგალობლებში, რომელიც დიდი მარხვის პირველ შვიდეულში, კერძოდ, ოთხშაბათის მწუხრზე სრულდება, ნათქვამია: „ვმარხულობთ რა ზორციელად, ძმებო, სულიერად ვიმარხულოთ და ყოველგვარი კავშირი უსამართლობისა და ვარდვიით, მშვივრებს პური მივცეთ, ხოლო ღატაკთა და უსახლკართთა — თავშესაფარი“.

ბ) გარდა ამისა, დადგენილია მარხვა, რომელიც ევქარისტიას უძღვის წინ.

ეს მარხვა, რომელიც საჭმლისაგან სრული თავშეკავებით გამოიხატება, ცოცხალი გახსენებაა იმისა, რომ ჩვენი მიწიერი, წარმავალი ცხოვრება მარადიულ ნეტარებაში მართალთა მომავალი ცხოვრებისათვის მზადებას წარმოადგენს.

ევქარისტია უკვე დასაწყისია ამ ახალი, ღმერთთან და ყველა ქრისტესმიერ ძმასთან ერთობით ყოფნისა. ამიტომ, როგორც ამას იესო ქრისტე გვეუბნება, ევქარისტიის საიდუმლო მარხვის ტვირთს გვხსნის: „ვერ კელ-ეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდრე სიძე იგი მათ თანა არს, მარხვად“ (მრკ. 2, 19). მაგრამ საიდუმლოთა მიღებამდე, მარხვა ჩვენთვის, როგორც სიძის მომლოდინეთათვის, აუცილებელია. ამგვარად ეკლესია ისწრაფვის გააძლიეროს ჩვენში მოლოდინი მომავლისა და წყურვილი უფალთან ახალი შეხვედრისა არა მხოლოდ

ევქარსიტიამი, არამედ მისი მეორედ მოსვლისას. გვათავისუფლებს რა ზიარების მიღების შემდეგ მარხვისაგან, ეკლესია ჩვენში აძლიერებს შეგრძნებას იმისა, რომ სიძე უკვე მოდის ჩვენთან და რომ ჩვენი წარმავალი ცხოვრების მარადიული ყოფის დღესასწაულად გარდაქმნა უკვე დაწყებულია.

ეკლესიის ღმერთკაცობრივ ბუნებას ერთი მხრივ მოლოდინი, ხოლო მეორე მხრივ დაწყებული აღსრულება ახასიათებს, რაც გამოხატულებას მის ლიტურგიკულ ცხოვრებასა და მარხვისა და ზიარების საზეიმო სიხარულის მუდმივ მონაცვლეობაში პოულობს.

მარხვის პერიოდში სადღესასწაულო და კვირა დღეებში თუმცა საკმლის შეზღუდვა უცვლელი რჩება, მაგრამ ეს შეზღუდვა შედარებით შემსუბუქებულია.



ანტიქრისტუს მოსკლის ნიშნები

შედგენილია წმიდა წერილის სწავლებისა და
წმიდა მამათა და ეკლესიის მოძღვართა
იოვანე ოქროპირის, ანდრეა კესარიელის,
იოვანე დამასკელის, ეფრემ ასურის,
თეოდორიტესა და სხვათა განმარტებათა
მიხედვით

ათონის პანტელეიმონის სახელობის
რუსული მონასტერი

ნებადართულია დასაბეჭდად მოსკოვის
სასულიერო-საცენზურო კომიტეტის მიერ 1912 წ.

თარგმნა გვანცა კოპლატაძემ



საქართველოს
საპატრიარქოს გამომცემლობა
თბილისი, 2011

წინასიტყვაობა

ღმრთისმოსავი მკითხველისადმი

ცნობილია, რომ ალესილი მახვილი სასარგებლო და აუცილებელიც კია გზაზე და საფრთხის ჟამს, რადგან მისი საშუალებით მტრისგან თავის დაცვა შეიძლება, მაგრამ იგი კაცს ზმირად ღუპავს კიდევ, ხდება რა იარაღი ძარცვისა, ძალადობისა და მკვლელობისა.

მსგავსად ამგვარი მახვილისა, ფიქრი სამყაროს აღსასრულის ჟამზე და მისი გამოძიება ადამიანისათვის იმდენადვე სასარგებლოა, რამდენადაც საზიანო. ქების ღირსია და გონიერი განმსჯელი ის, ვინც გონებით ღმრთის ყოვლისშემძლეობისა და მართლმსაჯულების უდიდეს აქტს მისწვდება, თავის პიროვნულ აღსასრულს არ დაივიწყებს და ემახსოვრება, რომ წინ თავისი საქმეებისათვის საზღაური ელოდება, მარადიული ტანჯვის ემინია და სიკეთის ქმნისაკენ მიისწრაფვის.

ამგვარი ფიქრები სულის მაცხოვრებელია ყოველი ქრისტიანისათვის და თავისი ხასითით მეფე-წინასწარმეტყველის დავითის განსჯის იგივეობრივია. **მაუწყე მე, უფალო, აღსასრული ჩემი და რიცხვი დღეთა ჩემთაჲ რავედენ არს, რამთა უწყოდი, რამდა მაკლს მე** (ფს. 38,4), — ლაღადებს იგი. **სიმცირე დღეთა ჩემთაჲ მითხარ მე. და ნუ განმიფიქრებ მე კერძოთაგან დღეთა ჩემთაჲსა** (ფს. 101,24-25). სხვა ადგილას: **ვიგონებდ დღეთა მათ პირველთა და წელიწადნი საუკუნენი მოვიხსენენ. და ვიწურთიდ ღამე გულითა ჩემითა, ვზრუნევდ, და შეზრუნვებულ იყო სული ჩემი. ნუ უკუნისამდე განმაგდოს მე უფალმან და არღარა შესძინოს სათნოებად მერმე, ანუ სრულიად ნუ დააყენოსა წყალობაჲ მისი, აღასრულა სიტყუაჲ მისი თესლითი თესლამდე? ნუ და-მე-ივიწყოსა შეწყალებაჲ მისი ღმერთმან, ანუ დააყენნეს მოწყალებაჲნი მისნი რისხვითა მისითა?** (ფს. 76,5-9). ასე ფიქრს გვასწავლის ზირაქიც: **ყველა შენი განზრახვისას აღსასრული შენი გაიხსენე და საუკუნოდ აღარ შესცოდავ** (ზირ. 7,36).

ამგვარ წმინდა შეგონებათა საპირისპიროდ, ზოგიერთი საკუთარი თავის სიყვარულისა და ამო ცნობისმოყვარეობის გამო დაფარულის საიდუმლოებაში შეღწევას ყოველი საშუალებით ცდილობს და თუმცა გასაღები არა აქვს, სკინიის (კარვის) გაღება სურს, სადაც შესვლა მხოლოდ მწყემსმთავარს შეუძლია.

სამყაროს აღსასრულზე ამგვარი ტვინის ჭყლეტა არა მხოლოდ საზიანოა, არამედ ნამდვილი ცოდვაც! მკაცრად ისჯება ხომ ის, ვინც უფლებამოსილებისა და ბრძანების გარეშე მეფის წიგნის ან წერილის,

რომელიც სამეფო ბეჭდითაა დაბეჭდილი, თავხედურად გახსნას გაბე-
დავს. ასე უნდა გავიგოთ აქაც: **დაფარული საიდუმლონი უფლისა —
ესაა წიგნი ზეციერი მამისა** შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი. მოვისმინოთ
რას ამბობს წმ. იოანე ღმრთისმეტყველი: **და ვიხილე მარჯუენით საყ-
დართა ზედა მჯდომარისა მის წიგნი, დაწერილი შინაგან და გარეგან,
დაბეჭდული ბეჭდითა შუდითა. და ვიხილე ანგელოზი ძლიერი, რომელი
ქადაგებდა კმითა დიდითა, ვითარმედ: ვინ-მე ღირს არს განღებად
წიგნისა ამის და განკნადა ბეჭედთა მისთა? და ვერვინ შემძლებელ იყო
ზეცათა შინა, არცა ქუეყანასა ზედა, არცა უფსკრულთა შინა განღებად
წიგნისა მის და არცა მიხედვად მისა. და მე ვტიროდე ფრიად, რამეთუ
არავინ იპოვა, რომელსამცა განელო წიგნი იგი, ანუცა მიეხედნეს მისა.
და ერთმან მდღელთა მათგანმან მრქუა მე: ნუ სტირ, აჰა ესერა სძლო
ლომმან თესლისაგან იუდაისა, ძირმან დავითისმან, რომელმან აღაღოს
წიგნი და შუდნი იგი ბეჭედნი მისნი.** (გამც. 5,1-5).

მოციქულის ამ სიტყვებს წმ. ანდრია კესარიელი ასე განმარტავს:
წიგნი იგი ღმრთის ყოვლადბრძენ მეხსიერებას ვგულისხმობთ,
რომელშიც ღმრთეებრივი დავითის მიხედვით ყველაფერი იწერება; ვგუ-
ლისხმობთ აგრეთვე ღმრთეებრივი სამსჯავროს სიღრმესაც; ჭეშმარიტი
შინაარსი ამ წიგნისა სულის გამო გასაგებად ძნელია, გარეგნულად კი,
ასოების გამო — ადვილი. ვფიქრობ, შვიდი ბეჭედი ან წიგნის ურყევ
ჭეშმარიტებასა და ყველასათვის მიუწვდომლობას, ან კიდევ სიღრმის
გამომძიებელი ღმრთეებრივი სულის განგებულებას ნიშნავს, რომლის
ამოხსნაც ქმნილებათაგან არავის ძალუძს. წიგნი წინასწარმეტყველე-
ბაც იგულისხმება, რომლის შესახებ თავად იესო ქრისტემ ბრძანა, რომ
იგი ნაწილობრივ უკვე აღსრულდა, ხოლო დანარჩენი უკანასკნელ ჟამს
აღსრულდება. სიტყვებით **ვერვინ შემძლებელ იყო განღებად წიგნისა
მის** მითითებულია, რომ ვერც ანგელოზებმა, ვერც ხორციით მყოფმა და
ვერც ხორცს განშორებულმა წმინდანებმა ვერ მიაღწიეს სრულ ცოდნას
ღმრთეებრივ სამსჯავროზე, გარდა ღმრთის კრავისა, რომელმაც თავისი
მოსვლით ყველა ძველი წინასწარმეტყველება აღასრულა (მეთხე სი-
ტყვა აპოკალიფსზე).

მოციქული საგონებელში იყო ჩავარდნილი და იმაზე ტიროდა, რომ
ღმრთის საიდუმლოებათა წიგნის გახსნა ვერავინ შეძლო.

ოჰ, მას რომ ახლა ეცხოვრა! ალბათ როგორ გაუკვირდებოდა და
შეძრწუნდებოდა, როცა დაინახავდა, რომ თვითონ ღმრთის კრავის მიერ

შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი ზოგიერთი უგუნურის მიერ ახლა თავხედურად იხსნება და იფურცლება.

დაივიწყეს რა საზღვრები თავიანთი შეზღუდული სულისა, ეს ადამიანები ღმრთის განგების ყველაზე დაფარულსა და მათთვის მიუწვდომელ სიღრმესა და საიდუმლოებაში შეღწევისა და გამოძიებას ცდილობენ. ხელმძღვანელობენ რა თავიანთი მწირი გონებით, მათ არასწორად ესმით და განმარტავენ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სხვადასხვა, საიდუმლოს დამფარველ სიტყვებს; ისინი მკრეხელობასა და ერესს ავრცელებენ, რადგან ამკარად ქადაგებენ, რომ : 1) ჭეშმარიტი ანტიქრისტე თითქოს უკვე იშვა და სამყაროში მეფობს; 2) ჯამი მისი სახელის ასოებისა სლავურ დიალექტზე მხეცის რიცხვს-666 შეადგენს და 3) წმინდა მსოფლიო და სამოციქულო ეკლესია, დამტკიცებული იესო ქრისტეს მიერ, ახლა ჯოჯოხეთის ბჭეებითაა დაძლეული. გარდა ამისა, ისინი ქრისტიანებს, რომელთაც მტკიცე რწმენა აქვთ და მათ ერეტიკულ სწავლებებს არ იზიარებენ, გამუდმებით ლანძღავენ; მოსკოვს ბაბილონს ეძახიან, ხოლო მის მცხოვრებთ — ბაბილონელებს, ანტიქრისტეს მსახურებს, შვილებს წარწყმედისა და სხვა უხამს სახელებს.

უცნაურია და სამწუხარო, რომ მტრებად ჩვენივე ძმები და არა ვინმე სხვა სარწმუნოების მიმდევარი უცხოელები გვეკვლიებიან. შეურაცხყოფისა და ლანძღვა-გინების ატანა ერთმორწმუნეებისა და თანამემამულეებისაგან გვიხდება, რომლებთანაც ცოტა ხნის წინ, შესაძლოა, ტრაპეზსაც ვიყოფდით, — **მოვედინ სიკუდილი მათ ზედა და ცოცხლივ შთაჴდენ ივინი ჯოჯოხეთად; რამეთუ უკეთურებად იყო სამკუდრებელსა შინა მათსა და შორის მათსა** (ფს. 54,15). აი, როგორი ხვედრის ღირსნი არიან ეს ადამიანები! მაგრამ ვითარცა მოყვარული დედა, წმიდა ეკლესია ბოროტ განდგომილთათვის სიკვდილსა და მარადიულ ტანჯვას როდი ეძიებს. იგი მოთმინებით უცდის, რომ ისინი მოინანიებენ და თავიანთ წიადს დაუბრუნდებიან; თავის მონანულ შვილებს სიხარულითა და ფართოდ გაშლილი მკლავებით ხვდება და, მსგავსად ფრინველისა, რომელიც დაფანტულ შვილებს თავის ფრთებქვეშ იკრებს, მათ სიყვარულითა და თავისი მოძღვრებით ათბობს!

წმიდაო ეკლესია! შენ ავადმყოფი, საშომოწყლული დედა ხარ! დიდად მწუხარე რაქილი, რომელიც თავის შვილებს დასტირის და არავითარ ნუგეშინისცემას არ იღებს! განა შენ არ გვატარე შენი საშოთი ღმრთის სიტყვის თესლით ჩასახულები? განა ხელახლა შენ არ გვშობე

წყლითა და სულით — საბანელით მეორედ შობისა? შენ არ გამოგვზარდე ძუძუთი ძველი და ახალი აღთქმისა, ძუძუთი, რომლიდანაც ღმრთეებრივ მოძღვრებათა და მართლმადიდებლურ დოგმატთა რძე მოედინება? და შენი მტკიცე საზრდელით — ქრისტეს უწმიდესი ხორციითა და სისხლით, მოწიფულ მამაკაცად შენ არ გვაქციე? ამიტომ რა საბრალონი არიან ისინი, რომელთაც სძულხარ შენ და სიკეთისათვის ბოროტებით, ხოლო სიყვარულისათვის სიძულვილით გიხდიან! შვილებისაგან ამგვარ მადლობას, შენ, დედაო, არ მოელოდი!.. როგორც წმ. ანდრია და მეთოდე ამბობდნენ, წმიდა ეკლესიას ყველას გამო სტკივა, ვინც წყლითა და სულით ხელახლა იშვა, ვიდრე მათში ქრისტე არ გამოიხატება. **და სასწაული დიდი გამოჩნდა ცათა შინა; დედაკაცი, რომელსა ემოსა მზე და მთოვარე, იყო ქუეშე ფერკთა მისთა და თავსა ზედა მისსა გურგნი ვარსკულავთა ათორმეტთაჲ. და მუცლად-ელო და დაღადებდა, რამეთუ ელმოდა და იგუემებოდა შობად** (გამც. 12,1-2). **ბრიყვს მისი სირეგენისაებრ ნუ უპასუხებ, რომ თავად მისი მსგავსი არ გახდე** (იგავ. 26,4). ამგვარად, ჩვენ, როგორც ამას ღმრთის სიტყვა გვასწავლის, იმათ უგუნურ სიტყვებს, რომელთაც ქრისტეს შესამოსელი დაფლითეს და ანტიქრისტეს მოსვლის თაობაზე თავიანთი სიგიჟის დამღუპველი ღვარძლი დათესეს, არ უნდა ვუპასუხოთ. მკითხველთათვის შეთავაზებულ წიგნში ჩვენ გადავწყვიტეთ ღმრთის შემწეობით აგვეხსნა ანტიქრისტეს მოსვლის ჭეშმარიტი ნიშნები, რომელიც სამყაროს აღსასრულის წინ იქნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უბრალო ხალხისათვის, რომელიც ვითარცა ფურცელი ქალღმრთისა, ყოველგვარ ცრუ განმარტებას ადვილად იწოვს და ანტიქრისტეს გაგებაში მერყეობს.

ღმრთისმოსავო მკითხველო! ამ წიგნის სახით შემოთავაზებული სულიერი საზრდო შიშის გარეშე მიიღე და ყოველგვარი ეჭვი განიშორე, რადგან როგორც თვითონ დარწმუნდები, ჩვენ ყოველივეზე ღმრთის სიტყვისა და ეკლესიის მოძღვარი წმიდა მამების — იოანე ოქროპირის, ანდრია კესარიელის, იოანე დამასკელის, ეფრემ ასურის, კირილე იერუსალიმელის, ნეტარი თეოდორიტეს, ნეტარი ავგუსტინესა და სხვათა განმარტებათა საფუძველზე ვსაუბრობთ.

რაც ღმრთის უმაღლესსა და მიუწვდომელ საიდუმლოებს შეეხება, მათი ამოხსნა არც გვიცდია; ეს უფლება ხომ მხოლოდ ღმრთეებრივ ეკლესიას ეკუთვნის, რადგან არწივის ფრთები მართო მას აქვს. **და მიეცნეს დედაკაცსა მას ორნი ფრთენი არწივისა მის დიდისანი** (გამც.

12,14), — ამბობს საიდუმლოთა მჭკვრეტელი. როგორც წმიდა მამები გვეუბნებიან, წმიდა ეკლესიას ორი აღთქმის კეთილგონიერება აქვს მიცემული. ჩვენც ეს წიგნი ორი ფრთის კალმით დაწვერეთ, რათა, ჯერ ერთი, ცრუ მოძღვართა ბაგენი დავადუმოთ და მეორეც, ღმრთეებრივ ადამიანებს სასარგებლო და სულის მხსნელი საკითხავი მივაწოდოთ.

დაე, ყოველივე ეს პატივი და ქება იყოს უფალი ღმერთისა, რომელიც ჩვენ თავისი მართალი სამსჯავროთი განგვსჯის. ყოვლად სამართლიანი ეკლესიაში შფოთსა და უთანხმოებას უშვებს, რათა თავისი რჩეულნი, მსგავსად ოქროსა, განსაცდელთა ქურაში განწმინდოს. იგი წარმოშობს ქარიშხალთა, აწყნარებს ქართა და ზღვის ღელვათა, მაგრამ თავის საეკლესიო ხომალდს დაუცველად არასოდეს ტოვებს, არამედ ცხოვრებისეული, მძლავრი, ყოვლის შთანთქმელი უბედურებების ჟამს წინამძღოლობს და წყნარი ნავსადგურისაკენ წარმართავს.

წინასწარი ცნობები ანტიქრისტუს შესახებ

„ანტიქრისტე“ ორი ბერძნული სიტყვისაგან შედგება: ანტი — საწინააღმდეგო, საპირისპირო და — ქრისტე. მაშასადამე, ანტიქრისტე სიტყვასიტყვით ქრისტეს მტერს, მოწინააღმდეგეს ნიშნავს. როგორც სახელს „იესო“, ასევე გამოთქმას „ანტიქრისტე“ წმ. წერილში ორი წარმოდგენა უკავშირდება: საერთო და კერძო.

საერთო გაგებით სახელი „იესო“ ძველ აღთქმაში მრავალ მართალ ადამიანს ერქვა, მაგ., იესო ნავესი, იესო ზირაქის ძე და სხვ. კერძოდ კი, „იესო“ როგორც წმიდა სახელი მხოლოდ ჩვენი ღმრთისა და მაცხოვრის იესო ქრისტესათვისაა დამახასიათებელი. მთავარანგელოზი გაბრიელი ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამს ეუბნება: **და აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და ჰმევე ძე და უწოდი სახელი მისი იესო** (ლუკ. 1,31).

ორმაგი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, აგრეთვე, გამოთქმა თუ სიტყვა „ქრისტე“. როგორც საერთო სახელი, ბერძნული სიტყვა „ხრისტოს“ (ქრისტოს) ზოგადად ღმრთის ცხებულს ნიშნავს. ძველ აღთქმაში ცხებული ებრაელთა ყველა მეფეს ეწოდება, რომელთაგან პირველი საული იყო: **და ჰრქუა დავით ერსა მას: ნუ იყოფინ ჩემდა ევე უფლისა მიერ, რათამცა ვნებაა რამე შევამთხვე უფალსა ჩემსა, რამეთუ ცხებული უფლისა არს იგი** (I მეფ. 24,7). მეფეთა მეორე წიგნში დავითი საყვედურით მიმართავს საულის მკვლელს: **და შენ ვითარ იკადრე მიყოფად ჳელი შენი და მოკლვად ცხებული უფლისა?** (1,14). **ნუ შეეხე-**

ბით ცხებულსა ჩემსა (ფს. 104,15; ასევე 83,9), — ამბობს სული წმიდა ფსალმუნთა მკალობელის პირით.

კერძო მნიშვნელობით სახელი ქრისტე მაცხოვრისა ჩვენისა, ღმრთის ცხებულისა და ღმრთისთვისაა დამახასიათებელი. ამისთვის გცხო შენ ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისა და უმეტეს მოყუასთა შენთა (ფს. 44,7); შეითქუნეს მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი შეკრბეს ერთად უფლისათვის და ცხებულისა მისისათვის (ფს. 2,2).

ამრიგად, თუ მხედველობაში ამ სიტყვის საერთო მნიშვნელობა გვექნება, ანტიქრისტე შეიძლება ქრისტიანთა ყველა მღევნელსა და მწამებელს ეწოდოს, რომელნიც ასე მრავლად იყვნენ ქრისტიანობის პირველ პერიოდში (მაგ., ტიბერიუსი, ნერონი, ღომიციანე, ტრაიანე, ადრიანე, ჰელიოგაბალი, მაქსიმიანე, დიოკლეტიანე, იულიანე განდგომილი და მრავალი სხვა). აქვე უნდა მოვიხსენიოთ მრავალრიცხოვან ერესთა და განხეთქილებათა ფუძემდებლები თავიანთი მიმდევრებითურთ, როგორებიც იყვნენ, მაგალითად: სიმონ მოგვი, არიოზი, მაკედონიუსი, ნესტორი, საბელიოზი, აპოლინარი და სხვ. ესენი ყველანი ანტიქრისტეები არიან, რადგან ერთნი ქრისტიანებს ღვენიდნენ და ავიწროებდნენ, ხოლო მეორენი ამახინჯებდნენ რა ქრისტიანულ მოძღვრებას, ერეტიკოსებად იქცნენ და თავიანთი ცრუ სწავლებით მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილება დათესეს. სწორედ ამგვარ ანტიქრისტეთა შესახებ ამბობს იოვანე ღმრთისმეტყველი თავის პირველ ეპისტოლეში: **საყუარელნო, ნუ ყოველი სული გრწამნ, არამედ გამოიცადენით სულნი, უკეთუ ღმრთისაგან იყვნენ, რამეთუ მრავალნი ცრუ-წინადაწარმეტყველნი განსრულ არიან სოფლად. ამით უწყოდეთ სული ღმრთისა: ყოველმან სულმან რომელმან აღიაროს იესუ ქრისტე ჳორციელად მოსრული, იგი ღმრთისაგან არს; და ყოველმან სულმან რომელმან არა აღიაროს იესუ ქრისტე ჳორციელად მოსრული, იგი არა ღმრთისაგან არს. და ესე არს ანტიქრისტესთვის, რომელ გასმიეს, ვითარმედ მოსვლად არს და აწცა სოფელსა შინა არს (4,1-3). სხვა ადგილას: ვითარცა-იგი გასმიეს, ვითარმედ ანტიქრისტე მოვალს და აწცა ანტიქრისტენი მრავალნი არიან... (ისინი) ჩვენგან განვიდეს, არამედ არა ივენეს ჩუენგანნი (1 ინ. 2,18-19).**

გამოთქმით ჩვენგან განვიდეს მოციქული ნათლად მიუთითებს იმგვარ ანტიქრისტეებზე, რომელნიც სხვადასხვა ცდომილების გამო ქრისტიანთა წრიდან გავიდნენ.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ იმ ანტიქრისტიკულ გვინდა ვისაუბროთ, რომელიც სამყაროს აღსასრულის წინ მოვა. ქრისტიანობის ყველა მტერი ქრისტეს უძლიერესი მტრისა და მოწინააღმდეგის მხოლოდ წინამორბედი იყო. **და გამოჩნდეს კაცი იგი უმჯულოებისად, — წერს თესალონიკელებს მოციქული პავლე, შვილი იგი წარსაწყმედელისად, მკვდომი იგი და განლაღებული ყოველთა ზედა, რომელნი სახელდებულ არიან ღმრთად გინა სამსახურებელად, ვითარმედ და-ცა-ჯდეს იგი ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოაჩინებდეს თავსა თვისსა, ვითარცა ღმერთი (2 თეს. 2,3-4).**

ანტიქრისტის გამოჩენის ნიშნების დაყოფა

წამებამდე და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მოციქულებმა ქრისტეს ჰკითხეს: **მითხარ ჩუენ, ოდეს იყოს ესე, და რაჲ არს სასწაული იგი შენისა მის მოსვლისად და აღსასრული ამის სოფლისად? (მთ. 24,3).** მან უპასუხა: **ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არაჲინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამამან მხოლომან (24,36); ვითარცა-იგი დღეთა მათ ნოვესთა, ეგრეთ იყოს მოსვლად ძისა კაცისად. რამეთუ ვითარცა-იგი იყვნეს დღეთა მათ შინა პირველ წყლით-რღუნისათა; ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებდეს და განჰქორწინებდეს მუნ დღედმდე, ვიდრემდე შევიდა ნოვე კიდობნად. და ვერ ცნეს, ვიდრემდე მოიწია წყლით-რღუნად იგი და წარიღო ყოველი. ესრეთ იყოს მოსვლადცა ძისა კაცისად (37-39).**

მაცხოვრის სიტყვებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მეორედ მოსვლის ზუსტი და განსაზღვრული დრო არაჲინ იცის და არც შეიძლება იცოდეს. ეს საიდუმლოა, რომელიც არა მხოლოდ კაცთათვის, არამედ ანგელოზებისთვისაც დაფარულია.

შეინახა რა ღრმა საიდუმლოდ თავისი დიდებით მოსვლის დრო, იესო ქრისტემ ზოგიერთ საკმაოდ ცხად ნიშანზე თვითონვე მიუთითა; **გესმოდინან ბრძოლანი და ჰამბაზნი ბრძოლათანი, — ეუბნება იგი მოწაფეებს, — იხილეთ და ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოველი ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული. რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა, და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილად-ადგილად. ხოლო ესე ყოველი დასაბამი საღმობათად არს... და იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისად ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წარმართთა, და მაშინ მოიწიოს აღსასრული (მთ. 24; 6-8,14).**

ჩვენ არა ზოგად ნიშნებს, არამედ რამდენიმე კერძო ნიშანს შეგვეხებით, რომელნიც საკუთრივ ანტიქრისტეს სამყაროში გამოჩენას უკავშირდება. საქმის გასაადვილებლად ყველა ნიშანი ჩვენ სამ კატეგორიად დავყავით: 1) ნიშნები, რომელნიც წინ უსწრებენ ანტიქრისტეს მოსვლას, 2) თანმხლებნი და 3) მომდევნონი.

I. ნიშნები, რომლებიც ანტიქრისტეს გამოჩენას წინ უსწრებს:

- 1) დაცემა რომის ბატონობისა;
- 2) სახარების ქადაგება ყველა ქმნილებისათვის.

II. თანმხლები ნიშნები:

- 1) ილიას და ენუქის გამოჩენა სამყაროში და მათი მოკვლა ანტიქრისტე მიერ;
- 2) ებრაელების მიერ ანტიქრისტეს მესიად მიღება;
- 3) ანტიქრისტეს ცრუ სასწაულები;
- 4) ქრისტეს აღმსარებელთა დევნა და წამება;
- 5) ანტიქრისტეს მიერ თავისი ტახტის აღმართვა იერუსალიმის ტაძარში;
- 6) ანტიქრისტეს სახელის დაწერილობა;
- 7) ანტიქრისტეს მეფობის ხანმოკლეობა და მისი დაღუპვა.

III. მომდევნო ნიშნები:

საშინელი სამსჯავრო და სამყაროს აღსასრული: ა) მზისა და მთვარის უჩვეულო დაბნელება; ბ) ციდან ვარსკვლავების ჩამოცვენა; გ) ზეციური ძალების მოძრაობა; დ) ქმნილებათა განახლება და ცეცხლით განწმენდა და ე) მკვდართა აღდგომა.

თავი I

რომის ბატონობის დაცემა

თესალონიკელებმა, რომელნიც ქრისტეს რწმენისათვის მუდმივ შევიწროებასა და დევნას განიცდიდნენ, ჯერ კიდევ მოციქულების სიცოცხლეში ირწმუნეს, რომ უკანასკნელ დროში ცხოვრობდნენ და რომ ანტიქრისტე ძალე მოვიდოდა და სამყაროს აღსასრულიც დადგებოდა.

შეიტყო რა ქრისტიანებს შორის ჩამოვარდნილ არეულობაზე, რომელიც სამყაროს სწრაფი აღსასრულის მოლოდინის შედეგი იყო, თესალონიკის ეკლესიის დამაარსებელი მოციქული პავლე მათ შეაგონებდა, რომ მტკიცენი ყოფილიყვნენ რწმენაში, გონებით არ აჩქარებულებიყვნენ და მერყეობა არ გამოეჩინათ. **ხოლო გეტყვთ თქვენ ძმანო, — წერდა**

იგი თესალონიკელებს, — მოსვლისა მისთვის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა და ჩუენისა შეკრებისათჳს მისა მიმართ, რადთა არა აღიძრნეთ თქუენ გონებითა, არცა შეშფოთნეთ არცა სულითა, არცა სიტყვითა, არცა წიგნითა, ვითარცა ჩუენ მიერ, ვითარმცა მოწვეულ იყო დღე იგი უფლისაჲ. ნუმცა ვინ გაცდუნებს თქუენ ნუ რომლითა სახითა, რამეთუ უკუეთუ არა მოვიდეს განდგომილებაჲ იგი პირველად, და გამოჩნდეს კაცი იგი უმჯულოებისაჲ, შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ (2 თეს. 2,1-3).

პავლეს ეპისტოლეთა მკვლევარებს მცირე წვლილი როდი მიუძღვით იმაში, როგორ გავიგოთ სიტყვები: „ნუმცა ვინ გაცდუნებს თქუენ ნუ რომლითა სახითა, რამეთუ უკუეთუ არა მოვიდეს განდგომილებაჲ იგი პირველად, და გამოჩნდეს კაცი იგი უმჯულოებისაჲ, შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ“. — რომელ განდგომილებაზეა საუბარი, რომელიც მანამდე დადგება, სანამ შვილი წარსაწყმედელისა გამოჩნდება?

ამ საკითხის გადასაწყვეტად სხვადასხვა შეხედულება არსებობს: 1) ერთნი ფიქრობენ, რომ მოციქული ქრისტიანული მოძღვრებისაგან ერეტიკოსებისა და განდგომილთა განდგომილებას ამოწმებს; 2) სხვები ამტკიცებენ, რომ მითითებულ სიტყვებში ბერძნული აღმოსავლური ეკლესიისაგან რომის ეკლესიის განდგომაზეა საუბარი. შეიძლება თუ არა ამგვარ განმარტებებს დავეთანხმოთ? — ცხადია, არა. 1) ქრისტიანული სარწმუნოებისაგან განდგომის შემთხვევები ჯერ კიდევ მოციქულების სიცოცხლეში იყო. მაშინ დაიწყეს გამოაშკარავება, აგრეთვე, ცრუ მოძღვრებებმაც. ისინი ჩვენგან გამოვიდნენ, მაგრამ ჩვენთანები არ იყვნენო, — ამბობს განდგომილებზე იოანე ღმრთისმეტყველი. 2) თუ იმას ვიფიქრებთ, რომ მოციქული მსოფლიო ეკლესიისაგან რომის ეკლესიის გამოყოფაზე წინასწარმეტყველებს, როგორც მოვლენაზე, რომელიც სამყაროს აღსასრულს უძღვის წინ, მაშინ სამყარო დღემდე როგორღა არსებობს?

მოციქულის სიტყვების ჭეშმარიტ განმარტებას წმ. იოანე ოქროპირი იძლევა. თესალონიკელთა მიმართ მეორე ეპისტოლეს განმარტებაში იგი ამბობს: „როცა რომაელთა ბატონობა აღესრულება — ანტიქრისტე მაშინ მოვა და სამართლიანადაც, რადგან მანამ, სანამ ამ სახელმწიფოსი ეშინიათ, ანტიქრისტეს სწრაფად არავინ დაემორჩილება, ხოლო მას შემდეგ, რაც იგი დაინგრევა და არეულობა დამყარდება, იგი (ე. ი. ანტიქრისტე) როგორც ადამიანური, ასევე ღმრთეებრივი ძალაუფლების მიტაცებას მოინდომებს. სწორედ ასე დაინგრნენ აღრინდელი

სამეფოებიც: მიდიელებისა — ბაბილონელებისაგან, ბაბილონელებისა — სპარსელებისაგან, სპარსელებისა — მაკედონელებისაგან, მაკედონელებისა — რომაელებისაგან; ეს უკანასკნელიც ანტიქრისტეს მიერ იქნება დანგრეული და განადგურებული. ხოლო ანტიქრისტეს იესო ქრისტე დაამარცხებს“ (მეოთხე საუბარი თესალონიკელთა მიმართ მეორე ეპისტოლეზე).

ამ ადგილს წმ. იოანე ოქროპირის მსგავსად განმარტავდნენ: წმ. კირილე იერუსალიმელი, თეოდორიტი, ამბროსი მედიოლანელი და სხვები.

შეიძლება ვინმემ შენიშნოს: კი, მაგრამ მოციქულმა რომის სახელმწიფოს დაცემაზე რატომ პირდაპირ არ მიუთითაო. ამ კითხვის პასუხად წმ. იოანე ოქროპირი იმავე საუბარში ამბობს: „რამდენადაც მოციქული რომის სახელმწიფოს დაცემაზე საუბრობს, ამიტომ ცხადი და გასაგებია, ამაზე მხოლოდ რატომ მიანიშნებს და შეფარვით რატომ ამბობს. იმიტომ, რომ თავზე უსარგებლო საფრთხის დატეხვა არ სურს. მას რომ ეთქვა, რომის იმპერია მცირე ხანში დაინგრევაო, როგორც შეამბოხეს, აუცილებლად მყისვე სიკვდილს მიუსჯიდნენ და, ამასთან, ყველა მორწმუნისა და მოღვაწის დევნას დაიწყებდნენ. ამიტომაც არ გამოიყენა ამგვარი გამოთქმა, მას არც ის უთქვამს, რომ ეს მალე მოხდებოდა, თუმცა სულ მიანიშნებდა. თქვა მხოლოდ, რომ თავის დროზე გამოჩნდებოდა“.

წმ. იოანე ოქროპირის განმარტებას წინასწარმეტყველი დანიელის (2,2-7) წიგნიცა და აპოკალიფსიც (თავი მე-17) ადასტურებს. დანიელის წიგნში წინასწარმეტყველის პირით თვითონ სული წმიდა ლაპარაკობს ოთხ სამეფოზე, რომელნიც სამყაროს აღსასრულამდე ერთიმეორეს მიყოლებით იარსებებენ. აქ სამეფოთა ცვლას კერპი განასახიერებს, რომელსაც თავი ოქროსი აქვს, მკერდი და ხელები ვერცხლისა და ბარძაყები — სპილენძისა, მუხლები რკინისა, ფეხები კი — ნაწილობრივ რკინისა და ნაწილობრივ თიხისა, ეს კერპი ოთხ სამეფოს ნიშნავს: ასირიულს, სპარსულს, ბერძნულსა და რომაულს. როგორც კერპს ჰქონდა ორი წვივი ორი სხვადასხვა ნივთიერებისა, ასევე რომის სამეფოც, რომელსაც წვივები გამოხატავს, ორ ნაწილად იყოფოდა: დასავლეთად და აღმოსავლეთად. რომის იმპერიის აღმოსავლურმა ნაწილმა, რომელიც ოტომანთა თურქებმა დაიპყრეს (1453 წ.), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა, დასავლეთი კი

მთლიანი დარჩება ანტიქრისტეს მოსვლამდე. წინასწარმეტყველი დანიელი ოთხი სამეფოს წარმოშობასა და დაცემას ასე აგვიწერს: **შენ, მეფე, ჰხედევდ, და, აჰა, ხატი ერთი დიდი. და ხატი იგი და შესახედავი მისი საშინელ მდგომარე წინაშე პირსა შენსა, და ხილვად მისი საშინელ, ხატი, რომლისა თავი ოქროდსა წმიდისა, კვლნი და მკერდი და მკლავნი მისნი ვეცხლნი, მუცელი და თეძონი რვალისა, და ბარკალნი რკინანი, ფერჯნი კერძოდთა, რომლითამე უკუე რკინისანი, და კერძოდთა კეცისანი. ჰხედევდ, ვიდრე არა გამოუკუეთა ლოდი მთისგან თვნიერ კვლთასა, და დაეკუეთა ხატსა ფერჯთა ზედა რკინისათა და კეცისათა, და დააწულილნა იგინი სრულიად. მაშინ დამწულილდეს ერთბამად კეცი, რკინად, რვალი, ვეცხლი, ოქროდ, და იქმნეს ვითარცა მტუერი კალოდსაგან ზაფხულისადასა, და აღილო იგი სიმრავლემან სულისამან, და ყოველი ადგილი არა იპოვა მათი, და ლოდი დაკუეთებული ხატისად იქმნა მთა დიდ, და ადავსო ყოველი ქუეყანა. დანიელი ასირიელთა მეფეს, ნაბუქოდონოსორს, თავის სიზმარს ასე განუმარტავს: **შენ ხარ თავი ოქროდსა... შენ, მეფე, მეფე მეფეთად, რომელსა ღმერთმან ცისამან მეფობად ძლიერი და მტკიცე და პატიოსანი მოგცა შენ... და შემდგომად შენსა აღდგეს მეფობად სხუად, უდარესი შენი, და მეფობად მესამე, რომელ არს რვალი, რომელი ეუფლოს ყოველსა ქუეყანასა, და მეფობად მეოთხე იყოს ძლიერ, ვითარცა რკინად... და დღეთა შინა მათ მეფესათასა აღადგინოს ღმერთმან ცისამან მეფობა... რომელმან დააწულილნეს და განფიწლნეს მეფობანი ყოველნი, და იგი აღდგეს საუკუნეთადმი (დან. 2,31-44).****

ამ წინასწარმეტყველების კიდევ უფრო ნათელ განმარტებას წინასწარმეტყველი დანიელის ცხოვრებაში ვპოულობთ: „მეფე ნაბუქოდონოსორო, შენ ოქროს თავი ხარ. შენს შემდეგ სხვა, უფრო მცირე, სამეფო იქნება. კუნთები და ორი ხელი ორ ხალხს — მიდიელებსა და სპარსელებს აღნიშნავს. ვერცხლისას სპილენძისა მოჰყვება. აღდგება მაშინ ვინმე, სპილენძით აღჭურვილი. ეს ალექსანდრე მაკედონელი იქნება, რომელიც მიდიელ-სპარსელთა სამეფოს დაანგრევს. დადგება ხანა მეოთხე — რკინის მსგავსი მეფობისა და ისევე როგორც რკინა ათხელებს ყველა მეტალს: ოქროს, ვერცხლსაც და სპილენძსაც, ასევე ეს სამეფოც მთელ სამყაროს დაიმორჩილებს. ორი წვივი ამ სამეფოს ორ ნაწილს ნიშნავს: აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ანუ ბერძნებსა და რომაელებს. ნაწილობრივ რკინისა და ნაწილობრივ თიხის ფეხები იმაზე მიანიშნებენ, 10. სსპ, 2011.

რომ შემდეგში ეს სამეფო მრავალ წვრილ სახელმწიფოებად დაიშლება. ლოდი, რომელიც მთიდან სხვის დაუხმარებლად მოწყდება და კერპის სხეულს დაეცემა, ქრისტეს, ძე ღმრთისას, განასახიერებს, რომელიც ყოვლადწმიდა ქალწული მარიამისაგან მამაკაცის ჩარევის გარეშე იშვეება. გაფანტავს რა ყველა დროებით მეფობას, იგი სულიერ სამეფოს დაამყარებს, რომელიც არასოდეს დაიშლება“.

ამრიგად, წმიდა წერილისა და წმ. იოანე ოქროპირის განმარტებათა მოწმობით, ანტიქრისტე სამყაროში მხოლოდ რომის სახელმწიფოს სრული დაცემის შემდეგ მოვა.

თავი II

სახარების ქადაგება მთელს მსოფლიოში

მოწაფეთა კითხვას — რა იქნებოდა ნიშანი მისი მოსვლისა და სამყაროს აღსასრულისა, იესო ქრისტემ უპასუხა: **ეკრძალებით, ნუ ვინმე გაცთუნნეს თქვენ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყვოდიან, ვითარმედ: მე ვარ ქრისტე, და მრავალთა აცთუნებდენ. და გესმოდიან ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, იხილეთ და ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოველი ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული. რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა, და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილად-ადგილად. ხოლო ესე ყოველი დასაბამი საღმობათაჲ არს. მაშინ მიგცნენ თქვენ ჭირსა და მოგწყვდნენ თქვენ, და იყვნეთ თქვენ მოძულებულ ყოველთაგან წარმართთა სახელისა ჩემისათვის. და მაშინ დაჰბრკოლდებიან მრავალნი და ურთიერთას შინა-განსცემდენ და სძულლობდენ ურთიერთას. და მრავალნი ცრუ-წინაწარმეტყუელნი აღდგენ და აცთუნებდენ მრავალთა. და განმრავლებითა უმჯულოებისათა განცემეს სიყუარული მრავალთაჲ. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს. და იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წარმართთა, და მაშინ მოიწიოს აღსასრული (მთ. 24,4-14).**

ამგვარად, ანტიქრისტე სამყაროში მაშინ მოვა, როცა სახარების ქადაგება მთელს მსოფლიოში გავრცელდება და ხალხს ქრისტიანული მოძღვრების შუქი მოეფინება. წმ. იოანე დამასკელი ამბობს: „იესო ქრისტე ღმრთის მოწინააღმდეგე იუდეველების სამხილებლად სახარების ყველა ხალხისათვის ქადაგების შემდეგ მოვა“ (მეთოხე წიგნი, თავი მე-7).

ქრისტიანობის მთელს მსოფლიოში გავრცელებას დაავითიც ამოწმებს: **ყოველნი წარმართნი ჰმონებდენ მას** (ფს. 71,11; შდრ. 17). **ყოველი თესლები, რაოდენი ჰქმნენ, მოვიდენ და თაყუანის-გცენ წინაშე შენსა, უფალო, და ადიდებდენ სახელსა შენსა** (ფს. 85,9). **მიგცენ შენ წარმართნი სამკვიდრებელად შენდა და დაპყრობად შენდა კიდენი ქუეყანისანი** (ფს. 2,8). წმ. იოანე ღმრთისმეტყველი მოგვითხრობს, რომ მან იხილა: **რიცხვ დაბეჭდულთადა ყოვლისაგან ტომისა ძეთა ისრაელისათა... და ერი ფრიადი... ყოველთაგან წარმართთა და ტომთა და ერთთა და ენათა** (გამც. 7,4-9).

ამასთან, ყველასათვის ცნობილია, რომ სამყაროს თითქმის ყველა ნაწილში მრავალი ტომი და ხალხია, რომელთაც ქრისტიანულ რელიგიასზე წარმოდგენაც კი არა აქვთ. წავლენ წლები და მთელი საუკუნენი, ვიდრე ჭეშმარიტი ნათელი ყველა ხალხს მოეფინებოდა.

ზოგიერთმა შეიძლება თქვას, რომ სახარება ყველა ხალხს უკვე მოციქულებმა უქადაგეს: **ყოველსა ქუეყანასა განგდა კჳმა მათი, და კიდეთა სოფლისათა — სიტყუანი მათნი** (რომ. 10,18; შდრ. ფს. 18,5). მათ ვუპასუხებთ შემდეგს: 1) უწინასწარმეტყველა რა თავის მოწაფეებს სახარების მთელს მსოფლიოში ქადაგება, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დაამატა, რომ ამის შემდეგ დადგებოდა ჟამი სამყაროს აღსასრულისა. მოციქულთა დროიდან საუკუნეები გავიდა, მაგრამ სამყარო ღმრთის დიდი მოთმინების წყალობით დღესაც არსებობს. ე. ი. უფალი არა მოციქულთა, არამედ სხვა ქადაგებაზე ლაპარაკობდა, რომლის ბოლოც სამინელი სამსჯავრო იქნება. 2) ქრისტიანი სწავლულების მიერ არაჩვეულებრივად ზუსტადაა განსაზღვრული ყველა ის ადგილი, სადაც კი მოციქულებმა იქადაგეს. ისინი ძველ სამყაროში ქადაგებდნენ, ხოლო ახლის არსებობა, რომელიც მე-15 საუკუნეში (1492) გამოჩნდა, არა თუ არ იცოდნენ, წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ამიტომ მოციქულთა ქადაგება მთელს მსოფლიოში არა მათი უშუალო მონაწილეობით, არამედ მხოლოდ დიდებითა და მოსმენით გავრცელდა.

თავი III

ილიასა და ენუქის გამოჩენა სამყაროში და მათი მოკვლა ანტიქრისტიან მიერ

წმიდა წერილის მრავალი ადგილი მიუთითებს იმაზე, რომ ანტიქრისტეს მეფობისას სამყაროში ენუქი და ილია თეზბიტელი წარმოიგზავნებიან.

1) წინასწარმეტყველ მალაქიასთან კკითხულობთ: და აჰა მოგივლენ თქვენ ილიას თეზბიტელსა პირველ მოსვლისა დღისა უფლისაჲსა დიდსა განწინებულსა, რომელმან კუალად მოაგოს გული მამისა ძისა მიმართ და გული კაცისა მოყუსისა მისისა მიმართ. ნუ მოსრულმან მოვსპო ქუეყანა მყის (მალაქ. 4,5-6).

2) ისო ზირაქის ძესთან: ა) ენუქის შესახებ: ენუქი სათნო ეყო უფალსა და აღყვანილ იქნა, თაობათათვის სინანულის ნიმუში გახდა (ზირ. 44,16). ბ) ილიას შესახებ: შენ ამაღლდი ცეცხლის გრიგალით ცეცხლოვანი ცხენების ეტლზე. შენ დანიშნული იყავ დროზე სამხილებლად, რათა დაგეცხრო რისხვა ვიდრე სიშმაგემდე მიაღწევდა, შვილისაკენ მოგექცია გული მამისა და ტომები იაკობისა აღგედგინა (ზირ. 48,9-10).

3) მათე მახარებელთან: ელია მოვიდეს პირველად და კუალად-აგოს ყოველი (მთ.17,11).

4) გამოცხადებაში დაფარულთა მჭკრეტელი ილიასა და ენუქის მოღვაწეობას, სიკვდილსა და აღდგომას დაწვრილებით აღგვიწერს: და მივსცე ორთა მათ მოწამეთა ჩემთა, და წინასწარმეტყველებდენ ათას ორას და სამეოც დღე, შემოსილნი ძაძითა. ესენი არიან ორნი იგი ზეთისხილნი და ორნი სასანთლენი — მდგომარენი წინაშე უფლისა ყოვლისა ქუეყანისა. და რომელსა უნდეს ვნებად მათდა, ცეცხლი გამოვალს პირისაგან მათისა და შეშჭამს მტერთა მათთა; და რომელსაცა ენებოს ვნებაჲ მათი, ესრეთ ჯერ-არს მოკუდომაჲ მისი. ამათ აქუთ კელმწიფებაჲ და ვშვად ცათა, რაჲთა არა წუმდეს დღეთა მათ წინაჲსწარმეტყუელებისა მათისათა; და კელმწიფებაჲ აქუს წყალთა ზედა, რაჲთა გარდააქციონ სისხლად და რაჲთა შემუსრონ ქუეყანაჲ, რაოდენგზისცა ენებოს, ყოვლითავე წყლულებითა. და რაჲამს ადასრულონ წამებაჲ მათი, მკეცმან მან, რომელი აღმოვალს უფსკრულით, ბრძოლა-ყოს მათ თანა და სძლოს და მოკლნეს იგინი. და მძორები მათი უბანთა ზედა ქალაქისა მის დიდისათა, რომელსა ეწოდების სულიერად სოდომი და ეგვპტე, სადა-იგი უფალი მათ ჯუარს-ეცუა. და იხილონ ერთა და ტომთა და ენათა და წარმართთა მძორები მათი სამ დღე და ნახევარ და არა უტეონ მძორებსა მათსა დადებად სამარესა შინა. და მკვდრთა ქუეყანისათა განიხარონ მათ ზედა და იშუებდენ და ძღუენი მისცენ ურთიერთას, რამეთუ ამათ ორთა წინასწარმეტყუელთა ტანჯნეს მკვდრნი ქუეყანისანი. და შემდგომად სამისა მის და ნახევრისა დღისა

სული ღმრთისად ცხოველი შევიდა მათ თანა; და აღდგეს ფერჯთა ზედა მათთა. და შიში დიდი დაეცა მათ ზედა, რომელნი ჰხედვიდეს მათ. და მესმა კმაღ დიდი ზეცით, რომელი ეტყოდა მათ: აღმოვედით აქა. და აღვიდეს ზეცად ღრუბლითა. და იხილნეს იგინი მტერთა მათთა. მას ღღესა შინა იქმნა ძრვად დიდი, და მეთადი ქალაქისად დაეცა (გამც. 11,3-13).

ზემომოყვანილი წმინდა სიტყვებიდან შეიძლება გაავარკვიოთ, რომ ა) ილია და ენუქი ძაძით იქნებიან შემოსილნი; ბ) იწინასწარმეტყველებენ 1260 დღის განმავლობაში; გ) აღიჭურვებიან ძალაუფლებით — დაახმონ ზეცა წვიმისათვის, წყალი სისხლად გადააქციონ და დედამიწაზე ყოველგვარი სნეულებანი წარმოგზავნონ; დ) ათასორასსამოცი დღის, ე. ი. თავიანთი მსახურების დამთავრების შემდეგ, ბრძოლაში ჩაებმებიან ანტიქრისტესთან, რომელიც მათ დაამარცხებს და მოკლავს; ე) მათი სხეულები არ დაიმარხება და იერუსალიმის ქუჩაში სამდღენახევრის მანძილზე ეყრება; ვ) ამის შემდეგ ყველას თვალწინ აღდგებიან და ღრუბლებით ზეცაში აღიყვანებიან; ზ) მოხდება მიწისძვრა, რომლისგანაც ქალაქის მეთადი ნაწილი დაინგრევა.

ილიასა და ენუქის მოსვლის შესახებ წმ. იოანე დამასკელი წერს: „მაშინ წარმოიგზავნებიან ენუქი და ილია თეზბიტელი და მამების გულებს შვილებისაკენ, ანუ ებრაულ სინაგოგას უფალი ჩვენი იესო ქრისტესაკენ მიაპყრობენ და ანტიქრისტეს მიერ მოიკვლებიან“ (წიგნი მე-4, თავი 27-ე).

თავი IV

ანტიქრისტოს დაბადება და ებრაელების მიერ

მისი ჭეშმარიტ მესიად მიღება

ანტიქრისტეს დაბადებას სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ერთნი ამტკიცებენ, რომ სატანის მოქმედების შედეგად იგი ქალწულისაგან დაიბადება. **ეს ცრუ შეხედულებაა.** რა შეიძლება იყოს საერთო სინათლესა და სიბნელეს, ქრისტესა და ბელიარს შორის? და ვინ დაემსგავსება უფალს? სხვები ამბობენ, რომ ანტიქრისტეს ეშმაკისაგან ქალი შობს, მაგრამ არც ამგვარი ვითარებაა სარწმუნო. როგორ შეიძლება სულს — ეშმაკს ბუნებრივი ურთიერთობა ჰქონდეს ქალთან და უხორცოსაგან მას როგორ ჩაესახება! ზოგიერთები იმასაც ამტკიცებენ, რომ ანტიქრისტე ბუნებით ნამდვილი ეშმაკი იქნება და სხეულიც მოჩვენებითი ექნება. ამ თვალსაზრისის მიმდევრებს წმ. პავლე მოციქული ამხელს. იგი ანტი-

ქრისტეს გარკვევით უწოდებს: **კაცი იგი უმჯულოებისაჲ, შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ** (2 თეს. 2,3).

ყველაზე სარწმუნო და სხვებთან შედარებით უფრო გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ანტიქრისტე ჩვეულებრივი ადამიანი იქნება, რომელსაც ვითომ ქალწული, სინამდვილეში ბიწიერი ქალი უკანონო შეუღლებისაგან შობს, იესო ქრისტეს საპირისპიროდ, რომელიც ყოვლადწმიდა ქალწული მარიამისაგან იშვა. წმ. იოანე დამასკელი ამბობს: „ეშმაკი კი არ გახდება ადამიანი, არამედ ადამიანი დაიბადება მრუშობისაგან და სატანის ყველა საქციელს შეითვისებს; წინასწარ განჭვრეტს რა მისი ნების გარყვნას, ღმერთი მასში დასამკვიდრებლად ეშმაკის შესვლას დაუშვებს; მეძავისაგან შობილი დაფარულად აღიზრდება, ყველასათვის მოულოდნელად გამოჩნდება და გამეფდება“ (მე-4 წიგნი, თავი 27-ე). ზოგიერთი მამისა და ეკლესიის მასწავლებლის (წმ. ამბროსი მედიოლანელი, თეოდორიტე, იპოლიტე რომაელი და სხვა მრავალნი) განმარტებით ანტიქრისტე დანის ტომიდან წარმოიშობა. მითითებას ამის თაობაზე ისინი ხედავენ ა) შესაქმის წიგნში, სადაც პირველი მამამთავარი იაკობი თავის შვილს, დანს, ეუბნება: **და იყოს დან გუელ გზასა ზედა** (შესქ. 49,17); ბ) წინასწარმეტყველი იერემიას შემდეგ სიტყვებში: **დანით გუესმა კმაჲ სიმახვლისა ცხენთა მისთასა** (8,16).

მსგავსი რამ გამოცხადებაშიც გვხვდება: ანგელოზმა დაინახა **დაბეჭდულნი** ისრაელის ყველა ტომიდან, გარდა დანისა, რადგან იგი როგორც ანტიქრისტეს წარმომშობი, ღმრთის რჩეულთა შორის მოხვედრის ღირსი ვერ გახდება. წმ. ანდრია კესარიელი წერს, რომ „დანის ტომი სხვებს არ მიეთვლება, რადგან მისგან ანტიქრისტე იშვება: მის ნაცვლად მოხსენიებულია ლევის ტომი, რომელიც, როგორც სამღვდლო, ტომების რიცხვში არ შედის“ (განმარტება აპოკალიფსისა, სიტყვა მე-7).

როცა გარკვეულ ასაკს მიაღწევს, ანტიქრისტე სამყაროში გამოჩნდება. ისევე როგორც იესო ქრისტე თავისი მოძღვრებით პირველად იუდეველებს გამოეცხადა, ასევე ანტიქრისტეც, წარმოშობით წინადაუცვეთელი ურია, პირველად ებრაელებთან — ურიებთან მივა, ხოლო შემდეგ სხვა ხალხებსაც მიიზიდავს. ებრაელები, რომელთაც ქრისტე არ სწამთ, ანტიქრისტეს დიდი სიხარულით მიიღებენ. ისინი მას ირწმუნებენ როგორც მესიას, რომელსაც წინასწარმეტყველები კპირდებოდნენ. ჯიუტად ურწმუნო იუდეველების ამგვარ ცდომილებაზე

თვითონ უფალი გვეუბნება: **მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისადათა, და არა შემიწყნარებთ. უკუეთუ სხუად მოვიდეს სახელითა თვისითა, იგი შეიწყნაროთ** (ინ. 5,43). იმავეს ამტკიცებს პავლე მოციქულიც: **ვინადათ განსიყუარული იგი ჭეშმარიტებისად არა შეიწყნარეს, რადათამცა ცხონდეს იგინი, ამისთვის მოუვლინოს მათ ღმერთმან შემწე საცთურებისად, რადათა ჰრწმენეს მათ ტყუვილისად, რათა ისაჯნენ ყოველნი, რომელთა არა ჰრწმენა ჭეშმარიტებისად, არამედ სათნო-ვეყნეს სიცრუესა შინა** (II თეს. 2,10-11).

თავიანთ განმარტებას ღმრთებრივი წერილის ამ სიტყვების თანახმად იძლევიან წმიდა მამები: იოანე ოქროპირი, კირილე ალექსანდრიელი, გრიგოლი და იოანე დამასკელი. იოანე დამასკელი წერს: „იუდეველებმა არ მიიღეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მაგრამ მიიღებენ ცრუს, რომელიც ღმერთს თავის თავს თვითონ უწოდებს“ (იქვე).

თავი V

ანტიქრისტის ცრუ სასწაულები

ანტიქრისტეს სასწაულების შესახებ მათეს სახარებაშია მოხსენიებული: **ჰყოფდნენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა, ვიდრე ცთუნებადმდე, უკუეთუმცა ვითარ შეუძლეს, რჩეულთა მათცა** (მთ. 24,24; შდრ. მრკ. 13,22). ზმნის **ჰყოფდნენ** მრავლობითი რიცხვი იმაზე მიუთითებს, რომ ცრუ სასწაულებს არა მხოლოდ ანტიქრისტე, არამედ მისი მიმდევრებიც მოახდენენ. რჩეული ჭურჭელი, ღმრთის მოციქული პავლე ამბობს: **რომლისა იგი მოსლვად არს შეწევნითა ეშმაკისადათა, ყოვლითავე ძალითა და ნიშებითა სასწაულებითა ტყუილისადათა. და ყოვლითავე საცთურითა სიცრუისადათა** (2 თეს. 2,9-10). ამ სიტყვების განმარტებისას წმ. იოანე დამასკელი წერს: „ნათქვამია, მთელი ძალითა და ნიშნებითა და ცრუ სასწაულებითო, ე. ი. ანტიქრისტე მთელ ძალასა და ყოველივეს, რითაც კი ცდუნება შეიძლება, აჩვენებს, მაგრამ ჭეშმარიტს ვერაფერს მოიმოქმედებს“ (საუბარი მე-4). „გამოცხადებაში“ ვკითხულობთ: **და იქმნ სასწაულთა დიდთა, და აცთუნებს მკუდრთა მათ, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა, სასწაულთა მათთჳს, რომელ მიეცნეს მას ქმნად** (გამც. 13,13-14; შდრ. 16,14; 20,10; მთ. 24,24). მამათა განმარტებით, ანტიქრისტე დიდი გრძნეული და მოგვი იქნება. ეშმაკი, რომელიც მასში დაბადებიდანვე ჩასახლდება, მისი საშუალებით ცრუ სასწაულებს მოახდენს, ზოგს მოჩვენებითად, ზოგსაც ბუნებრივი სახით,

როგორც ამას ოდესღაც ეგვიპტელი ბრძენნი აკეთებდნენ.

აპოკალიფსი სასწაულთქმნადობის სამ სახეზე მიუთითებს: 1) ანტიქრისტე მრავალი ადამიანის საცდუნებლად ზეციდან ცეცხლს ჩამოიტანს. ამ სასწაულზე წმ. ანდრია კესარიელი წერს: „საკვირველი არაა, რომ ცდუნებულნი ზეციდან გარდამოსულ ცეცხლს საკუთარი თვალებით იხილავენ. ჩვენ ვიცით, რომ ღმერთმა დაუშვა და სატანის მოქმედებით ზეციდან ცეცხლი ჩამოვარდა, რომელიც იობის ჯოგს დაეცა“ (მე-13 სიტყვა გამოცხადებაზე). 2) ღიღი ჯადოქარი მხეცის გამოსახულებაში სულს ჩადებს, რის გამოც ეს გამოსახულება ილაპარაკებს. ამის თაობაზე იგივე წმინდანი გვეუბნება; „მოგვითხრობენ, რომ ღემონები ხშირად ქანდაკებებისა და გამოსახულებების, წყლისა და ხეების, აპოლონის ქანდაკებისა და სხვ. მეშვეობით ლაპარაკობდნენ, ვფიქრობ, მკვლარი სხეულების მეშვეობითაც, როგორც, მაგალითად, სიმონ მოგვმა მოციქული პეტრეს თანდასწრებით რომაელებს აჩვენა მკვლარი, რომელიც მოძრაობდა. მოციქულმა ამხილა იგი, აჩვენა რა როგორ დგებოდნენ მკვდრები, რომელნიც თვითონ აღადგინა“ (იქვე). 3) ანტიქრისტე თავს მოიმკვდარუნებს და შემდეგ აღდგება. ამგვარი საწაულებით იგი მთელ მსოფლიოს გააოცებს.

თავი VI

ანტიქრისტეს მიერ საღმრთო სჯულის დამცირება; ღვინა და წამება ქრისტიანობის აღმსარებლებისა

ანტიქრისტე ჯიუტი მტერია ქრისტესი. ქრისტეს მთელს მოღვაწეობას, მოძღვრებასაც და სასწაულებსაც გაკილავს და შეეცდება, გაანადგუროს საღმრთო სჯული, უარყოს ნათლობა, მირონცხება, ზიარება და სხვა საიდუმლონი. სიტყვაში სამყაროს აღსასრულზე წმ. მოწამე იპოლიტე წერს; „ანტიქრისტეს დროს ღმრთისთვის წმინდა უსისხლო მსხვერპლის მიძღვნა შეწყდება; ღმრთის ეკლესიები განადგურდება და ავაზაკთა ბუნაგებად და უგვან ბოსლებად იქცევა; ფსალმუნთა გალობა შეწყდება, რადგან ყოველგვარი წესი და საეკლესიო მორთულობა გაქრება“. იოანე ოქროპირი გვასწავლის: „როცა იგი მოვა, არცერთ სწორ ბრძანებას არ გასცემს, არამედ მხოლოდ დანაშაულებრივსა და უკანონოს“ (მე-4 სიტყვა). **და ქმნას ნებისაებრ თვისისა, და მეფე ამაღლდეს, და განდიდნეს ყოველთა ზედა ღმერთთა და ღმერთსა ღმერთთა ზედა, და თქუნეს ზეშთა ძალისანი, და წარემართოს**

ვიდრე აღსრულებადმდე რისხვისა, რამეთუ დასასრულისა თანა იქმნეს. და ყოველთა მიმართ ღმერთთა მამათა მისთასა არა გულისხმა-ყოს და გულისთქმასა დედათასა და ყოველთა ზედა ღმერთთა არა გულისხმა-ყონ, რამეთუ ყოველთა ზედა განდიდნეს (დან. 11,36-37).

ანტიქრისტე ყველას წინადაცვეთასა და შაბათის დაცვას უბრძანებს. იუდეველების მიერ მესიად მიღებული, თვითონაც ყოველივე იუდეურს შეითვისებს; ისევე როგორც იუდეველებს არ სწამთ ქრისტე, ძე ღმრთისა, ასევე მათი მესია — ანტიქრისტეც აგინებს ქრისტეს და სძულს იგი. ვინ არს მტყუარი იგი? — კითხულობს იოანე ღმრთისმეტყველი, — ანუ არა, რომელმან უარყოს, ვითარმედ იესო არა არს ქრისტე? ესე არს ანტიქრისტე, რომელმან უარყოს მამად და ძე. ყოველმან რომელმან უარყოს ძე, არცა მამად არს მის თანა (1 ინ. 2,22-23).

თუ ანტიქრისტეს წინამორბედნი — ნერონი, არიოზი და სხვები ძე ღმრთისას უარყოფდნენ და ქრისტიანებს დევნიდნენ, კიდევ უფრო დაამცირებს მათ ძე უსჯულოებისა, რომელიც ღმრთის წმინდანებს ომს გაუმართავს. დაწვრილებითი ახსნა ანტიქრისტეს ამგვარ მოქმედებათა გამოცხადებაშია წარმოდგენილი. და მიეცა მას პირი დიდად მეტყუელი და მგმობარი, და მიეცა მას ჳელმწიფებად ყოფად ბრძოლისა ორმოც და ორ თთუე. და ადამო პირი თჯსი გმობად ღმრთისა მიმართ, გმობად სახელისა მისისა და სამკვდრებელისა მისისა და ცათა შინა დამკვდრებულთა მათ. და მიეცა მას ბრძოლისაცა ყოფად წმიდათა მიმართ და ძღვეად მათდა (გამც. 13,5-7). იმავეს ამბობს წინასწარმეტყველი დანიელიც: და სიტყუანი მადლისა მიმართ თქუნეს, და წმიდანი მადლისანი შეაცთუნნეს (დან. 7,25). მკდომი იგი და განლადებული ყოველთა ზედა, რომელნი სახელ-დებულ არიან ღმრთად გინა სამსახურებელად, ვითარმედ და-ცა-ჯდეს იგი ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოაჩინებდეს თავსა თჯსსა, ვითარცა ღმერთი (2 თეს. 2,4).

თავი VII

ანტიქრისტეს მიერ თავისი ტახტის იერუსალიმის ტაძარში დაღვრა

იერუსალიმში ანტიქრისტეს ენუქი და ილია ომს გაუმართავენ: და მოკლნეს იგინი. და მძორები მათი უბანთა ზედა ქალაქისა მის დიდისათა, რომელსა ეწოდების სულიერად სოდომი და ეგვიპტე, სადა-იგი უფალი მათი ჯუარს-ეცუა (გამც. 11,7-8). ამ სიტყვებიდან ვხედავთ, რომ ანტი-

ქრისტე, რომელსაც იუდეველები მესიად — სამყაროს მეუფედ მიიღებენ, თავის ტახტს სულიერ სოლომში, ე. ი. იერუსალიმში, დავითის ტახტზე დაამყარებს. მოციქულის მოწმობით იგი იერუსალიმის ტაძარს განაახლებს და **გამოაჩინებდეს თავსა თვსსა, ვითარცა ღმერთი** (2 თეს. 2,4).

წმინდა მამები — კვიპრიანე, კირილე იერუსალიმელი, გრიგოლი, იპოლიტე და იოანე ოქროპირი ღმრთის ტაძრად და წმინდა ადგილად სოლომონის ტაძარს ასახელებენ. წმ. იოანე დამასკელი შენიშნავს: „ანტიქრისტე თავის ტახტს არა ჩვენს, არამედ იუდეველთა ტაძარში დადგამს, რადგან არა ჩვენთან, არამედ იუდეველებთან და არა ქრისტესათვის, არამედ მის საწინააღმდეგოდ მოვა“.

წმ. ანდრია ამბობს, რომ „იგი თავის მეფობას იერუსალიმში დააფუძნებს მსგავსად დავითისა, რომლის შთამომავალიც იყო ხორციელად ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთი, იესო ქრისტე. ასე მოიქცევა, რათა ყველა დაარწმუნოს, რომ იგი ქრისტეა, აღმასრულებელი წინასწარმეტყველის სიტყვებისა: **მას დღესა შინა აღვადგინო კარავი დავითისი დაცემული და აღვაშენნე დარღუეული მისნი და დათხრილნი მისი აღვადგინნე და აღვაშენო იგი** (ამოს. 9,11)“.

ანტიქრისტეს ტახტის შესახებ უფალიც ამბობს: **იხილოთ საძაგელი იგი მოოჯრებისაჲ, თქუმილი დანიელ წინასწარმეტყველისა მიერ, მდგომარე ადგილსა წმიდასა** (მთ. 24,15; შდრ. მრკ. 13,14; ლუკ. 21,20; დან. 9,27; 12,11). ზოგიერთი მასწავლებელი, როგორც მაგალითად, იპოლიტე და ნეტარი იერონიმე, გამოთქმაში **საძაგელი იგი მოოჯრებისაჲ** თვითონ ანტიქრისტეს გულისხმობენ; ეფრემ ასური და ამბროსი ფიქრობენ, რომ მაცხოვარი ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის დანგრევაზე ლაპარაკობს; წმინდა იოანე ოქროპირი თვლის, რომ **საძაგელი იგი მოოჯრებისაჲ** ზევსის კერპია, რომელიც დამპყრობლებმა სოლომონის ტაძარში აღმართეს. მისი შეხედულებით ეს კერპი წინასახე იყო ანტიქრისტესი, რომელიც ტახტს იერუსალიმის ეკლესიაში დაიდგამს.

არსებობს სხვა შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც ანტიქრისტეს ტახტი ქრისტიანი მოწამეების სისხლით დარწყულებულ რომში აღმართებოდა, რომელიც აპოკალიფსისში მეძავი ქალის სახით არის წარმოდგენილი: **და ვიხილე დედაკაცი, მჯდომარე მკვეცსა ზედა წითელსა, ... რომელსა ედგნეს შვიდნი თავნი... შვიდნი იგი თავნი შვიდნი მთანი არიან, რომელთა ზედა დედაკაცი ზის** (გამც. 17,3-9).

თავი VIII

ანტიქრისტუს სახელის მოსაზულობა

ანტიქრისტეს მრავალ სახელსა და წოდებას ანიჭებენ. წმინდა წერილში მას „ძე უშჯულოებისა, ძე წარსაწყმედელისა, უშჯულო წინასწარმეტყველი, ცრუ ქრისტე, საძაგელი იგი მოოკრებისაჲ, მხეცი, სატანა და სხვ“. ეწოდება. ეს სახელწოდებანი საზოგადოა, ისინი შეიძლება ჩვენ ანტიქრისტეს წინამორბედებსაც ეუწოდოთ; ძე წარსაწყმედელისა და უშჯულო ადამიანი შეიძლება ყველა მოუნანიებელ ცოდვილს ეწოდოს.

ამ თავში ჩვენ გვინდა ვთქვათ სახელზე, რომელიც სწორედ ჭეშმარიტად ანტიქრისტესთვისაა დამახასიათებელი და შესაფერისი. ანტიქრისტეს სახელის შესახებ წმ. იოვანე ღმრთისმეტყველი ამბობს: **აქა არს სიბრძნე; რომელსა აქუს გონებაჲ, აღიპყრან რიცხჳ იგი მკვეცისაჲ, რამეთუ რიცხჳ კაცისაჲ არს რიცხჳ მისი ექუსას სამეოც და ექუს** (გამც. 13,18).

მიუხედავად იმისა, რომ მცდელობა ამ საიდუმლოს გადაწყვეტისა მრავალგზისი იყო, ყოველი მათგანი წარუმატებლად დამთავრდა. განმმარტებელთა დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ ანტიქრისტეს სახელი ბერძნული იქნება, რადგან აპოკალიფსი პირველად ბერძნულ ენაზე დაიწერა. ამიტომაც გვაოცებს ზოგიერთი უვიცი განმმარტებელი, რომელიც რიცხვი 666-ის შესაბამის სახელებს სლავურ მეტყველებებში ეძებს.

ბერძენი მწერლები ანტიქრისტეს შემდეგ სახელებს უწოდებენ, რომელთა შემადგენელი ასოების რიცხვითი მნიშვნელობის ჯამი 666-ია:

L — 30	LATEINOS (რომაული),
A — 1	TEITAN (მზე),
T — 300	LAMPETIS (ბრწყინვალე).
E — 5	O NIKHTHS (გამარჯვებული),
I — 10	KAKOS ODHGOS (ბოროტი ბელადი),
N — 50	ALHQHS BLABEROS (ჭეშმარიტად მავნე),
O — 70	AMNOS ADIKOS (ცრუ კრავი),
S — 200	MAOMETIS (მუჰამედი),
	ANTEMOS (მოწინააღმდეგე),
	SAXONEIOS (საქსონელი?),
	BENEDIKTOS (კურთხეული)

ბევრი ფიქრობს, რომ რიცხვით ექვსასსამოცდაექვსი ანტიქრისტეს არა სახელი, არამედ მისი მოსვლისა და სიკვდილის დროა აღნიშნული. განმარტავენ ასეც, რომ მხეცის რიცხვით მინიშნებულია მესამე ცოდვა ეშმაკისა, რომელიც ანტიქრისტეში აღესრულება, რადგან ექვსი არის რიცხვი გონიერის შექმნისა, რომელიც ცოდვაში ჩავარდა და მოაკლდა სიმშვიდე და ნეტარება, რომელსაც სრულყოფილი რიცხვი შვიდი შეიცავს. ანტიქრისტეს სახელთან დაკავშირებით, აგრეთვე, მრავალი სხვა, ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავებული, ვარაუდები და მკითხაობანი არსებობს. ჩვენ მათ არ შევუხებთ, მხოლოდ ვიტყვით, რომ საიდუმლო გამოძიებას ვერ ითმენს. ეკლესიის მნათობებიც ერთსულოვნად ამტკიცებენ, რომ ანტიქრისტეს სახელი არავინ იცის, რადგან გამოუკვლევებელ არიან გზანი უფლისანი და გამოუძიებელნი მსჯავრნი მისნი. აპოკალიფსიდან ცნობილია, რომ ანტიქრისტე თავისი სახელის მოხაზულობას ყველა თავის მიმდევარს მისცემს: **და მიეცა მას სული მიცემად ხატსა მას მკვეცისასა, რადთა იტყოდის ხატი მკვეცისად მის და ქმნას. ყოველნი, რომელთა არა თაყუანის-სცენ ხატსა მკვეცისასა, მოიკლნენ. და ყვნეს ყოველნივე — მცირენი და დიდნი და მდიდარნი და გლახაკნი და აზნაურნი და მონანი, — რადთა მიიღონ ბეჭედი ჯელსა მათსა მარჯუენესა ზედა, ანუ შუბლსა ზედა მათსა. და რადთა არავის ჯელ-წიფებოდის სყიდად, ანუ განსყიდად, გარნა რომელთა აქუნდეს ბეჭედი სახელისა მკვეცისა მის, ანუ რიცხვ სახელისა მისისად** (გამც. 13,15-17).

წმიდა ეკლესიის მტრები ანტიქრისტეს დაწერილობას მირონცხების საიდუმლოს უწოდებენ, რათა ამით მართლმადიდებლები გაკიცხონ. ეს უგუნურები ვერ ამჩნევენ, რომ მაშინ, მათი შეხედულებით, წმინდა მოციქულებიცა და თვით უფალი იესო ქრისტეც, რომელმაც ჩვენი ცხოვრებისათვის საიდუმლონი დაადგინა, ანტიქრისტეები უნდა იყვნენ. წმ. ანდრია კესარიელი ანტიქრისტეს დაწერილობასთან დაკავშირებით ამბობს: „იგი ისწრაფვის, რომ დაწერილობა განდგომილისა და მაცდურის დამღუპველი სახელისა ყველას დაადოს, ნაწილობრივ — მარჯვენა ხელებზე, რათა შეწყვიტოს ქმნა სწორი და კეთილი საქმეებისა, ნაწილობრივ კი — შუბლზე, რათა ცდუნებულებს ვერაგობასა და სიბნელეში კადნიერება ასწავლოს. და მხეცის ბეჭედს ყველგან — ყიდვასა და გაყიდვაშიც გაავრცელებს, რათა ისინი, რომელნიც მას არ მიიღებენ, აუცილებელ საჭიროებათა ნაკლებობისაგან დაიხოცონ“ (მე-13 სიტყვა).

თავი IX

ანტიქრისტეს მეფობის ხანმოკლეობა

ანტიქრისტეს მეფობის ხანმოკლეობაზე თვითონ მაცხოვრი გვაუწყებს: **და უკუეთუმცა არა შემოკლდეს დღენი იგი**, ამბობს იგი, **არამცა განერა ყოველი ჯორციელი, ხოლო რჩეულთა მათთვის შემოკლდენ დღენი იგი** (მთ. 24,22). ხოლო წინასწარმეტყველი დანიელი მისი მეფობის განსაზღვრულ დროზეც კი მიუთითებს: **წმიდანი მადლისანი... მიეცეს კელსა შინა მისსა ვიდრე ჟამისამდე და ჟამთა და ნახევარსა ჟამისასა** (დან. 7,25). ეკლესიის მოძღვარნი — კირილე და იპოლიტე **დროდ** (ჟამი) **წელიწადს მიიჩნევენ, დროებად** (ჟამთა) — ორ წელს, ხოლო **ნახევარდროში** — ნახევარ წელს. ამგვარად, ანტიქრისტე სამწელნახევარს იმეფებს. იმავეს ვკითხულობთ წინასწარმეტყველის წიგნის სხვა ადგილებშიც: **ვიდრე იყოს დასასრული, რომელნი სთქუენ საკურველებანი? და მესმა კაცისა მის... და ფუცა ცხოველისა მიმართ საუკუნოდ, ვითარმედ ჟამისა მიმართ და ჟამთა და კერძოსა ჟამისასა** (12,6-7); და **ჟამისაგანცა ცვალებისასა მიმდემადისა და მოცემისა საძაგელსა მორჯრებისასა დღენი ათასორასოთხმეოცდაათნი** (12,11).

ანტიქრისტეს მეფობის დრო უფრო ზუსტად აპოკალიფსშია განსაზღვრული: **მიეცა მას კელმწიფებაჲ ყოფად ბრძოლისა ორმეოც და ორ თთუე** (13,5); იქვე აღნიშნულია: ა) ენუქისა და ილიას შესახებ, რომ ისინი **წინაწარმეტყველებდენ ათას ორას და სამეოც დღე** (11,3); ბ) მზით შემოსილ დედაკაცზე, რომელსაც უდაბნოში გამოზრდიან **ათას ორას და სამეოც დღე** (12,6). წმ. ანდრია ამბობს: „ხოლო ის, რომ წმიდა ქალაქს, იქნება ეს ახალი იერუსალიმი თუ მსოფლიო ეკლესია, წარმართები ორმოცდაორი თვის მანძილზე გაქელავენ, ვფიქრობ იმას ნიშნავს, რომ ანტიქრისტეს გამოჩენისას მართალნი და პატიოსანნი სამწელნახევრის მანძილზე იქნებიან დევნილნი (მე-10 სიტყვა)“.

წმიდა წერილის სხვა ადგილებში ანტიქრისტეს ბატონობის დრო განსაზღვრული არაა, მაგრამ ნათლადაა თქმული, რომ იგი ხანმოკლე აღმოჩნდება: **გარდამოკდა ეშმაკი თქუენდა მომართ სავსე გულის წყრომითა დიდითა, რამეთუ უწყის, ვითარმედ მცირედი ჟამი უც მას** (გამც. 12,12). **დაჰკჳა კარი და დაჰბეჰდა მის ზედა, რადთა ვერღარა აცთუნებდეს წარმართთა, ვიდრემდის ადესრულოს ათასი წელი. შემდგომად ამისა ჯერ-არს განკსნაჲ მისი მცირედ ჟამ** (20,3).

წმ. მამები ფიქრობენ, რომ ანტიქრისტე სამწელნახევარზე მეტს ვერ

იმეფებს, რადგან უფალმა ჩვენი ხსნისათვის სწორედ ამ დროის მანძილზე იქადაგა. დაბოლოს, ის დღეები რომ არ შემცირდეს, ვერცერთი ხორციელი ვერ გადარჩება.

თავი X

ანტიქრისტეს ბრძოლანი

ანტიქრისტეს მეფობის ხასიათზე შევნიშნავთ შემდეგს:

1. ანტიქრისტეს მეფობა მეძველდროებით — პაპისაგან ან მამისაგან არ გადაეცემა; არამედ, როგორც ცბიერი მაცდური, მას ვერაგობით მოიპოვებს: **და არა მისცეს მის ზედა დიდება მეფობისა, და მოვიდეს იეფობისა თანა და განაძლიეროს მეფობა შებრკოლებისა მიერ** (დან. 11,21). წმ. იოანე დამასკელის თქმით: „მეძველისაგან შობილი და ფარულად აღზრდილი, იგი ყველასათვის მოულოდნელად გამოჩნდება, ამაღლდება და გამეფდება“.

2. თავისი მეფობის ჟამს ანტიქრისტე სამ ძლიერ მეფეს — ეგვიპტისას, ლიბიისას და ეთიოპიისას შეებრძოლება და დაამარცხებს. ამ ოთხ სამეფოს წინასწარმეტყველი დანიელი ოთხი მხეცის სახით აღგვიწერს: **აჰა, მჭეცი მეოთხე, საშინელი და განსაკვირვებელი და ძლიერი მეტად, და კბილნი მისნი რკინისანი და დიდნი, ჭამდა და დააწულილებდა... და იგი განხრწნიდა მეტადრე უფროს ყოველთა მჭეცთა უწინარესთა მისთასა და რქანი ედგნეს მას ათნი. და რქათა მისთა განვიცდიდ, ათნი რქანი მისნი, და, აჰა, რქაჲ სხუაჲ მცირე აღმოვიდოდა შორის მათსა. და სამნი რქანი წინასწარნი მისნი აღმოიძირნეს პირისაგან მისისა. და, აჰა, თუალნი, ვითარცა თუალნი კაცისანი, რქისა მის შორის და პირი მეტყუელი დიდ-დიდთა (7,7-8).**

ახლა განვიხილოთ, რას ნიშნავს ეს საიდუმლო ხილვა. მეოთხე მხეცად მეოთხე სამეფო ანუ რომის მონარქია იწოდება. ათ რქად — ათი მეფე ან სამეფო, რომელნიც რომის სამეფოს დაშლის შედეგად წარმოიშობიან. მცირე რქა, რომელიც სხვა რქებს შორის გამოჩნდება, ანტიქრისტეა, — ამომგდები სამი რქისა ანუ დამმარცხებელი სამი მეფისა: ეგვიპტისა, ლიბიისა და ეთიოპიისა. და ათნი რქანი მისნი ათნი მეფენი აღდგენ. და შემდგომად მათსა აღდგეს სხუა, რომელი უფროს იყოს ბოროტებითა ყოველთა წინაწართასა, და სამნი მეფენი დაამდაბლნეს... და შეჭამოს ყოველი ქუეყანად, და დათრგუნოს იგი, და დაჭრას იგი (დან. 7,24-23). და განირთხას, ჯელი მისი ქუეყანასა ზედა და ქუეყანა მისი არა იყოს

საცხოვნებელად. და ეუფლოს დაფარულთა შორის ოქროსა და ვეცხ-
ლისათა და ყოველთა შორის გულისათქუმელთა ეგვიპტის და ლიბიისა
და ეთიოპიელთასა და სიმაგრეთა შორის მისთა (11,42-43).

3. როცა ანტიქრისტე სამ ძლიერ ხელმწიფეს დაამარცხებს, მაშინ
ყველა დანარჩენი მეფეც დაემორჩილება და იგი სამყაროს ერთპიროვნუ-
ლი მფლობელი, ყველა ხალხისა და ტომის მბრძანებელი გახდება:
და ათნი იგი რქანი, რომელ იხილენ, ათნი მეფენი არიან, რომელთა
მეფობად არღა მიუღია, არამედ კვლმწიფებასა ვითარცა მეფენი ერთსა
ჟამსა მიიღებენ მკვეცისა მის თანა. ამათ ერთნი ნებად აქუს და ძალსა და
კვლმწიფებასა მათსა მკვეცსა მისცემენ. ესენი კრავსა მას ებრძოლნენ,
და კრავმან სძლოს მათ (გამც. 17,12-14).

4. როგორც უკანონო ხელმწიფე, ანტიქრისტე ყველა ქრისტიანის
დევნას ურიცხვი ჯარით დაიწყებს, და იყოს ჟამი ჭირისა, ჭირი, რომ-
ელი არა იყო, ვინამთგან იქმნა ნათესავი ქუეყანასა ზედა და ვიდრე
ჟამადმდე (დან. 12,1). წმ. იოანე მახარებელი ქრისტიანთა ამ უკანასკ-
ნელ დევნას, — გოგისა და მაგოგის ამ ბრძოლასა და ანტიქრისტეს
საბოლოო დაღუპვას, ასე აგვიწერს: და შემდგომად ათასისა მის წლისა
განიკნასა ეშმაკი საპრობილისაგან თვისსა. და გამოვიდეს ცდუნებად
წარმართთა, რომელნი არიან ოთხთა კიდეთა ქუეყანისათა, გოგს და
მაგოგს, შემოკრებად მათდა და ბრძოლად, რომელთა სიმრავლე ვი-
თარცა ქვშად ზღვსად, და აღმოვიდეს სივრცესა ზედა ქუეყანისასა და
გარე-მოადგეს ბანაკსა წმიდათასა და ქალაქსა მას შეყუარებულსა, და
გარდამოკდა ცეცხლი ზეცით და შეჭამნა იგინი და ეშმაკი, რომელი-
იგი აცთუნებდა მათ, შთავარდა ტბასა მას ცეცხლისა და წუმწუბისა,
სადა იყვნეს მკვეცი იგი და ცრუ-წინაწარმეტყუელი და იტანჯებოდინ
დღე და ღამე უკუნითი უკუნისამდე (გამც. 20,7-10).

რას ნიშნავს ათასი წელი, რომლის მანძილზეც სატანა შეკრული
იყო? წმ. ანდრია ამბობს: „ათასი წელი უნდა გავიგოთ არა როგორც
რიცხვი წლებისა, რადგან ისინიც კი, რომელთა შესახებაც დავითმა
თქვა: სიტყუად, რომელ ამცნო ათასამდე ნათესავად (ფს. 104,8), არ
შეიძლება ჩავთვალოთ ათასებად, არამედ საერთოდ რიცხობრივად
ბევრად, ასევე აქაც, ვფიქრობთ, რომ ათასი წელი ან საერთოდ მრავალ
წელს, ან სრულყოფილ რიცხვს ნიშნავს. ასეა თუ ისე, ეს მხოლოდ
ღმერთმა უწყის, რომელმაც იცის, სანამდის იქნება ჩვენთვის სასარგე-
ბლო მისი მოთმინება (მე-20 სიტყვა)“.

თავი XI

რა არის „გოგი“ და „მაგოგი“

სახელებთან „გოგი“ და „მაგოგი“ დაკავშირებით რამდენიმე ახსნა-განმარტება არსებობს.

1) წმ. ანდრია კესარიელი ასეთ განმარტებას იძლევა: „ზოგიერთი ფიქრობს, რომ გოგი და მაგოგი ყველა ხალხთა და სამეფოთაგან ყველაზე მეომარი და მრავალრიცხოვანი სკვითები ან, როგორც მათ ვუწოდებთ, ჰუნებია. ეშმაკის განთავისუფლებამდე და მის მიერ სამყაროს დაპყრობამდე მათ მხოლოდ ღმრთეებრივი ხელი იჭერს. ზოგიერთი ამბობს, რომ ებრაულში გოგი კრებას ან კრებულს ნიშნავს, ხოლო მაგოგი — ამაღლებულს ან ამაღლებას. ამგვარად, ამ სახელებით ან ხალხთა კრებული, ან მათი ამაღლებაა აღნიშნული. ეხეკიელიც წინასწარმეტყველებდა, რომ ეს ხალხები უკანასკნელ ჟამს მოვლენ, ისრაელის მიწას დაეცემიან და მათი საჭურველის დაწვას სიმრავლის გამო შვიდი წელი დასჭირდება (ეზეკ. 39,2-9). მრავალი განმმარტებელი წინასწარმეტყველის სიტყვებს ეხეკიელის დროს ასირიელების სენაქერიმთან ბრძოლას უკავშირებდა. მაგრამ ეს მოვლენა ეხეკიელის წინასწარმეტყველებამდე მრავალი წლით ადრე მოხდა. სხვანი ამ სიტყვებში იმ ხალხების დამარცხებას ხედავდნენ, რომლებიც იერუსალიმის მცხოვრებთ მაშინ დაესხნენ თავს, როცა მათ, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდგომ, ჯერ კვიროს სპარსელის, ხოლო მერე დარიოსის ბრძანების შედეგად, ქალაქის კედლების აღდგენა მოისურვეს. იმასაც ფიქრობენ, რომ ეს სიტყვები ანტიოქეს ჯარების მისამართითაა ნათქვამი, რომელიც მაკაბელებმა დაამარცხეს. აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ყველაზე უფრო მათი მოსვლა უკანასკნელ ჟამს შეეფერება. ასე იმიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ წმინდა წერილში იუდეველების ბრძოლა სკვითებთან არსად არ იხსენება; რომ გოგი, როგორც წერია, ძველი დროიდან მოემზადება და უკანასკნელ დროს მოვა და რომ გოგი და მაგოგი ამ სოფლის აღსასრულის ჟამს მოვლენ“.

2) წმ. ამბროსი და ავგუსტინე გოგისა და მაგოგის ბრძოლაში ანტიქრისტეს მიერ ეკლესიის დევნას გულისხმობენ. გოგს ისინი თავად ანტიქრისტეს უწოდებენ, ხოლო მაგოგს მის ურიცხვ ჯარს, ან სკვითებს, რომლებიც იმ ქვეყანაში ცხოვრობენ, სადაც მოსეს მოწმობით იაფეტის ძე მაგოგი დაემკვიდრა (შესქ. 10,2).

თავი XII ბაბილონის დაცემა

წმინდა იოანე ღმრთისმეტყველი დაწვრილებით აგვიწერს ბაბილონს მეძავე ქალის სახით. და ვიხილე დედაკაცი, ამბობს იგი, მჯდომარე მჭევსა ზედა წითელსა, სავსესა სახელებითა გმობისადათა, რომელსა ედგნეს შუდნი თავნი და ათნი რქანი. და დედაკაცსა მას ემოსა პორფირი და ძოწეული, შემკული ოქროთა და ქვითა პატიოსნითა მარგალიტითა. და აქუნდა ჴელთა მისთა ბარძიმი ოქროსადა, სავსე საძაგელებითა და არაწმინდებითა სიძვისა ქუეყანისადათა. და შუბლსა მისსა ზედა სახელი დაწერილი: *საიდუმლოდ, ბაბილონი დიდი, დედად მეძავთადა და საძაგელებათა ქუეყანისათადა*. და ვიხილე დედაკაცი იგი დამთვრალი სისხლითა წმიდათადათა და სისხლითა მით მოწამეთა იესუდსთადათა. აქა არს გონებად, რომელსა აქუნდეს სიბრძნე. შუდნი იგი თავნი შუდნი მთანი არიან, რომელთა ზედა დედაკაცი ზის (გამც. 17; 3-6,9).

იმის თაობაზე, თუ მოციქული ბაბილონს რომელ ქალაქს უწოდებს, მრავალი ვარაუდი არსებობს. პირველთა შეხედულებით ბაბილონად ან ყველა ბიწიერთა საერთო კრებული, ან საერთოდ მთელი ხილული სამყარო იწოდება თავისი დიდებულებითა და მშვენიერებით. მეორენი ბაბილონს მაჰმადიანებს უწოდებენ, რომელთა ბოროტმსახურება და ღმრთის საწინააღმდეგო რწმენა ყოველგვარ სისაძაგლეს ასწავლის და მრავალი ცოლის ყოლის ნებას იძლევა. ამ სახელს მიაკუთვნებენ აგრეთვე თურქეთის ქალაქს — კონსტანტინეპოლისს (სტამბულს), რომელიც შვიდ ბორცვსა და წყალთა მათ ზედა მრავალთაა (გამც. 17,1) დაფუძნებული. ფიქრობენ აგრეთვე, რომ მოციქული ძველ ბაბილონზე ლაპარაკობს, რომელშიც ანტიქრისტეს პირველსახენი და წინამორბედნი — ნემბროთი, ნაბუქოდონოსორი და ანტიოქე მეფობდნენ. ხოლო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბაბილონში ძველი რომი უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც სამყაროს აღსასრულის ჟამს დაეცემა. მოციქულთა თავი პეტრე, თავის პირველ ეპისტოლეში ამბობს: **გიკითხავს თქვენ, რომელ არს ბაბილონს შინა რჩეულისა მის თანა და მარკოს, ძე ჩემი** (1 პეტრ. 5,13). — ძველი მასწავლებლებიდან ერთ-ერთი ამ სიტყვებს ასე განმარტავს: „პეტრე მოციქული კერპთაყვანისმცემლობის შერწყმისა და შერევისათვის რომს ბაბილონს უწოდებს. მაშინ მათ შორის მცირერიცხოვანი ეკლესია ბრწყინავდა, რომელიც პირველობდა. იგი მსგავსი იყო ებრაელი ხალხისა, რომელიც ბაბილონის ტყვეობაში 11. სსპ, 2011.

წმ. სიონისაგან განშორებას „დასტიროდა და არ სურდა ღმრთისათვის უხო მიწაზე ეგალობა“.

წმ. ანდრია ამბობს: „წმ. წერილის მრავალი ადგილიდან შეიძლება შევიტყვოთ, რომ ქალაქებს სახელები მათი საქმიანობის შესაფერისად ეძლევათ. სწორედ ამ მიზეზით ეწოდება რომს ბაბილონი. პეტრეს ეპისტოლეში ძველ იერუსალიმზეც ნათქვამია: „მეძავის შუბლი გქონდა (იერემ. 3,3)“. განჭვრიტა რა რომის დაცემა წინასწარ, იოანე ღმრთისმეტყველს აღმოხდა: **დაეცა ბაბილონი დიდი** (გამც. 18,2).

ანტიქრისტეს საბოლოო დაცემა გამოცხადებაშია აღწერილი: **და აღმოვიდეს სივრცესა ზედა ქუეყანასა და გარე-მოადგეს ბანაკსა წმიდათასა და ქალაქსა მას შეეუარებულსა. და გარდამოჰდა ცეცხლი ზეცით და შეჰჰამნა ივინი** (გამც. 20,9).

წმ. ანდრია კესარიელი ამბობს: „ან ცეცხლი შთანთქავს, ისეთივე ხილული, როგორც წმ. ილიას დროს იყო, როცა ორი ორმოცდაათეული შთაინთქა, ან კიდევ ქრისტეს ღიღებით მოსვლის ჟამს მისი ბაგეების სულით განადგურდებიან და მათი ბელადი — ეშმაკი ანტიქრისტესთან ერთად ცეცხლის ტბას მიეცემა, რათა იქ საუკუნოდ ეწამონ. ხოლო ჩვენ, ქრისტე მაცხოვრის მიერ განსწავლულნი, გულით ვილოცებთ, რათა არც მოსვლა ანტიქრისტესი და არც ნაწინასწარმეტყველები მოძრაობა ხალხებისა და არც სიკვდილშემოსილი უბედურებანი, რომელიც მაცხოვრებელი სარწმუნოებისაგან განდგომას გვაიძულებს, არ ვიხილოთ. დავიცავთ რა შეუბღალავად სინდისის დამოწმებას და ვუჩვენებთ რა ჩვენს მაცხოვარს მგზნებარე სიყვარულს და კეთილი საქმეებით, მარადიულ სიკეთეთა მოპოვებისა და ღმრთის გულუხვობის სასოებით ვისუფლდებოდეთ და თაყვანს ვცემთ ყოვლადწმიდა სამებას აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“.

თავი 13

ნიშნები, რომლებიც ანტიქრისტეს მოკვლას მოჰყვება

აქამდე იმ ნიშნებზე ვსაუბრობთ, რომელნიც ანტიქრისტეს მოსვლას უსწრებენ წინ. ამ თავში განზრახული გვაქვს მოკლედ განხილვა მრავალი ნიშნიდან ზოგიერთისა, რომელიც ანტიქრისტეს გაქრობას მოჰყვება თან. ისინი შემდეგია: ა) დაბნელება მზისა და მთვარისა; ბ) ვარსკვლავების ცვენა; გ) ზეციურ ძალთა მოძრაობა; დ) ქმნილებათა განახლება და ცეცხლით განწმენდა და ე) მკვდართა აღდგომა.

1. ზეციურ მნათობთა — მზისა და მთვარის დაბნელება

ამ ნიშნების ჭეშმარიტებაზე ჩვენ წმიდა წერილის მრავალი ადგილი მიგვიითითებს:

ა) წინასწარმეტყველ იოველთან: და ვსცე ნიშნები ცასა შინა ზე და სასწაულებ ქუეყანასა ზედა ქუე, სისხლი და ცეცხლი და აღმური კუამლისა. მზე გარდაიქცეს ბნელად და მთოვარე სისხლად პირველ მოსვლადმდე დღე უფლისაჲ დიდისა და მჩენი (2,30.31). მზე და მთოვარე დაბნელდნენ და ვარსკვლავთა ავლინონ ნათელი მათი (3,15).

ბ) წინასწარმეტყველ ესაიასთან: რამეთუ ვარსკვლავთა ცისათა და ორიონმან და ყოველმან სამკაულმან ცისამან არა მოსცენ ნათელი მათი, და დაბნელდეს მზისა აღმომავალისა და მთოვარემან არა მოსცეს ნათელი თვისი (3,10).

გ) წინასწარმეტყველ ეზეკიელთან: და დაფვარო ცაჲ დაშრეტასა შინა შენსა და დავაბნელნე ვარსკულაგნი მისნი, მზე ღრუბლისა მიერ დაფვარო და მთოვარემან არა აჩუენოს ნათელი თვისი. ყოველნი მნათობნი ცისანი დავაბნელნე შენ ზედა და მივსცე ბნელი ქუეყანასა ზედა შენსა, — იტყვის აღონაი უფალი (32,7-8).

დ) მათე მახარებელთან: ხოლო მეყსეულად შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთასა მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი, და ვარსკვლავნი დამოცუვენ ზეცით. და ძალნი ცათანი შეიძრნენ (24,29).

ე) იოანე ღმრთისმეტყველთან: და ძვრად იქმნა დიდი, და მზე შავ იქმნა, ვითარცა ძაძა ბალნისაჲ, და მთოვარე იქმნა, ვითარცა სისხლი (გამც. 6,12).

თუ სამყაროს ყოფიერებას ადამიანთა ცხოვრებას შევადარებთ, შეუძლებელია მათ შორის არსებული დიდი მსგავსება შეუმჩნეველი დაგვრჩეს. ადამიანის სიბერისა და მოახლოებული სიკვდილის ნიშანი თვალში სინათლის დაკლება და სიბრმავეა; ასევე ნათლად მიუთითებს ბებერი სამყაროს აღსასრულზე დაბნელება მზისა და მთვარისა — სამყაროს თვალებისა; ისევე როგორც სახლის პატრონის გარდაცვალებისას მისი შინაურები უნუგემოდ ტირიან, იბნევიან, მხიარული ფერის სამოსს იხდიან და ძაძვით იმოსებიან, ასევე სამყაროს აღსასრულის ჟამს ყველა ქმნილება ფრიად შეშფოთდება, ხოლო ზეცის მნათობნი, მოაკლდებათ რა სხივოსანი ბრწყინვალება, თითქოსდა სუდარით შეიმოსებიან.

2. ვარსკვლავების ცვენა ზეციდან

წმ. იოანე ოქროპირს ვარსკვლავების ცვენა პირდაპირი გაგებით ესმის, ხოლო ეკლესიის სხვა მამები მათ მხოლოდ დაბნელებას, ე. ი. სინათლის მოკლებას გულისხმობენ. ზოგიერთი კი იმასაც ფიქრობს, რომ მხედველობაში კომეტების, ელვისა, მეხისა და სხვა ამგვარ ატმოსფერულ სტიქიათა ჩამოვარდნა უნდა გვექონდეს, რომელნიც დედამიწის უახლოეს სფეროებში წარმოიშვებიან.

3. ზეციურ ძალთა ამოძრავება

ამ ნიშანზე თვითონ უფალი მიუთითებს, როცა ამბობს: **ძალნი ცათანი შეიძრნენ**. იოანე ოქროპირი და თეოფილაქტე ზეციურ ძალებში ანგელოზთა მეშვიდე რიგს (დასს) გულისხმობენ. ისინი უდიდესი შიშით შეპყრობილნი და შეძრწუნებულნი, მიუხედავად საკუთარი უმტკიცესი ძალისა და სამყაროს მპყრობელ ღმერთთან სიახლოვისა, მოძრაობას დაიწყებენ. ზარდაცემა ისე ღიღი იქნება, რომ ყველა ანგელოზი ათრთოლდება მსგავსად შვილისა, რომელსაც ბოროტი მონებისაგან განრისხებული მამის შესახედაობა აშინებს.

4. ქმნილებათა განახლება და კაცობრივ ბიწთაგან ცეცხლით განწმენდა

როგორც ნოეს დროს კაცთა მოღვმა ცოდვების ბიწთაგან წარღვნით განიწმინდა, ასევე სამყარო თავისი აღსასრულისას ცეცხლით განიწმინდება, რასაც ამოწმებს:

ა) ფსალმუნთა მგალობელი: **წვიმოს ცოდვილთა ზედა მახე, ცეცხლი და წუნწუბა** (ფს. 10,6). **ღმერთი ცხადად მოვიდეს, ღმერთი ჩვენი არა დადუმნეს: ცეცხლი მის წინაშე აღატყდეს და გარემო მისსა ნიავქარი ფრიად. მოუწოდოს ზეცასა ზეგარდამო და ქუეყანასა განრჩევიად ერისა თვისისა** (ფს. 49,3-4). ვითარცა ცეცხლმან რა მოწუნის მალნარნი და ვითარცა აღმან, რომელმან შეწუნის მთანი, ეგრეთ სდევნენ იგინი ნიავქართა შენითა და რისხვითა შენითა შეაძრწუნენ იგინი (ფს. 82,14-15). **ცეცხლი მის წინაშე ვიდოდეს და შეწუნეს გარემო მტერნი მისნი** (ფს. 96,3); **დასაბამსა შენ, უფალო, ქუეყანად დააფუძნე, და ქმნულნი ხელთა შენთანი ცანი არიან. იგინი წარხდებიან, ხოლო შენ ჰგეი** (ფს. 101,25-26);

ბ) ესაია: **რამეთუ იყოს ცაჲ ახალი და ქუეყანაჲ ახალი, და არღა მოიწესნონ პირველთა მათ, არცა არა მოუტდეს გულსა მათსა ზედა** (65,17);

გ) დანიელი: მდინარე ცეცხლისაჲ იზიდვოდა გამომაგალი წინაშე მისსა (7,10);

დ) მათე მახარებელი: ცანი და ქუეყანაჲ წარვდენ (24,35);

ე) პეტრე მოციქული: ხოლო მოიწიოს დღე იგი უფლისაჲ, ვითარცა მპარავი ღამისაჲ, რომელსა შინა ცანი მძაფრად წარვდენ და წესნი იგი დაიწუნენ და დაზულენ და ქუეყანაჲ და მას შინა საქმენი დაიწუნენ. რაჟამს ესე ყოველნი დაზულდებიან, რაბამთაჲ ჯერ-არს თქუენი ყოფიად წმიდითა ქცევითა და კეთილითა მსახურებითა, რადთა მოელოდით. და ისწრაფდეთ მოსვლასა მას დღისა ღმრთისასა, რომელსა შინა ცანი მკურვალენი დაივსნენ და წესნი დაიწუნენ და დადნენ. ახალთა ცათა და ახალსა ქუეყანასა მსგავსად აღთქუმისა მისისა მოველით, რომელსა შინა სიმართლე დამკვიდრებულ არს (მეორე ეპისტ. 3,10-13);

ვ) იოანე ღმრთისმეტყველი: და ვიხილე ცაჲ ახალი და ქუეყანაჲ ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაჲ და პირველი იგი ქუეყანაჲ წარვდეს, და ზღუად არღარა არს (გამც. 21,1).

ცეცხლით განწმენდისას ქმნილებათა მხოლოდ გამოსახულება განადგურდება, რადგან მარადიულად მათი არსებობა აუცილებელია. პავლე მოციქული ამბობს: წარმაველ არს ხატი ამის სოფლისაჲ (1 კორ. 7,31), ხოლო ფსალმუნთა მგალობელი ღაღადებს: განაახლო პირი ქუეყანისაჲ (ფს. 103,30).

5. მკვდართა აღდგომა

მრწამსის ეს წევრი გამოკვლევისათვის მიუწვდომელია. ამიტომ ვწვდებით რა მას შეუზღუდველი გულისხმისყოფით, მაგრამ მტკიცე რწმენით, ღმრთის საიდუმლოს გამოცდას ვერ შეეკადრებთ და ჩვენს დამმოდვრელ ეკლესიასთან ერთად ვაღიარებთ და ვაღაღადებთ: მოველი აღდგომასა მკვდრებით, გვწამს უფალო! შეგვეწიე ურწმუნობასა შინა.

მაგრამ რამდენადაც რწმენა ღმრთეებრივ წერილზე — ამ ცხოველ წყაროზეა დაფუძნებული და მისგან მომდინარეობს, ჩვენც შევეცდებით თუნდაც უმცირესი წვეთები მდინარისა, რომელიც ღმრთის ტახტიდან მომდინარეობს და ჩვენს სულებს, ვითარცა უწყლო უდაბნოს რწყავს, შევკარიბოთ.

წინასწარმეტყველმა ებეკიელმა მკვდართა აღდგომა შემდეგ ჩვენებაში იხილა:

და იქნა ჩემ ზედა უფლისაჲ ველი და განმიყვანა მე სულითა

უფლისადათა და დამდვა მე შორის სულსა ველისასა; და ესე იყო სავესე
ძუალებითა კაცთადათა. და მომავლო მე მათ ზედა გარემო მრგულივ; და
აჰა, მრავლებ ფრიად პირსა ზედა ველისასა და აჰა, კმელ ფრიად იგინი.
და თქუა ჩემდამო: ძეო კაცისაო, უკუეთუ განცოცხლდეს ძუალები ესე?
და ვთქუ: აღონაა უფალო, შენ უწყნი ეგენი. და თქუა ჩემდამო: წინაწარმ-
ეტყუელებდ ძუალებსა ამას ზედა, წინაწარმეტყუელებდ, ძეო კაცისაო,
და სთქუა მათდამი: ძუალთა კმელთა, ისმინეთ სიტყუად უფლისადა!
ამათ ეტყვს აღონაა უფალი ძუალებსა ამას: აჰა, მე შემოვიყვანო თქუენ
ზედა სული სიცოცხლისადა. და მივსცე თქუენ ზედა ტყავი, და მივსცე
სული ჩემი თქუენ ზედა და განსცოცხლდეთ, და სცნათ, რამეთუ მე ვარ
უფალი. და ვწინააღსწარმეტყუელებდ ვითარცა მამცნო მე უფალმან. და
იქმნა კმადა, ვწინააღსწარმეტყუელებდ რაა მე, და აჰა, ძვრად და მოიყვანნა
ძუალები, ძუალი ძუალისა მიმართ, თითოეული შენაწევრებისა მიმართ
მისისა. და ვიხილე და, აჰა, ზედ-დაექმნეს მათ ძარღუნი, და კორცნი
აღმოსცენდებოდეს და აღმოვიდოდეს მათ ზედა, და გარე-მოერთხა
მათ ზედა ტყავი ზედა კერძო, და სული არა იყო მათ შორის. და თქუა
ჩემდამო: წინაწარმეტყუელებდ სულისა ზედა, წინაწარმეტყუელებდ,
ძეო კაცისაო, და ვარქუ სულსა: ამათ იტყვს აღონაა უფალი: ოთხ-
თაგან სულთა მოვედინ სული, და მიებერენ მკუდართა ამათ მიმართ
და განცოცხლდენ. და ვიწინააღსწარმეტყუელე, ვითარ-იგი მამცნო მე; და
შევიდა მათდამი სული და განცოცხლდეს, და დადგეს ფერკთა მათთა
ზედა შესაკრებელი მრავალი ფრიად. და იტყოდა უფალი ჩემდამო
მეტყუელი: ძეო კაცისაო, ძუალები ესე ყოველი სახლი ისრაჴლისადა
არს, იგინი იტყვან: კმელ იქმნეს ძუალები ჩუენნი, წარწყმდა სასოებადა
ჩუენი, მოვისრენით. ამისთვის წინაწარმეტყუელებდ, ძეო კაცისაო, და
თქუ მათდამი: ამათ იტყვს უფალი: აჰა, მე აღვაზუნე სამარენი თქუენნი,
ერო ჩემო, და აღმოგიყვანნე თქუენ საფლავთაგან თქუენთა, და შეგი-
ყვანნე თქუენ ქუეყანადა ისრაჴლისა. და სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი
განდებასა შინა ჩემგან საფლავთა თქუენთასა, აღმოყვანებადა თქუენდა
საფლავთაგან თქუენთა, ერო ჩემო. და მივსცე სული ჩემი თქუენ ზედა
და განსცოცხლდეთ (37,1-14).

მკუდართა აღდგომის ჴემშარიტება ქრისტე მაცხოვარმაც დაა-
დასტურა, როცა ბრძანა: მე ვარ აღდგომად და ცხოვრებადა, რომელსა
პრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხოვრდესვე. და ყოველი, რომელი
ცოცხალ არს და პრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე (ინ.

11,25-26). ამენ, ამენ გეტყვებ თქვენ, რამეთუ მოვალს ჟამი, და აწვევ არს, ოდეს მკუდართა ისმინენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი, და რომელთა ისმინენ, ცხონდენ. და გამოვიდოდინ კეთილისმოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტისმოქმედნი აღდგომასა სჯულისასა (ინ. 5,25-29; შდრ. ეფეს. 2,1-5; 1 ტიმ. 5,6; გამც. 3,1; რომ. 6,4; გალ. 2,20).

მკუდართა აღდგომის შესახებ მოციქული პავლეც გვასწავლის: ხოლო უკეთუ ქრისტე იქადაგების, ვითარმედ მკუდრეთით აღდგომილ არს, ვითარ იტყვან ვინმე თქვენ შორის, ვითარმედ აღდგომად მკუდართად არა არს? უკეთუ აღდგომად მკუდართად არა არს, არცა ქრისტე აღდგომილ არს. უკეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგებად ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოებად ეგე თქუენი. ვიპოვნით უკუე ცრუ-მოწამეცა ღმრთისა, რამეთუ ვწამებთ ღმრთისათვს, ვითარმედ აღადგინა ქრისტე, რომელი არა აღადგინა, უკუეთუ ნანდვლვე მკუდარნი არა აღდგებიან. რამეთუ უკუეთუ მკუდარნი არა აღდგებიან, არცა ქრისტე აღდგომილ არს. და უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამას არს სარწმუნოებად ეგე თქუენი; ცოდვათავე სამელა შინა თქუენთა ხართ აქამომდე. და შესუენებულნი იგი ქრისტეს მიერ წარ-ვე-სამე-წყმდენ. უკუეთუ ამას ხოლო ცხორებასა ვართ მოსავ ქრისტესა, უსაწყალობელეს ყოველთა კაცთასა ვართ. ხოლო აწ ქრისტე აღდგა მკუდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესუენებულთა. რამეთუ კაცისა მიერ იყო სიკუდილი და კაცისა მიერ — აღდგომად მკუდართად. და ვითარცა-იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ. ხოლო თვთუელი თვისითა წესითა: პირველად ქრისტე და მერმე ქრისტესნი იგი მოსვლასა მას მისსა (1 კორ. 15,12-23).

ჩუენი მსჯელობის დასასრულს აუცილებლად მიგვაჩნია რამდენიმე კითხვისათვის პასუხის გაცემა, რომელიც შეიძლება მკითხველს გაუჩნდეს.

1. ყველა მკუდარი აღდგება თუ არა სამსჯავროზე?

საშინელ სამსჯავროზე ყველა ადამიანი, რომელსაც მოყოლებული ადამიდან ვიდრე სამყაროს აღსასრულამდე უცხოვრია, აღდგება, რადგან წმიდა წერილი ამბობს: ყოველნი რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ ხმისა მისისაჲ (ინ. 5,28). მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებისა

თვისათა; და შეკრბენ წინაშე მისა ყოველნი ნათესაენი (მთ. 5,31 და 32).

უკეთუ ყველა მკვდარი აღდგება, მაშინ როგორ უნდა გავიგოთ სიტყვები ფსალმუნთა მგალობელისა: **ამისთვის არა აღდგენ უღმრთონი სასჯელსა** (ფს. 1,5). **მკვდართათვის ნუ ჰყო საკვირველი? ანუ მკურნალთა აღადგინონ და აღვიარონ შენ?** (ფს. 87,10). როცა ამ სიტყვებს ამბობს, დავითი, ცხადია, ორმავე აღდგომას გულისხმობს: ერთს სიცოცხლისათვის, ხოლო მეორეს — მარადიული სიკვდილისათვის; ე. ი. მას უნდოდა ეთქვა, რომ ცოდვილნი სამსჯავროზე არა სიცოცხლისათვის, არამედ სიკვდილისათვის აღდგებიან. ამას თვითონ დავითიც გვიდასტურებს, რადგან შემდეგ ამატებს: **არა არიან ცოდვილნი მართალთა კრებულსა შინა**. ამავე აზრით ამბობს იესო ქრისტეც: **მკუდართა ისმინენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი. და გამოვიდოდინ კეთილისმოქმედნი აღდგომასა ცხოვრებისასა, ხოლო ბოროტის-მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა** (ინ. 15,25 და 21).

2. საშინელი სამსჯავროს წინ ყველა უნდა მოკვდეს თუ არა?

წმ. იოანე ოქროპირი, თეოდორიტე და თეოფილაქტე გვასწავლიან რომ: „ყველა არ მოკვდება; ზოგიერთებს საშინელი სამსჯავრო ცოცხალს მოუსწრებს“. კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში პავლე მოციქული ამბობს: **ყოველთა უკუე არა შევისუენოთ, ხოლო ყოველნივე განვახლდეთ** (15,51). ამ სიტყვების განმარტებისას წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „ამრიგად, ყველანი არ მოკვდებიან, მაგრამ ყველანი შევიცვლებით; რადგან მოკვდავნი არიან, შეიცვლებიან ცოცხლებიც, რომელთა სხეულებიც შეიცვლებიან და უხრწნელად იქცევიან“.

საშინელი სამსჯავროს წინ რომ ცოცხლებიც იქნებიან, ამას ამოწმებს: ა) რწმენის სიმბოლოც, რომლის მეშვიდე წევრიც ასე იკითხება: **და კუალად მომავალ არს განსჯად ცხოველთა და მკუდართა...** ბ) მოციქული პავლე, რომელიც ამბობს: **და მკუდარნი იგი ქრისტეს მიერნი აღდგენ პირველად; და მაშინდა ჩუენ ცხოველნი ესე, რომელ დაშთომილ ვიყვნეთ, მათთანავე აღვიტაცნეთ ღრუბლითა შემთხუევეად უფლისა** (1 თეს. 4,16 და 17). წმ. იოანე ოქროპირი ამ სიტყვების განმარტებისას წერს: „ადრე გარდაცვლილები აღდგებიან და ერთად შეიყრებიან. აბელი, რომელიც ყველაზე ადრე მოკვდა, მაშინ ცოცხლებს შეუერთდება“.

შეგვეკითხებით: მაშინ მოციქული რატომღა ამბობს, რომ როგორც ადამში ყველა კვდება, **ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმ-**

ნენ (1 კორ. 15,22)?

გვაპასუხებთ: უფლის მოსვლამდე ცოცხლად დარჩენილნი ყველანი მოკვდებიან და შემდეგ შეცვლილი სახით აღდგებიან, მაგრამ არა დაცემითა და აღდგომით. **ყოველთავე უკუე არა შევისუენოთ, ხოლო ყოველნივე განგახლდეთ** (1 კორ. 15,51). **რამეთუ ჯერ-არს ხრწნილისა ამისა შემოსად უხრწნელებად და მოკუდავისა ამის შემოსად უკუდავებად** (53).

განმარტავს რა ამ სიტყვებს, წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „ხრწნადი სხეული მოკვდავიცაა. სიკვდილი და ხრწნა მაშინ განადგურდება, როცა მათზე უხრწნელობა და უკვდავება მოაწევს“.

ზოგიერთი მოძღვრის სწავლებით, საშინელი სამსჯავროს წინ ყველა უნდა მოკვდეს, „რადგან ადამის სახით კაცთა მთელმა მოდგამამ შესცოდა, ამიტომ სიკვდილი ყველა ადამიანს მიესაჯა; დაბოლოს, თვითონ აღდგომა არ შეიძლება მოხდეს, თუკი მას წინ სიკვდილი არ უსწრებს“. მათი გაგებით, მოციქულიც ამასვე ასწავლის თესლის მაგალითით, რომელიც თუ არ გაიხრწნა, თავთავს ვერ გამოიღებს. რწმენის სიმბოლოშიაც ყოველ დღე ვკითხულობთ: **მოველი აღდგომასა მკვდრეთით**. ხოლო სადაც დაცემა არაა, აღდგომა როგორ იქნება? როგორც წმ. იოანე დამასკელი გვასწავლის, აღდგომა დაცემული ადამიანის ხელახლა წამოდგომაა.

ამ ორი შეხედულებიდან ჩვენ ის გვწამს, რომელსაც აღმოსავლეთის ეკლესიის მნათობი წმ. იოანე ოქროპირი ქადაგებს.

3. აღმდგართ ადრინდელი სხეულები ექნებათ თუ სხვაგვარი?

ამ კითხვებს ვუპასუხებთ სიტყვებით: ა) ფსალმუნთა მგალობელისა: **დაიცვნეს უფალმან ყოველნი ძუალნი მათნი და ერთიცა მათგანი არა შეიმუსროს** (ფს. 33,20); ბ) პავლე მოციქულისა: **რამეთუ ჩუენ ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რადთა მოიღოს კაცად-კაცმან ჳორცთა ამათგან, რადცა იგი ქმნა, გინა თუ კეთილი, გინა თუ ბოროტი** (2 კორ. 5,10); **რამეთუ ჯერ არს ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებად, და მოკუდავისა ამის შემოსად უკუდავებად** (1 კორ. 15,53).

წმ. წერილის ამ სიტყვებიდან ვასკვნით, რომ სხეული, რომელიც მიწიერ ტანჯვათა და ტკბობათა თანამონაწილე იყო, მარადიული დიდებისა და დაუსრულებელი ტანჯვის თანამონაწილედ იქნება. ისევე როგორც უფალი მარცვალს სხვა სხეულს აძლევს, ასევე აღმდგართაც ახალი ხორცი ხომ არ ექნებათ? განა ამაზე არ ამბობს მოციქული: **რომელ დასთესი, არა ცხოვნდის, ვიდრემდე არა მოკუდის...**, არამედ

შიშუელი მარცვალი, გინა თუ იფქლისად ანუ თუ სხუად რომელიმე თესლი. ხოლო ღმერთმან მოსცის მას გუამი, ვითარცა უნებნ, და თუ-თოეულსა თესლსა თვისი გუამი (1 კორ. 15,36-38).

მოციქული თესლის არა არსზე, არამედ გარეგნულ სახეზე ლაპარაკობს, რადგან არსი მაგარი და დამპალი და აღმონაცენის მომცემი მარცვლისა ერთი და იგივე რჩება; უკეთუ ჩვენ ხორბლის მარცვალს დავთესავთ, თავთავიც ხორბლისა იქნება და არა ქერისა. ისევე როგორც ხორბალი, როცა მისგან დერო აღმოცენდება, თავის ტიპურ თვისებებს არ კარგავს. ასევე შეინარჩუნებენ თავიანთ დამახასიათებელ თვისებებს აღდგომისას ადამიანთა სხეულები და მხოლოდ გარეგნულად შეიცვლებიან: **დაითესვის ხრწნადი და აღდგების უხრწნელი.** ჩვენი სიტყვების პირდაპირ მტკიცებას აღმდგარი ქრისტეს სხეული წარმოადგენს, **რომელმან გარდაცვალნეს კორცნი ესე სიმდაბლისა ჩუენისანი, რადთა იყვნენ იგინი თანა-ხატ კორცთა მათ დიდებითა მისისათა (ფილპ. 3,21).**

ურიცხვი შემთხვევაა ცნობილი, როცა ადამიანის სხეულის ფერფლი სრულიად განადგურდა და ქარით განიბნა, სამეცნიერო თუ სხვა სახის გათხრებისას დაიფანტა, ცეცხლით დაიწვა და კვამლად იქცა. ასევე ვიცით, რომ ადამიანებს მხეცები, ფრინველები და თევზები ჭამენ. როგორ შეიკრიბება ამ ადამიანთა სხეულები და თავის პირვანდელ სახეს როგორ მიიღებს?

ამგვარი კითხვის პასუხად, როგორც აღრე, ახლაც იმას ვიტყვით, რომ ეს რწმენის საქმეა და არა ცნობისმოყვარეობისა, რადგან ის, რაც ადამიანისთვის შეუძლებელია, ღმრთისთვის შესაძლებელს წარმოადგენს (მთ. 19,26). — **ვიწურთიდ ყოველთა მიმართ საქმეთა შენთა და ქმნულსა ხელთა შენთასა ვზრახვედ (ფს. 142,5),** — ამბობს თავისი თავის შესახებ დავითი. ფიქრობდა რა ღმრთის ყოვლისშემძლეობაზე, მას ურყევად სწამდა, რომ ზეცა, დედამიწა, ჰაერი, ზღვა და ყოველივე, რაც მასშია, ერთი სიტყვით შეიქმნა: **იქმენინ. რამეთუ მან თქუა და იქმნეს, თავადმან ამცნო და დაებადნეს (ფს. 32,9).** თუკი ღმერთმა მთელი სამყარო უმყოფობიდან ყოფიერებაში მოიყვანა და მიწის მტკერიდან ადამიანი შექმნა, მით უმეტეს შეუძლია განახლება ადამიანის სხეულისა, თუნდაც ის მთელ ცისქვეშეთში იყოს გაბნეული. იოანე დამასკელს უკიდურესად უკვირს იმათი, რომელნიც კითხულობენ: მკვდრები როგორღა აღდგებიან: „როგორი სიგიჟეა! — ამბობს იგი, — როგორი ურწმუნოება იმისი, რომელმაც მხოლოდ ნებით მტკერი სხეულად გარდააქცია, რომელმაც პაწაწინა

თესლს საშოში გაზრდა უბრძანა! შემეკითხები: როგორი სხეულებით მოვლენ? — უგუნურო! უკეთუ სიბრძავე არ გაძლევს საშუალებას ღმრთის სიტყვებს ერწმუნო, საქმეებს ერწმუნე! **რომელ დასთესი არა ცხოვნდის, ვიდრე არა მოკუდის**“ და ა. შ.

4. ყველა მამრობითი სქესით ხომ არ აღდგება?

არა! — რადგან ღმერთმა დასაბამითვე მამრობითი და მდედრობითი სქესი შექმნა, აღდგომის შემდეგაც მამაკაცები მამაკაცებად დარჩებიან და დედაკაცები — დედაკაცებად. უფალი ორივე სქესს ახსენებს, როცა ამბობს, რომ: **აღდგომას არცა იქორწინებოდიან, არცა განჰქორწინებდენ, არამედ ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი, იყვნენ ცათა შინა** (მთ. 22,30). ამრიგად, ჩვენ ყველანი არა მამრობითი სქესით, არამედ **მამაკაცად სრულად** მოვალთ, ე. ი. მამაკაცურ ძალასა და სიმტკიცეს შევიძენთ, რათა როგორც მოციქული ამბობს: **არღარა ვიყვნეთ ყრმა ჩჩვლ, დელვა-აღტეხილ და მიმოტაცებულ ყოველსა მას ქარსა მოძღურებისასა** (ეფეს. 4,4). ანგელოზებს არა სქესის, არამედ ქორწინებისა და ხორციელ სურვილთა მოკვეთით დავემსგავსებით.

5. აღმდგარ სხეულებს ჭამისა და სმის მოთხოვნილება ხომ არ ექნებათ?

აღმდგარ სხეულებს არ ექნებათ საჭიროება მატერიალური სასმელისა და საჭმელისა, რომელიც აუცილებელია ღონემინდილი და დაუძღურებული ხრწნადი სხეულისათვის. **დაეთესვის უძღურებით და აღდგების ძლიერებით**. მაშინ იესო ქრისტემ რატომღა ჭამა აღდგომის შემდეგ? (ლუკ. 24,43). მან ჭამა და სვა, რათა თავისი მოწაფენი, რომელთაც იგი სულად მიიღეს, აღდგომაში დაერწმუნებინა; ჭამა აგრეთვე დასამოწმებლად იმისა, რომ სხეული ჰქონდა, რომელმაც სახე იცვალა.

6. რა თვისებები ექნებათ აღმდგარი წმინდანების სხეულებს?

აღმდგარი წმინდანების სხეულები იქნებიან: ა) ვნებათაგან თავისუფალნი, უხრწნელნი და უკვდავნი. **დაეთესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნელებით** (1 კორ. 15,42); **ხოლო რომელნი-იგი ღირს იქმნენ საუკუნესა მას მიმოხუევად და აღდგომასა მას მკუდრეთით... არცაღა მერმე სიკუდილად ველ-ეწიფების** (ლუკ. 20,35-36).

ბ) სულიერნი. ისინი სიმტკიცით, სისწრაფით, უხრწნელებითა და სიწმინდით უხორცო სულებს დაემსგავსებიან; ისინი წმინდა და მსუბუქნი იქნებიან, როგორც სხეული აღმდგარი ქრისტესი, რომელმაც არავითარი ზღუდე და დაბრკოლება არ იცოდა. **დაეთესვის კორცი მშენებელი და აღდგების კორცი სულიერი** (1 კორ. 15,44).

გ) ნათლით შემოსილნი, როგორც მაცხოვარმა ბრძანა: **მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა** (მთ. 13,43). მოციქულის მოწმობით, უფალმა **გარდაცვალნეს კორცნი ესე სიმდაბლისა ჩუენისანი, რადთა იყვნენ იგინი თანა-ხატ კორცთა მათ დიდებისა მისისათა** (ფილიპ. 3,21). **დაეთესვის გინებით და აღდგების დიდებით** (1 კორ. 15,43).

7. რა თვისებები ექნება დასჯილ ცოდვილთა სხეულებს?

1. დასჯილ ცოდვილთა სხეულები უხრწნელნი და უკვდავნი იქნებიან, რასაც იესო ქრისტე ამოწმებს: **და წარვიდეს ესენი სატანჯველსა საუკუნესა** (მთ. 25,46). დაფარულთა მჭვრეტელი ამბობს: **ემიებდენ კაცნი სიკუდილსა და ვერ პოონ, და ჰსუროდის მოკუდომად, და ივლტოდის მათგან სიკუდილი** (გამც. 9,6). **რამეთუ ჯერ-არს ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაჲ, და მოკუდავისა ამის შემოსად უკუდავებაჲ** (1 კორ. 15,53), — განმარტავს პავლე მოციქული.

2. იქნებიან ტანჯულნი, რადგან მარადიული ცეცხლისაგან საშინელ წამებას განიცდიან.

თავი XIV

მოკლე ცნობები საშინელ სამსჯავროზე

საშინელი სამსჯავროს შესახებ შევნიშნავთ შემდეგს:

1. სამსჯავროზე გამოჩნდება ნიშანი ძისა კაცისა, — ე. ი. წმიდა ცხოველმყოფელი ჯვარი უფლისა; გამოჩნდება იგი როგორც სანუგეშოდ იმათთვის, ვინც ჯვარზე გაკრულ უფალს თაყვანი სცა და ჯვარს ეცვა, ასევე შესარცხვენად ბიწიერი იუდეველებისა, რომელთაც უფალი დიდებისა ჯვარზე გააკრეს.

2. განცხადდება საქმენი და დაფარულნი ზრახვანი ყოველი ადამიანისა. წმ. ანდრია ამბობს: „გაიხსნება წიგნები ყოველთა საქმეთა და სინდისისა და ყველასათვის გამჟღავნდება“.

3. თავად უფალი იესო ქრისტე სრულუფლებიანი მსაჯული იქნება,

რადგან: **არცაღა მამად სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა** (ინ. 5,21). თუმცა სამსჯავროზე ღმრთეებრივი და განუყოფელი სამების სამივე პირი იქნება, მაგრამ მთელ სამსჯავროს მაინც მხოლოდ ძე წარმართავს, რადგან მან ჩვენთვის ტანჯვანი ნებით დაითმინა. თვითონ უსამართლოდ განსჯილი ყველას სიმართლით განსჯის. — წმიდა წერილი ამბობს, რომ ქრისტეს გარდა მსაჯულები კიდევ იქნებიან. **რაჟამს დაჯდეს ძე კაცისად საყდართა დიდებისა თვისისათა, დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა, — ეუბნება უფალი მოწაფეებს, — განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაჴლისათა** (მთ. 19,28). **არა უწყითა, რამეთუ წმიდათა სოფელი განიკითხონ? არა უწყითა, რამეთუ ანგელოზნი განვიკითხნეთ?** (1 კორ. 6,1-3; შდრ. მთ. 12,41-42). მოციქულები და ზოგიერთი წმინდანი არა თვითმპყრობლური და დამოუკიდებელი სამსჯავროთი, არამედ თანამონაწილეობითა და თანანებელობით განსჯიან. განადიდებენ რა ქრისტეს სამსჯავროს, მართალთაგან არა მხოლოდ კაცნი, არამედ დემონებიც გასამართლდებიან.

4. ქრისტეს სამსჯავრო განსხვავებული იქნება კაცთა სამსჯავროსაგან, რადგან მასზე არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ აზრითაც იქნებიან მხილებულნი. მსაჯული ყველას გასაგონად იტყვის: **მოვედით კურთხეულნი. მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქუენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისადთ. მამინ ჰრქუას მარცხენითათა მათცა: წარვედით ჩემგან, წყეულნი, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელ განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისათავს. და წარვიდეს ესენი სატანჯველსა, ხოლო მართალნი — ცხორებასა საუკუნესა** (მთ. 25,41 და 46).

აი, რას გვასწავლის წმინდა წერილი საშინელ სამსჯავროზე! — ყოველი ჩვენგანი მას რწმენით უნდა ჩასწვდეს და არა ცნობისმოყვარეობით და წვალბებით. „იცი შენ, — ამბობს იოანე ოქროპირი, — მოციქული გამოცდის გამო როგორ გვსაყვედურობს? (1 ტიმ. 6,20), რადგან იქ, სადაც რწმენაა, გამოცდას ადგილი არა აქვს, ხოლო სადაც გამოსაცდელი არაფერია, იქ კვლევა ზედმეტია“. გამოცდა დამლუპველია რწმენისა, რადგან მას, ვინც ცდის, რწმენა არ შეიძლება ჰქონდეს. ამიტომაც ამბობენ: „გამოცდაში ნუ ვივარჯიშებით“, რადგან თუკი ვწვალბობთ, — ეს რწმენა არაა; რწმენა აზროვნებას ამშვიდებს. ამგვარად, ნუ გამოვცდით, რათა მორწმუნენი გვეწოდოს.

უკეთუ სიტყვა კაცობრივია, ის უნდა გამოვიკვლიოთ; ხოლო თუ

ღმრთისა — მისი მხოლოდ მოსმენა და რწმენა გემართებს; თუ სიტყვებს არ ვირწმუნებთ, არც იმას ვირწმუნებთ, რომ ღმერთი არსებობს. ღმრთის რწმენის უპირველესი საფუძველი მისი მოძღვრებისადმი გამოჩენილი ნდობაა. ძველი მოღვაწენი სწორედ ამგვარი რწმენისთვის იყვნენ შექმნილნი, რომლის გარეშეც ყოველივე იხრწნება.

დასკვნა

მსჯელობას ანტიქრისტესა და სამყაროს აღსასრულზე მოციქულთა თავის პეტრეს სიტყვებით დავამთავრებთ: **რამეთუ არა სიბრძნისა ზღაპართა შეუდგით და გაუწყით თქვენ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს ძალი და მოსლვად, არამედ თუთ-მხილველ ვიქმნებით მისისა მის დიდებულებისა. და მაქუს ჩუენ უმტკიცესი საწინაწარმეტყუელოდ სიტყუად, რომელი კეთილად ჰყოთ, ეკრძალნეთ თუ, ვითარცა სანთელსა მნთებარესა ადგილსა შინა წყუდიადსა, ვიდრემდის დღე განათლდეს და მთიები აღმობრწყინდეს გულთა შინა თქუენთა. ესემცა პირველად უწყით, რამეთუ ყოველი წინაწარმეტყუელება წიგნისა თვისა სათარგმანებელ არა იქმნების (2 პეტ. 1; 16, 19 და 20).** წმიდა წერილის, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და სხვა მნათობთა, ეკლესიის მამებისა და მასწავლებლების შემწეობით ვამხილეთ რა ყველა ვერაგული ცრუ მოძღვრება, შევეცადეთ გაგვერკვია ნიშნები, რომელნიც ანტიქრისტეს ნამდვილ მოსვლაზე მიუთითებენ. განსაზღვრულად და ზუსტად მისი მოსვლის დრო არ ვიცით და მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ იგი სამყაროს აღსასრულის წინ მოვა.

შეიძლება ვინმემ იკითხოს: განა საყოველთაო ადამიანური უბედურებანი იმაზე არ მიუთითებენ, რომ უკანასკნელი ჟამი უკვე დადგა და რომ სამყაროს არსებობის დღეები უკვე დათვლილია? განა ამაზე არაა ნათქვამი მოციქულთა შემდეგი სიტყვები: **ყრმანო, უკუანადსკნელი ჟამი არს (1 ინ. 2, 18); ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თვისი, შობილი დედაკაცისაგან (გალ. 4, 4); ხოლო დაიწერა სამოძღვრებელად ჩუენდა, რომელთა ზედა აღსასრული ჟამთაჲ მოიწია (1 კორ. 10, 11).** ამ კითხვაზე ასე ვუპასუხებთ: სისხლისმღვრელი და გამანადგურებელი ომები ათასობით ადამიანს ართმევენ სიცოცხლეს, გამუდმებული ხანძრები, მიწისძვრები და წყალდიდობები ქალაქებსა და სოფლებს ანგრევენ, გვაღვებისა და მოუსავლობის გამო მთელი მხარეები შიშშილობენ, მაგრამ ვუყურებთ რა ამ მწუხარებასა და გაჭირვებას,

იმასაც ვხედავთ, რომ ადრე კიდევ უფრო მძიმე და საშინელი დროები ყოფილა. გავიხსენოთ, რამდენი უდანაშაულო ადამიანის სისხლი დაღვარეს ნერონმა, მაქსიმიანემ, დიოკლეტიანემ და ქრისტიანთა სხვა მწამებლებმა და მღევნელებმა; როგორი დევნა და შევიწროვება განიცადა ხატთმბრძოლობის ერესის დროს მართლმდიდებლურმა ეკლესიამ წმიდა ხატების დაცვისათვის! თუკი ასეთი უჩვეულო უბედურებანი არ იყო ნიშანი სამყაროს აღსასრულისა, მაშინ მით უმეტეს ახლანდელი ბოროტი დრო არ შეიძლება იყოს ნიშანი მტრის სწრაფად გამოჩენისა. მსოფლიო მოვლენები, რომლებიც ადამიანთა ისტორიული ცხოვრების ყველა პერიოდს ახასიათებენ, არ შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რაც ერთ, განსაზღვრულ დროს მიეკუთვნება. **და გესმოდინ ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, — ამბობს მაცხოვარი, — იხილეთ და ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოველი ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული** (მთ. 24,6).

2) თუ მოციქულის ზემომოყვანილ სიტყვებს პირდაპირ გავიგებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ სამყაროს აღსასრული მაცხოვრის გამოჩენისთანავე დადგა, რადგან მაშინ **მოავლინა ღმერთმან ძე თვისი, შობილი დედაკაცისაგან** (გალ. 4,4). ჯერ კიდევ იმ დიდებულ დროს წერდა მოციქული იოვანე: **ყრმანო, უკუანადსკნელი ჟამი არს**. უკანასკნელი ეწოდება აგრეთვე იმ დროსაც, რომელშიც მოციქულები მოღვაწეობდნენ: **და იყოს უკუანადსკნელთა დღეთა, — იტყვს უფალი ღმერთი, — მივჰფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა კორციელსა** (საქმ. 2,17). — აი, სად დაიწყო უკანასკნელი ჟამი! ამიტომ, როცა ვინმე მოისმენს ან წმიდა წერილში ნახავს მოწმობას ჩვენი დროის უკანასკნელ ჟამზე, ნუ იფიქრებს, რომ მითითება იპოვა სამყაროს აღსასრულის განსაზღვრულ დროზე. დაე ყველამ იცოდეს, რომ ამგვარ სიტყვებსა და გამონათქვამებში იგულისხმება დრო, რომლის დასასრულიც დაფარულია. მაგ., ყველასათვის ცნობილია, რომ ღრმად მოხუცს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენია, მაგრამ კერძოდ, რამდენი წელი თუ დღე დარჩა, არა თუ განსაზღვრავს ვინმე, მიახლოებითაც ვერ იტყვის. ასე უნდა გავიგოთ აქაც. უკანასკნელი ჟამი ქრისტეს შობიდან დაიწყო, მაგრამ ამ უკანასკნელი ჟამის ბოლო როდის იქნება, არავინ იცის: **ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამამან მხოლომან** (მთ. 24,36). პაველე მოციქული თესალონიკელებს, რომელნიც უკანასკნელ ჟამს ელოდებოდნენ, წერდა: **ხოლო გეტყვით**

თქვენ, ძმანო, მოსვლისა მისთვის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა და ჩუენისა შეკრებისათვის მისა მიმართ, რადთა არა ადრე აღიძრნეთ თქვენ გონებითა, არც შემფოთნეთ არცა სულითა, არცა სიტყვითა, არცა წიგნითა, ვითარცა ჩუენ მიერ, ვითარმცა მოწევნულ იყო დღე იგი უფლისაჲ. ნუმცა ვინ გაცთუნებს თქვენ ნუ რომლითა სახითა (2 თეს. 2,1-3).

მოციქულთა მიერ ნაწინასწარმეტყველებ უკანასკნელ ჟამზე ზოგიერთი კეთილგონიერი მოძღვარი ასე მსჯელობს: მთელ სამყაროს, მოყოლებულს ადამიდან დღემდე, კაცობრივი ცხოვრება განასახიერებს; როგორც ადამიანს – მცირე სამყაროს (მიკროკოსმოსს) სამი მთავარი ასაკი აქვს, ასევე დიდი სამყაროც (მაკროკოსმოსი) სამ პერიოდს ანუ კანონს შეიცავს: პირველია პერიოდი ადამიდან მოსემდე; ესაა სიჭაბუკე სამყაროსი. მეორე პერიოდი — მოსედან ქრისტემდე — მოწიფულობის პერიოდი და ბოლოს, მესამე — სახარებისეული ანუ მადლისმიერი — სიბერე და უკანასკნელი ჟამი, რომელზეც წმ. იოვანე ამბობს: **ყრმანო, უკუნადასკნელი ჟამი არს.** ზოგიერთები ამ ორ სამყაროს შორის არსებულ მსგავსებას შემდეგი თანმიმდევრობით განსაზღვრავენ. მათი დაყოფით ადამიანის სიცოცხლეს შვიდი საფეხური აქვს: ჩვილობა, ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე, მოწიფულობა, სიბერე და ღრმადმოხუცებულობა. ადამიანის ცხოვრების ამ საფეხურებს სამყაროს არსებობის სხვადასხვა პერიოდები შეესაბამება: ა) სამყარო წარდენამდე — ჩვილობა; ბ) წარდენიდან ბაბილონის გოდოლის მშენებლობამდე — ბავშვობა; გ) ენების დაყოფიდან და აბრაამის დაბადებიდან მოსეს დაბადებამდე — ყრმობა; დ) მსაჯულთა დრო მოსედან მეფეებამდე — სიჭაბუკე; ე) ისრაელისა და იუდეას მეფეთა და მღვდელთა პერიოდი ქრისტემდე — სიბერე; და ვ) დრო ქრისტედან საშინელ სამსჯავრომდე — ღრმა მოხუცებულობა ანუ უკანასკნელი ჟამი, რომლის შესახებაც წმიდა წერილი გვამცნობს.

ახლა ვიკითხოთ: ვის შეუძლია იცოდეს ზღვარი უსაზღვროებისა? ვის გაეცხადა საიდუმლო დაფარული დასაბამიდან? **ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის,** — გვეუბნება უფალი, — **არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამამან მხოლომან.** ვითარცა-იგი დღეთა მათ ნოვესთა, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ. რამეთუ ვითარცა-იგი იყვნეს დღეთა მათ შინა პირველ წყლით-რღუნისათა: ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებდეს და განჰქორწინებდეს მუნ დღედმდე, ვიდრემდე შევიდა ნოვე კიდობნად. და ვერ ცნეს, ვიდრემდე მოიწია წყლით-რღუნად

იგი და წარიღო ყოველი. ესრეთ იყოს მოსლგადცა ძისა კაცისაჲ. იღუ-
ძებლით უკუე, რამეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მო-
ვიდეს. ხოლო ესემცა იცით: უკუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან,
რომელსა საკუმილავსა მპარავი მოსვლად არს, იღუძებდამცა და არა
უტევა დათხრად სახლისა თვისისა. ამისთჳს თქუენცა იყვინით განზზა-
დებულ, რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰკონებდეთ, ძე კაცისაჲ მოვიდეს
(მთ. 25,36-39; 42-44).

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ქრისტე გვიბრძანებს რა მზად ვიყოთ
მისი მოსვლისათვის, საიდუმლოს გამოძიებას, რომელიც ყველასათვის
დაფარულია, მტკიცედ გვიკრძალავს. რადგან თუკი მიწიერ მეფეთა
საიდუმლო მთელი გულმოდგინებითაა დაფარული (ტობ. 12,7-11),
მით უფრო დაცულ უნდა იქნეს საიდუმლო მეუფისა მეუფეთაჲსა და
უფალთა უფლისა: შენთვის მეტისმეტად საძნელოს ნუ ეშურები და შენს
ძალაზე აღმატებულს ნუ გამოიკვლევ. რაც გებრძანება, ის გულისხ-
მაყავ, რადგან დაფარული არ გვჭირდება. შენს მრავალ საქმეთაგან
ზედმეტს ნუ ეშურები, რადგან მასზე მეტი გამოგეცხადა, რისი შეცნო-
ბაც ადამიანს შეუძლია. **რადგან მრავალი აცდუნა განზრახულმა და
უკეთურმა ოცნებამ დაღუპა მათი გონება** (ზირ. 3,20-23), — ამბობს
ისო ძე ზირაქისა. ცნობისმოყვარეთა და იმათ შესახებ, რომელნიც და-
ფარულში შეღწევას ცდილობენ, პავლე მოციქული ამბობს: **იტყოდეს
თავთა თვისთა ბრძენ და განცოფნეს** (რომ. 1,22). ამგვარ ცოდნაზე იგი
ამოწმებს: **უკუეთუ ვისმე ჰკონიეს, ვითარმედ იცის რაიმე, არღასადა
უცნობიეს, ვითარ-იგი ჯერ-არს ცნობად** (1 კორ. 8,2).

რა ბედნიერია ის, ვისაც სიბრძნესთან შეერთებული გონება აქვს,
ვინც წმიდა ეკლესიის სწავლებების მორჩილი მსმენელია და მის დოგ-
მატებს არ არღვევს! წმიდა მოციქული იაკობი ამბობს: **უკუეთუ შურ
მწარე გაქუნდეს და კდომად გულთა შინა თქუენთა, ნუ იქადით და
სტყუით ჭეშმარიტებასა ზედა. არა არს ესე სიბრძნე ზეგარდამოსრული,
არამედ ქუეყანისაჲ, მშვნვიერი და საეშმაკოჲ. ხოლო ზეგარდამოდ
სიბრძნე პირველად სიწმიდე არს და მერმე მშჯლობად, სახიერებაჲ,
მორჩილებაჲ, საესე წყალობითა და ნაყოფითა საქმეთა კეთილთაჲთა,
განუკითხველ და შეუორგულებელ** (იაკობ. 3,14-15 და 17). წმ. იოანე
ოქროპირი გონებას ცხენის სწრაფვას ამსგავსებს. როგორც ჯიუტი და
ფიცხი ცხენი მხედარს არ ემორჩილება და თუ ლაგამი მტკიცედ არა
აქვს ამოდებული, გამველეებს თელავს, ეკლესიის დოგმატებისა და
12. სსპ, 2011.

წმიდა მამების სწავლებათა ურჩიც ქრისტიანთა შორის განხეთქილებას თესავს და მრავალრიცხოვან ერესებსა და განხეთქილებებს წარმოშობს. ამგვარი სენით არიან შეპყრობილნი ურწმუნო იუდეველები, ერეტიკოსები და განდგომილები. **ქედ-ფიცხელნი და წინა-დაუცუეთელნი გულითა და სასმენელითა, თქვენ მარადის სულსა წმიდასა ანტაკრად წინა-აღუდგებით, ვითარცა მამანი თქუენნი, ეგრეცა თქვენ** (საქმ. 7,51).

ამიტომ თუ ვინმეს მარადიული ცხოვრება უნდა და სურს მართლმადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტი შვილი იყოს და მისით, როგორც ნოეს კიდობნით, წარღვნისგან გადარჩენას ეძებს, და რომელსაც ანათემის საშინელი მეხის ეშინია, რომელიც სულსა და სხეულს ანადგურებს, დაე მან, ვითარცა ქრისტეს უტკბესი უღელი, საეკლესიო დოგმატები იტვირთოს, თავისი ურჩი გონება ეკლესიის კანონებით მოთოკოს, რამეთუ **წარმოვსტყუენავთ ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესა** (2 კორ. 10,5).

ის, ვინც აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიას არ ემორჩილება, მის სულიწმიდით წარმართულ მოძღვრებას არ უსმენს და უგულვებელყოფს რა მტკიცე კლდეს, ცრუ სიბრძნეს ეძლევა, თავის შენობას ქვიშაზე აფუძნებს. ასეთ ადამიანს ქრისტე ეშმაკს უწოდებს, რომელიც კეთილ თესლს შორის სარეველას სთესს და ეკლესიიდან, ვითარცა გახრწნილი და დამპალი ნაწილი სხეულისა, როგორც წარმართი და მეზვერე (მთ. 18,17), მოიკვეთება.

ძვირფასო მკითხველო! ყოველგვარი ამაო სიბრძნე უარვეყოთ, ჩვენთვის მობერილი ეშმაკის მიერ, მთელი ძალით შევიცნოთ, ერთი პირითა და ერთი გულით ვუგალობოთ და განვადიდოთ ყოველადწმიდა და დიდებული სახელი ღმრთისა, რადგან რა უფრო უნდა ესათნოებოდეს ღმერთს, ვიდრე მისი სადიდებელი საგალობელი, ყველას მიერ ერთსულოვნად წარმოთქმული! ამას გვევედრება ჩვენი მოძღვარი პავლე მოციქული: **რაოდენი რად ნუგეშინის-ცემად არს ქრისტეს მიერ და რაოდენნი ნუგეშინის-ცემად სიყუარულისაჲ, რაოდენი რად ზიარებაჲ სულისაჲ, რაოდენი რად მოწყალებაჲ და წყალობაჲ, ადავსეთ სიხარული ჩემი, რადთა მასვე ჰზრახვიდეთ, ნურარად ვდომით გინა ზუაობით, არამედ სიმდაბლით ურთიერთარს უმეტეს შეპრაცხდით თუთოეული თავისა თვისისა** (ფილიპ. 2,1-3). **ხოლო გლოცავ თქუენ, სახელითა უფლისათა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რადთა მასვე იტყოდით ყოველნი, და ნუ იყოფინ თქუენ შორის წვალება, არამედ იყვენით განმტკიცებულნი**

მითვე გონებითა და მითვე მეცნიერებითა (I კორ. 1,10).

მისი მიმდევრების ერთსულოვნებას ევედრება იესო ქრისტე თავის მარადიულ მამას: **მამაო წმიდაო, დაიცვენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მე, რადთა იყვნენ ერთობით, ვითარცა ჩუენ** (ინ. 17,11).

ჭეშმარიტად აღსრულებულია ხატი და მსგავსება სამკვიპოსტასიანი ღმრთეებისა, როცა მორწმუნენი ერთსულოვანნი არიან სიყვარულში ღმრთისა, რომლისა არს დიდება, პატივი და თაყვანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.



ავისპოვოსი ალექსანდრე
(სამირონოვ-ტიანუანსკი)
**მართლმადიდებლური
კატეხიზმო**

თარგმნეს
გვანცა კოპლატაძემ და გიორგი ტონიამ

მეოთხე გამოცემა



**ანტიქრისტეს მოსვლის
ნიშნები**

ათონის პანტელეიმონის სახელობის
რუსული მონასტერი

თარგმნა **გვანცა კოპლატაძემ**

მეორე გამოცემა

საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2011
თბილისი, ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 98-26-34, 899 19-68-23
ელ. ფოსტა: madli.ssg@rambler.ru
გაერცელების სამსახური: 899 26-54-52

ხელმოწერილია დასაბეჭდად 05.03.2011. ტირაჟი 1000.
დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 47